**UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312**
**ა-376**

# ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

# ათინათი

**2016 / 2 / (20)**

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2016

## უფლის საგალობელი



მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
ანა კალანდაძე

ლურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით ,,ათინათის”
გული ფეთქავს.
*გულნაზ ხარაიშვილი*



უწმინდესი და უნეტარესი
ილია II

* * *

უწმინდესი მყავს
რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და
ერის საჩინო.
სიკვდილი უკვე რწმენით
ჩავღობე,
სიცოცხლე უნდა
გადავარჩინო...



მამა გაბრიელი
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი)

* * *
(მამა გაბრიელს)

გარდაცვალებას, მეუფისას ვერ შევეჩვევი...
შენმა ლოცვებმა, მომირჩინოს იქნებ იარა...
ღმერთს ცაში მიჰყავს კეთილები, ყველა შერჩევით,
აი, ამიტომ ტკივილებმა არ გამიარა.
დამლოცე მამავ, იქნებ მწუხრი გადავიყარო,
მამა გაბრიელ, უტკბილესო, უსათუთესო...
ხომ მიქადაგებ, მტერი ისევ რომ შევიყვარო,
და შენი ლოცვით ლექსი შევქმნა საუკეთესო.
*გულნაზ ხარაიშვილი*



**მეუფე თადეოზი**
**(მირიან იორამაშვილი)**

## შენი ლოცვით

სიცოცხლეშივე მზედ ბრწყინავდი შენი სიმშვიდით...
ახლა სიონში განისვენებ ოლიანდრებთან.
როს ჩემში წვიმდა, გულის დარდებს გადაგიშლიდი,
ვძლიერდებოდი... და ვომობდი, ბედის ავდრებთან.



**(მამა ანდრია აბაშიძეს)**

დამლოცე მამა ანდრიავ,
მოვინანიებ ცოდვებს...
იქნებ ჯერ კიდევ ადრეა,
რადგან დარდებით ვგოდებ.

რწმენა შემოდის ჩემს გულში,
შემოდის ჩემთან რჩება,
მინდა რომ დარჩეს წარსულში,
არ მიტევების ჩვევა...

***გულნაზ ხარაიშვილი***



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ეს
დაბადების 83 წლისთავთან დაკავშირებით ვუძღვნი ლექსს

## ПАТРИАРХУ ГРУЗИИ ИЛЬЕ II

Отец всего Грузинского духовенства и православия
Стоит несломленный недугами и бедами людей,
Глазами агнца Божьего, любимого и чуткого,
Слезами чистыми младенца, все иконы окропив.

Задумчивым, бездонным, мудрым взглядом
Окинув храмы древней Грузии своей,
Он прославляет слово Божьее, заветы
Под гнетом всех тревог, времен и зла несущих дней.

Как молит он и просит у Творца
За все усобшие и грешные те души,
Как молвит все молитвы нестрашась,
Что молнией низвергнится на плоть его недугами.

И с каждым стуком его сердца и души
Молитвой посылает он для нас спасение,
Он верен всем и волею несокрушим,
Дай Бог ему здоровья и благословления!

И силой провидения Творца
Из уст его исходит речь нам нужная,
И сила нам дается с выше та
Которой движется Земля и вся Вселенная.

**Нана Месхи**



**გულნაზ ხარაიშვილი**
**ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი**
**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა**
**მრავალპროფილიანი საერთაშორისო**
**აკადემიის პრეზიდენტი**

# ვედრება

მე მინდა რომ ჩემი სიტყვა
ერს მალამოდ დაეფინოს,
ახალგაზრდებს სიბრძნე მისცეს,
მტერს საზღვრამდე გაეკიდოს.
სიყვარულს კი გზა გაუხსნას,
დარდიანი გააცინოს.
გულმა გული თუ იპოვნა,
ერთურთს აღარ დააცილოს.

**ნელი ქველაძე**



## უფლის სახლი დიდ დიღომში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი

„...გარდამოგვივლინა სიციცხლე ღმერთმა მაღლითა ზეცითა,
იესომ სისხლი ანთხია, ადამის მოდგმის ცოდვითა!
გარდმოგვაფარა კალთაი, ღვთის დედამ ზეციერითა,
მოგვმადლა თვისი ხატება, გავჩნდით მისი ლოცვითა!"

ზეციერმა მამა ღმერთმა ქვეყნიერებაზე 20 საუკუნის წინათ გამოაგზავნა თავისი მხოლოდშობილი ძე-იესო ქრისტე. ჩვენი მაცხოვარი სული წმინდისაგან ჩაისახა წმინდა მარიამ ღვთისმშობელში და იუდეისბეთლემში, როგორც ღვთის სიტყვაში-ბიბლიაში არის ჩაწერილი, ღმერთი განკაცდა, ანუ მოგვევლინა ხორციელად.

იესო ქრისტემ გაგვიცხადა ზეციური მამის ნება-სურვილი, ადამიანის გადარჩენის ერთადერთი გზის შესახებ. ცოდვების მონანიებით ღმერთის წინაშე, ცოცხალი რწმენით და უფალი იესო ქრისტეს პირად მხსნელად მიღებით, ადამიანებს გვეძლევა საშუალება ღვთისაგან მივიღეთ მარადიული სიცოცხლე. ამის შესახებ იესომ თქვა: „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" (იოანეს სახარება, თავი მე-3)

იესო ქრისტე გახდა ცოცხალი მსხვერპლი, რომელმაც იტვირთა კაცობრიობის ცოდვები, ამიტომ გააკრეს ჯვარზე და დაიღვარა წმინდა, ძვირფასი სისხლი. იესო ქრისტე მოკვდა ჯვარზე, მაგრამ სამარხიდან მესამე დღეს აღსდგა და ორმოცი დღის შემდეგ ამაღლდა ზეცად. ღმერთს დიდება, იესო ქრისტე ცოცხალია და მამის მარჯვნით ზის. მან აღასრულა ზეციური მამის ნებასურვილი და ამიტომ იესო ქრისტე არის ქვეყნიერების მხსნელი.

„ახალ აღქმაში" დაწერილია: „თუ შენს გულში მიიღებ ქრისტეს სიტყვებს-გადარჩები... თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია და შენი გულით ირწმუნებ, რომ იგი აღდგა მკვდრეთით-გადარჩები, ყოველი ვინც უფლის სახელს მოუხმობს-გადარჩება!" ამიტომ ადამიანები დროულად უნდა მივიდეთ უფალთან და სანამ მოვინანიებთ, გავიხსენოთ ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვები და ვილოცოთ.



მამა მერაბი და შალვა ილურიძის ანსამბლი „ლომისი"

ამ ხუთიოდე წლის წინ სწორედ უფალთან მისვლას უფლისავე სახლში იყვნენ მოკლებულნი ზემოთ აღნიშნული უბნის მაცხოვრებელნი. ჩვენს მკითხველს წიგნის წინა თავებიდან ემახსოვრება, რაოდენ შეჭირვებულნი იყვნენ ისინი სულიერად იმის გამო, რომ ახლომახლო არავითარი სამლოცველო არ არსებობდა. მათდა საბედნიეროდ გამოჩნდა მოძღვარი მერაბ დეკანოსიძე, რომელმაც უფლის ნებით, არნახული ძალისხმევით შეძლო მათთვის უფლის სახლის აშენება.

მაშ ასე, ყველანი გავეშუროთ დიდი დიღმის წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ტაძრისაკენ; 192-ე სკოლასთან რომ ამოვუხვევთ, შორიდანვე გამოჩნდება ულამაზესი, თეთრი ტაძარი, რომელიც დგას ტრიალ მინდორზე, ასევე თეთრი ჯვრიან-გუმბათიანი სამრეკლოთი.

„...ვუცქერ ჩემი სახლიდან დიდი დიღმის მე-3 და მე-4 მიკრორაიონებს შორის ტრიალ მინდორზე მამა მერაბისა და მის თანამოაზრეთა მიერ ამართულ ტაძრს, მათ მიერ დაგებულ ტაძრისაკენ მიმავალ გრძელ და ლამაზ ბილიკს, რომელსაც სიყვარულით მივყავარ ეკლესიის ფართო კარებამდე"-ამბობს ქველმოქმედი მრევლი მზია მოსიაშვილი და იგი ამ სიტყვებით ტაძრისაკენ

მიმავალი ყველა ადამიანის გულს ეხმარება. ისინიც ხომ ასეთივე დიდი სიყვარულით მიეშურებიან ამ დასახლების ყველაზე წმინდა და სანუკვარი ადგილისაკენ.

კეთილმოწყობილი გზის დასაწყისში დიდი რკინის ჯვარია აღმართული და მლოცველიც მოწიწებით ისახავს პირჯვარს. ასეთივე გზა მიემართება მე-4 მიკრორაიონიდანაც . მიუყვები გზას და გრძნობ, რომ ტაძრის ადგილი დიდი გემოვნებითა და პროფესიონალიზმითაა შერჩეული, რომ მისი ავტორი არა მარტო მოძღვარია (რომ არც იცოდე, გაიფიქრებ), არამედ კარგი მშენებელი და ხელოვანიცაა.

ტაძარი განსაკუთრებით მშვენიერია გაზაფხულზე, როდესაც მინდორი მწვანით იმოსება, ყვავილებით ირთვება და ტაძარი შინდისფერი სახურავით ერთვის ყვავილთა ფერებს.

მწვანე ბალახი შრიალებს და ლივლივებს, თითქოს ზღვის ტალღებიაო და ტაძარიც ნოეს კიდობანს განასახიერებს, მრავალი სიცოცხლის გადარჩენისათვის რომ ებრძვის წარღვნას, ტაძარიც ხომ მრავალი სულის გადამრჩენელია.

აი, ყვავილებით შემოჯარული ბილიკით და მათი სურნელით აღსავსე მივდივართ ტაძრის ჭიშკარითან, ვეამბორებით, შევდივართ ეზოში და კვლავ ბეტონის ბილიკს მივუყვებით. ეზოში სამი თეთრი დიდი ჯვარია აღმართული, რომლებიც მამა მერაბის წინასწარმეტყველებითა და ლოცვა-კურთხევით თეთრი კლდისაგან გამოიკვეთა და აღმართა მრევლმა ილია კეკენაძემ, ამჟამად ტაძრის სტიქაროსანმა (იმის შესახებ, თუ როგორ შეცვალა მისი ცხოვრება სიკეთისაკენ მისმა ასეთმა ქმედებამ, სასწაულების თავში გიამბობთ). ახლა კი გავუყვეთ ეზოს ბილიკს, რომლის ორივე მხარეს პატრიარქის ნაჩუქარი ლამაზი კვიპაროსებია ჩამწკრივებული, სურნელს აფრქვევენ ვარდები და იასამნები (სამასი ძირი რომ გამოუგზავნა წინამძღვარს ეზოს გასამშვენებლად უწმინდესმა ნანატრი სამი ძირის ნაცვლად).

ტაძრის ეზო საკმაოდ დიდი და ფართოა (800კვ.მ. აღემატება), სამრეკლოს სიმაღლე 8 მეტრია, გუმბათში ორი ზარია დამაგრებული, რომელთა წკრიალა ხმით იუწყება მლოცველთათვის წირვა-ლოცვის დასაწყისი.

ტაძარი არქიტექტურული სტილით დიდ, ერთნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. იგი თეთრი ფერისაა, შინდისფერი სახურავით. სიმაღლე გარედან 15 მ-ია, შიგნიდან-10მ, ფართობი-250კვ.მ. და 500 ადამიანი თავისუფლად ეტევა.

ტაძრის ინტერიერი განსაკუთრებით გამშვენდა სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ: დაიგო მარმარილოს იატაკი, გუმბათი თეთრად ანათებს, კედლები ხარისხიანად გაილესა და ეკლესიაც გამზადებულია მოსახატად.

აღსავლის კარის სამხრეთით დაბრძანებულია მაცხოვრის, წმინდა ნიკოლოზისა და მთავარანგელოზ გაბრიელის ხატები; ხოლო ჩრდილოეთით – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზ გაბრიელის ხატები. მარცხენა მხარეს, მედავითნეების კუთხესთან ახლოს, დაბრძანებულია ხის ჩუქურთმიან ჩარჩოში ჩასმული წმინდა ნიკოლოზის დიდი ხატი, რომელიც ტაძრის მგალობლის, ამალია შურღაიას ოჯახმა შემოსწირა.

სამლოცველო დარბაზი განათებულია დიდი, ლამაზი ჭაღით, მასთან ერთად საშანდლეები და კანდელები ვით სარკეში, ისე ირეკლება მარმარილოს იატაკზე. მამა მერაბისა და ქალბატონი მაიას მიერ დაწერილი მშვენიერესი ხატები, რომლებითაც გამშვენებულია მთლიანად ტაძარი, ქმნის შვების მომგვრელ, მშვიდ და მეტად სასიამოვნო გარემოს...

უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ის, რომ ტაძრის გახსნის შემდეგ რამოდენიმე ხატს მირონი სდიოდა და ახლაც სდის საკურთხეველში დაბრძანებულ უფლის ხატს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჯერ-ჯერობით ტაძარი ერთ ნავიანია. სამომავლოდ იგეგმება გვერდებიდან შედარებით მცირე ნავების მიშენება. გადაწყვეტილია, აგრეთვე, მართლმადიდებლური სკოლის აშენება, რომელშიაც ბავშვები შეისწავლიან ღვთისმეტყველებას, ფერწერას, ხატწერას, საეკლესიო ჰიმნებსა და საგალობლებს, წმინდანთა ცხოვრებას, საეკლესიო ისტორიას და სხვა.

ტაძრის ეზო, გაზაფხულის დადგომისთანავე იმოსება მწვანით. წინამძღვრის თაოსნობითა და მრევლის დახმარებით იგეგმება ვაზის გაშენებაც, რათა ტაძარს ჰქონდეს საკუთარი ღვინო ზიარებისათვის. ვინ იცის, კიდევ რამდენი სასიკეთო საქმე გაკეთდება ამ წმინდა ტაძარში...

# პოეზია



**მეუფე თადეოზი**
(მირიან იორამაშვილი)

## სონეტი ქართულ მიწას

მინდა ყოველ წუთს ვეამბორო მე შენს მკერდს, რძიანს,
ჩვენი სინდისის, სიყვარულის უმტკიცეს ფუძეს,
შენს მკერდს, პატარა კახის ცხელი გული რომ უცემს
და გმირთა ძვლებზე ამოყლორტილ დეკას და ღვიას.
არა, ქართველი შენს სიყვარულს არ მიხვდა გვიან…
და ვინც სიცოცხლე უტკბილესი გასწირა რჯულზე,
მათი თვალები ვარსკვლავებად დღეს მამულს უმზერს,
საამაყოა, მაგრამ მწარე წარსული კია…
შავი წარსული მძლავრმა ქარმა წაიღო შორით,
და სულ სხვაგვარი განახლების დაჰქროლა სიომ,
დღეს ყვავილებით გეგებება მცხეთაც, სამგორიც…
სიკვდილი ერგო, დავიწყება, აკვნების მლეწავს –
შენ კი ამაღლდი და ცას შესწვდი კავკასიონით,
მარად და მარად ლურჯი იყოს შენს თავზე ზეცა.

## სამშობლოსადმი

დაე, შენ იყავ, იყავ მიზეზი,
ჩემი სიმღერის, ტკბილო მამულო,
გრძნობები წმინდა, უფაქიზესი,
ისევ და ისევ მსურს გაგიმხილო.
შენს მკერდზე დაქრის ჩემი ოცნება,
ხან რომ თამამად ზეცის კარს აღებს,
ხან იაიებს ეალერსება,
ხანაც ნაყოფით დატვირთულ ბაღებს.
ერთ და იმავ დროს, საოცარია,
ტყემალი თოვს და ივნის ატამი,
შენს მკერდს, ნოყიერს, ცისკრის ცვარიანს,
ცისარტყელები ნაზად ხატავენ.

ვარ შენი მიწის ერთი სანთელი,
ციცინათელად მკერდს გეკონები,
მსურს ჩუმად გითხრა ჩემი სათქმელი,
ნაკარნახევი გულის, გონების.
დავკოცნი კორდზე ამოსულ იას,
დავკოცნი ვარდებს, შროშანს, ზამბახებს
და ვით ქალწულის ღიმილი მორცხვი
მათი შეხედვაც ამაცახცახებს.
ვივლი ამ გზაზე, მზისკენ რომ მიდის
და შევქმნი იმას, რასაც შევიძლებ…
და მეყვარება სიცოცხლე დიდი
და მეყვარება მუდამ შენი მზე.

* * *

მზით სავსე ზეცაც ხშირად გვქონია,
თუმც ისტორიის გზებზე ბნელოდა…
„ვეფხის და მოყმის ლექსი“ გეყოფა
უკვდავებად და სადღეგრძელოდა.

## ყოველ ჭეშმარიტ მორწმუნეს

სიცოცხლის წიგნში ჩაწერილა შენი სახელი,
რადგანაც სიკვდილს განგარიდა
სიცოცხლის ხელმა,
იცნოს სოფელმან –
ვის მარადი დიდება შვენის,
შესაყვარები შეიყვაროს ერმა და ბერმა.

* * *

როგორც სიცოცხლე, სიყვარული,
ვით მზის სიცილი,
არ მოგაკლდება სიხარული
შენ შენი წილი.
მიღმა სამყაროს თუ შეიგრძენ იდუმალება,
მიხვდები კიდეც ღვთის ხატ-ქმნილო რა გეულება
სიკეთის ფრთები, სიმსუბუქე
მარად იოლი...
გამართლება და...
ნეტარება მარადიული.

* * *

იწვის... ანათებს... მზეა... ჰქვია მზე...
ჩრდილში კი გრილი გრილობს ნიჟარა...
გაგეცინება ადამიანზე,
მაინც რად არის ასე მშიშარა?
თუ უხარია, მალავს სიხარულს,
თუ უჭირს თავი ამაყად მოაქვს,
დრო გამოაჩენს ყველაფერს ფარულს,
რადგან ყველაფერს თავისი დრო აქვს.
სხვის გოლგოთაზე შენ ვინ გაგზავნის?
შენ უნდა შენი იტვირთო ჯვარი...
სულს არ უხდება დაჩნევა ბზარის,
არ გამართლდება, როგორც რომ ზარი.

* * *

საკვირველია ფერი ცის,
რა მადლი, რა სიწმინდეა...
ამგვარ ცის ქება შენ იცი,
მარტოდენ, ბრძენო მინდიავ.
მთები სივრცეში წასული
ცად მიილტვიან ნეტა რად?
და მღერის ნათლის ასული,
გაღიმებული ნეტარად.
გადმოქუხს ლურჯი რიონი
კლდეს ჩანჩქერდაკიდებული...
ვითარ ყოფილხარ რაჭაო
საკვირველ და დიდებული?

1979 წ.

***

ჟამსა ლოცვისასა მოგხედე შენ და
ჟამსა შეწყნარებისასა შეგიწყნარე შენ...
დაღლილს, დაქანცულს ჩამეძინება
და განმაღვიძებს შენი დიდება,
სად შენს წინაშე ჩემი არსება
შეძრწუნდება და გაირინდება.
მაშინ გაცხადდეს ზრახვა ყოველი,
სიტყვა და საქმე დაჩნდეს კადრებად,
ძრწოდეს და კრთოდეს სული ცხოველი...
ო, ხილვა შენი ვით იკადრება?...
სად სერაფიმნი – პირველ საყდარნი,
კრძალვით ჰგალობენ ცეცხლისფრთიანნი,
სად ნათელია თვალშეუდგამი,
ვით ჩნდეს ცოდვილი ადამიანი?

***

ჩემთვის ისევ უაზროდ
მიდის დღეთა კრებული,
დავალ სევდით აღსავსე,
მწარედ ჩაფიქრებული...

გაღმა ელავს, ყვავილობს
სიხარულის ნაპირი...
და გამოღმა უფრთებოდ
ჩემს სისუსტეს დავტირი.

***

ვინც სიყვარულით აჯობა ყველას,
იგი შემორჩა გულს სიხარულად...
სხვაფრივ უაზროდ და უფერულად
მიფრინავს ასე დღეთა მარულა.

***

ერიდე ცოდვის პირველ ხაფანგს
არ გაჰყო ფეხი,
თორემ დაგამსხვრევს –
როგორც მუხას ტანძლიერს – მეხი.

* * *

საიდან ფიქრი უმზეო,
სად მიმეფარა ნათელი?
რატომ ვარ ასე უმწეო,
ყველასგან ღალატს რად ველი?

დავბერებულვარ სულითა,
თუ დროა ასე ტირანი?
სად არის ცრემლი ალალი,
შემძვრელად ამატირალი?

1979 წ.



**მამა არჩილ მინდიაშვილი**

* * *

გზაგასაყარზე ვდგავარ მდუმარედ,
გულისსიტყვანი მოვლენან მრავალ;
ამაოებავ ამ სოფლის წახვალ
სულს დამიტოვებ ვიცი მწუხარედ.
მოჩვენებებში დიდხანს მატარე,
ცრუ გულისთქმებით მივსე მათარა,
აწ კი მადროვე ცოტა, პატარა,
მეც დავემსგავსო მართალ ლაზარეს.
საფლავად დამდეს, ლოდი დაბეჭდეს;
ყროდაღა ხორცი, სულმა დატოვა,
საზვერეს მიჰყვა, ცრემლი ალტობდა,
როს დემონებმა საყვირს დაბერეს.
გადამიშალეს შავი წიგნები
და მომძახოდნენ ჩადენილ ცოდვებს;
ანგელოზები მატანდნენ ლოცვებს
მაიმედებდნენ, კარგად იქნები.
იქ განვიცადე მე კიდევ ერთხელ
ჩვენი მაცხოვრის ზღვა სიყვარული.
როგორ გადმოვცე ის სიხარული;
გულს რომ მივსებდა მღვდელმთავრის მხილველს.
ნიკოლაოსი მლოცავდა შორით
და იოტებდა დემონთ ლეგეონს;
შეიწყალაო ღმერთმა ეგეო,
განიხერხებით ამაოდ შურით.
მას ვსასოებდი მიწიერ გზაზე
და ღვთისა დედის უწმინდეს ლოცვებს,
იგი ისმენდა ჩემს მწარე ოხვრებს
და გულისნატვრას საუფლო ცაზე.
ღვთის სულგრძელობით, წმინდანთა ლოცვით
გავცდი საზვერეს, ჰაერის მცველებს;
მყისვე ებრძანათ ცის კართა მცველებს
ცანი განახვნეს და ფერხთა მორთხმით
მიმაახლოვეს უფლის საყდართან,
რაიცა ჰგიეს ქერაბინთ ფრთებზე,
მრავალთვალიან უწმინდეს მხრებზე, –
როგორც სიყრმიდან ნანატრ აღთქმასთან.
„დაუმეგობრდი მოციქულებსო
პავლეს, პეტრეს და იოანეს,
ლაზარეს დებთან შენ დაივანე
როგორაც უთქვამთ მახარებლებსო
პავლე რწმენაა, პეტრე იმედი,
იოანე კი არს სიყვარული;
მრავალმზრუნველი მართა სიკეთის
ძველი სახეა ხომ იგავური;
მარიამი კი უკეთესს ნდომობს
ამოირჩია ჭვრეტა მაცხოვრის,
არად დაგიდევთ იგი საცხოვრისს,
სულით სხეულთან მარადის ომობს.
ეს მათი ლოცვით, ღვთისმშობლის ოხვრით
უხმო ლაზარეს ჩვენმა უფალმა
და ჯოჯოხეთმა გზა-კვალუვალმან
მყისვე წარმოსცა ლაზარე მოთქმით.
შენც დაიხსომე საბრალო სულო
უკანასკნელ ჟამს რომ აღგადგინო,
ახლა კი უკან უნდა გაბრუნო
გლოვის ღელეში მთლად რომ განგკურნო.“
გონს რომ მოვეგე, სხეულში ვიყავ,
მყისვე დავტოვე ცივი სამარა;
რაც ღვთისგან მეთქვა ყველას ვახარე, –
ვუფრთხობდი მსმენელს დემონურ ჭილყვავს.
მერმე ათონზეც ფეხი დავადგი
და შევიმოსე სახე მონოზვნის,
ღმერთო მიხმობდი შენ ხომ მრავალგზის
და მომიყვანე ცოდვით ავადი.
აქ ღვთისმშობელი ჰფარავს ამ მხარეს
და სასოება-ივერთა ხატი,
ვიდრე გამოვა ამქვეყნად ანტი
და მრავალ ჩვენგანს დაასამარებს.
შენზედა დაგვიძს ყველა იმედი
დედაო ღვთისავ, ყოვლად წმინდაო,
რომ ძალი მოგვცეს ჩვენ სამწმინდაომ
ვძლიოთ სოფელი, ეშმაკთ ხრიკები.
ხატი დატოვებს ათონს, მონასტერს,
და დაივანებს ივერთ მხარეში;
ყველგან იქნება ანტის თარეში,
რაც აქ მოიყვანს უფლის მონოზვნებს
და იოანეც აქ იქადაგებს
ვით შვილობილი მარადქალწულის;
გამობრწყინდება ხატიც აწყურის,
მცხეთაც-მეორე ურუშალიმი.
აპოკალიფსი უკვე დაიწყო
და მალე მოვალს უფალი ჩვენი,
ნეტამც დაგვიდგეს სუფევა შენი-
მოვედ იესო, მოვედ უფალო.

# ჯგუფი ზღვარი



**გიორგი ზუხბაია.**

## სარკის ფრინველი
(მიუწვდომელი)

და გატყდა სარკე სინათლის აქეთ,
ოცნებაც გაქრა, გაქრა უკლებლივ,
მზის ბრწყინვისაგან გატეხილ სარკეს
ანარეკლები მოსწყდა ღრუბლების.
და მაშინ სარკის ნატეხებისგან
გაჩნდა ფრინველი, ფიქრთა ამრევი,
თითქოს თვით სულმა ფრთები შეისხა
და გადაცურა ლურჯი ჰაერი.
ჯერ ნატეხების მტვერმა ილელვა,
გამშვენიერდა, თითქოს ილოცა,
მერე ეს იყო – დიდმა ფრინველმა,
სარკის ფრინველმა ცა გაიოცა.
გაფრინდა თითქოს ჰაერზე მაღლა
და მზის თითებში აღმოჩნდა მალე,
სარკის ფრთები კი ღრუბელთა სახლთან
შეერწყა სივრცის გახელილ თვალებს.
ბრწყინავდა უცხო ხაზების რიგი,
მზეს ელვრებოდა ცისარტყელებად,
და ცოტა ხანში დაფარა იგი,
იგი, საკუთარ ანარეკლებმა.
სარკის ფრინველი განიბნა ბრწყინვად,
(ასე ხომ ქრება თვით სიყვარულიც),
ჰო, როგორც წყალში დაფლული მინა,
ისიც არ ჩანდა, ცით დაფარული.
ფერად ფრინველად ქცეულმა სარკემ
დატოვა მხოლოდ სიჩუმე სრული...
იმ ფრინველივით მეც მინდა გავქრე,
დამლუპოს ღელვამ საკუთარ გულის!..

## რიქშა

(რიქშა – აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის
ზოგ ქვეყანასა და სამხრეთ აფრიკის კავშირ-
ში: მსუბუქი, ორთვლიანი ეტლი, რომლის
ხელნებშიც შებმულია ადამიანი; იყენებენ
მგზავრების გადასაყვანად;)

დღე დაელია თვალებს ღრუბლიანს,
ცაზე სჩანს ყვითელ ყვავილის ნიშა,
დღეს ვერ ვიშოვე ერთი რუპიაც
და მოწყენილი დგას ჩემი რიქშა...
შიმშილის გრძნობა ისე დიდია,
რომ ამ ზეცასაც შევჭამდი თუნდაც...
მაგრამ უეცრად ქუჩის კიდიდან,
მე, დავინახე უფალი-ბუდა.
ის მოდის ჩემსკენ და ბრწყინავს თითქოს
და ჩემს რიქშაში უსიტყვოდ ჯდება,
მესიზმრება თუ უბრალოდ ვფიქრობ?
არ ვიცი, მხოლოდ დუმილი მრჩება..
ან სხვა რა მქონდა დუმილის გარდა
და ეს შიმშილიც სულის მლესავი...
ბუდა კი ბრწყინავს – ფოსფორის ვარდად
და მსუბუქია ბრინჯის მზესავით..
და მიმყავს იგი, ჩემი რიქშათი,
სანსარას ტბისკენ, ბამბის მიწაზე,
მე, ვარსკვლავების მზერის წინაშე,
მიპყრობს საღამოს გრილი სინაზე...
მოვედით კიდეც და მაშინ, ბუდა,
ჩავიდა ჩემი რიქშადან ნელა,
და ბუდას მხარზე სხივების გუნდად,
ჩამოჯდა დიდი, ლიმნის პეპელა...
მაშინ თვალებზე ვიგრძენი სიცხე,
ამავსო სხივთა რბილმა სხურებამ,
და მის ფეხებთან გაჩენა იწყეს
მანათობელმა საფეხურებმა.
ის ფრთხილად აჰყვა ამ საფეხურებს
და ალუბლისფერ ცაში შევიდა,
მე კი მის ბრწყინვას დიდხანს ვუყურე,
სანამ არ გაქრა სადღაც, ზევიდან...
ბუდამ რუპიაც არ მომცა ბოლოს,
მიწაზე დავრჩი მე ჩემი რიქშით,
საოცრება კი ის იყო მხოლოდ,
რომ აღარ ვგრძნობდი მე უკვე შიმშილს...
დღე მიიწურა და ღრუბლის გედებს,
უფალი-ბუდა, მარად ხლებია...
ო, იმ უცნაურ ამბავის შემდეგ,
არც არასოდეს მომშიებია...



**კახა ბაციკაძე**

## ირეალური

ცაა სამყაროს მოლურჯო სისხლი,
დღე, – ღამის ფიქრი და სიზმარია,
ნელა შემოდის მზის თბილი ნისლი
და თვით სიჩუმის მძიმე ქარია.
ფრინველნი სვამენ შინდისფერ ღვინოს,
მერე კი ფრენენ, ცაში, მთვრალები,
ცისარტყელაა ცის პიანინო,
გადაჭიმული ფერთა გამებით.
შეგრძნება, როგორც მოლურჯო ია,
ოცნების მწვანე მინდორზე მოდის...
სიცოცხლე ცოცხლობს, ვით ფანტაზია,
რომელიც, ალბათ, ახდება ოდეს...

## გრანელი – ღმერთი

გზა, ცხოვრების, ნეტავ საით მიდის?..
ჩამოეშვა წვიმისფერი ფარდა,
"ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი"...
რა დარჩება – პოეზიის გარდა!
სანთლის სულში ჩამახედა ნეტავ,
იგი როგორ ნელა-ნელა ქრება;
ასე ვიცი – პოეზიის გარდა
ცხოვრებაში ყველაფერი კვდება.
ერთი, მხოლოდ ერთადერთი რაღაც -
პეპლის ფრთაზე დაწერილი ლექსი...
გული უცემს ქუჩის თავში ჭადარს
და შენ ეს ხმა პოეზიით გესმის.
მე მარტო ვარ და ვერ ვტოვებ საყდარს;
(საკუთარ თავს ასე ძლიერ ნუ სჯი;)
მაგრამ რა ვქნა თუ თვალებში ჩადგა
პოეზია, ცაზე უფრო ლურჯი.
გზა, ცხოვრების, ნეტავ საით მიდის?..
და ეს ლექსიც გრანელის დარდს ჰგავდა.
"ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი"...
რა დარჩება – პოეზიის გარდა!

## ზეცისკენ

აზრი არა აქვს ზამთარზე ჩივილს, -
ცხოვრება მაინც უფრო მხეცია;
და მე არა მწამს ისეთი ჩიტის,
ფრთები რომ მუდამ დაუკეცია.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად,
და მე არა მწამს ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება.
ცხოვრებისათვის კვლავ არ მცალია,
სული იგუბებს სევდის ნაწვიმრებს,
პოეზია კი ის მწვერვალია,
რომ შეიფარებს გრძნობის არწივებს.
ისევ თან დამაქვს ხმა უწინდელი,
გული ცხოვრებას კვლავ ეურჩება,
და მე არა მწამს ისეთ ფრინველის,
ცას რომ ვარსკვლავად ვერ შემორჩება.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად;
ვამბობ: არ მესმის ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება...

## რუსთაველი

მე პოეზიით ვარ შეპყრობილი,
როგორც იესო – ჯვარცმის სურვილით;
მაღალ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
სამყაროს ზღვრამდე, ვიცი, სულ ვივლი,
სანამ არ ვნახავ უფლის სამყოფელს;
კოსმიურ შუქთა დიად ტალღებში
გულს უკვდავების ფიქრი ამკობდეს...
მე მსურს შევხედო უფალს თვალებში... -
ეს ნატვრა, თითქოს, სიზმარს ედრება,
და სული რჩება სიმწუხარეში...
ვარ კვლავ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
ისმის მთებიდან თეთრი ხმა – ყინვის,
შეხედეთ, – თავად იესო მადგამს
მე პოეზიის ეკლიან გვირგვინს!..
ვგრძნობ: პოეზიით ვარ შეპყრობილი....



სერგი ლომაძე

## უსასრულობა

ფიქრობ, ყოველი უკვე რომ გაქვს გადაწყვეტილი;
ბედი ერთია, ცხოვრება – სხვა, სიკვდილიც არის;
როცა მთავრდება პოეზია, დასვი წერტილი,
დახურე შენი ცხოვრების კარი.
უსასრულობა არის გრძნობა ძალიან დიდი,
იგი მოიცავს სიცოცხლეებს, ფერად სიკვდილებს...
შენ შენს ცხოვრებას, ღრუბლის კიბით, თეთრ მთებზე თვლიდი...
მადლობა ყველას, ვინაც შენთვის ჩუმად იტირებს.
თუმცა ცრემლები უკუვაგდოთ, ფიქრი სჯობია,
სჯობდა სიმღერა, გულის გულში გადაწყვეტილი...
ცხოვრება, არაპოეტური, ეს – ჭაობია...
როცა მთავრდება პოეზია, დასვი წერტილი.

## უკვდავება

(ეძღვნება ყველაზე უფრო პოეტურ ქალს,
მეტად პოეტურ სილამაზეს).

შენ არ მოკვდები,
რადგან შენ ხარ ისე ლამაზი,
რომ დაიღუპო,
სილამაზე დაიღუპება.
არ დაბერდები, -
სიყვარული არა ბერდება,
არც კვდება,
ბოლოს იფანტება ცაში
ღრუბლებად.
შენ არ მოკვდები,
მზის სხივები
კვლავ დაგაბრუნებს.
მე შეგეხები ოცნებებით,
სიზმრის თითებით.

დრო მოვა, როცა სიყვარულის
ღმერთად გაკურთხებ,
და თმებს შეგიმკობს
ნისლისფერი მარგალიტები.
შენ რომ არ იყო,
ეს არაფრით არ შეიძლება!..
ულრმეს თვალებში
საუკუნე წამად გაიარს...
მთელი ცხოვრება
იყო მხოლოდ
შენზე ფიქრები,
ყველაზე მეტი, ამ ფიქრთაგან,
ბოლო წამია...
შენ არ მოკვდები!..

## გული ხელებში

მთელს სამყაროში არავინ არ მყავს,
მე ჩემი გული ხელებით დამყავს,
და ვაკვირდები, თუ როგორ ბრწყინავს,
მოწყენილს ვუმზერ, ვუამბობ ამბავს.
მე ვარსკვლავების ვუამბობ ამბებს,
და ისტორიებს ვუთხზავ, რომელთაც
მოსავთ შუქები დილის ცის ნამის,
მცხეთისჯვართა და სვეტიცხოველთა...
მე სამყაროში არავინ არ მყავს,
გულს ვასეირნებ, ვუყვები ამბავს.



**თამარ გავაშელაშვილი**

## არ მიმატოვოთ მტრედებო

სადა ხართ, გელოდებითო,
მიწას დაეშვით მტრედებო,
აღარ იწვიმოთ თვალებზე,
არ იკამკამოთ ცრემლებო.
სატრფოს ძებნაში ვტირივარ,
ნეტავ სად არის აქამდის?
სიკვდილი მაშინ მწყურია,
როცა ფიქრები გადამღლის.
მენატრებითო მტრედებო,
მომასმენინეთ ღუღუნი,
მინდა ახლოში შეიგრძნოთ
ჩემი გულისო გუგუნი.
სადა ხართ, გული გამისკდა,
მიწას დაეშვით მტრედებო,
გზა მაცოდინეთ სატრფოსი,
მითხარით საით ვეძებო.
თუ სადმე წინ შეგეფეთათ,
უთხარით, დადის, გეძებსო,
სიყვარულს ნუ გაიმეტებს,
ცრემლებს ნუ დამაბედებსო.
მოდით ახლოში მტრედებო,
შორიდან რომ გეფერებით,
არ მიმატოვოთ დღეს მარტო,
ხვალ კი მას მოვეფერები,
არ მიმატოვოთ ფიქრებთან
მალე მოფრინდეთ ეგებო,
უთხარით და დაარწმუნეთ
რომ მე ის მიყვარს მტრედებო.
სიყვარული თუ წრფელია
მუდამ თავს გაიმეტებო,
და სატრფოს გამოჩენამდე
არ მიმატოვოთ მტრედებო.

## მანამ ცხოვრება მშვენიერია

თუ სიყვარული წავიდა, გაქრა,
მაშინ სიცოცხლე არ მიწერია,
ახლა ტირილი მომინდა, მაგრამ
თვალზე ცრემლები შემომელია.
როგორ მოვიდე, როცა ვუყურებ
შენი თვალები სხვას მოელიან,
ამ ქვეყანაზე რაც რომ ვარსებობ
შენს მეტი არვინ არ მომრევია.
ეს მონატრება არის ლამაზი
ანგელოზები მანამ ერია.
სანამ არსებობს ეს სიყვარული,
მანამ ცხოვრება მშვენიერია.

## რაც მთავარია, მე ხომ მიყვარხარ

მადლობა უფალს, რომ დამანახა,
სინათლე მომცა ლამაზ ფერების,
ახლა სხვაგვარად ვუმზერ სამყაროს,
სულ სხვა ფერებით მოვეფერები.
სიყვარულია ჩემი მეგზური,
ზამთრის სუსხებსაც ვერ შევედრები,
ამ სიყვარულთან ერთად მამყოფე,
უფალო ჩემო შენ გევედრები...
მე არ მჭირდება ჯადო-თილისმა,
უგულოდ არვის არ ვეფერები,
მეტრო-მოყვარეევ, მოიწით ჩემთან,
მოდით, სუყველას მოგეფერებით,
რა ვქნა თუ სუსტი ნებისყოფა მაქვს
და დიდ ტკივილსაც ველარ ველევი,
გულის კუნჭულში მაინც მიყვარხარ,
ვიცი, ვერასდროს ვერ შეგელევი.
ვერ შეველევი ლამაზ ოცნებას
და ეშმაკებთან ვერ გავერევი,
იცხოვროს ყველამ ვის როგორც უნდა,
მე სხვის საქმეში ვერ ჩავერევი...
მადლობა უფალს სიყვარულისთვის,
მტერო, მოყვარევ, კიდევ ვინცა ხართ,
სულ არ დავეძებ ჩემზე რას ფიქრობთ,
რაც მთავარია, მე ხომ მიყვარხართ.

## ერთია გამოსავალი

როცა ნაძვს სცვივა წიწვები
სულის ტკივილით ვიწვები,
ძალა არა მაქვს, გულით კი
თუნდაც ღრუბლებსაც მივწვდები.
ერთია გამოსავალი,
როცა სამარეს მივწვები.

## მომიშუშდა ნაიარევი

დაბრუნდი, მთვრალი რას დადიხარ
მარტო ქუჩებში,
დაბრუნდი ჩემთან, რას აცეცებ
აქ-იქ თვალებს?
დაბრუნდი ჩემთან, ნუ უყურებ
ნურავის ირგვლივ,
შენ ჩემი ხარ და ნუ იმეტებ
ძვირფასო დარდებს,
დაბრუნდი ჩემთან, გამაგიჟებს
მე სიმარტოვე,
მე ხომ უშენოდ არსებობა
არ შემიძლია,
როცა ვერ გხედავ,
მაინც გხედავ
ჩუმად, მალულად,
მე ხომ უშენოდ უკვე წუთიც
არ შემიძლია,
დაბრუნდი ჩემთან,
არ გაუღო არვის კარები,
მხოლოდ მაგ გულით
რომლითაც რომ დაიარები,
დაბრუნდი ჩემთან, ჩაგიხუტო
კვლავ ძველებურად,
ჩემო სიცოცხლევ, მომიშუშდა
ნაიარევი.

## ვიცი გამჭორავენ

მართლა გავგიჟდები, მართლა ჩაგიხუტებ,
მართლა მეჩვენება ხმები,
სულ არ მენაღვლება, სულ არ მედარდება,
ვიცი გამჭორავენ სხვები.
მე შენს მონატრებას, მე შენს გულისცემას
ფრთხილად ვეფერები, ვყვები,
შენი სიხარულით, შენი სიყვარულით
მუდამ ბედნიერი ვიქნები,
შენით მიხარია ღამე დაღამება,
სიზმრად რომ გიპოვო ვწვები,
შენზე გაგიჟებით, შენზე მონატრებით,
როგორც სანთელივით ვდნები,
ჩემო სიხარულო, ჩემო სიყვარულო,
შენსკენ სულ მქონდეს გზები,
სულ არ მენაღვლება, სულ არ მედარდება
ვიცი გამჭორავენ სხვები.



ზეგული ტყეშელეშავილი

## მცირალი ტირიფი

სილაურას წყალი დის...
დგას ტირიფი წყალის პირს,
დაღვრემილს და საცოდავს
აღარ უხსნის დანა პირს.
ვიცი ცრემლად იღვრები,
დარდი გახრჩობს, ფიქრები,
ცოტაც უნდა გაუძლო...
მერე – ერთად ვიქნებით.
საცოდაო ტირიფო,
მოწყენილო, ტირიხომ?
მჯერა, რომ დავბრუნდებით
მერე... ერთად ვილხინოთ.
შენს ჩეროში ნებივრობს
ალბათ, მტერი, სატანა,
მოთმინება ისწავლე,
მწუხარები სატანა.
გული არ გაიტეხო...
დაგიხრია ტოტები!
თუ სიზმრად ვერ გიხილე
ფიქრით მაინც მოგწვდები!

2009 წელი

## სად ხარ?

ჩემო დარდო და ტკივილო,
ჩემი ოცნების კალთავ:
ეზოვ, ომგადანახადო...
მომნატრებიხარ, სად ხარ?
ვგრძნობშემოდგომა მთავრდება,
თმებში მათოვს და... მათოვს,
რამდენჯერ ფრონეს ჩავუვლი,
იმდენი ცრემლი მახრჩობს.
სული კვლავ შფოთავს, ბობოქრობს,
დღე დღეს მისდევს და მიდის,
სიზმრებში მაინც გიხილო,
ცხადში ფერი გაქვს ბინდის!.

## ცხინვალი მომნატრებია

**ც**ავ და მიწავ დახატულო,
**ხ**ოხბისფერო მინდორ-ველო,
**ი**ებო და ენძელებო –
**ნ**აქებო და ნაქარგებო.
**ვ**არდებო – ცვარნაბკურებო,
**ა**გდით და მერე რასუნი,
**ლ**იახვი მომნატრებია...
**ი**ქ დამრჩა გული და სული,
**მ**ინდა, რომ გულში ჩაგიკრა,
**ო**მმა მომგლიჯა თბილ კალთას,
**მ**ოილტვის გული... თუ შევძლებ
**ნ**ეტავი მალე შენს ნახვას?!
**ა**ხლა ვილვიძებ უშენოდ...
**ტ**ირილით დავალ... აჭრილი,
**რ**ატომ ხდება, რომ სიზმრებში
**ე**რთმანეთს ვეძებთ... დაჭრილი!
**ბ**არემ იცოდე ძვირფასო:
**ი**სევ მიყვარხარ, მინდიხარ,
**ა**მასაც გეტყვი: – სიზმრებში
ჩემგან უბრად ნუ მიდიხარ!

2010 წელი

## ცხინვალის გზაზე

ცხინვალის გზაზე ყაყაჩოები...
სიზმარში, განა ცხადში ვიხილე,
ისე მომინდა ხელით შეხება,
გამოვიღვიძე – ბევრი ვიტირე!
ვნახე: მოსამკელ, მწიფე თავთავებს,
ქარი არხევდა საამოდ, ნელა,
რაც კი არსებობს: გზები, ბილიკი,
სულ შენთან მოდის, ცხინვალო, ყველა!
ოთხი წელია კუპრივით ღამე,
თავს დაგწოლია, ველარა გხედავ,
და რაც ვიხილე, კარგო, სიზმარში
აგვიხდებოდეს, სულ მალე, ნეტავ!

2013 წ.

## ფრონეც მისთვის შევიყვარე

შენთან ყოფნა ისევ მინდა,
შენთვის ბევრი ცრემლი ვღვარე...
ის რიონი რომ მიყვარდა
ფრონეც მისთვის შევიყვარე!

როცა განახავ, გულს გაგიშლი,
ნახვა მინდა შენი, მალე...
ის რიონი რომ მიყვარდა
ფრონეც მისთვის შევიყვარე!

დღე დღეს მისდევს, მაგონდები,
გათენდება „ის დღე" მალე;
ისრიონი რომ მიყვარდა
ფრონეც მისთვის შევიყვარე!

24. 07. 2011

## ზოგჯერ ქარი ვარ...

ზოგჯერ ქარი ვარ, გრიგალი,
ზოგჯერ პეპელა ფარფატა;
ხან ღრუბელივით პირქუში,
ზოგჯერ ქარი რომ გაფანტავს.

ზოგჯერ ვამბობ და... გამომდის,
ზოგჯერ, სხვამ თქვასო და... ვიცდი,
ცოტა გულგრილიც რომ ვიყო –
დაშლით, აბა, ვინ დამიშლის!

რა ვქნა, რომ არ შემიძლია,
თავს არ მოვთხოვო მეტიო;
ხან კმაყოფილი, ხან არა
რასაც მარგუნებს ბედიო!

02. 10. 2011

## მეც ბავშვობიდან მოვდივარ!

ვინ თქვა რიონი არ მიყვარს,
ან კვინი წყალი ანკარა...
იქ გამიფრინდა ბავშვობა,
თითქოს იყო და... აღარა.
სიზმრებში ახლაც ცოცხლობენ,
მათი ახდენა მომინდა...
ხან ფეხშიშველი ღელეში,
ლიფსიტებს ვიჭერ ბოგირთან.

„ხვილიფი", ტბასთან ანცობა,
წისქვილის უკან თამაში...
მზე მწველი, იქვე გარუჯვა,
კიბორჩხალები ლაქაშში.
ბზვანის ჭალები გაშლილი,
მიხმობენ, ჩემთან მოდი, რა!
და, როგორც ყველა მოკვდავი,
მეც ბავშვობიდან მოვდივარ!

2011 წ.

## რას გიშლით

რომ მიკიჟინებ: ვტირიო,
შენს ლექსებს როცა ვკითხულობ,
მე მეცინება? – შენ კიდევ,
ამას რატომ არ კითხულობ!

რომ არ დავწერო, ძნელია;
მტანჯავს, რაღაცა მაწვალებს,
ამოვთქვამ... გული მშვიდდება,
ცოტას შეგმატებთ, განაბევრს!

ვის ემღერება, იმღეროს,
ან ცეკვა-თამაშს ვინ გიშლით,
თუ წერა ასე მამშვიდებს –
მე ჩემთვის ვწერო, რას გიშლით?!

20. 12. 2011 წ.



**უშანგი მოსიაშვილი**

## სიტყვა ნაღდი აღარ ფასობს

რომ ვუყურებ ჩვენს ქვეყანას,
არავისი აღარ მჯერა,
დააკვირდით სათითაოდ
პირველობას ჩემობს ყველა.
სათითაოდ ყველა მართლობს,
დებატებით მნახველთ ათრობს.
ვერ გავიგე, ვინ რასა გვთხოვს,
სიტყვა ნაღდი აღარ ფასობს.
ის სჯობია შეკავშირდნენ,
გაამაგრონ შეკრან ხიდი,
გვერდიდან ჩამოიცილონ
ორგული და კაცი ფლიდი.
ის სჯობია რომ გაიგონ,
ხალხი ითხოვს სწრაფად შველას,
მოგიწოდებთ, ერთად დავდგეთ,
მამულის გადასარჩენად!

1993. წ.

## არ ვიცი, როგორ მოვიქცე

არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
როგორ ვემთხვიო იასა,
როდის ვიხილავ მშვიდ დღესა,
გაკაშკაშებულს, მზიანსა?
სულ მუდამ საფიქრალი მაქვს,
გზას როდის გავლევ ტიალსა,
როდის ვიხილავ სამშობლოს,
გამარჯვებულს და მთლიანსა.
მივყვები წუთისოფელსა
და გზას ვიკვალავ კლდიანსა,
იშვიათად თუ შევხვდები,
კაცს ერთგულს, ნამუსიანსა.
თან ვფიქრობ, როგორ სჭირდება
ჩვენს მამულს კარგი შვილები,
ღმერთს შევთხოვ, კვლავაც გვიმრავლოს
თავდადებული გმირები.

1995. წ.

## დამილოცეთ საქართველო

„დამილოცეთ საქართველო,
თავის მთებით, ველებით“
კვლავ დავხატოთ ეს ქვეყანა
ფიროსმანის ფერებით.
დამილოცეთ, კიდევ გაჩნდეს,
გორგასალის მაგვარი,
რომ ერთურთს არ ღალატობდეს
აქ ნაშობი ამქარი.
დამილოცეთ, კიდევ გაჩნდეს-
დავითი და თამარი
რომ ქართული მიწა იყოს
მტრისთვის შავი სამარა.
დამილოცეთ ჩემი მიწა,
რომ ვერავინ შელახოს,
მის ქვეყანა დაფერფლილი
ნაცარტუტად მენახოს.
დაიხსომეთ, ღმერთი გვფარავს,
ჩვენ არასდროს გავწყდებით,
წინაპართა ნაშენ კედლებს
თქვენ ტყუილად აწყდებით.

## რად შემიყვარე

ნეტავ, ვიცოდე რად შემიყვარე,
რატომ გაუბი ჩემს ჩანგს სიმები.
მინდა, მჯეროდეს და მეც ვირწმუნო
და მუდამ მქონდეს შენი იმედი.
ასე ძალიან თუკი გიყვარდი,
მუდამ გესმოდეს ჩემი გულისთქმა,
რატომ იყავი შენ მუდამ ჩუმად,
ადრე რატომ არ ამოიღე ხმა.
ალბათ, არც ახლა არის გვიანი,
რომ შენთვის გავხდე გამგებიანი,
სიყვარულს ჰქონდეს გზა სულ მზიანი
და მუდამ ვიყოთ სულ მადლიანი.
ღმერთის შეწევნაც მოგვმატებს ძალას,
ვემსახურებით ოჯახს და ქალაქს.
ასეთ შრომისთვის დაგვაფასებენ,
ცუდს არ გვეტყვიან არას.

## უკუღმართია საწუთრო

მითხარით, ხალხო, რა ხდება?
ბევრი სიზმარი ახდება,
ბევრი გამხდარი სუქდება,
ბევრი მსუქანი გახდება.
ზოგის სიზმარი უკუღმა
ზოგის წაღმა რომ ხდება.
ვინც არ გასულა სახლიდან,
ბევრის მნახველი ვერც ხდება.
მილიონების პატრონი
ულუკმაპურო რომ რჩება
და ლუკმა პურის მძებნელი,
მილიონერი რომ ხდება.
უკუღმართია საწუთრო
და ბევრიც ცუდი სჩვევია,
კარგ კაცს ვუმადლოთ სიკეთე,
ბოროტი ავის მქნელია.
მითხარით, ხალხო, რა ხდება?
როგორ, იშოვეთ ფულები?
თქვენ ის გერჩივნათ კაცობით,
რომ ჩაგეწერათ ქულები.

დავბერდი და ველარ მივდევ,
არც მიცდის ჟამთა რბოლაო.
სიყვარულს ვერავინ მიგებს
და აღარც ძალმიძს ბრძოლაო.
ქვეყნად დაჩლუნგდა ყოველი,
აწ სიკეთეს არ მოველი.
პირიქით ვიცი იმ ქვეყნად,
ჩვენს მისვლას ბევრი მოელის.
ალბათ, ამ ლამაზ ქვეყანას,
ყველა დავტოვებთ რიგითა,
თუკი რამ ვარგეთ ქვეყანას
დაგვრჩება კიდით კიდითა.
გაიხსენებენ, ჩვენ სულებს,
თუ რამ გვიქმნია ქველობა.
არ დაივიწყებს არავინ,
ვისაც სჩვეოდა გველობა.
არ დააყოვნებს შედეგი,
შედეგი დიდზე, დიდია.
ასეთ წინაპრის ხსენება,
ყველას ფეხებზე ჰკიდია.

2003. წ.

## მოგონება

ძილი მიფრთხება,
მელანდება ლეონიძის
ქართლის ბაღები,
ასე ბორგვაში მახსენდება
გრიშაშვილის ყალამქარები.
ურმით მიმავალ მიკიტანის
ზორბა ხარები
და სასეირნოდ გამოსული
ტურფა ქალები.
გარეთ გავდივარ,
ავყე ფიქრებს ამ სიძველისა,
გარეთ ჟინჟლავს და
არ მეშინია მე სისველისა.
ყოველმა ამან დაამჩნია
ჩემ სულზე კვალი
და ვგრძნობ, რომ ღმერთის
მაქვს დიდი ვალი.

2011. წ.



თამაზ ცაბუტაშვილი

## მხოლოდ რჩეულებს

*გლდანის ^№8 დაწესებულების დირექტორს*
*ბატონ ნოდარ (ბაჩო) ქინქლძეს*
*ღრმა მოწიწებით და მადლობით!!!*

მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ იტვირთონ დარდი
ერთის კი არა, ათასის და ასჯერ ასების
არავინ უწყის, ვის შეხვდება „მაღალი კარტი“
რარიგ მძიმეა, რომ იტვირთო სევდა მასების.
მტაცებლისთვისაც სასჯელია ალბათ გალია,
საპყრობილეს ხომ კაცთა მოდგმა თავად აშენებს
გარეთ-ტუსაღთა მოსაკითხად ძნელად სცალიათ
თქვენ კი ღამეებს პატიმრების გვერდით ათენებთ!
აქ ოცნებები, ფიფქებივით უმალ დნებიან,
აქ ხომ გულები გამოუთქმელ ბოღმით ივსება,
აქ ხომ თქვენს გამო პატივით და თბილად გვხვდებიან
და არ ლახავენ პატიმართა პირად ღირსებას.
პატიმრის სული, ფაქიზდება ჩვილი ბავშვივით,
რადგან ოდესღაც ეშმაკებმა ცოდვით აბურდეს,
თქვენი სიკეთე თან გაგვყვება მუდმივ საშვივით
რომ ამ კედლებში აღარასდროს აღარ დავბრუნდეთ.
დიახ რჩეულებს შეუძლიათ დარდის ატანა
საპყრობილეს ხომ კაცთა მოდგმა თავად აშენებს,
თქვენ ჯოჯოხეთში დაამარცხეთ თავად სატანა
და ვით მფარველი, პატიმრებთან ღამ-ათენებთ.

14 აპრილი 2016 წელი
II კორპუსი-5-73

## დაბრუნება

მე შენი სისხლის წვეთი ვარ მცირე
ჭიუხებიდან ნათალი კლდისა,
მთელი არსება შენს ტაძარს ვწირე,
მხმობელმა ღვთისა და ღვთისმშობლის მზისა
მე მოვინელე შენი ხონთქრი,
შენ ჭრილობათა ყველა კორძი ვარ
და „აღდგომის“ წინ -„ნაგოლგოთარი“
„იესოს კვართით“ მცხეთას მოვდივარ.
მტერთა სიკვდილის, ვიყავ მე მეკვლე
ხვედრიც ვიტვირთე „სულხან-საბასი“
„ცოტნეც“ ვიყავ და ვიყავ „ერეკლეც, “
„არაგველებიც“ ვიყავ სამასი
ვიყავ ეგვიპტეს, –მეპყრა „ნილოსი“
ძარღვში ბორგავდა სისხლი, „კახური“
მე, დამკარგველი „საინგილოსი“
უცხო ქვეყნის და რჯულის მსახური,
და სააკაძეც, ქვეყნის მოკეთე,
მამელუქადაც ბევრჯერ გამყიდეს
პაატაც, როცა თავი მომკვეთეს
და შაჰ-აბასის თვალწინ დამკიდეს
ანაკუწებდნენ როცა ქეთევანს,
გულ-მკლავ მერჩოდა როგორც ალუდას
და მთელ სამყაროს, ვერ დაუტევა,
ის დარდი, შველა რომ არ მძალუძდა
ვიწრიტებოდი სისხლად შენსავით,
ყაყაჩოებად კრწანისს ვყვაოდი
როგორც ხერთვისი, ვიდექ კლდესავით
და საუკუნეთ სვლას მივბღაოდი
მაინც ვერ მჯაბნის დღემდე ხონთქარი
სატანის ძლით არა ვძრწუნდები
და აღდგომის წინ, „ნაგოლგოთარი“
ხელში, მაცხოვრის კვართით ვბრუნდები.

26. აპრილი. 2016. წელი.

თინათინ ხაბურზანია



## ერთგული ხმალი

მე რა ქართველი ან რა დედა ვიქნები მაშინ,
დიდი სიმართლე თუ ცრემლით და ტკივილით არ ვთქვი
რომ გვეცნო სიბრძნე სააკაძის ერთგული ხმალის,
აღარ კმაროდა მოკვეთილი პაატას თავი?

ბრძოლების მეფე, ხარის ქედით, ლომური ძალით,
მგრგვინავი ხმისგან ქედს იდრეკდნენ კლდენი და მთანი.
საგზალი ომში მისთვის იყო შიშველი ხმალი
და სამშობლოსთვის მოუღლული გული და მკლავი.

დრო ვერ იტევდა წლებს ბრძოლების ქარცეცხლით ჩავლილს,
მტერს უბნელებდა ნათელს დღისა უკუნი ღამით.
ვაგლახ! რომ შურით ბევრ მოყვარეს დაუდგა თვალი
და ისმენდა მის ნასახლარზე ტურების ღნავილს.

ბევრი ველარ ჭვრეტს სიბრძნეს დღესაც იმ დიდი აზრის,
რად მიაშურა გმირმა მტრების ურდოებს მაშინ.
გამარჯვებული მტერთან მისი ვარსკვლავი ას გზის
თუ რად ქრებოდა ქართველებთან ბრძოლაში მაინც.

ან სადაური სად იბრძოდა, რატომ და ვისთვის?
დაატარებდა ყველგან მკერდით ქართვლის მთა-ველებს.
ვინ დაუფასა?" ვინ შეიგნო? ოცნება მისი,
ისტორიის ფეხით ხმალი მისი რად გათელეს.

ვინ იყო? გმირი თუ ორგული თავის ქვეყნის,
ეს კითხვა მრავალთ უკან დროში გადაახედებს.
დრო-მოქანდაკე მოურავის გმირ სახეს შექმნის,
ახალ ბრძოლებში, ლეგენდებში კვლავ გაახელებს.

და ჩვენც ვიაროთ კვალდაკვალ ამ გამარჯვებების,
გზას გვინათებდეს ელვარება მისი ხმალისა.
ვაშენოთ სააკაძის ოცნებით ნაფერები,
საქართველო მთლიანი, ულამაზეს ხვალისა.

მაგრამ რა დედა, რა ქართველი ვიქნები ქალი,
მწარე სიმართლე თუ ერთხელაც ტკივილით არ ვთქვი.
აქ, მამულებზე, რომ ჰქონდათ მავანთ ტრიალი დაშნის,
იქ, ურდოში გმირულად კვდებოდა პაატა მაშინ.



ჟუჟუნა ცენგინაშვილი

❖ მე არც ანა ვარ, არც მარიჯანი, არც სხვა რომელიმე პოეტი ქალი. მე ვარ ის, ვინც ვარ, ჟუჟუნა ცენგირაშვილი. ამბიცია და პრეტენზია პოეტობისა არასდროს მქონია. ჩემი ტკივილიანი ცხოვრებიდან გამომდინარე მოზღვავებულ დარდს, ფიქრს, ტკივილს ფურცელზე ვაფენ, თუ რითმად მოდის ეს ჩემი ბრალი არ არის. უზომოდ მიყვარს სამშობლო და ჩემი ხალხი. მტრის და მოყვრის სიყვარული გულში ერთნაირად მიზის, რადგან სიძულვილი არ შემიძლია. ჩემს ერთ-ერთ ლექსში მიწერია „გული ისეთი დიდი მაქვს, სოფელს ეყოფა შარადა„, ან კიდევ „სიყვარულისა ბევრი რამ ვიცი, სიძულვილისა სულ არაფერი„.

გულს ნურვინ მატკენს ტალახის სროლით, რადგან თვითონ მეტად დაისვრება, ისე ხომ ვერ ისვრის ხელში რომ არ აიღოს. შური, ბოღმა, მტრობა ის სენია, რომელიც მის მფლობელს უჭამს გულს.

სიკეთე ყველაზე დიდი განძი არის, ღმერთმა ყველას მიჰმადლოს!

## ჟღალი მიმინო

შემოვიარე ზღვა და ხმელეთი,
ფეხით გავთელე უსაზღვრო ველი,
ამდევნებია, ვით წლების ქურდი,
ჟღალი მიმინო – დრო ულმობელი ...
დანანაობენ დროის ნაპირზე
ფიქრები, – ჩემი თეთრი გედები.
თუ ჩემეულად არ მიცხოვრია,
ხელაწეული, ბედო, გნებდები!
ამდევნებია ჟღალი მიმინო -
ჩემი დროის და წლების მდევარი!

## მტკივა

ისევ მტკივა
ჩემი ძველი იარა,
ქარი გარეთ მღერის
უცხო არიას,
მივსდევ დროის
ოღრო – ჩოღრო ბილიკებს,
ხან ავდრობს და
ხანაც, კიდევ დარია.
ვერას ვშველი
მიყუჩებულ იარებს,
სიხარული,
კვლავაც საძებარია.

## დამიტოვეთ

დამიტოვეთ, სიყვარული დამიტოვეთ,
ხრიოკები ამიყვავეთ სამოთხედ,
ნანატრი და ნაოცნები ამისრულეთ
ჩემი ერი ქალ – ვაჟებით ხარობდეს.
ფრთებს ნუ შემკრით,
საფრენი ცა დამიტოვეთ,
დამიტოვეთ, სიყვარული დამიტოვეთ,
რომ არ ვიყო, ცრემლით თვალ დანამული.
აშენებულ ციხე-კოშკებს ნუ ჩამომიქცევთ,
საკეთები ისედაც მაქვს რამდენი,
ღმერთო, – ჩემი საქართველო დამილოცე,
მიძლიერე, სალოცავი ხატები.

* * *

ღმერთმა ნუ ქნას,
რომ ქართველში
მოკვდეს სული ქართული,
დავივიწყოთ ჩვენი ენა
დიდებული წარსული.
ღმერთმა ნუ ქნას დავიწყება
დავითის და თამარის,
ნგრევა ზარზმის, ნიკორწმინდის,
კვლავ მყარი გვწადს ტაძარი ...
აღმასვლა და აღმაფრენა
დაგვიმკვიდრე გამჩენო,
დაჩოქილი საქართველო
არასოდეს მაჩვენო!



კლარა გელაშვილი

## ჩემი იები...

მე გუშინ იებს დავეძებდი
ლიხის აღმართზე...
ჭიამაიამ ამისრულა გულის წადილი
და მაპოვნინა!...
დავკრიფე ნაზად და ვუძღვენი
არც ქმარს, არც დედას,
ფრთხილად შევაღე სახლის კარები
და შემოვავლე აკვანზე ეკას, –
ჩემი იები, ჩემი განძი–ყმაწვილქალობა...

## უყვარს....

უყვარს, მთელი გულით უყვარს,
სისხლი უფერადებს ძარღვებს,
ალბათ სწორედ მათზე უთქვამთ –
გრძნობით ასულანო ცამდე...
უყვარს სახის ყველა ნაკვთი,
მოსწონს ღიმილი და კდემა,
უყვარს, გააჩნია რაც კი,
მისი მონატრებით კვდება!
დაეკონება და კოცნის
თითებს, დანდობით რომ დაჭრა,
მოდის, სიყვარული მოდის,
როგორც მშფოთვარე ზღვის ტალღა!...
თავზე დაგემხობა ზეცა,
მათ რომ შეუშალო ხელი...
ერთად ორი გული ფეთქავს
და მთელი სამყარო მღერის!

## ხანთელი

სკას გავეყარე, ახლა ვარ ხვითო,
მოვპარე სითბო ფუტკარს ფრთებიდან;
ცეცხლში დავიწვი, ვიცვალე სახე,
რომ დავდგომოდი უფალს შეგირდად...
ღარიბი მქმნის და ღარიბი მყიდის,
მრცხვენია, გამვლელს ხვეწნით სდევს, როცა,
გახსოვდეთ, ჩემს ალს უფალთან მიაქვს, –
თქვენი უტყვი და გულწრფელი ლოცვა!
ციხის კედელზე, ტაძრად თუ ნიშში
უსიტყვოდ ვეკვრი მთრთოლვარე თითებს,
განსაცდელშიკ კი დიდია მადლი, –
ხშირად აქედან შემოდის სიბრძნე...
ბოლო ბაქანზე ჩამოვა ყველა,
აქ იწირება სულის ზედაშე...
რა უნდა იყოს იმაზე წმინდა, –
ჩოქვად რომ ვდგავართ ხატთან, მე და შენ!...

## იცის...

წლები ისე შეელია ქვიშხეთს, –
არ მგონია დამარწმუნოს ვინმემ,
რომ არსებობს ჩემთვის კიდევ სხვა გზა,
სული უკეთ დაივანებს, სადაც!
ხან ცაცხვების შებერება მზაფრავს,
ხან სამი ქვის დაგორების შიში,
მწუხრში ვისმენ შაშვის ავად ჭახჭახს,
გუბე მზარავს სუმბათოვთა სისხლის!
მთაწმინდამდე როგორ ვზიდავ ცოდვებს?! –
აქ შევატოვ ყიფიანთა საყდარს,
მერე სუფრას ცაცხვის ჩრდილში გავშლი, –
აფხიზლებენ ჩაძინებულ მაყალს!...
ხან „ბულბულას ციხე“ ისვრის მზერას,
სადაც ძვლები ამყარებენ კედლებს,
„ფერიცვალა“-ს დავემხობი ლოცვად...
„შოლა-შოლა“ დავუყვები, მერე!...
ხან„ნახვეტარს“ გადავზომავ თვალით,
თუმც არ მესმის ჭახა-ჭუხი ხმალთა,
ტაშისკრიდან აწყვეტილი თერხვი
სილას მაწნის და ვხვდები, რომ აქ ვარ,
სადაც ჩემთა წინაპართა ძვლებმა
მომიხმეს და დამამკვიდრეს ლოცვით,
თუმცა დღესაც გვემით ნაგებ საყდარს
მუხლმოყრილი გარს ვუვლი და ვკოცნი!...
წლები ისე შეელია ქვიშხეთს, –
ტკივილიც კი სიხარულად ვიძმე!
გემო ველარ გავუსინჯე სხვა წყალს
და ქვიშხეთმა უკეთ იცის, რაც მწამს!



ნუგზარ ხუციშვილი

„რა განსაცდელმაც გადაგვიარა,
რაც დავინახე თვალით აღვწერე,
როცა უფალმა არ მიმატოვა,
მისი წყალობით, ხელით დავწერე.“

ქ. თბილისი, 2015 წელი

ილუსტრაციები შეასრულა მხატვარ-დიზაინერმა: ***ლალი ხუციშვილმა***

## 9 აპრილი, ცხრა წლის გოგონა

დედას მოსტაცეს ცხრა წლის გოგონა,
იქ ბევრნი იყვნენ, მე არ მეგონა,
გვერდით ვიდექი გაოგნებული,
ველარ ვფიქრობდი, ან რა მელონა.

მიშველე დედა! ეძახდა შვილი,
ხოლო, მისი ხმა არვის ესმოდა,
მე დავედევნე, მოვსტაცე გოგო,
მათი ქმედება, არც მე მესმოდა.

მე მას ვუთხარი, გაიქეცითქო,
თან დავანახე მტირალი ქალი,
ცხრა წლის არისო, მოსთქვამდა იგი,
ეს რა ვიხილე, დამიდგა თვალი.

მე კი გაქცევა ვინლა მაცალა,
ორმოცი ტყვია თავს დამაცალა,
ცხრაჯერ დამარტყეს ზურგში ნიჩაბი,
ველარ ავწიე ზემოთ ნიკაპი.

გონს რომ მოვედი, ძირს ვიწექ,
არ მეცნობოდა ადგილი,
ზემოთ ველარა ვდგებოდი,
ზურგში ვიყავი დაჭრილი.

თავისუფლების მოსურნე ხალხი,
ჩუმად, ჩემთან ჩერდებოდა,
ყველა, უფალს ახსენებდა,
ცხრა აპრილი თენდებოდა. ც

ქ. თბილისი 1989 წელი 9. 04..



## 9 აპრილი

ყველა თავისას ტიროდა,
წუთებს მისდევდა წამები,
სიონში გადავასვენეთ,
გზაზე დაყრილი გვამები.

მთელი ღამე არ გვეძინა,
ვერ მოვხუჭეთ თვალი,
ერთი მამაკაცი იყო,
უფრო ბევრი, ქალი.

განსაცდელი მოდიოდა,
მოჰქონდა აურ-ზაური,
აქეთ, სროლის ხმა ისმოდა,
იქით, ტანკების ხმაური.

მშვიდობიანად გამოთქვა, ერმა,
თავისუფლების სურვილი,
არ აპატიეს, იქვე მოუკლეს,
წმინდა სიცოცხლის, წყურვილი.

ცხრა აპრილის დილა იყო,
ქუჩას მტვერი ასდიოდა,
საქართველოს შუა გულში,
სიცოცხლის მზე ჩადიოდა.

ღმერთო სული გაუნათლე,
საქართველოს შვილებს,
ბევრი გვარი შეემატა,
სხვა, დაღუპილ გმირებს.

ქ. თბილისი 1989 წელი 9. 04.





## ომი სამაჩაბლოში

ყველას ერთად გაგვიკვირდა,
გამოცხადდა განგაში,
ბევრი სისხლი დაიღვარა,
ცხინვალსა და ჯავაში.
ბევრი კაცი დაიღუპა,
ბევრიც მანდილოსანი,
იქ, ისეთი რამ ხდებოდა,
ენით, ვერ აღწერს მგოსანი.
იქ, დაჭრილმა ჯარისკაცმა,
ბაგეათა დალია,
სანგარში ველარ შეასწრო,
გზაში სული დალია.
არც ქართველებს და არც ოსებს,
არ უნდოდათ ომი,
სეირობას უყურებდა,
რუსი, განზე მდგომი.

1991 წლის 14.01 ცხინვალი.





**მზიური აფციაური**

***

ჩემს უაღრესად საყვარელ ადამიანს
გულნაზ ხარაიშვილს მზიური აფციაურისაგან.

მე გულწრფელად გიმზერ როგორც
ქართველ დედას,
ქართველურად შემკულ მანდილს გამოგიწვდი,
შენთვის დაღი თუმც დაუსვამს
გულის სევდას,
შენს ნათელ შუბლს არ ღალატობ,
ბევრს ხელს უწვდი.
კაეშანი არ სცილდება სახეს ნათელს,
გული მწარედ ინისლება შვილის ნატვრით,
იცი, როცა დარდს მიანდობ ანთილ სანთელს,
არ არსებობს მუდმივობა ჯვარზე გაკვრით.
ათასწლეულთ რამდენი რამ ადევთ ვალად...
თუნდ ქართველი ვაჟკაცების სისხლი თბილი,
„ქართლის დედა, “ ცხრა ვაჟკაცის
რომ დგას ბადლად,
მტერ-მოყვარის გამკითხავი არის ტკბილი.
მისი ხმალი ალესილი მახვილია,
შვილებისთვის მომხვდურ მტერთა ასალაგმად,
ღვინის თასი სამშობლოსთვის დაილია,
ვაჟკაცების გულისთქმათა დასარაზმად.
შენც ასევე „ქართლის დედას“ მომაგონებ,
იწვი ისე, რომ არავის უმხელ დარდებს,
წაქცეულ შვილთ ლოცვას სულში ჩააკონებ,
თან ჩასძახი: გულის სევდა რატომ მარგეთ.
შენ დედა ხარ და ქალური კლდემა გმოსავს,
უპირველესს ვერ ელევი – ეს შვილია,
გწამს მოვა დრო, და სიცოცხლე გეტყვის მლოცავს;
– შენი შვილი დიდ სამყაროს ნაწილია.
სასოებით განაზარდი გიმზერს ნათლით,
უჩინარი სიმი ერთურთს უხმოდ გიხმობთ,
დედის სითბოს შენი სული აწვდის სათლით,
და მის ღიმილს საპასუხოდ აქეთ ითხოვს.
გწამს სიცოცხლე შენი ცრემლით არ ნელდება,
სიჯიუტე ამ ცხოვრების მერმისია,
დედამიწა მარტო ამ მზით არ ცხელდება,
მომავალი – ცის და მიწის სერვისია.

2016.წ. 8. 05.

***

მ-ე მიმაჩნია ვიყო მართალი, სული არ სწეწდეს სხეულს,
ზ-ეგარდის წმინდა გიორგი, გთხოვ, დამეხმარო ეულს,
ი-ს მივიჩნიო მე სალოცავად, ვის სდის დღე და ღამ ცრემლი,
უ-იმედობა მე არ მჭირდება, მაღალი ღმერთი მშველის,
რ-იტორიკაში ყველგან წერია: „არგე და მერე ირგე!“
ი-მედს რომ მაძლევს ღმერთი მაღალი, დასძენს: თან დაარიგე!
ს-იმბოლოდ რჩება სიკეთის თესვა, და არც მე ვიტყვი უარს.
ა-რც რომ გამაჩნდეს, მაინც ვიპოვნი პურისთვის მე საფუარს,
გ-არდასულ ჟამთა დარდებს დავწურავ, მოგიხმობ სულო მშვიდო,
ა-ისით გნახავ ოქროცურვილო, ჩემო იესო დიდო,
ნ-ატვრა ცხოვრების ამიხდება და მზად ვარ ლოცვით გადიდო!

***

*გელა სხირტლაძეს!*
*(გულნაზის შვილს)*

ჩემთვის უცნობი ხარ, მაგრამ იმ ტკივილმა,
დედის „ლექსის ძეგლი“-თ, რომ ამოვიკითხე,
და შენი საფლავის მიწის იმ ყივილმა,
შემძრა ერთბაშად და ასე ვიკითხე:
ნეტავი რა მოხდა, უცბად რატომ წახდა,
იცნებებით ლალი ავად როგორ გახდა,
სიმწრით გათანგული დედამისს თუ ახლდა,
ვაი, ყველას შვილო, თავს ეს რა გადაგხდა?
ყმაწვილკაცობიდან კაცობაში შეხვედ,
და სიცოცხლე შენი ზეცად ვარსკვლავთ ჭვრეტდა,
ორმოცი წლის კაცი უნათებდი შემხვედრთ,
შენი სიკეთე კი ია-ვარდებს სთესდა.
გული ჩამწყდა ძლიერ, (დედა როგორ იტანს)
ამდენ გაავდრებას, ყოველდღიურ ლიტანს,
ვერ აშორებს მზერას შვილის ლამაზ დიდ ტანს,
ცისფერ თვალებს, ქოჩორს, და სანუკვარ „წმინდანს.“
იმედს, მხოლოდ უფლის ნება აძლევს მონას,
შენ სიკეთემ ალბათ, ბედს მიანდო ქონა,
სასწორი სიკეთის შრომამ გადაწონა,
ვერას აკლებს ღვთის მადლს დიდ გრიგალთა ფრთონა.
უპირველეს, დედის, შენ შვილი ხარ მხოლოდ,
ღიმილგაბადრული, არა ცივი ლოლო,
შენ სიცოცხლეს აღარ, არ ექნება ბოლო,
თანამედროვეთა საოცნებო ტოლო!

## გელას!

გ-ლოცავს სამყარო სიკეთის მთოველს,
ე-ლტვის ეგ სული სიცოცხლეს ცხოველს,
ლ-ელოს უმზადებ შენს მოდგმას-მსთოველს,
ა-ზრი განაგებს შენგან დამტოველს,
ს-იზმრად ენახე საყვარელ მშობელს.

23. 05. 2016. წ.

***

გულნაზ ხარაიშვილის ფიქრები
პატივისცემით-მზიური

გ-ული გტკივა, შვილის სახე, ხატი ფიცის,
უ-რომლისოდ შენს სიცოცხლეს არ აქვს ფასი,
ლ-ილისფერი ღრუბლებივით ტანჯვით იწვის,
ნ-ატვრის ცრემლებს დაულბია ხმელი ხავსი.
ა-იაზმა ემბაზში მყოფს მირონს აცხებს,
ზ-ენა არსი არ დაუშვებს არც ერთ მარცხებს,
ი-ადონი დაჰღუღუნებს ტკბილ-ტკბილ ცაცხვებს,
ნუ, ნუ სტირი, ნურც სხეული გიცახცახებს.

ხ-ორციელი სულის ნათელს როგორ წაშლის?-
ა-რ ეგების შენი შვილი იქ ფრთას გაშლის.

რ-აოდენი მძიმე ჯვარიც თუნდა იყოს,
ა-რწივივით ინავარდებს და დარდს წაშლის.
ი-მედს მუდამ შეეგებე გულგახსნილი,
შ-ენს გულისთქმას მიენდე და დაელოდე,
ვ-ით ამაყი ამორძალი მკერდათლილი,
ი-სრის ტყორცნით ვარსკვლავცვენას გაერიდე.
ლ-ამაზ სხეულს შენს შვილისას მაშინ ნახავ,
ი-ესო რომ პირს ჩამოხსნის გრძნეულ რიდეს,
ს-აეჭვოა? –არა, თვითონ გვაძლევს იმედს,
ფ-იალა, რაც ხელთ გიპყრიათ, ასვით წილმდენს
ი-ესო ხსნის სიტყვას უძლვნის გვერდით სისხლმდენს,
ქ-არტიაა მისი თქმული, –მადლად იდენს!
რ-აოდენი სიმძიმილიც უნდა გქონდეთ,
ე-ამბორეთ, შვილის სახეს ეამბორეთ,
ბ-იჭს ღიმილი უნათებს გზას ცისკრისაკენ,
ი-ქმიელტვის ყველას გული ღვთის მიზნისკენ!
პ-ირისახე უმზერს უცხო პირველ რიგში
ა-რ ცდუნდება, რომ კითხულობს პასუხს მასში
ტ-ორეადორს გასვრილი აქვს ტანი სისხლში,
ი-ბეჭდება ყოველი თქმა მისხლის-მისხლში.
ვ-ართ, თუ არ ვართ, აზრი ბადებს ჭეშმარიტ გზას,
ი-ცნობ, გიცნობს, მაინც აბნევ გზაზე მის ბზას,
ს-ულიერი გოდებაა: ვერ პოულობ როცა მის ბზარს,
ც-რუ მიაგნებს გზა აბნეულს, რას არ იზამს.
ე-ამბორე გულის სიყრმეს ეამბორე,
მ-იითვალე მისგან სულის ნეტარება,
ი-ლოცე და მოახვიე ნამად გორებს,
თ-ავთუხა მზე ამ ქვეყანას ენატრება.

მ-ე სიყვარულს მიმოვაპნევ ირგვლივ ყველას,
ზ-არს ჩამოჰკრავს დილის საარს ცისკრის ჭვრეტა,
ი-მდენ სურვილს შეგისრულებს ნათლის ხილვა,
უ-რომლისოდ ვერ დედდება შენი დვრიტა.
რ-უ რაკრაკებს: წმინდა წყალი ჯერ მის მიმტანს,
ი-ტყვი სათქმელს? – პირველ რიგში რუ აიტანს.
(რ-ომაელი რაინდთაგან ფრთხილად იყავ,
ი-ლოცე და გაგვახარე წმინდა სიტყვავ).

***

II ვარიანტი

გ-რძელდება ცხოვრება დიდი,
უ-ზადო სიცოცხლე მშვიდი, ..
ლ-ამაზი ცხოვრებით ზრდიდი,
ნ-იამორს კლდეებში წვრთნიდი,
ა-რჩევს კლდეთა ჩუქურთმად ქმნიდი,
ზ-არს ცისკრის, მშვიდობად თვლიდი,
ი-ხილე ნათელი დიდი.
ხ-არ სათნო სიკეთის გიდი,
ა-სული ქართული რიდის,
რ-ჩეული აზრებით წმიდით,
ა-შენე მშვიდობის ხიდი,
ი-რაო, საყვარელ წიდვის,
შ-ენეულ შრომის განრიგით,
ვ-ირტუოზ ნიჭთა ტარიგით,
ი-ტვირთე შენი სული დიდი.
ლ-ირა ხარ მუზათა სხმულის,
ს-ონეტი სული ჯვარცმული!



**მანანა ზაზიკაშვილი**

## ალთა ბალთა

მოვლენ და გაგიტაცებენ,
ვერ ასწრებ თვალის მოკვრასა,
შენზე ფიქრი ან გადამრევს,
ან ნაადრევად მომკლავსა.
ხან ალთას დაგატარებენ,
ხან ჯიპით ბალთას დაქროლავ,
ნერვები ლამის დამაწყდეს,
სულ დაგავიწყდი, აქ რომ ვარ.

თავზე საყრელი საქმე გაქვს,
ფული?! არა გაქვს გროშია,
ხან მარნეულში ჯახირობ,
ხან გაიელვებ გორშია.
გულის გულში ბევრს უზიხარ,
სულ გადარიე რამდენი,
ჩემთვის კი, მართლა გამხდარხარ,
მგონი, ზღვა, ცრემლის დამდენი.

22. 04. 2016 წელი

## ხალხი ვართ ფოლადისაო

სისხლით ნაპოხი მიწა გვაქვს,
ზეცა გვაქვს როგორც თილისმა,
რამდენ ქარტეხილს გაუძლო
ჩვენმა ჭაღარა თბილისმა.
დღეს მტკვარი გაავებული
მოდის იგლეჯავს აპეურს,
მოდის თან ლოცავს გზადაგზა
კერიას მამაპაპეულს.
იგონებს ცოტნე დადიანს,
ლაშას, ერეკლეს, პაატას,
იცის ამაყი ქართველი
მტერს არსად არას გაატანს.

ისევ ამშვენებს ველმინდვრებს
რუსთაველური ვეფხვები,
ზაალს ურჩობა შევუნდეთ,
დღეს პაპის სურათს ვემთხვევი.
ისევ დარია მზიანი,
მზე ამოყვება ალიონს,
დავლოცოთ ადამიანი,
მზის სადღეგრძელოც დავლიოთ.
ისევ ანათე მთაჭალა,
მზეო, უხსოვარ ხნისაო,
მტერმა გვმუსრა და ვერ მოგვსპო,
ხალხი ვართ ფოლადისაო.

## ლევილის სასაფლაოზე

ლევილის სასაფლაოზე
ფერფლად ქცეულო მოგვარე,
საქართველოდან მოვედი,
თეთრი ბატკანიც მოგგვარე.
ჩემი სისხლი და ხორცი ხარ,
სხვის კარზე ღამენატეხი,
სხვის სასმელ-საჭმელს გერჩია
შინ ცივი მჭადის ნატეხი.
შინაურების დანახვა
გულს გიხარებდა მუდამა,
სამშობლო რომ გაგახსენა
ფრანგის ნასროლმა გუნდამა.
სამშობლოს ზეცას ნატრობდი
ნატრობდი ფშავის სანახებს,
სამარხი მიწაც არ გერგო,
მიწა თვალითარ განახეს.
ფერფლად გაქციეს, მამულში
წვიმის წვეთებად ბრუნდები,
ყოფნა-არყოფნის საკითხებს
მთელ საუკუნეს ვუნდები

## მტკვარო

შენი გულის ფეთქვას ვსინჯავ,
არტერიულ მაღალ წნევას,
შენზე ფიქრი არ მასვენებს
და საწოლშიც შიშით ვწევარ.
როდემდე გსურს გააგრძელო
ქუხილი და რია-რია,
როგორ დასძარ რკინის ხიდი,
ან ასე რამ გადაგრია?!
მოდიხარ და მოგლეჯ ხეებს,
ვერ გაკავებს ჯებირები,
ტალღას ტალღებს მოახეთქებ,
თითქოს რიონს ეჯიბრები.
აწყური სულ დამინგრიე,
მერე ყვიბისს წაწვდი კინჩხში,
რიონმა თუ გაგიწვია
შე ბებერო, ახლა კრივში.
ჩემი თავი? შემოგევლოს,
ნუ დამინგრევ ამერ-იმერს,
ისეც ცეცხლი მეკიდება,
ცხოვრება მაქვს ძალზე მძიმე.



ნოდარ ყურაშვილი

# მეგონა

მეგონა მქონდა გონია, ის კი სულ არა მქონია,
მეგონა ქვეყანა მქონდა, ის კი სულ სხვასა ჰქონია,
მეგონა გვერდში ძმა მყავდა, ის კი აღმოჩნდა მტერია,
მეგონა ქვეყნის პატრონი ჩვენი ქართველი ერია,
თურმე კი ჩვენსა სამშობლოს დაეპატრონენ მტრებია.
მეგონა ბრძენკაცს მივყვები, ის კი აღმოჩნდა ბრიყვია,
ვფიქრობდი გმირის გვერდზე ვარ, თურმე ყოფილა ფლიდია,
პატიოსან კაცს მივენდე, კვლავაც მოვტყუვდი საწყალი,
ნეტავ ამ ქვეყნად რა არის, რაც არის მართლა მართალი.
მეგონა ჩვენი სამშობლო სულ მალე გაბრწყინდებოდა,
ის კი ნელნელა ჩაბნელდა, მხოლოდ წარსული შემოგვრჩა.
ჭკვიან კაცს სიბრძნე ამშვენებს, გმირს კი საგმირო საქმენი,
ლაჩარს ლაჩრობა უნდება, ორგულს სამშობლოს ღალატი.
თუმცა ეს გულისტკივილი, არ ახალია, ძველია,
თურმე სულ ასე ყოფილა, უთქვამთ მრავალი წელია.
როცა ღირსება ვერცხლია, მეძავი კიდე ქალწული,
მდაბიო ცამდე ავიდა, ლაჩარი რაინდს დასცინის,
სისულელეა სიმართლე, რეგვანი ურცხვად გვასწავლის,
ზნეობა სულ დაკარგულა, გალიაშია ჩასმული.
ნეტავი მე რად მაწუხებს, ეს გული ოხერტიალი,
როდემდე უნდა გამიძლოს ამ სოფლის ორომტრიალში,
უფალო მხოლოდ შენა ხარ, მე ვისიც მჯერა უსაზღვროდ,
რადგან სულ ასე ყოფილა... კვლავ გადაარჩენ შენს სამწყსოს!

## ამონარიდი

ქართული ენა და ქართული სული,
ქართული ღვინო და ქართული პური,
ნუ მოგვიშალოს მაღლიდან ღმერთმა,
დაბლა კი მიწამ-მშობელმა დედამ.
დე გუგუნებდეს ქართული ჰანგი,
ივერთა სულის დიდად მაამი,
ასრულდებოდეს კახის ვედრება
დიდი ხნის წინათ ხატთან ნათქვამი;
,,მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!“
ჩვენი გულისთქმაც სწორედ ეგ არის,
აღდგენა ივერთ მებრძოლი მხარის,
გამოცოცხლება ქართველი ერის,
დამყაყებული ჩვენი ცხოვრების.
მაგრამ ვაი, რომ ერეკლეს დარდი,
გაგვიათკეცდა დაგვასვა დაღი,
იუდა მაშინ თუ იყო ერთი,
დღეს მის ადგილზე ბოგინობს ასი.
„მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!“
1988 წელი 19 აგვისტო

## თუ შენ ...

თუ შენ ამ ქვეყნად მოხვედი, პირველი ცოდვაც ეს არის,
ქვეყნის კარიბჭე კი განვლე, მაგრამ წინ რთული გზა არის,
ორ სოფელს შორის ცოდვების უკიდეგანო ზღვა არის,
ზე-ყანის კარის ზღუდემდე ბოროტებისა მთა არის.

თუ შენ ცდუნებას გაუძლებ, დაიცავ ქრისტეს მცნებასა,
თუ შენ ბოროტის სურვილსა ზედ არ დაურთავ შენსასა,
თუ შენ შენს თავში აჯობებ მაცდუნებელსა ეშმაკსა,
მაშინ საფუძველს დაუდებ შენს ნეტარ ნეტარებასა!

არარაობა თუ იქენ, მაშინ მოხვედი მა რადა
და თუ რაობა შეძელი, მაშინ იქნები მარადა...
თუ მშიერს არ დააპურებ, ჩაგრულს ხელსა კრავ ძალადა,
ობოლს თუ ნუგეშს არ მისცემ, მაშინ შენ ვინ ხარ თავადა?

თუ ორ კარს შორის გზაზედა ბილიკს ვერ გაჭრი ნათელსა,
რომ შენმა უკან მორბედმა მიაგნოს უფლის კარებსა;
თუ შენ ტაძარში არ შეხვალ და არ დაანთებ სანთელსა,
და თუ ლოცვისას ცრემლები არ დაგისველებს კალთებსა.

თუ შენ დედ-მამას ივიწყებ, სამშობლო ფეხზე გკიდია,
თუ წინაპრების გმირობა შენთვის ტრაბახის ნიჭია,
მაშ, ცოცხალმკვდარი ყოფილხარ, სიცოცხლე შენთვის ტვირთია,
იმ ორ კარს ისე გაივლი, უკვალოდ როგორც მიდიან.

თუ შენ სიმართლეს არ იტყვი, საფიცრად გექცა ვერცხლია,
თუ შენი ცხოვრების არსი სოდომ-გომორის წესია;
გირჩევნის ლოტს დაემსგავსო, წახვიდე სადაც მწყემსია,
მოყვასისათვის ილოცო, რომ არ ჩაგყლაპოს გენიამ.

ეჰ, ჩემი ესე აზრები ნეტავი ვინმეს რას არგებს,
ქვე-ყანა ასე ყოფილა პასუხს არავინ არ აგებს,
ჭკვიანი მეტსა გაიგებს უჭკუოს ერთი ნათქვამით,
ვიდრე სულელი ბრძენისგან, სიბრძნით აღვსილი ამბავით.

მნიშვნელი მას კი არა აქვს, რამდენი ხანი იცოცხლე,
არამედ მხოლოდ იმ წამებს, რაც ღირსეულად იცხოვრე;
თუ ქრისტეს სჯულით იარე, იყავი სამართლიანი,
ბოლო ჟამს კითხვა გაქრება, – კაცია-ადამიანი?!



რუსუდან ფაილოძე

## ზემო ბეთლემს !

ზემო ბეთლემო! ქართვლის დედის ფერხთ აღმართულო!
შენ ძველთა-ძველო ნაგებობავ გორგასლის დროის,
მეფე ვახტანგმა ჩაგიყარა შენ საფუძველი,
ჩვენო სიწმინდევ! სიამაყევ! ძეგლებთა შორის !

იმ ხნის მანძილზე ვინ არ გძარცვა, ვინ არ განგრია,
ვინ არ მოითბო ხელი შენი სიწმინდეებით,
რამდენ მტარვალმა უსულ-გულოდ ხელი დაგრია
გორგასლის დროის დარჩი მხოლოდ მცირე ფრაგმენტი,

ამბობენ: ბეთლემს საძვალეა ვახტანგის დედის-
საგდუხტისა და, საყვარელი და– მირანდუხტის!
ზემო ბეთლემო! რა საიდუმლოს ინახავ ნეტავ,
ახალს რას გვეტყვის შენი ტაძრის მიწისქვეშეთი?

წმინდა ტაძარო! ღვთის და ერის დიდი შეწევნით,
კვლავ ფეხზე დგახარ, უწმინდურნი ვერ მოგერიოს,
ნანგრევებიდან ფენიქსისებრ კვლავაც აღმდგარო!
სამასი წლის წინ ფეხთ დამდგარო, წმინდა ტაძარო!

ქართლის მშვენებავ! ქრისტეშობის ტაძარო წმინდავ !
დღეს რა ამაყად აღმართულხარ ქუჩა-უბნებით,
შენს სანახიდან მოსჩანს მტკვარი , „სამება“ წმინდა !
ხელისგულივით გადაშლილა ძველი თბილისი.

კვლავაც გაისმის შენს ტაძარში წირვა-ლოცვები!
და კვლავაც რეკავს შენი ტაძრის წმინდა ზარები!
საამურად ჟღერს უტკბილესი საგალობლები,
და კვლავ დადიან შენს ტაძარში მომლოცველები!

***ზემო ბეთლემში მოღვაწე დეკანოზ ზურაბ***
***მჭედლიშვილის მრევლი რუსუდან ფაილოძე***

20.01.2016.




## ზემო ბეთლემო! რა რიგ მიყვარხარ !

ზემო ბეთლემო! რა რიგ მიყვარხარ!
შენგან სიშორეს ვერ ვეგუები,
მომენატრება ტაძრად მოლოცვა,
უმალვე შენთან გამოვფრინდები.

შენს ტაძარს ლოცვად როცა დავდივარ
გული სხვა ხიბლით მიზიდავს, მთანგავს,
აქ ყველა შენს ხატს ვეჩურჩულები
და სულ სხვა მადლი მიმაქვს მე მათგან.

და წარმოდგენილ შენს წმინდა ხატებს
სრულიად ტაძრად, რომ მოფენილან,
დავლოცავ ხატმწერ – ვასილ ზანდუკელს
მისი მარჯვენით, რომ მოხატულან.

ხატის ტაძრებით გამშვენებისთვის
მეცენატობა გასწია გელამ,
დევსურიშვილმა, კარგმა ვაჟკაცმა
და მრევლის უხვად შეწირულებამ.

დიდია წვლილი ტაძრის წინამძღვრის-
დეკანოზ იოანე როსტიაშვილის,
ბევრი იბრძოლა, გულით იღვაწა
ზემო ბეთლემის განახლებისთვის.

ზემო ბეთლემს, რომ მრევლი მუდამ ჰყავს
დამსახურება მიუძღვის სხვათაც,
დეკანოზ ზურაბ მჭედლიშვილსა და
ილუმენს კირიონსაცა.

მიტომ მიყვარხარ ჩემო ბეთლემო!
შენგან სიშორეს ვერ ვეგუები,
ჩემთვის ძვირფასო ტაძრის ხატებო!
თქვენს სიწმინდეებს ვეთაყვანები!

***ზემო ბეთლემში მოღვაწე დეკანოზ ზურაბ მჭედლიშვილის მრევლი რუსუდან ფაილოძე***

17.05.2016.



**ლამზირა შეყილაძე**

*****

ამ წუთისოფლის მგზავრი ვარ,
გულში ვარ ისრით დაჭრილი.
მოუსავლეთში მივდივარ,
სამშობლოს დარდით დაღლილი.

*****

ცრუ აზრები გულს რად გიხრავს,
რატომ გინდა გადაგვარდე?
თუ სამშობლო შენ არ გიყვარს,
მას რატომ სთხოვ, რომ უყვარდე......

## ერის გულის ვარდი ხარ

(გულნაზ ხარაიშვილს)

ათინათის გული ხარ,
გულთბილი და სვიანი.
უტკბილესი ქალი ხარ,
მჭერმეტყველი წყლიანი.
შენი კრედო მადლია
და დაჰყვები გულის-ხმას.
მრავალძარღვულ სიტყვებით,
აფრქვევ ღვთიურ ქარიზმას.
მიწას რბილად აბიჯებ,
გული, რომ არ ეტკინოს.
სხვებს ტკივილს უმსუბუქებ,
გულს, რომ ვარდი ეფინოს.
დაფუსფუსებ დღე და ღამ,
დაღლა არც კი გემჩნევა.

ათინათის ფურცლებზე,
შენი გარჯა ემჩნევა.
ერის გულის ვარდი ხარ,
ერის შვილი საჩინო.
შრომით თავს არ იზოგავ,
ერი წარმოაჩინო.
მრავალ დარდის პატრონი,
დარდით ვინ გაგაკვირვებს.
გმირულ გულის კარნახით,
ებრძვი დროის ვამპირებს.
სამომავლო საქმეებს,
ვაჟკაცურად უძლვები.
გაზაფხულს და სამშობლოს,
ყვავილივით უხდები.

2016.წელი.

## სამშობლოს სიყვარულისთვის

ბატონ! ჯუმბერ ხარაიშვილს

რაინდის სახელს ამართლებ,
ვაჟკაცობით ხარ ქებული.
მთვარის შუქივით ანათებ,
უფლისგან მირონცხებული.
უერთგულესი კაცი ხარ,
გულდაწმენდილი სვიანი.
სიკეთით სავსე დადიხარ,
ბაგე გიღიმის მზიანი.
სამშობლოს ეთაყვანები,
გატკბობს სილაღე მთებისა.

გაზაფხულს ეთავთუხები,
სიამაყე ხარ თემისა.
წინაპრის სისხლი გამზევებს,
ხარ გულმხურვალე მციხარი.
სამშობლოს ისე უხდები,
ვით დედა-მიწას მზის თვალი.
ხარ ღმერთკაცივით გულსუფთა,
სიმართლესავით ნათელი.
ქორონიკონებს დარჩება,
შენი უებრო სახელი.

2016. წელი.

## მე უნდა ვიყო ზღვასავით სავსე

ვერ გადამივლის მავანი თავზე,
ვერას დამაკლებს გადამთიელი.
მე, უნდა ვიყო ზღვასავით სავსე,
ზღვასავით უნდა ვიყო ძლიერი.
მე, უნდა ვიყო ცეცხლივით მწველი,
რომ მტრის თვალებში შიში დავანთო.
მე, უნდა ვიყო ერთგული მცველი,
ჩემი სამშობლოს გული გავათბო.
მე, უნდა ვიყო თევდორე მღვდელი,
უამრავ მტრის ჯარს უბნევდე თავგზას.
მე, უნდა მერქვას სახელად მგელი,
ჩემი ხსენება მტერს სცემდეს თავზარს.
მე, უნდა ვიყო შორს მჭვრეტი საბა,
წინასწარ ვჭვრეტდე მტრის ჩანაფიქრებს.
არ მემჩნეოდეს ნაომარს დაღლა,
უნდა ვდევნიდე ციდან შავ ნისლებს.
მე, უნდა ვიყო გიჟივით გიჟი,
მტრის ყელში ჩავკლა ურცხვი მიზანი.
მტერს ვაზღვევინო დაღვრილი სისხლი.
დავანატრულო ამბის მიმტანი.
ვერ გადამივლის მავანი თავზე,
ვერას დამაკლებს გადამთიელი.
მე, უნდა ვიყო ზღვასავით სავსე,
ზღვასავით უნდა ვიყო ძლიერი.

## გვითხარ, ვინ გაგვცემს კითხვებზე პასუხს

ვარდებს ცის-ნამი რად ებკურება,
ღრუბლები ცაზე რატომ დადიან.
მიწას რად უყვარს ზეცის ყურება,
ხეები ცისკენ რატომ გარბიან?
ხანდახან წვიმა რად გვენატრება,
ან რად გვხარებს დილა მზიანი.
უსიყვარულოდ გული რად ჭკნება,
დარდი რად გვფიტავს ოხერტიალი?
ნისლები მთებზე რატომ წვებიან,
რას ჩურჩულებენ ფლამით ვერხვები.
სხვა ქვეყანაში რად არ რჩებიან,
რად ბრუნდებიან უკან მერცხლები?
ჟამსაწუთროში რად არის გლოვა,
ცხოვრებას რად აქვს თავის წესები.
რატომ გვიზიდავს ზეცისკენ ლტოლვა,
ან დედა-მიწას რად ვერ ვეშვებით.
რა გვაწერია გულის ფიცარზე,
ან ამ ცხოვრების რატომ გვაქვს ვალი.
მაშ რად ვცოდვილობთ ამ ქვეყანაზე,
თუ-კი სიკვდილი არს გარდუვალი.
რატომ ვისიზმრებთ ხშირად მომავალს,
დრო რად ინახავს უბეში წარსულს.
ჟამთა გამრიგევ! გვამცნე, გვაუწყე,
გვითხარ, ვინ გაგცემს კითხვებზე პასუხს.

## გაგაგიჟო ჩემზე ფიქრით

ფიქრმა შენზე უარი სთქვა,
მე-კი მაინც მენატრები.
აღარ ვიცი გულს რა ვუთხრა,
დამიმსხვრიე იმედები.
ახლა უნდა გაგებუტო,
ხმას არ გაგცემ დღეის იქით...
აგისრულო რაც დაგპირდი,
გაგაგიჟო ჩემზე ფიქრით....



**შალვა ილურიძე**

## მანანა ჩიტიშვილს

პირველი პოეტი ქალი, ჩემი ბავშვობის ცნობიერებიდან რომლის ლექსებიც ძალიან-ძალიან შემიყვარდა, დღესაც ტყვედ ვყავარ მის პოეზიას, როდესაც იგი თავის ლამაზ გულიდან ასეთ ფრაზას იძახის...

„შენ არც კი იცი,
რა მშვენიერი ხარ,
დედამიწავ, როდესაც შენი შვილი იცინის."

აქ ყველაფერი მოსჩანს, მისი სულიდან ამოძახილის ლამაზ-ლამაზ მარგალიტებიდან...

აი, ამ პოეტის გული როგორ ემსახურება თავის პატრონს.

„ისე დაიღალა ჩემი გული,
ისე ამოშრა,
დაილია, დაპატარავდა,
მისკენ მომართულ ისარსაც კი ლოცვას უგზავნისო."

როგორი სათნო და სათუთი გული აქვს პოეტს...

როგორ უყვარს თავის სამშობლო., ფლორა-ფაუნა თვითეული ხე, ბუჩქი, მდინარე, ნადირი და ფრინველი, ჰაერი და წყალი. უზომოდ შეყვარებულია თავის ქსნის ხეობაზე და აი! რას გვეუბნება:

„როდემდე უნდა რჩებოდეს სხვას ჩვენი სათიბ-სამკალი,
ყელს სანამ უნდა გვეხვიოს სამტროდ მოსული მზაკვარი.
ვინ მოაბრუნა საწუთრო მარტოდენ ოხვრა-კანკალით,
ჭირი, იმ კარით გასული, უკან ბრუნდება ამ კარით,
შენ ოღონდ დასწვდი ფრანგულს და უწინ თუ გინდ მე დამკარი..."

ასე აწუხებს ქსნის ტკივილი ჩემს უსაყვარელ პოეტ ქალბატონს. ასე სტკივა დღევანდელი ჩვენი სატკივარი, ჩვენი ორგულობა, სიძულვილი, ჩვენი გამყიდველობა და ის სნეულებანი რაც დღეს ჩვენს ერს შეჰყრია და ვერსაით გამოჩნდა მკურნალი.

აი რა იძახის ამის შესახებ:

„ახლა ველარაფრით გამაკვირვებ,
ქარმა ფოთლებიც არ შემარჩინა...
ორგულთა სიმრავლე არ მატირებს,
ერთგულთა სიმცირემ შემაშინა...
დაე, იქუხოს და გაავდარდეს
ცხომორთან, ანანურთან, შენაქოსთან,
დიდი სიძულვილი არ მადარდებს,
მცირე სიყვარულმა შემაშფოთა...
სულო, სულ სიზმრებში მიხიზნულო,
ტალახს ვისი ხელით არ გაყრიდა...
იმას რა მოვკითხო, ვინც გყიდულობს,
ჯავრი იმისი მჭირს, ვინც გაგყიდა....

ასე სტკივა დღევანდელი ნაჭრილობები პოეტს, ასე აწუხებს ერთგულთა სიმცირისა, მოსიყვარულე ადამიანების შორით დგომის და სამშობლოს გამყიდველ ადამიანებისა... ქალბატონ მანანა ჩიტიშვილის პოეზიაში მე ჩემი სულიერი სამყარო შევიცანი, ეს მოხდა 35 წლის წინ, როდესაც სტუდენტი ვიყავი და მის ლექსზე სიმღერა დავწერე. აი ეს ლექსი როგორ ჟღერს და როგორ მომეწონა, ჩემი სულის ნაწილი გახდა მას შემდეგ.

„რისთვის ღიღინებ ფანდურო, რა სევდა გაწევს ამგვარი,

მცხეთას წევს გული მშფოთვარე, ასჯერ ას ომში დამდნარი,
შამამღერენე ფანდურო, მაგ შენი ტკბილი ტიხარით,
ათჯერ თუ ახალს მიმღერებ, ერთიც პაპისა მითხარი...“

ამ ლექსებმა მე ტყვედ მაქციეს და მინდა გავკადნიერდე და მეც ჩემი გულიდან ამოხეთქილი პატარა ლექსი მივუძღვნა ჩემს ლამაზ ხეობელ პოეტს. ჩემს დაიკოს „მანანა ჩიტიშვილს...”

## ქსნის ხეობელ პოეტ ქალს

მაგ შენი ტკბილი პოეზიითა,
სულებს გვიმაგრებ მყარო კედელო.
მგოსნების გვერდში სდგაარ ურყევად
ქსანზე, ლექსების გამომჭედელო.
ალევის მთაზე ქარი სისინებს,
„სამების ტაძრის” განათებს სხივი.
რამდენი ტკბილი ლექსი მოვქარგე
ყელზე შეგიბავს ვით ქარვის მძივი...
შენი სამშობლოს წარსული, აწმყოც,
ლექსში ჩასწანი ტკივილი მწარე,
და ამ ეკლიან ბილიკზე კალმით,
„ქალმა” სიმღერით გადამიარე...
გზაზე დიდ სიტკბომ მოგხვია ხელი.
ხანაც სიმწარემ შეგავლო თვალი.
ლექსით მოაკვლევ თოვლიან ნამქერს,
ქსნის ხეობელი პოეტი ქალი...
პატარა გოგოს ნაფეხურები
დღესაც გატყვია, კორინთის მიწავ!
მიყორხარ ქალავ!-შენი ლექსებით,
ძლიერ მიყორხარ, დედასა ვფიცავ!!!

## მოძულეს

სანამ მე ვზივარ
წუთი სოფლის გაშლილ სუფრაზე,
ამ ლხინში სიკვდილს,
ჩემთან ყოფნის არ აქვს უფლება!
როცა დავსტოვებ ლხინის სუფრას,
ზეცას, სამზეოს,
მერე მოვიდეს და-
წამართვას თავისუფლება!!!

## ჩემო სამშობლოვ!

მე – დევნილს, დაჭრილს, ობლად დარჩენილს
როგორც მიყვარხარ!
მინდა რომ შენს გულს,
ნაცრემლს, ნამტირალს, დაჭრილს, ნახანჯლარს
ასე ვუყვარდე!!!

## ჩემი ხარისთვალა ვაზი

სული სამზეოს როცა დასტოვებს,
გადაინაცვლებს უფალთან ცაში,
ვაზი დამირგეთ ხარისთვალასი,
ცხედარს, ნამძიმარს, საფლავის თავში...
ჯვარი აქვს გულზე გამოსახული,
ერთი შეხედვით მოგხვდებათ თვალში.
ჩემი სული დევს ამ ვაზის გულში,
არ დაუმოკლოთ ყლორტები სხვლაში...
პატარა იყო, სულ თოთო ჩია,
მოვეფერე და ვარწიე კვალში.
შვიდი წელია დამივაჟკაცდა,
დევნილს დამიდგა, როგორც ძმა მხარში...
როდესაც თოთო წამოიზარდა,
ჩამოიჯონჯლა მტევნებით ტკილად,
მეც ამავე წელს იგი მოვნათლე,
და ჩავიწერე ჩემს გულში შვილად...
მესამე წელს მას უფლის განგებით,
გამოესახა ჩვილს გულზე ჯვარი.
დიდება შენდა წმინდაო ღმერთო,
დღეს რომ გამიხსენ სამოთხის კარი..
ბედნიერი ვარ, დღეს მე უზომოდ,
„უფლის” ვაზია, ჩემს ბაღში მდგარი.
მხრებ გამართულსა და დაჯონჯლილსა,
გულზე ებჩნევა მაცხოვრის ჯვარი...
ზუსტად ეს ვაზი უნდა დამირგათ,
ჩემის საფლავის ქვის მაღლა თავთან,
ცხედარს ფოთლებით გადამეფაროს,
სული მიცხონოს, მაღლა „უფალთან!!!”

## 2016 წლის არჩევნებს

მიყეფს ბნელეთი მეუფებაა,
დღეს რომ ზეიმობს ჩემს ქვეყანაში.
ბუნების შვილნი, ბუნებას ვებრძვით,
განუზომელად ზაფხულს, ზამთარში..
კეისარს ალბათ კეისრისაო,
უნდა მიეზღვას, ურჩსა აფთარსა!
ამ შემოდგომამ თუ გულში დამჭრა,
უნდა შევაკვდე ცივსა ზამთარსა!!!

## მოგონებების სადღეგრძელო

ისევ, ლამაზად კეკლუცობ და
ისევ, ლამაზად ჩირაღდნობენ
შენი თვალები.
ისევ, ლამაზად მღერიხარ და
ისევ, ლამაზად ჩაგიწნავს ქალს
დალალები.
მაგრამ, შენ სულ სხვა სამყაროში
ნავარდობ ქალავ,
სულ სხვა სივრცეში, სულ სხვა
ქარი გეალერსება.
მე კი დევნილი სამოთხიდან,
სულ სხვა მიწაზე,
სულ სხვა ვაზისგან ჩაწურულით,
ყანწი მევსება,
დოქიდან ყანწში, ყანწიდან ჯამში,
ქალავ!-მეც ეს გზა, ღვინოსავით
უნდა განვლიო.
მე, მარტო დავრჩი, ჩემს ოცნებებთან
ვბერდები თეთრად,
მოგონებების სადღეგრძელო,
უნდა დავლიო!!!

***

რად გამიხადე ჯავრო მე შენი
მოსამსახურე, ტყვე და მძევალი?!
სიყვარულია შენი სიკვდილის
ამკაფველი და მწარედ მძლევარი!!!

## ობოლო გული

ობოლო გულო რად გაახილე,
უცხო მხარეში ნაცრემლი თვალი.
შენ ხომ სიკეთეს ემსახურები და
არავისთვის მიგიძღვის ვალი...
დევნილს, დავრდომილს, ფუძიდან აყრილს,
ეკლიანი გზა გერგო სავალი.
„უფალო-ღმერთო" შენ დაიფარე
ობოლი გული გზაზე მავალი...
ეს გზა სიკეთის, გრძელია იცი,
ტაძრისკენ მიდის, ვერ სწვდება თვალი.
აგერ!-მუხრანთან ჯვარით ხელში გელის,
ბაგრატიონთა წმინდანი ქალი!!!

## გმირთა სულების შეხვედრა

„გიორგი სააკაძის და
შალვა ახალციხელის!"

## I-გიორგი ესაუბრება შალვას.

– ქვეყნისთვის არა ეჩრებიან,
სიმართლის სანთლის სხივები .
თორმეტი წელი ავკინძე,
ყველა დღე როგორც მძივები...
თორმეტი წელი ვათიე
სპარსთა სისხლიან კარზეო,
სამჯერ მეტი მაქვს ჭრილობა
ნაცოდვილარსა ტანზეო...
თორმეტი წელი ვატარე
მაჰმადის რჯული ფარული,
აროდეს ჩამნელებია
სამშომლოს მე სიყვარული...
თორმეტი წელი ყველაზე
ვიყავი ქრისტიანული,
ჩემი სამშობლოს ტკივილით
ჩამოჭედ ჩამონალული...
ოცდა ათის წლის მანძილზე
ხმლით ნაღვერდალზე ვიარე,
სამშობლოს ამერ-იმერნი
ერთმანეთს ვერ ვაზიარე...
ვერ შევარიგე ბაზალეთს
ძმები, მოსისხლე შვილები,
ისევ მე გავხდი მათ ხელით
გასამეტ-გასაწირები...
– ქართველების სისხლით ნაფერ,
ბაზალეთს რომ გადავხედე,
ტანში სისხლი გამეყინა,
დაჩოქილმა ღმერთს ავხედე.
„ღმერთო" – ქართველთა შუაში
რა სატანამ გაიარა,
სწორედ ამ დროს, სიკვდილის ხმამ,
ძვალს და სისხლში დამიარა....
ქართლის პატარა მიწაზე,
ვერ დამიტიეს ყორნებმა,
ღალატი, მტრობა დამწამეს,
შაჰის ყურ-მოჭრილ მონებმა!!!

## I _ შავლეგოს შეფასება

– ისე მოუხდა გიორგის
მტრობა და შური გვარითა,
ოსმალეთის გზას გაუდგა
სისხლით უძლები ხმალითა...
თურქეთს მავალმა შეავლო
მთებს ცრემლიანი თვალითა,
თქვა მშიდობითო სამშობლო
გულ-სამსევ, ცოდვა ბრალითა...

## II-შალეგოს ესაუბრება

გიორგი-ბაზალეთის შემდეგ

– მოშურნეთა უძლებ გულებს,
ოსმალეთში გავექეცი,
მათ სურვილის გასახარად,
ისევ ღალატს წავექეცი!
მინდოდა საქართველოსთვის
მექსოვა ჯაჭვის პერანგი,
მაგრამ ქართველი ქართველსა
გამოხდა მტერი ვერაგი.
ამ ჩემს მარჯვენას აროდეს
ქანცი არ მიჰკარებია,
ახლა ოსმალურ მიწისთვის
მატლ-ჭია მიხარებია...
ბედნიერი ვარ, არ მოვკვდი
ძმა-ძმის მაოხარ ხელითა,
უბედური ვარ, ვერ გავძეხ
ჩემი სამშობლოს ცქერითა.
სხვისი ქვეყნისა ბედისთვის
ხმალი გავცვითე ქნევითა,
მინდოდა კვდარსა ზიარი
ჩემი სამშობლოს ცრემლითა...
აქაც მიმუხთლა იღბალმა
საზიზღარ მიწის ცქერითა,
ტანით ოსმალეთს ვლპები და
თავით მოსისხლის გვერდითა.
დე-მე-განმსაჯოს ქართველმა
მართლმადიდებლის წესითა,
ასეთი მოველი და წავალ
წმინდა უფლისა ნებითა!!!

## II შავლეგოს შეფასება

აი, ვის უყვარს სამშობლო,
ჩვენში ყველაზე მეტადა.
უსასყიდლოდ რომ გაილო,
სიცოცხლე გასამეტადა.
გულიც მას უდევს სულიცა,
სისხლ —ძარღვში, დასატევადა,
სამშობლო არ ემეტების
მტრის ხელით, ასაყრელადა...
ხმალ-შუბიც, ფარიც, ისარიც,
ბრძოლაში დასამტვრევადა.
არც მეომარი კარგი ყმა
დედასთან გასაყრელადა ..
ადამის ძიდან ბოროტნი
კეთილს გაუხდნენ მჭმელსადა ,
მაგრამ კარგი ყმის სახელი
ხმალია მტრისა მჭრელადა.
აი ვის უყვარს სამშობლო
ჩვენში ყველაზე მეტადა,
შვილების თავიც გაილო,
მტრისა ხმლის ასაჭრელადა !!!



ნელი ქველაძე

## მშვენიერების სამყარო

*უზენაეს და უმშვენიერეს*
*ნანა ნაცვლიშვილ-იმედაძეს*

ვინ არის იგი, ვინაც გვაჩუქა,
მშვენიერება ზღაპრული,
შუქთა და ფერთა გამოსხივეით
შექმნა სამყარო ალპური.
ო, ვინ დახატა ასენარნარად,
ეს სურათები ფერადი,
აამეტყველა უცხო პალიტრა
მომხიბლავი და ჟღერადო.
უცხო ყვავილთა მოდის სურნელი,
ეს ცისარტყელის ფერია,
ცვარს აფრქვევს მაღლით ზეცა ნათელი,
ჩემი ნანიკოს ფერია.
გვაოცებს დიდი იდუმალება,
ლივლივებს ფერთა ლიფლიფი,
ღმერთმა დალოცოს ნაზი არსება.
ამ ქვეყნად ალბათ მომწყინდებოდა,
დავიწვებოდი ფარვანას
მადლობა უფალს, რომ მოავლინა
ქალურ სინაზეს ნარნარად
დიახ, ეს თქვენა ხართ, ვინაც გვაჩუქა
მშვენიერება ნატრული ,
თქვენეულ სულის გამოსხივებას
დაჰკრავს სურნელი.

2016. წელი.

## ქართული რომანტიზმის მწვერვალს

*ნიკოლოზ ბარათაშვილს და*
*მის მემატიანეს უნიჭიერეს და*
*უმშვენიერეს ელენე დემეტრაძეს*

იცვლება დრონი, მაგრამ უშენოდ
ცარიელია წუთისოფელი!
თენდება კვლავაც, მაგრამ უმზეოდ,
ვერ დაგივიწყეთ, ველარ გელევით!
ქრებოდა შენი ბედის ვარსკვლავი,
გრჩებოდა ოხვრა, თვალები სველი,
სიზმრები კუშტი, ბნელი და ავი,
მწუხარე იყო ირგვლივ ყოველი;
ყალყზე დამდგარი შენი მერანი,
ებრძოდა ღამეს ფაფარაშლილი,
მაგრამ ამაოდ, რადგან ვერანი,
იყო სიკვდილი კარზე მომდგარი.
მისი მხედარიც სულ დამაშვრალი,
ქართვლის დიდება ებრძოდა სიკვდილს,
შენ სად იყავი ქართველო მაშინ,
როს ილეოდა ღონემიხდილი?!
ისმოდა მხოლოდ ქარის ღმუილი...
მის ძვირფას სახეს ეკვროდა ფითრი,
ამოდიოდა ობოლი სული,
ვით მომასვენებს მე მასზე ფიქრი?
იფერფლებოდა მგზნებარე გული,
იკარგებოდა მგზნებარე გული,
იკარგებოდა ძვირფასი განძი,
მხედარი იგი თავგანწირული
ვაგლახ! დაგვირჩა მიწაში განჯის!
მადლი შენს გამჩენს, ტკბილო ელენევ!
შენ გაგვიცოცხლე სახება წმინდა,
აგიხდეს ყველა ოცნება მალე,
გვეამაყები, ასეთნი გვინდა!
ალბათ რამდენი ცრემლი დაღვარე
ჩვენც გაგვიახლე ის ძველი სევდა,
აღარ დაგვრჩება მიუსაფარად,
ნანას უმღერის ჩვენი მთაწმინდა!
არა, ამაოდ არ ჩაუვლია,
სულისკვეთებას დიდი მხედარის,
და თუ მის გზებით როგორ მოვედით
ეს შენი წიგნიც არის მთავარი!

26 აპრილი, 2016 წელი

## დედის დატირება

*ქართული სიმღერის ლეგენდას*
*ჰამლეტ გონაშვილს*

ერქომაიშვილს დასიზმრებია:
ალვის ხე წვერით ზეცისკენ ზრდილი,
თავგანწირული ებრძოდა ავდარს,
ყალყზე შემდგარი და აქოჩრილი!
უცებ გადმოსკდა მეხი დამწვლი
გადმოამსხვრია თითქმის შუამდის,
პირჯვარს იწერდა ღამენათევი,
ავად ენიშნა მოსვლა შუადღის...
ვაი, რომ მართლაც ბედისწერასთან,
სიკვდილის ცელთან დაზავებული
იდგა ვაჟკაცი მსხვერპლშეწირვისთვის,
განწმენდილი და გამზადებული!
ვერ აიცინა მჭრელი ისარი,
სიცოცხლე შეწყდა გულის ფიცარი
მარადიშვილის მკლავზე ესვენა,
მარადისობით პირმომცინარი.
მორჩა, დაგვემსხვრა ოცნება ტკბილი,
ნუთუ დადუმდა ხმა ღვთაებრივი?
ბგერა, რა ბგერა, რბილი და თბილი...
უდროოდ დადგა ზამთარი ცივი!
შენი სიმღერა ისევ გვესმოდა
კვლავ ბანს გაძლევდა შენი „რუსთავი“
მთლად საქართველო გჭირისუფლობდა,
ყველას გაეგო შენი ამბავი;
უცებ, ჰაერი გააპო ზარმა,
დედისა იყო ყოვლისმომცველი,
ენაცვლებოდა ერთურთს ხმა ორი
დედის და მოყმის ყველასშემძვრელი!
დედის ხმამ სძლია შვილის სიმღერას,
და მწუხარების იყო წყვდიადი,
ცრემლი ხმამაღლა გადმოიღვარა
ორივ ხმა ერთად იყო დიადი!
და დაიტირა დედამ ბულბული,
ყელის მაგივრად რომ ჰქონდა სტვირი,
უკვდავებასთან გატოლებული,
კაცი ლეგენდა, ხმა ღვთაებრივი.

კახეთის ექსპედიცია.
2000. წლის ივნისი.

## მომღერალი არწივი

*ვუძღვნი ქართული*
*ესტრადის არწივს*
*თეიმურაზ წიკლაურს*

ხევიდან გადმაიფრინა,
ქუხილიანის ფრთებითა,
ოხშივარ გადასდიოდა,
გადმამავალსა მთებითა;
ნეტავ, თავს რადა სწირავდა?
წამი არ იყო სულთქმისა...
იმად, რომ გადმოღვრილიყო,
ორი არაგვის სუნთქვითა!
ზღვა სიყვარული მოიმკო
იმიერ-ამიერითა,
გაგვაძლებინა, გაგვათბო
ტკბილ მრავალჟამიერითა!
გულ დაუთუთქა ნაღველმა,
თვისმა და სხვისმა ერთადა,
გინახავთ არწივის ცრემლი?
ჩამოსდიოდა თქეშადა...
დედამიწიდან ილტვოდა
ქვესკნელში ჩასვლას ნებითა,
ვის ეთმობოდა ნეტავი,
თავი სიმღერის მეფისა?!
დამძიმებოდა სხეული,
ამდენი ტანჯვის თმენითა,
სული ჩაჰბერა უფალმა
სიყვარულისა რწმენითა;
მიეზლო უკვდავებაი,
ვაჟკაცსა თავის არწივად,
დარჩება სამარადისოდ,
მომღერალ მეფე-არწივად!

2002. წელი.



**თამარ (იამზე) ჭელიძე**

* * *

აზრის ნათელმა ჩააცხრო შფოთი
ჩემთვის იხსნება სარკმელი ნელი,
დახურულ კარში შემოდის შუქი
ისე ძლიერად, აწ აღარ ბნელა
და მე ზენაარს მადლობას ვჩუქნი.
რა ვქნათ, თუ იყო ღრმა შემოტევა,
რა ვქნათ, თუ იყო იქ ღამის თევაც,
ბოლოს მოვიდნენ გაჩირაღდნებით,
გონიერებით ხალხნი ნალდები.
აზრმა ნათელმა ჩააცხრო შფოთო,
ახლა პირწმინდად სიკეთე მოდის.
და მიხარია, მაინც არიან,
სიკეთე სხვისი რომ უხარიათ.
თუ უჟმურობამ არივ-დარია,
სიკეთეს მაინც ღია კარი აქვს.
ის გაიმარჯვებს შავბნელთ ზრახვაზე,
ვამყარებთ იმედს დროში ახალზე.
სიკეთევ, შენ ხომ გზა და ხიდი ხარ,
შენ სიმდიდრეზე უფრო დიდი ხარ,
უგულო კაცი არ გვინდა, არა,
მას სამოსელი ულმერთოს ფარავს.
მოდი, კეთილო, შეაღე კარი,
შენი გზა ყველგან, ყოველთვის არის.
აწ სისათუთეს ჩვენ ვეფერებით
გაზაფხულით და ვარდის ფერებით.
ღმერთო, ნაბიჯი ზურმუხტისფერი
მოგვეც, სიმღერა დავწეროთ ბევრი.
მოგვეც სამოსი დალოცვილთ გზიდან,
რომ ერთგულების დავუდგეთ ხიდად.
ლაჟვარდით ისევ ეს არემარე
შევმოსოთ, არვინ იყოს მწუხარე.
ძლიერთა შორის უძლიერესი
ვიყოთ, შევძახოთ: ყოველს ვერევით.
დიდ სიყვარულმა დაგვათროს ბოლოს,
და სიკეთეში ვიცხოვროთ მხოლოდ.

11. 02. 2014.წ.

## მიხვდები შენ, ადამიანო, სული კი არ დაიზიანო

მოვასწროთ ამქვეყნად სილაღე
და მაინც დავიპყროთ სიმაღლეც,
ეთუმცა აწ უხეში წამია,
ჩვენ მაინც შორს ლტოლვა გვწადია .
დროს კი რა უხეში სამისი
აცვია, აღარ ჩანს დალოცვით.
ცრემლისფერს ჩამოგავს მიდამო,
მე მაინც სიკეთით მინდა რომ
თვალი გავახილო გარშემო
და ყველა კეთილად ვახსენო.
მორწმუნეთ დავწერო პირჯვარი,
ის ღარიბია თუ მდიდარი,
ღმერთის შექმნილია ყოველი,
მე მათ დასალოცად მოველი.
ბურუსი გავფანტოთ, გავფატროთ
და სახე ღიმილით დავფაროთ.
რადგან დროს ვესტუმრეთ, ერთხელ და
ეს ყველა სულიერს ეხება.
და ავაფერადოთ სიცოცხლე,
ვუხმოთ სილაღეს და სიცხოველეს.
ოცნებაც შეგვვლებავს ლაზვარდში,
დროს ეტყვი, ვგრძნობ, რარიგ აყვავდი.
და ასე, შენ მზე და სიკეთე
გამოგყვეს სულის, გაიხედე
იმ მხარეს, საითაც გალობენ,
იმ მხარეს, საითაც წყალობენ
მოკვდავთ ფერი აქვთ ხალისის
და სადაც სიცოცხლის ხმა ისმის.
მიხვდები, შენ, ადამიანო,
სული კი არ დაიზიანო.
ქვეყანა, სამყარო შენია,
სიკეთე ჰქმენ, ის დაგრჩენია.
მალე ყვავილეთი შეგმოსავთ,
დიდება, მოკვდავნო, თქვენს მოსვლას
და ლოცვით იარეთ მიწაზე,
დაღმერთის წყალობა იწამეთ.

11. 03. 2014. წ.

## მარად იმედი გქონდეს განგების

ჩვენი აზრები ერთმანეთს ერთვის,
სიკეთისაკენ გვაბრუნებს ღმერთი.
სიწრფელის შუქი შენში არ ქრება,
მარადიულად შენთან იქნება.
შურიანთ ნაბიჯს შენ ამხელ ყოველს,
მიტომ მიყვარხარ, შენს გულთან მოველ.
კაცთმოყვარება შენს გულში ღრმაა,
ზოგი გვერდს გივლის, ვითომდა ბრმაა.
პირმოთნეობით ნაკვები არის,
სამწუხაროა ასეთი ბზარი.
პირმოთნეობის ნაბიჯებს ქსოვენ
ისინი, ვინც დღეს სისხლის კვალს ტოვენ.
ეჰ, და ეჰ, ისევ, მწარე სიცილი
ორგულისაგან მხოლოდ სიცივე.
შენ გულმხურვალე შუქით დადიხარ,
მაღალ კიბეზე მაინც ადიხარ,
ყვავის ბუდეებს ვხედავ, რომ აფრთხობ,
აბა, მზის გულზე ღიმილში განახო.
შენ ხარ თავკაცი გულწრფელი სიტყვის,
მლიქვნელნი როგორ ყიდიან სინდისს.
შენ კი ახარებ სიკეთის ყვავილს,
მიტომ შენს ირგვლივ სიკეთე ყვავის.
ზოგს ეს არ ესმის, ალბათ ბეცია,
შენს ღრმა ფიქრებში ვიყო, მეც მინდა.
გავიხალისოთ ერთად ბუნება,
დრო კეთილ გზისკენ შემობრუნდება.
იარე ლოცვით, ფართე გაგებით,
მარად იმედი გქონდეს განგების.

## ჩრდილი ნავარდობს მზეთამზის ნაცვლად

გაივლის ეს დროც შუქ-ჩრდილთა ძრწოლვით
და მტკივნეული დაიმედებით,
ისევ ქარცეცხლით და ისევ ქროლვით,
ეჰ, დროვ, ვერაფერს გაიმეტებდი?!
პაუზა ისევ, ლოდინის კართან
ხანგრძლივ ქარ-წვიმის შემოგარენი
ეჰ, როგორ ვიყო მე ახლა კარგად,
მოდი, კეთილო, ჩემი გამგები
ხარ და ჩამხედე, ამდენ შავ ღრუბელს
დრო, დრო ჭირდება, რომ გაიფანტოს.
ვიცი, უხმობენ დღეს ყველა სულგრძელს,
მშვენიერებით სავსე და სათნოს,
მაგრამ გაჰკივის მატარებელი,
დრო ჯერ ისევ არს ატირებული,
რადგან მაცხოვარს არ მისდევს ყველა
და ანგელოზთა გაისმის ღელვა.
ჩრდილი ნავარდობს მზეთამზის ნაცვლად,
ეჰ, ნუთუ ასე ყოველი გაცვდა,
მაგრამ ლოდინში ჩნდება ახალი,
ჩვენი მიგნებაც აი, აქ არის.
მშვიდდება ფიქრი, აზრი ყვავილობს,
მე მსურს, სუყველამ ერთხმად გაიგოს.
სიახლე მოდის ნელა და ტვირთით,
თვითეულ ჩვენგანს სიამეს გვითვლის
და დახუნძლული კალათა მოაქვს,
ვგრძნობ, ღმერთი გვიმზერს, წყალობის დროა,
და მოლოდინი იღებავს სახეს,
აგვამაღლებს და ბრძნულ გადასახედს
ჩვენ შეგვახვედრებს, აგვავსებს უხვად,
რომ ღმერთს მადლობა მარადის ვუთხრათ.

## იქით სითბოა: წამოდით იქით

დამშეულ ფიქრებს გული ვატკინე,
რადგან ვერ დავრჩი ხანგრძლივად მათთან,
ისიც არ მინდა, დროში გაწვიმდეს,
ძლივს-ძლივად გული ჟამისგან გათბა.
წკეპლიან ფიქრთა ჯარი დავტოვე,
აზრმა გაცურა დიდი მინდორი,
ჩემს აზრებს ხანგრძლივ დრო დაათოვეს,
აწ ველარ დავრჩი ყველგან მიმნდობი
და დამაცადეთ, გავხდე ისევე,
დროის სამოსი რა ფერის არის,
თუ დღეს თავს იკლავს აქ სიხალისე,
ნუთუ იქნებით მშვიდი და წყნარი.
ისევ და ისევ აზრებს ვემთხვიე,
სიბრძნემ წამიერ შემხედოს მაინც,
ამ გათენებას სათქმელს ვეტყვი მე
და გაახარებს ზოგიერთს ხმა ის.
მივდივარ გზაზე რწმენით, აისით
და მტრედისფერი მაცილებს ფიქრი,
თითქოს მომავლის ხმები გაისმის,
იქით სითბოა: წამოდით იქით!



ცისნამი უტარაშვილი

## გული ველარ გივიწყებს

გაზაფხული სეირნობს მოგონების ფერებთან,
აქ სანთელი კიაფობს მოვა მოგეფერება,
იის გუნდი წამოვა, ცაზე ნისლებს დალეწავს,
მეგობრებთან ჩვეული, ჩნდები უხვ ვარსკვლავებთან.
დედის ცრემლის ტკივილი, პოეზია, ჰანგები,
შენითაა ალვსილი, შენ ანთიხარ არ ქრები,
შენს დათოვლილ ბილიკებს, შენს ქუჩას და ნარგავებს,
მარტში ჩუმად მოსული წვიმა გაანარნარებს.
გული ველარ გივიწყებს, დედა თბილისს აკლიხარ,
შენ ხომ მზეჭაბუკი ხარ, დედის გულის ვარდი ხარ,
შენი სუნთქვა დაჰყვებათ ვარდებს, იებს სამყურებს,
გაზაფხული იფეთქებს, სიკვდილს გაანადგურებს.

06. 04. 2016. წ.

## შენ ნავს დაქებ.......

*ვუძღვნი კინორეჟისორს, ნიკო ბაღაშვილს*

ცისკენ რად იწევს ეს ვარსკვლავები,
ან ღრუბლებს მთები რატომ არწევენ,
ამ სიყვარულში შენ გამოჩნდები,
ქიზიყელი ხარ და მზეს გაძლევენ.
მე ხმები მესმის მუსიკის კვნესის,
შენი ფილმებით ელვარებს სცენა,
ცისფერია და ვარდისფრად დადის,
ზღვის ფოსფორებში ეს ალმაფრენა.
შენს ნავს დაეძებ ზღვაზე რომ დადის,
რომ ვარსკვლავებმა ჩაგკიდონ ხელი,
მენავეც გინდა საბედნიეროდ,
არ გეშინოდეს ცურვის და ფრენის.
ნიკალასავით დატკბები მაშინ,
როს გაიხსნება წამი მიგნების,
შენ პოეზიამ გამოგიგონა,
სურიდან წყაროდ გადმოდინდები.

## ჩემს დედას!

მდელოს სურნელებით დავდივარ,
წყაროს სიმღერებით დავალ,
დედის სიტყვები მაქვს ნადიმად,
მამის მანერა და გავლა.
წლები უთვალავი გასულა,
თითქოს გენატრები, მხედავ,
ვხედავ უძვირფასეს შენს სურათს,
თითქოს მითვალთვალებ დედავ.
ჩიტმა ჩამჭიკჭიკა ამ დილას,
დედა, შენი სუნთქვით ხარობს,
გულმა რაოდენი ითმინა,
დარდი რაოდენი ვთვალო.
მაისს სურნელება დააკლდა,
დავქრი ფრთაფარფატა პეპელა,
ხედავ? უკვე მოგიახლოვდი,
ხედავ? მოგეპარე ნელ-ნელა.

24. 02. 2016.წელი.

## სააკაძეა მისი დიდება

გამოიშლება წეროთა ჯგუფი,
მაღლა ზეცაზე ავლებენ ზოლებს,
ჩაგიჩურჩულებ, სამშობლოვ ყურში,
ღმერთო, ერთმანეთს ნუ დაგვაშორებ.
რამდენჯერ მითხარ, თავი შეიცან,
რამდენჯერ მხატე, მწერე და მშალე,
გადაგეხვიე ყელზე შლეიფად,
მაინც კი ცრემლი ვერ შეგიმშრალე.

ღალატიაო! ერთად იქუხეს,
მოურავს ასწყდა მხრიდან მიმინო,
შეეწირება წავკისის ნადიმს,
იორლა ცხენით რომ არ იფრინოს!
ლიახვი ახლაც „შავლეგოს" მღერის,
არაგვზე გმირთა ცეცხლი ინთება,
ნოსტეს რად უნდა ციხე და ბჭენი,
სააკაძეა მისი დიდება.

## შენ ვეება ხარ

რად არ მეძახი? სად ხარ ნეტავი?
შენი ხმის ორთქლი ქარის ყვავილებს
ჩემთან რად არ შლის?
ცივი ნისკარტი გულს რად მიპენტავს?
მე სიზმარს ვხედავ: მწვანე მდელოდან
ბალახს როგორ ჩამოათივებ,
და მოცელილი ყვავილების მე მესმის კვნესა,
შემდეგ მზე როგორ აეცლება ცაში არწივებს,
შენ ვეება ხარ, მაგრამ ვიწრო წერტილში დგახარ,
მე კი არ ვიცი, სად ვიყავი,
იმ სიზმრის ორთქლში, თუ იმ კვნესაში
ჩავეკარგე ყვავილთა მზერას,
ან აღმოვცენდი თავთავებში ალბათ იმიტომ,
რომ შენთვის კიდევ ერთხელ ტკბილად
ჩამომემღერა.
წამს სასთუმალმა ღამის გული დაისაკუთრა,
გრძნეულ სიზმრებთან გადაება წერტილი წერტილს,
ყვავილწნულები გაიტაცა ქარის ალღუმმა,
მე ნაყვავილის დამიტოვა პატარა წრედი.

## აფხაზეთო თვალწარმტაცო!

აფხაზეთო თვალწარმტაცო,
საქართველოს თბილო კერავ,
სისხლდაღვრილო მეომარო,
დარჩენილო ობოლ კვერად.
დარჩენილო ოცნებებო,
კოდორსა და ბაბუშერას,
ნატყვიარო ველ-მინდვრებო,
გერანო და აზალიავ,
არსად არ სჩანს თქვენი ნენე,
აგერ უკვე სამხარია.
თითქოს ჩიტი გადმოგძახის,
ვერ იპოვე? ვერა, ვერა,
ნატყვიარო ჩემო ძმებო,
გაფანტულო ღერა-ღერა.
შორს გაფრენილ ოცნებებში,
ლურჯო ნისლო საპოვნელავ,
ნეტავ ერთხელ ჩაგახუტათ,
ჩადრმოსხმული დედის პერანგს.

## სოხუმი ჩემი, არც თუ შორია

ეს ჩანჩქერები შქერის ცეცხლია,
მშობლიურ მთებში ჟამს მიჩვეული,
ეს აფხაზეთის თბილი ვერცხლია,
წინაპართ ძვლებთან გადარეული.
რა შეუცნობი გამხდარხარ მდელოვ,
რა შეუცნობი გახდი სამყაროვ,
საიდან მოდის ამდენი გესლი,
ძმა ძმისაგან რომ უნდა გაგყაროს.
სოხუმო, ჩემო დასაფიცარო,
საკალმახეო რიწავ ტატანო,
ამოტივტივდი წარსულის ცრემლი,
იქნებ ყვავილად ამოატარო.
მე დავინახე ეკლის ღობეებს,
როგორ აბამდა რუსული მართვე,
რა იყო, ერთი გოჯი მიწისთვის,
მე თქვენი ხალხის სიყვარულს მართმევ.
შემოგვიერთდით, ჭაღარა ბიჭებს,
ფსოუდან ჟინი გადმოგვყოლია,
კლდეთ დავუდგებით ბიჭვინთის ფიჭვებს,
სოხუმი ჩემი, არც თუ შორია.

## ემიგრანტის სიმძიმე

გული როგორ გიკვნესის,
სული როგორ იტირებს,
საქართველოვ გიკვდები,
კერა წაიქვითინებს.
სად წახვედი, სად მიგაქვს,
ემიგრანტის სიმძიმე,
დიდ გაზაფხულს დასცილდი
ზამთარს წაუღიღინე
ეს კისკისა ჩიტები,
ეს რაკუნა ვერხვის ტყე,
ვილას ჩაეხუტები,
აკვანს დასდის დედის რძე.
ოკეანეს გადახვალ,
სამშობლოდან შორია,
იქ ხომ ხე არ გაზრდილა,
შენი თანატოლია.
გონებაში რაც ჩაგრჩა,
წაიშლება ნაწილი,
დედა დაგესიზმრება,
შენი სულის აჩრდილი.
ხელგამოწვდილ ენძელებს,
ხელგამოწვდილ ღიღილოს,
თვალზე ცრემლი მოადგათ,
უნდა გამოგიტირონ.
მაგრამ, ერთს კი ვიტყოდი,
ვინც რაც უნდა ისა თქვას,
ჩემი საქართველოსთვის,
ქვაცა ვარ და მიწაც ვარ.



ნაირა ნიჟარაძე

## სიმდიდრე

ქალის სიმდიდრე
კარგი შვილია,
გაუხარია ბავშვის
ჟღურტულით,
„ჩემი დედიკო”-
სიტყვა ტკბილია,
და ჩახუტება
გულში ჩურჩულით.

ჩვენც ხომ ვიყავით
ნორჩი, პატარა,
არ შეიძლება
ყოფნა სხვაგვარად.
დედამ პაწია
ლოყებფუნჩულა,
გამთბარი მკერდით
დიდხანს გვატარა

.

## ჩემი მშვენიერი გოგონა

იასამნების ცქერით ტკბებოდა,
ჩემი მშვენიერი გოგონა,
მზესავით იცოდა გაღიმება,
მოფერებოდი ოლონდაც.
ყაყაჩოსფერი კაბა ამკობდა,
ვარდების გახარება იცოდა,
კნუტებს კალათით ატარებდა,
მუდამ სიყვარულით იწვოდა.
ჩემი მშვენიერი გოგონა,
დაგოგმანობდა ალუბლის ხესთან,
ცვარ-ნამიანი ნარცისის კონა,
დილით შემოჰქონდა ჩემთან.
ყვითელგულიან გვირილას რგავდა,
ერთგული ძაღლიც ჰყავდა,
უფლის შევედრების სწამდა,
დედა-ღვთისმშობლისას ჰგავდა.

## არ დაგკარგო

თაფლისთვალიანო,
ჩამეხუტე, კარგო,
მეშინია, უცებ
სადმე არ დაგკარგო.
მსურს ტკბილი ტიტინით,
გული დამიამო,
ამ ფერდობზე მარტომ,
აღარ გაიარო.
მზეო, მზეთამზეო,
სიცილო და ლხინო,
მზრუნველ დედას გული,
არასდროს ატკინო!
თაფლისთვალიანო,
ჩამეხუტე, კარგო,
მეშინია, უცებ
სადმე არ დაგკარგო!

## წითელი ვარდი

ნათელი დღეა,
მაისის თვეა,
ყაყაჩო გზაში,
გვირილა სახლში.
ღიღილოები
გოგოს საწოლთან,
სიყვარულისთვის
ვაჟმა დატოვა.
ბოროტმა ხელმა
ვარდი დაჩეხა,
ამოიყარა,
ამას რას ვხედავ!
ხვალ გაიშლება
ნორჩი კუკური,
და განათდება
ღამე უკუნი.
წითელი ვარდი
ჩემი შვილია,
მასთან სიცოცხლე
ძალზე ტკბილია!

## ნეტავ

მზეკაბანი მოდის,
გამობრწყინდა დილა,
არსად დავა, შფოთი,
გაჰქრა ღრუბლის ფთილა.
ჩამოვიდა შვილი,
შორეული გზიდან,
ნიავია გრილი,
ძრთვილი ჩნდება ციდან.
ვიღიმებით ერთად,
ხელი ხელში დნება,
მივიჩნიე ღმერთად,
ოცნებები ხდება.
ნეტავ, მზიან დილით,
გაეღიმოს ყველას,
შორს წასული შვილი,
დაუბრუნდეს დედას!

## არ გამოჩნდება

შემოცქრიალდი,
გულის მპყრობელი,
როგორც ღვთისმშობლის
მახარობელი,
შენ უწმინდესი
ქალწული იყავ,
სადღაც მთის ძირას
რა გინდა, მითხარ!
ნაზი ხელები,
თვალები ტბები,
და ოქროსფერი
ბზრიალა თმები,
არ გამოჩნდება
ჩვენს გვერდით გზები,
რა მალე ვკვდებით,
რა მალე ვქრებით!

## აღდგომა

- შენ ხარ ლილია,
ფართოფოთლება,
სეტყვამ დაგსეტყვოს
როგორ მოხდება.
-შემოცქრიალდი,
მერცხალო, ბაღში,
შენი ნათელი,
ბრიალა სახით.
და დაიყვირე:
-აქა ვარ, აქა,
ნუ გეშინიათ,
კარგად ვარ, კარგად!
და გაითენე
დღესასწაული,
ქრისტეს აღდგომა
დღე სასწაული!
საქართველოში
გვიყვარს აღდგომა,
და გვიხარია
მისი დადგომა.

## ველარ

ველარ გავივლით ერთად,
ველარ ვიმღერებთ ერთად,
ველარ გავაწყობთ სუფრას,
ვარდით მოჩითულს, სუფთას.
ვაი, შენ ჩემო თავო,
გული აღარა ხარობს,
რად გამიფრინდი, ქალო,
ნეტა რისთვისღა ვწვალობ.
სევდა ჭაპანად მაწევს,
ალვებს ნიავი არწევს,
არ მესიზმრები, არა,
მახსოვხარ წარამარა.
ვერ გამახარებს ფიქრი,
და ვერც ამოსვლა ცისკრის,
არ დაბრუნდები, ვიცი,
ეს ჩემი გული იწვის.

## ნატვრა

ქმრის სახლში მინდოდა,
ბავშვებით მენახე,
ჯანსაღი, ფეხმარდი,
ცოცხალი, ენამზე.
ტკბილი ხმით ამბობდი
ზღაპრებს და არაკებს
ფანჯრიდან აცნობდი,
ბუნების სანახებს.
რა უცებ გაფრინდა
ნანატრი დღეები,
გაყვითლდა ცინცხალი
და მწვანე ფერები.
ახლა კი შავფერი
ძეგლი დგას საფლავზე,
ნეტავი სანატრელს,
სიზმარში გნახავდე!

## წუთისოფელი

ლამაზი გოგო,
გვიყვარდა როგორ,
ადრე დგებოდა,
ბაღში ჩნდებოდა.
ჰყავდა ქათმები.
ჰქონდა ატმები,
და სათამაშოდ
კურდღლის თათები.
წმინდა ხატები,
ჭრელი კაბები,
და გაციების
თეთრი აბები.
ბედი არ ჰქონდა,
ძალით გაჰქონდა,
კეთილი გული
თბილად დაჰქონდა.
ამერიკაში ჰყავდა
დობილი,
გადაფრენილი
ცაში ორბივით.
ტელეფონებით
რეკდა ბაია,
და პასუხობდა
ღამით მაია.
უცებ მოვარდა
ავი სიკვდილი,
და არ აცალა
გოგოს სიცილი.
ეჰ, რა ცოტაა
წუთისოფელი,
დროებითაა
ეს სამყოფელი.

## მაგონებს

მოგქონდა ახლად შეძენილი
ატლას-ფარდები
ეძებდი ვაზებს, ძვირფასეულს,
დიდხანს არჩევდი.
გიყვარდა კოხტა სამოსელი,
თეთრი ფარდები,
უხვად გაშლილი ალისფერი
ფართო ვარდები.
გობელენები, დასაფენი
ნოხი მდიდრული,
და აივანზე ვაზის წნული,
ჩამოკიდული.
ძველი მხატვრული ნაკეთობა,
სიასამური,
ანგელოზები, ღვთისმშობელის
ხატი, ამური.
სულ აგროვებდი გირჩებსა და
კაკლის ნაყოფებს,
ეს ყველაფერი, მშვენიერო,
შენს თავს მაგონებს.

## რად

იხიბლებოდა შენი მნახველი,
იფანტებოდა მძიმე ნაღველი.
ფრთანისლიანი გფარავდა ძალა,
რად დადიოდი, ძვირფასო, ცალად.
მზის სამყაროში, ვინ იცის რატომ?
არავინ შეგხვდა, ერთგული, სანდო,
და სიყვარულის ოქროს ჯავშანით
არ მოგეხვია ქარი აშარი.
ხვალ ცისარტყელას კაბა ჩაიცვი,
რა გელოდება, არა, არ იცი,
გადმოგვაფრქვიე ნაზი ღიმილი,
და დაგვავიწყე სევდა-ტკივილი.

## რა მელის

ლაღად დარბიან ტყეში ირმები,
რისთვის ჩამიწყდა გულის სიმები,
მინდა გიამბო შემდეგ ამაზე,
რა დავაშავე ამ ქვეყანაზე.
მიყვარდა წრფელად ადამიანი,
და სიკეთეზე მუდამ ვფიქრობდი,
მზეს შევხაროდი, მიწას ვუვლიდი,
სიხარულისკენ გულით ვილტვოდი.
და რა მივიღე სამაგიეროდ?
ერთი მითხარი, ღმერთო ძლიერო,
შვილის დაკარგვა, ტანჯვა-წვალება,
კიდევ რა მელის, გულისხმიერო?!ს



**Нана Месхи**
**ნანა მესხი**

### ТОТ -МИР

Знаю я что есть тот где-то мир
Где ты дышиш вольно,полной грудью
Солнце светит яркими лучами на заре,
Воздух ароматами вселенскими окутан...

Там сущности красивы и прзрачны,
Слова не нужны,  жесты не нужны
Скрываются под сущностями души,
Которые возвысились над плотью как пары

Переходя из мира нашего в тот мир - иной
Они преодалели боль и тяжесть,
А там почувствовали радость и любовь,
Тепло любви той истинной и мудрой....

Любовь там правит вечно и везде
И посылается на землю нам как чудо....
Живите долго все и знайте вы
Что жизнь перерождается как вечер в утро.

### СОН

Ветром зимним, зноем лета
Разальется песня эта
Зашумит прибоем море,
Зазвенят деревьев кроны,

Зацветут поля ромашек,
И рассвет заголубеет
Мы пойдем дорогой сказки,
Там тепло и день длиннее

Песень птиц прольется в небе,
И весна наступит скоро,
Просияет солнце в небе
Обласкает вечерь снова...

Улыбнемся мы друг другу
Пожелав спокойной ночи,
И дождемся вновь рассвета
Нежного как пышность пуха.

### ЧЕЛОВЕЧЕК

Скрюченный , сморшенный
Силою зла
Жил человечек
Похож на ежа

Жил размышляя
Про это, Про то
Злом ухмыляясь
Забывь про добро,

Мыслям и помыслам
Гадким и злым,
Дав пробудиться
Из всяческих сил

Видел во всем
Искажения смысл
Зависть в зрачках -
Излучавших циннизм.

Жил человечек
С гримассой в лице
С завистью в сердце
С грязью в душе.

И ужасался
Увидеть он то,
Что излучало
Прелесть, добро

Юнную девушку
С нежным лицом,
Смелого юношу
С храбрым словцом,

Прелесть весны,
Преломляющий свет,
Преданность дружбы,
Искренний смех.

Корчился, моршился
Он от всего,
Что озоряло,
И радость несло

Жил он и верил
Что быть так должно,
Не понимая
Не знав про добро.



გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)

## სიცოცხლის გაელვება

ხორცი შემასხა მშობელმა მიწამ,
სისხლი ჟუჟუნა წვიმებმა მომცეს.
სული ნიავმა შთამბერა იმ წამს
და "დაბადება" ეწოდა პროცესს.
მოვედი, რათა მცირედი წვლილით
შევალამაზო ქართული სივრცე.
მტერს -მტრის მივუზღვო, ძმას
კი – ძმის წილი
და მიწის ქმნილი კვლავ
მიწად ვიქცე.

1998წ.

## სამაჩაბლოს ბულბული

ხმები მოაქვს ზენა ქარს
სამაჩაბლოს ბულბულის.
ნახნავს, თუ ნავენახარს
სურნელი სდის სუმბულის.
მადლი სცხია მიდამოს
ბარაქის და ხვავისა.
რაც არ უნდა ვიდავოთ,
დგას იმედი ხვალისა...
გალობს, გალობს ბულბული,
ტოლს არ უდებს ბარე ორს.
მზეზე მბზინავ ბუმბულით
ეხამება გარემოს.
ნულარ იქმთო საძრახისს,
ომს- უარი ბარემო!..
მოუხმეთო, დაგვძახის,
გონს ორივე მხარემო.
ხმით უგალობს ფრინველი
სამაჩაბლოს მომავალს.
ჰკვირვობს ბევრის მხილველი,
დაფანტულნი რომა ვართ.
ჰანგებს აფრქვევს... დაეძებს
ძმათა შორის სამართალს.
მოიძიებს და ეგეც
გაუყვება გზამართალს.
ახსოვს, ქუში დაისი
სიკვდილს მოჰყვა, ფრთებიანს.
სადაც ომის ხმა ისმის,
იქ ფრინველნიც ფრთხებიან...
მიგვატოვეს გრგვინვებმა,
ცისარტყელაც გამოჩნდა...
ომმა ასე ინება,-
იქცა ყველას გამოცდად.
და ხმაურობს ის ველი,
ძმები შუღლს რომ ვიწყებდით.
მონაცრისფრო ფრინველი
მღერის თავდავიწყებით.
მღერის თავგამეტებით,
მღერის თავდაჯერებით,
გზებზე აღარ ეტევა
ჯადოსნური ბგერები.
ეფინება მანდილად
ხალხებს ჩიტის გალობა.
წვიმად მოვა ნამდვილად
ციდან ღმერთის წყალობა.
გალობს, თითქოს, აკვანთან
იავნანას მღერიან...
...გასროლის დრო დამთავრდა,
ახლა ძმობის ჯერია!..

2014წ.

## ზეციური ანდამატი

იმ სადაგ დღესაც ზღვა იყო ლურჯი,
მზე იყო მწველი და ერთადერთი.
მიქელანჯელოს ნაქონი ფუნჯით
მითიურ სურათს ხატავდა ღმერთი.
უსასრულო და ულრუბლო ზეცას
ეჯიბრებოდა ხასხასში მოლი.
ქედებს პალიტრის ქათიბი ეცვათ
და ის ცა ეპყრათ მელოტი ზოლით.
მზეზე კრთებოდა გამა ფერების...
გზებზე კვდებოდა ჟამი თარეშით...
ახლოვდებოდა დრო მოფერების
ღმერთის ნებართვით, თუ მის გარეშე.
ჩამოაძერწა მხატვარმა ტანი,
(იდგა დუმილი მზეჩაღვრილ დღეთა.)
ისე მოარგო ფერი და გარი,
ვით ნინოს ჯვარი მოერგო მცხეთას.
მერე ხელ-ფეხი მოხატა დინჯად
და მკერდს შემორჩა ფუნჯი ორ ბორცვად.
ღმერთი იდგა და ქალწული იჯდა
ჯერ უსახურად, და, მაინც, მორცხვად.
მერე თვალ-წარბთა ვნება და სახე
გამოიკვეთა მდგარი ხვატიდან.
მერე შთაბერა სული და ვნახე,
როგორ გადმოხტი იმ ნახატიდან.
გარემოსილი იყავი მქრქალი
და მაინც უცხო ფერის სამოსით .
დროს, როცა ცხადგყო უფალმა ქალი,
ვერ აგვიწერდა ნოსტრადამუსიც.
ბიჯი ლივლივით გადადგი მოლზე
ისე ფაქიზად,ისე ნარნარად,
რომ მე გავთვალე სამყარო ორზე-
შენ დაფრინავდი,როგორც ფარვანა.
ირგვლივ იწვოდა მუხტი და მკრთალი
ალი სწვდებოდა ბარე ორს კიდევ...
შენ წამიერად წამართვი თვალი,
მერე ის თვალი ველარ მოგწყვიტე.
ვნებით გიწეწდა სიო დალალებს-
ო, მინდა, წუთით ის დრო დაბრუნდეს:
მე ვთრთოდი, შენ კი ხელი ჩამავლე
და შენს სავალზე შემომაბრუნე.
მზეობდა მზისებრ მზირალი მზერა,
გაკლდა გვირგვინი და ხელში-კვერთხი...
მე მაშინ მივხვდი და ახლაც მჯერა,
რომ შენს შექმნაში ერია ღმერთი.

2006წ.

## გაზაფხული მოსულა

ღამის ნაშობ განთიადებს სიო ძუძუს აწოვებს,
არემარე გარინდულა უკეთესის ლოდინში.
ნადავლს ეძებს ტყეში ხვადი... ორთქლი ასდით საძოვრებს,
ნებივრობენ ენძელები მარტის გაშლილ ლოგინში.
თოლიები ზღვაზე მნათობს უმზადებენ სარეცელს,
მზე კი ცაზე მოგორავს და ეფერება მიდამოს.
ჯეჯილს სურს, რომ ზამთრის კითხვებს პასუხები გაეცეს,
ხვალ კი ტალღად აქოჩრილმა ურჩ ნიავთან იდავოს.
სიცივისგან მობუზული შენც ბელურას მაგონებ,
ნაზამთრალზე გაიშლები, გადაიგდებ კაეშანს.
გაცრეცილი ნისლებიდან გამოპარულ მთა-გორებს,
სიყვარული აუფრინდათ და შენს ფერხთით დაეშვა...

2015 წ.



**ილია ზაქარაშვილი**

*******

არავის ესმის და არც მინდა, ესმოდეს ვინმეს,
როგორ მოდიან უჩვეულოდ შენზე ფიქრები,
მე თუნდაც შენი სიცოცხლე და სამყარო მჭირდეს,
მაინც არასდროს ან ვერასდროს ვერ შევიცვლები.

როცა მიჭირს და გამოსავალს ველარ ვპოულობ,
ცაზე ვუყურებ ვარსკვლავებში არეულ ფიქრებს,
ღმერთთან მივდივარ პატიებას ისევ ვთხოულობ,
ამ სამყაროში ზედმეტი ვარ და იქნებ მიხვდეს.

რადგან გარშემო დეპრესიის ფართო დერეფნებს
მივდევ იქამდე, სადაც ვიცი რომ ველარ გნახავ
და შენი კარის შესასვლელთან ვტოვებ დეპეშებს,
იმ იმედით რომ ერთ-ერთს მაინც ოდესმე ნახავ...

გავდივარ ქუჩებს დაკარგული მხედველობიდან,
მიძინებული ნაპირები იშლება თითქოს,
შევცქერი მთვარეს შენი სულის შენობებოდან
და ვიღაც მოდის თავის წილს და თავის გზას ითხოვს.

როცა მთავრდება ყველა გზა და ყველა შენობა,
გამოსავალი დამეკარგა, ვანელებ სუთქვას
და ჩემში რაღაც შენი ნაწილი ისევ შემოვა,
თითქოს არავის არაფერი არასდროს უთქვამს.

რჩება გარშემო მხოლოდ დარდი და დეპრესია,
ასე მარტივად ავითვისე წესი ცხოვრების,
ეს ჩემი სული განშორების ადათ-წესია,
რადგან უნარი დამეკარგა ყველა ოცნების...

***

გზებზე უმოძრაოდ დგანან შენობები,
სუფევს გაგიჟების სრული ჰარმონია,
ახლა მომსვლელებსაც აღარ ველოდები,
შენი დაბრუნებაც რაღაც არ მგონია.

გახდა გალანტური ხალხში ქედმაღლობა,
დროსაც ვმათხოვრობთ და სხვებსაც
ვეჯიბრებით,
არის მეორადი ჩვენში თავმდაბლობა,
ცოდვებს ჩვენ ჩავდივართ, სხვებს კი
ვეკითხებით...

ჩემი უზნეობის ყველა ნიშნულიდან,
ვფიქრობ, გასაქცევი გზები ყველგან გაქრა,
პლიუსს გაჩუქებდი ჩემი მინუსიდან,
რადგან ცოდვის მეტი ცრემლიც აღარ დამრჩა.

გადის დროება და ჩვენში ილექება,
ყველა სიბილწედან ცოდვა მცირე დოზით,
ლექსი მელნით არა, სისხლით იწერება
თქვენ კი ქალბატონო, მართლა,
ბევრი მოგდით.

ისე იფიტება ირგვლივ შენობები,
ჰაერს მოცულობა თითქმის გაეფანტა,
არა, აღარაფერს აღარ ველოდები,
რადგან ამ ლოდინსაც აზრი დაეკარგა.

და ამ ეპოქასაც ახლა წიხლქვეშ ვთელავ,
ისევ მანკიერი დამრჩა თვისებები,
ვდგევარ ქუჩაში და
მხოლოდ ღმერთზე ვღელავ,
მისი სიცოცხლისგან ჩვენ რომ ვიკვებებით...

***

და როგორც არასდროს უკან არ ბრუნდება,
მეც ასე ვუშვებ და განვიცდი დანაკარგს.
ფილტვები ჰაერით დროდადრო ბრუვდება,
მუცელში იკლავენ დედები ჩანასახს.

ილუზიებით ვცხოვრობ და ვფიქრდები,
რამდენი გავყიდე,რამდენმა გამყიდა...
იუდას სისხლი მაქვს, ვერცხლებად ვიღვრები,
ასეთი სიცოცხლე, რატომღაც, არ მინდა.

დრო მიდის, თუ მოდის, ვერაფერს ვერ ვიგებ,
კალენდარს რიცხვები მიადნა თაროზე.
ისეთი სუსტი ვარ, ჩემ წილსაც ვერ ვიღებ,
გადავწვავ მოსავალს გრძნობების კალოზე.

რა ფასში გაგყიდეს, ამაზე ნუ ფიქრობ,
მთავარი ის არის, უკან არ დაბრუნდე.
მარტივად რომ გითხრა, ყველასთან ნუ ტიპობ,
აჯობებს, ყრუ ხალხთან უბრალოდ გაჩუმდე...

როდესაც შეიგრძნობ ზურგსუკან დანის წვერს,
ტკივილი ყოველგავრ შიმშილზე მეტია,
პატივს ვცემ მხოლოდ მარტივ და ნამდვილ მტრებს,
ამ აზრით ცხოვრება მართლა ზედმეტია!

მოვიკლავ იმედს და გავწირავ გასაწირს,
დაღლილი თვალებით ტყუილი ძნელია.
მოპარავ გლახაკს ტაძართან შესაწირს,
ასეთი ხალხი  აქ მართლა ბევრია.

შენდობის ნაცვლად ყელიც კი გამოჭრეს,
თითქოს და იციან რა არის მართალი.
აქ მეგობრობა საკითხად წამოჭრეს,
არ მყოფნის გზა და არ მყოფნის საგზალი.

გავდივარ ქუჩებს და გავდივარ საათებს,
ხანდახან ფხიზელი, ხანდახან დამთვრალი...
სინათლე არ გვაქვს და სიბნელე აანთეს
და მაინც მრჩება თვალები ჩამქრალი...

***

მე დავიბადე იმისთვის, რომ გარდავიცვალო,
ზეცამდე მტკივა დედამიწის ყველა ნაბიჯი,
კიდევ რამდენი დილა უნდა გადავიტანო,
ერთხელ შევძლებ და მზის ამოსვლას მაინც დავუცდი.
დღეებს ვაცილებ, შუაღამემ იცის მიჩვევა,
მზის სხივებს არ აქვთ ის სინათლე, რაც მე მჭირდება
და მაინც ალბათ ეს ცხოვრება არის მიგნება,
თან ჩემი სულიც ამ ფიქრებში ისე მშვიდდება.
ამ ოთხ კედელში სამნი დავრჩით სულ მარტოდმარტო,
ჯოჯოხეთამდე ცოდვები მაქვს კიდევ რამდენი,
ღმერთო, ვერ გხედავ, შენი მწამს და ამ რწმენით გნატრობ,
შენ ტაძარი ხარ ჩემი სულის აზრთა დამტევი.
ლუციფერთან ვარ, ჩემი სული მოშივდა მგონი,
შიში აღარ მაქვს, მაგრამ მაინც გაქცევა მინდა,
ძმაო, მისმინე ჯოჯოხეთი არ არის ჭორი,
სიმართლეს გეტყვი, ჩემი სიცოცხლე არაფრად ღირდა...
ისევ მარიგებს, რომ შევცოდო როგორც მოკვდავმა,
მითხრა მცნებები ამ ცხოვრების არის სამარე,
თავის ჭკუაში წამიერი გრძნობით მომქრთამა,
მე კი მივუგე, გამშორდი და ესეც მაკმარე...
ნაიარევად დამიტოვა ამ ჯოჯოხეთმა ჩემი ცოდვები,
უფლის დიდებამ შვება მომცა, გამომაფხიზლა,
ადრე თუ გვიან შენც გახსოვდეს, მაინც მოკვდები,
ჯოჯოხეთიდან ამ სიტყვებით გამომაცილა...

***

რაც გინდა დაარქვი, არა აქვს აზრი,
ცხოვრებას რომელიც უკუღმა ტრიალებს,
კარგად დაფიქრდი, სანამ სხვას განსჯი,
სხეული შენი ძილის წინ ხომ არ წრიალებს.

სინდისის ქენჯნას ყველა ვგრძნობთ ალბათ,
რადგან ცოდვები არ გვასვენებენ,
შემდეგ კი ირგვლივ ყველაფერს ვკარგავთ,
იმ იმედით რომ დაგვასვენებენ.

ფეხქვეშ გვეცლება ეს მატერია,
რასაც დავარქვით სხეულის სახლი,
ისე გამოღრღნის სულს ბაქტერია,
გაეფანტება სუნთქვასაც არსი.

შემდეგ კი რთულად ვუყურებთ ფერებს,
ისე მუქდება ირგვლივ სამყარო,
მივაბჯენთ ცისკენ ცოდვიან ხელებს,
ღმერთს ვეხვეწებით, აღარ დაგვტანჯოს.

საკმარისია ჩვენ ვიგრძნოთ შვება,
იმავე წამსვე უარვყოფთ ღმერთსაც,
ადამიანმა ისწავლოს ფრენა,
არ მოასვენებს საფლავში მკვდრებსაც.

სწორედ ამიტომ გავხდით მონები,
ჩვენი ცოდვების რომელიც გვმართავს,
თავი გვგონია უფლის სწორები,
დარჩენილ დროში ყველაფერს ვკარგავთ.

ყველაფერს რასაც მოაქვს სიმშვიდე,
უკვე გავწირეთ და გავიმეტეთ,
შენ კი არწივო, მაღლა იფრინე,
რადგან სიცოცხლე ჩვენ გავიძნელეთ.

მე იმ შენდობის დედაც ვატირე,
როცა პლიუსებს დაიწერს მოყმე,
მთელი სამყარო ჩვენ ავატირეთ,
და გავიმეტეთ ჩვენივე მოძმე.



ბეჟან ხარაიშვილი

## ნატვრა

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,
რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

## რუსთავო

ამ დღეს ელოდი,
დუმდი, დუმდი ასეულ წლობით,
ველარ გადურჩი
ათას მომხდურს, ათას ურჯულოს
მეც შენთან ვიყავ,
იმ გრიგალებს მეც გავუძელი...
ვკოცნი ყვავილებს,
ქარ-წვიმიდან გამობლუჯულებს.
წამოიწევენ გორაკები შუბლნათურებით,
რომ მეც თანდათან მიმაზიდონ
ახალ პირიმზეს.
ფერფლზე ამოსულ
იმ ჭადრის ხეს ვექართულები,
ფესვი ხელახლა რომ გაუდგამს
მტკვირს ნაპირებზე.
და სტრიქონებიც
მერცხლებივით ცასთან შეხლილან, –
თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა
დღეს შემიძლია დავიჭექო მტკვართან მეხი-
ვით,
ბებერ მდინარეს
დავადევნო სიტყვა თამამად
მტკვარო, იყუჩე,
შენც გეყოფა წარსულზე ოხვრა,
სისხლო, იდუღე,
ნუ ჩადგები ძარღვებში მდორედ,
ხარო, იბღავლე,
პაპის გუთნით სხვა ბელტებს მოვხნავთ,
ფიქრო გამიძეხ, –
სადაც მიცდის მწვერვალი შორი!

## რატომ გამიფრინდი?

ტყემლების თეთრი ფიფქი,
შენს ბაღში რომ თოვდა,
ნიავს გაზაფხულის
სუნთქვა შემოჰქონდა.
მათრობდა და მწვავდა
მაგ თვალების კრთომა,
მკერდი სავსე გქონდა,
როგორც შემოდგომა.
შენთვის ავირჩიე
ყვავილების კონა,
გვიღიმოდა არე
სხივით დაქარგული,
რატომ გამიფრინდი,
როგორც ჩიტბატონა,
ნუთუ ნაადრევად
მოდის გაზაფხული?

## სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

## გახსენება

გახსოვს? – მოდინახე,
ღვინო ალისფერი,
მთვრალი მგზავრები და შორი გზები...
წამომელანდები კლდეზე შემომდგარი
და ხელს გამოგიწვდი მორიდებით!
სიო ჩაიყურებს წამწამთ სიშავეში
შენ კი მთებს გაჰყურებ ნისლიანებს,
თრთოლავს გიტარა და მწვანე მოლზე
ღვინით სასმისები ივსებიან!
გახსოვს? – მოდინახე...
მზეი ჩამავალი,
გულთა იდუმალი ბგერის გადაცემა,
ხედავ? – ჩავჩურჩულებ და მთის ნაპრალიდან;
ქალაქს გადმოვხედავთ ალმაცერად.
ეკლებს გაურბოდი, წუხდი დამკაწრავსო,
თმები შინდის რტოზე დაგეწნა,
ვკრეფდი ფურისულებს
ახლად დაჩიტულებს
მერე იმედივით გიწოდებდი,
ნისლში ირწეოდა მთიდან მონადირე,
ჟამთა ნასეტყვი და ნაწვიმები,
...დავრჩით ხელგაწვდილი მთის მწვერვალზე,
დავრჩით ასაფრენი არწივები!

## შემოდგომით

ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი,
ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება,
ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი
და პასუხად კოცნის არ დაყოვნება...
მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე
სიმინდებში მთვარის ჩანამგალება,
კლდის ქვებიდან გადმომდუღარ ჩანჩქერის
თვალით შესმა და წყურვილის წვალება...

მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ
გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა,
თავთუხებზე ხოხბის ფერთა ფენაში
უშენობა დაჭრილივით ჩავა და...
ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ ღამეს
მტევნების თვე მიმაწურე ბაგეზე,
ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა
შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეზებ.

## გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?



გულნაზ ხარაიშვილი

**დარიკო ონიანმა, სამი წლის განმავლობაში მწოლიარემ, ფეხზე სიარული შეძლო უფლის რწმენითა და ლოცვით. უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით აღკვეცილი იქნა მონაზვნად (იოანა)**

# სიცოცხლის განმეორება

**დ**-აიბადაო ნაბოლარა პატარა დარო,
**ა**-მომავალ მზეს ადარებდნენ ციცქნა გოგონას,
**რ**-ამენაირად კალმის ჩრდილში მსურს შევიფარო
**ი**-ასაც გავდა, ონავრობით ბიჭიც ეგონათ.
**კ**-აცურიც იყო, სულ ცდილობდა ძმებთან მდგარიყო,
**ო**-მახიანი, თან კეთილი, უსაყვარლესი,

**ო**-ცნებიანიც... სხვის მჩაგვრელი სულაც არ იყო,
**ნ**-უკრის თვალება, აპურებდა ყველას ალერსით.
**ი**-ქნებ უფალმა მოავლინა სხვათა პატრონად,
**ა**-ნდა ტკივილის სიმწუხარის გასაქარვებლად.
**ნ**-ატანჯ მამულს, რომ მტერი ძალით დაეპატრონა,
**მ**-ოასკდა მის გულს, ქარბორბალა მგრგვინავ ქარებად,
**ა**-მან გატეხა, სოხუმში, რომ სხვა ზის ბატონად.

**ს**-იონის სახტარს სიმწუხარის ზარმა დარეკა,
**ა**-ვად გახდაო, ეროვნული სულის მფლობელი,
**მ**-ებრძოლი იყო, კაფავდაო ხელით ნარეკალს,
**ი**-ს მუდამ იყო, ერის მტერთა უარმყოფელი.

**წ**-ელში გაწყვეტილ მამულისთვის თავს არ ზოგავდა,
**ლ**-ომგულ ვაჟკაცებს გვერდში ედგა გასამხნევებლად,
**ი**-ას გავდაო ნაზი ქალი ისე... ზოგადად,
**ს**-ასმისაც სვამდა, დაღუპულთა გასახსენებლად.

**გ**-ავიდა წლები, ასე ბრძოლით, ქალურ-კაცობით...
**ა**-ღმზრდელიც იყო, პროფესორი, წიგნთა ავტორი,
**ნ**-ამდვილ დარიკოს ამგვანებდნენ საქმით, ანცობით,
**მ**-ართლაც ის იყო, დაჩაგრულთა ყველას პატრონი.
**ა**-ღსდგა ლოცვებით, შეისმინა ღმერთმა ვედრება,
**ვ**-ის არ უკვირდა ქალბატონის ყოფის ცხოვრება,
**ლ**-ამაზ სამოსით მონაზონი, ქალღმერთს ედრება,
**ო**,– უფლით მოხდა კვლავ სიცოცხლის განმეორება.




დ ა რ ი კ ო   ო ნ ი ა ნ ი




ბ რ ძ ო ლ ა   დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს




**მარი ხვედელიძე, დედა იოანა და გულნაზ ხარაიშვილი**

**ზ**-ინდს მოეფინა, სხივები და ღვთიური მადლი,
**ა**-ი, სურათი, ვინ იყო და ვინ არის ახლა,
**შ**-იშით ვიხსენებ ჩემს ტკივილებს თავს ღრუბლებს ვადრი,
**ი**-ს გვერდში მედგა, როცა შვილი ცას გადასახლდა.
**მ**-ოვიდა ცრემლით, ქალღმერთივით კლდემით მოსილი,

**ნ**-აგეშველები, შვილიშვილებს გაგაზრდევინებ,
**ო**-რად გავტეხავ შემოსავალს, გქონდეს ნაწილი,
**ლ**-ელს ბედით ნაწვიმს, მზეთა სხივით გაგაშრობინებ.
**ი**-ს მპირდებოდა, მივხედავო გელას პატარებს,
**ა**-ბა, გამაგრდი გავზარდოთო ერთად ობლები,
**რ**-ამენაირად გაგიქარვებ სევდას ნატარებს,
**ე**-რთად ვიყოთო, მეგობრები და ახლობლები.
**მ**-აგრამ დასცინა ბედისწერამ, გმირ ქალს აჯობა,

**ფ**-არხმალდაყრილი დარჩა თვითონ სხვის მოსავლელი,
**ე**-ს იმედებიც ბედისწერამ წკეპლით გაჯოხა.
**ხ**-იდზე შემოვრჩი, ბეწვის ხიდი მაქვს გასავლელი,
**ზ**-ამთრის ნასუსხში, დარდმოსხმული დარჩა სუყველა,
**ე**-ხ! ზღვა ტკივილით დაიტვირთა დაროს ძმიშვილი.



დარიკო და ირა ონიანები



ოლღა დემურია (მერაბ კოსტავას დედა)

**ს**-ამშობლოს გმირი, მართლაც მიკვირს ან ვინ დაწყევლა,
**ი**-მედების გზა გაიჟლინთა ფიქრის შიმშილით.
**ა**-მ დროს თვითონ კი ჩურჩულობდა, ცის ღმერთს ვჭირდები,
**რ**-ოდის მიმიხმოს უკეთ იცის თვითონ უფალმა,
**უ**-ნდა ილოცოთ, გული ნუ გაქვთ, ჩემით დაჭრილი,
**ლ**-ამაზ ვარდებში იპატარძლოს ჩემმა საფლავმა.
**ი**-მედის ტოტი დაიწიეთ, ფიქრის ხეთაგან,

**შ**-არიშურობდნონ ვერხვები და იასამნები.
**ე**-ფინებოდეს ირგვლივ ია ყველგან ფარდაგად,
**ძ**-მებს და დისშვილებს ცის სოფლიდან მოგესალმებით.
**ლ**-ოყაზე ცრემლი შეიმშრალეთ, არ შემაწუხოთ,
**ო**-მში ვიყავი, ბედის ომში, გულში დაჭრილი,

**უ**-ნდა გაგიძლო: ქარიშხალსაც ასე ვპასუხობ,
**ფ**-არი გატეხე, ამიტირე თეთრი აპრილი.
**ლ**-ალისფერები მიყვარდა და სულის გალობაც,
**ი**-ცრემლებიან ჩემიანთა თვალთა უპენი,
**ს**-ამშობლოსათვის თავგანწირვა, არის ქალობა,

**რ**-ომ მე ერისათვის, ერთი ლუკმაც ასად დავფშვენი.
**წ**-იწილებივით დაიფანტნენ საზღვრის იქითკენ,
**მ**-ამის გარეშე იზრდებიან ბავშვთა ნაწილი,
**ე**-ს ტკივილია, ხშირად ვთქვი და ბევრიც ვიფიქრე,
**ნ**-ულარასოდეს დაჭრილიყოს, გული არწივის.
**ი**-ის სურნელში ხეტიალი ხორცის ჟეჟვაა,



**Თ**-ავგანწირვას კი, მუდამ უნდა მსხვერპლის გაღება.
**Ა**-ი, გმირია უკვდავია, ჯუმბერ ლეჟავა,

**Დ**-იდ დარდს გაუძლო, ჯვარცმასა და სულის წამებას.
**Ა**-ხლა ის ზეცის ბინადრებთან დამოგზაურობს,

**Ლ**-ელიანს ცელავს მიღმიეთში კვლავ გზას გვიკაფავს,
**Ო**,– ის არ ითხოვს ღვთის გულისთვის სანაზღაუროს,
**Ც**-აში მზეს ხატავს, ვარსკვლავებსაც, ალბათ ნიკალაც.
**Ვ**-იწვი სამშობლოს დაკარგული მიწებისათვის,
**Ი**-ქნება მოხდეს მოგეფეროთ ისევ ცოტახანს,
**Თ**-ავს არ ვზოგავდი საქართველოს დიდებისათვის,

**Შ**-საქართველოდ ერთ ლუკმასაც მე არ გავტეხავ.
**Წ**-ლები გავა და კვლავ ლოცვებით უფალს შევხვდები
Die Arbeit an diesem Werk begann ich im demselben Monat. Von Anfang an habe ich dieses Buch als dokumentar (Spiel-und dokumentar), philologischer, Porträtroman nachgedacht. Na und kurz könnte man ihn auch wissenschaftlichen Roman oder, sagen wir, eine wissenschaftliche Arbeit nennen. Meiner Meinung nach, soll es doch philologischer Porträtroman (oder umgekehrt:Porträt-philologischer Roman) sein, weil das Bildnis von Gulnaz Charaischwili literatisch ausgeführt/gemacht ist. Mit den Worten beschriebenes Bild von Gulnazi Charaischwili ist nach Ihrem Verdienst und Tätigkeit entfaltet und ist ein philologisches Versuch ihre Tätigkeit zu behandeln. aber...wollen wir mal sehen...

# საბავშვო განყოფილება



**ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)**

## ბაასი ყვავილნარში
(პიესა)

**ავტორი:** დილის ცვრით დანამული მინდორ-ველი საამურად ბიბინებდა და ჭრელა-ჭრულა ყვავილნარი ირგვლივ სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა.

**გვირილა:** – დილა მშვიდობისა, იონჯა!

**იონჯა:** – ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჩემო გვირილა. რა მშვენიერი დილა გაგვითენდა, – წყნარი, გრილი...

**გვირილა:** – ეჰ, ჩემო დაიკო, დილა კი მშვენიერია, მაგრამ საღამო როგორი იქნება, ის არის საკითხავი.

**იონჯა:** – ვითომ რატომაო?

**გვირილა:** – ხომ არ გავიწყდება, რომ თიბათვე დადგა?

**იონჯა:** – უი, მართლა, კინაღამ დამავიწყდა... ვაი, ჩვენი ბრალი, მოვლენ მთიბავები და ისე უმოწყალოდ მოგვცელავენ, ძარღვიც არ შეუტოკდებათ.

**გვირილა:** – სულ არ ფიქრობენ, რომ პატარა უსუსურ ყვავილებსაც გვწყურია სიცოცხლე...

**სოსანი:** – რაო, რაზე საუბრობთ, დობილებო?

**გვირილა:** – რაზე და... თიბათვე დადგა, სოსან-ქალო, თიბათვე...

**სოსანი (ოხვრით):** – უი, ჩვენი მომსპობი თვე დადგა?

**ავტორი:** გვირილას, იონჯას და სოსანს სხვა ყვავილებიც შეუერთდნენ და დაიწყეს ვიშვიში და ბჭობაბაასი...

**კრაზანა:** –კაცო, აღარც ის გოგონები ჩანან, სამკურნალოდ რომ გვაგროვებდნენ. მაინც სად დაიკარგნენ, ჰა?

**ყაყაჩო:** – იმ კარგი გოგონებისთვის ნამდვილად თავს არ დავიშურებ, მეცოდინება მაინც, რომ ჩემი სიცოცხლის ფასად ადამიანს გავუხანგრძლივებ სიცოცხლეს. მთიბავებიც თუმც ადამიანები არიან, მაგრამ მათ დანდობა არ იციან.

**ღიღილო:** – არ ხართ მართლები, მეგობრებო, მათაც ნუ გაამტყუნებთ, ზამთარში ხომ პირუტყვი ჰყავთ გამოსაკვები და რა ქნან? თუ ჩვენგან თივა არ დაამზადეს, შიმშილით გაუწყდებათ.

**სამყურა:** – მეც ღიღილოსავით ვფიქრობ, ჩემო კარგებო, აბა, კარგად მომისმინეთ.

**ყვავილნარი (სიცილით):** – გისმენთ, სამყურა, გისმენთ, თუმც შენსავით სამი ყური არ გვაბია, მაგრამ მოსასმენად ორსაც ვიკმარებთ.

**სამყურა:** – ჩვენ ხომ ისედაც ადრე ვბერდებით. შემოდგომით აღარც სამკურნალოდ ვვარგივართ და აღარც საკვებად. მაშ, სიცოცხლე რომ ადრეულ ასაკში დავასრულოთ და ქვეყანას გამოვადგეთ, ის არა სჯობია, ვიდრე ჩვენი გაძვალტყავებული სხეული წვიმამ და თოვლმა მიწაში ჩაიტანოს და დაალპოს? ჰა, რას იტყვით?

**კრაზანა:** – მართალი ბრძანდები, სამყურა, მართალი. ქვეყნის კეთილდღეობაზე უნდა ვიფიქროთ და არა საკუთარ ბედნიერებაზე.

**შროშანი:** – მეც გეთანხმებით და მაგალითსაც მოგიყვანთ. აი, თუნდაც ავილოთ ფუტკარი, როგორი მშრომელია; როგორ მონდომებით ისრუტავს ჩვენი ბუტკოდან ტკბილ ნექტარს, რომ თაფლი დააგროვოს, ადამიანებს გული გაუხაროს და ჯანმრთელობა აჩუქოს.

**იონჯა:** – თუკი ფუტკარს ჩვენი მეშვეობით მოაქვს სიკეთე ადამიანებისათვის, ჩვენ რაღა გვემართება? თავს რატომ ვერ ვიმეტებთ?

**გვირილა:** – კმარა, რაც ვიწუწუნეთ, პირადად მე პატიებას ვითხოვ და მივესალმები ყველა სასიკეთო საქმის წამოწყებას.

**კრაზანა:** – თიბათვე ჩვენს პატივსაცემად დაერქვა ამ თვეს და რახან ასეა, დაუმადლებლად ჩავბარდეთ მთიბავებს, მადლს მარილიც მოვაყაროთ.

**ფუტკარი:** – ბზზზ... ბზზზ... ყვავილნარს გაუმარჯოს, ყვავილნარს!

**ყვავილნარი:** – გაგიმარჯოს, ფუტკო, გაგიმარჯოს!

**შროშანი:** – ამ წუთში შენს ხსენებაში ვიყავით, ჩვენო ფუტკუნავ, დილაადრიან გელოდით და შენი ასე გვიან გამოჩენა რას მივაწეროთ?

**ფუტკარი:** – რას და... გადაკრულში ვარ, ჩემო ლამაზებო, გადაკრულში...

**ყვავილნარი:** – სად იქეიფე, სიხარულო, სად?!

**ფუტკარი:** – სად და... როცა აქეთ მოვფრინავდი, თქვენი მოგვარე იელი შემომხვდა-ა-ა-ა... აღარ მომეშვა, – ჩემი ნექტრით უნდა დაგატკბო-ო-ო-ო და მეც ხათრი ვერ გავუტეხე-ე-ე-ე... ვწრუპე და ვწრუპე-ე-ე-ე... ჰოოდა, კარგადაც შევზარხოშდი-ი-ი-ი...

**ყაყაჩო:** – არ იცოდი, რომ დაგათრობდა? ისეთი გულუხვი მასპინძლობა იცის, სტუმარს ფხიზელს არ უშვებს.

**სოსანი:** – კიდევ კარგად გადარჩენილხარ, ჩვენო ფუტკო, ერთხელ მისი ნექტრით ნაქეიფარმა პეპელამ ჩვენამდე ძლივს მოაღწია... კი არ მოფრინდა, ღოღვა-ღოღვით მოვიდა.

**ფუტკარი:** – ვიცოდი, რომ დამათრობდა, მაგრამ ჩემი სტუმრობით დიდი სიხარული მივანიჭე საცოდავს. თქვა, აღარავის ვახსოვარო, ყველამ დამივიწყაო...

**გვირილა:** – ისე რატომ სწყინს? შხამიანთან სტუმრობა რა სასურველია?

**ფუტკარი:** – ვიცი, ჩემო გვირილა, ვიცი, რომ შხამიანია. მისი ნექტრიდან დამზადებულ თაფლსაც როგორ შევთავაზებ ადამიანებს, ხომ მომეწამლნენ? მაგრამ რა ქნას? ბუნებამ ასეთი გააჩინა... ჰოო, მართლა, რატომ მახსენებდით?

**ღიღილო:** – შენ დაუღალავ შრომასა და საქმიანობას ვაქებდით, ჩვენო ფუტკო.

**ყვავილნარი:** – ჩვენც ისეთივე დაფასებულნი გვინდა ვიყოთ, როგორიც შენ ხარ.

**ფუტკარი:** – ამას რას ამბობთ, ჩემო ლამაზებო? თქვენ რომ არ მყავდეთ, რა ფასი ექნებოდა ჩემს სიცოცხლეს? როგორღა დავამზადებდი თაფლს, სანთელს, დინდგელს, ფუტკრის უებარ რძეს? ამოდენა სიკეთეს ხომ თქვენ მაკეთებინებთ, ჩემო ძვირფასებო, თქვენ და სხვა არავინ... ეს რომ ასეა, ადამიანებმაც კარგად იციან და ხოტბა-დიდებასაც არ გაკლებენ.

**ყვავილნარი:** – დიდი მადლობა, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ასეთი სასიამოვნო ქათინაურისათვის... ჩვენს ერთიანობას გაუმარჯოს! ღმერთმა ნუ მოგვიშალოს სასარგებლო საქმის კეთება. აღარც მთიბავებს ვემდურით, მათგან მოცელილ მინდორზე ხომ ათასჯერ მეტი ყვავილი აღმოცენდება და... სიცოცხლე გაგრძელდება...

**ავტორი:** ყვავილნარს ფუტკარმაც ბანი მისცა და ხმაშეწყობილად დაიწყეს სიმღერა:

ცხოვრებას აქვს მაშინ ფასი,
თუ მოყვასით ხარობ,
თუ ხარ მისი სიცოცხლისთვის
უკვდავების წყარო.
გვსურს, რომ ვიყოთ სათნოები,
ყველამ შეგვიყვაროს,
ფუქსავატურ ცხოვრებისგან
ღმერთმა დაგვიფაროს.

**გამოცანა-მისარითმი:**

ყურადღებიანმა მართამ
დედას გაუხარა გული,
დაუკრიფა და მიართვა
ყვავილების ........................

**გამოცანები:**

***

ერთი პატარა მწერია
კურთხეული მიწის და ცის,
ყვავილებში ეძებს საზრდოს,
წამალია ყველა კაცის.

***

სწრაფად ახტა და დახტა
ერთი მოზრდილი მწერი,
ბუნების მავნებელი
და ნათესების მტერი.

**„მეზღაპრე“ ლალი კახიძე**



# წითელი წინდა

„ზღაპარი“

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და არ იყო რა, ქალაქის ერთ-ერთ უბანში თორმეტი ულამაზესი გოგონა ცხოვრობდა, გოგონები ერთ სკოლაში სწავლობდნენ და უახლოესი მეგობრები იყვნენ, სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდნენ და წესრიგითაც გამოირჩეოდნენ, ასევე სახლში ეხმარებოდნენ მშობლებს, იყვნენ კარგი დიასახლისები, ამზადებდნენ არაჩვეულებრივ საჭმელებს. იყვნენ ძალიან მუსიკალურები, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ყველანაირ საკრავზე უკრავდნენ, გოგონებმა გადაწყვიტეს ორკესტრი შეექმნათ, ჩაეტარებინათ კონცერტები სკოლაში, სამეზობლოში, რათა გაერთოთ როგორც სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, ასევე უფროსი ადამიანები. მართლაც თორმეტივე გოგონამ წარმატებას მიაღწია.

ეს ამბავი არ გამორჩენია ტყეში მცხოვრებ ჯადოქარს, ბორიტებისგან ნაპერწკლებს ყრიდა.

– როგორ, ეს ამბავი უჩემოდ არ მოხდება, მე უნდა ჩავიგდო ეს ბავშვები ხელში და მათ მხოლოდ ჩემს სამფლობელოში უნდა დაუკრან და იმღერონ...

ეს გადაწყვეტილება როგორც კი მიიღო ბოროტმა ჯადოქარმა, შესკუპდა თავის ჯადოსნურ ცოცხზე, ცხრა მთა გადიფრინა და ზუსტად კონცერტზე ამოყო თავი, სადაც ჩვენმა თორმეტმა მუსიკოსმა გოგონამ წარმატებას მიაღწია. იყო დიდი ტაში, დარბაზი ფეხზე წამოდგა, ამ დროს გაშალა ჯადოქარმა ხალიჩა და თორმეტივე გოგონა თავისი ინსტრუმენტებიანად მაგნიტივით მიიზიდა, შემოჰკრა ჯადოსნური ჯოხი: წინ!!! ხალიჩა მიჰქრის თავის მუსიკოსებიანად, უკან კი ჯადოქარი ცოცხზე შემოსკუპებული მოჰყვება. ხარობს ჯადოქარი:

– ეს რა წარმატებული დღე მაქვს, უმტკივნეულოდ გავიტაცე მუსიკოსი გოგონები თავის ინსტრუმენტებიანადაო.



ტყეში თითქმის ყველა ბინადარი გაფრთხილებული იყო, ყველა სიხარულით შეხვდა ამ არაჩვეულებრივ მუსიკოსს გოგონებს.

ჯადოქარს თორმეტი პატარ-პატარა ქოხები ჰქონდათ გამზადებული გოგონებისთვის, მათ რომ კომფორტი ჰქონოდათ და არ ენერვიულათ...

გოგონები ყველაფერს მიხვდნენ, გონიერება გამოიჩინეს, დაუზავდნენ ჯადოქარს და ყველა მის კაპრიზს ასრულებდნენ, გაზაფხული იდგა ტყეში, ყვაოდა ყველაფერი, გოგონებმა ყვავილებით მოჩითული მდელო იპოვეს და გადაწყვიტეს ეს იქნებოდა მათი გამოსასვლელი სცენა, ჯადოქარი გაოცებული იყო მათი მოქმედებებით.

– გოგონებო რატომ მექცევით ასე თბილად? მივლით, მპატრონობთ...

– ასე გვასწავლეს ჩვენმა მშობლებმა, ჩვენ ყველაფერს შევასრულებთ რასაც თქვენ ინებებთ, ჩვენ სიყვარულს გასწავლით...

მართლაც იმართებოდა სალამოობით კონცერტები, ყვავილებით მოჩითულ მდელოზე. ხარობდა ფრინველები, ცხოველები. ჯადოქარი კი ცდილობდა ესწავლა სიკეთე და სიყვარული. გოგონები საჭმელს უმზადებდნენ ჯადოქარს და თავს ევლებოდნენ. ჯადოქარი კი ფიქრობდა:

– ვინ იცის როგორ ენატრებათ ბავშვები თავიანთ მშობლებს, ეს რა გავაკეთე...

დადგა ზამთარი ახალი წელი მალე კარს მოადგა ტყეს, გოგონები ახლა პროგრამით წარსდგებიან მაყურებლის წინაშე. შობა თენდება, დილით უთენია ანგელოზი შემოფრინდა ტყეში, მზემ თავისი სხივებით გაანათა ის თორმეტი ქოხი სადაც გოგონები ცხოვრობდნენ. ყველა კარზე თორმეტივე კარზე ანგელოზმა „წითელი წინდა“ ჩამოჰკიდა და გოგონებს სახლში დაბრუნება

უსურვა. უფალმაც – ამინ! დააძახა და როდესაც გათენდა, გოგონებმა კარები გააღეს და დაინახეს „წითელი წინდა“. სასწრაფოდ ჩაიცვეს, წინდები ელავდა. გაიხარეს გოგონებმა, დასცხეს ორკესტრმა თავის გამოსამშვიდობებლად ჰანგები, ყველა კონცერტისაკენ გარბოდა, ბოლოს მოვიდა ჯადოქარი, მან სიტყვა ითხოვა და მიმართა ყველას:

– მე დიდ ბოდიშს ვიხდი ჩემი საქციელის გამო, მე პატიებას ვთხოვ ყველას, განსაკუთრებით გოგონების მშობლებს...

გოგონები გადაეხვივნენ ჯადოქარს როგორც კი კონცერტი დამთავდა, ჯადოქრმა გაშალა ხალიჩა და თორმეტივე გოგონა თავისი „წითელი წინდებით“ და ინსტრუმენტებით ქალაქს გაამგზავრა.

ჯადოქარმა თავისი ჯადოსნური ჯოხი დაწვა, მან შეიგნო რომ უნდა ეცხოვრა სიკეთის და სიყვარულის გზით...

ამიტომ რა უნდა ვქნათ?

ვიცხოვროთ სიკეთით, უფლის გზით, ნაბიჯ-ნაბიჯ დიდი სიყვარულით..

„ძილი ნებისა“.

## „გზააბნეული ქათამი“

ზღაპარი

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და... ერთ-ერთ პროვინციულ პატარა ქალაქში ცხოვრობდნენ ქათამი-ვარია და მამალი ვასია. ბედნიერი ოჯახი ქონდათ. ზრდიდნენ წიწილებს, აპურებდნენ, ასწავლიდნენ ქცევის წესებს. ოჯახი, რომ არ შეერცხვინათ. დედა ქათამი ძალიან აქტიური იყო, სულ კაკანებდა, სულ ჩხუბობდა. შვილებს გასაქანს არ აძლევდა. უნდოდა გამორჩეულები უოფილიყვნენ. მისი თანამეწყვილე მამალი კი სულ სხვანაირი იყო. მაღალ დეზებზე იდგა, გასცქეროდა მამლაყინწა ქალაქს თავაწეული, ვითომ ეგ იყო და სხვა არავინ, მაგრამ შინაგანად იყო ძალიან ბოროტი.



ვარია შვილებს, რომ დაზდევდა და საოჯახო საქმეებს აგვარებდა, ვასკა კი ჩუმ-ჩუმად სხვა დედლებს დაზდევდა, რომანებს ხლართავდა ბოროტები ხალიჩას ქსოვდა.

სად იყო, სად არა ბოროტმა მამალმა ერთ უპატრონო ახალგაზრდა ქათამს დაადგა თვალი. უპატრონოსაც რა უნდოდა, შეეხიზნა მამალს და ერთად დაიწყეს ცხოვრება.

მიატოვა მამალმა ძვირფასი ოჯახი, გზაზე დასაყენებელი შვილები, ულამაზესი მეუღლე ვარია.

– მივდივარ და გტოვებ, ვარია ვერ ვუძლებ შენს კაკანს, შენს წესებს, შენს რეჟიმს. სულ სახლის ლაგებაში ხარ, მე სიმშვიდე მჭირდება. სხვა შემიყვარდა. დარჩა ვარია გაოგნებული. ამას არ ელოდა, ყველაფერს მიხვდა, თურმე ვის გვერდით უცხოვრია. რაღა ეშველება? თავს შემოუძახა. გადალახა ეს სტრესი და წუხილი. დაზარდა შვილები, დარჩა მარტო. დადის მეგობრებში ერთობა მათთან. გზააბნეულია ქთამ ვარია, მოიწყინა. ეხლა რა გააკეთოს? მას უთვალთვალებს კაჭკაჭი. ძალიან წუხს. ეცოდება ლამაზი ქათამი, ვარიკოს რით დაეხმაროს? ერთ დღეს ესტუმრა ვარიას კაჭკაჭი თავის წინადადებით:

– მოდი ორკესტრი შევქმნათ, შენ ხომ პიანისტი ხარ ვარიკო?

– მართალი ხარ კაჭკაჭო ასე გზააბნეული რომ დავდივარ დავსაქმდები, შენ გაიხარე. მადლობელი ვარ, რომ ჩემთვის იზრუნე, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

შეიკრიბა ორკესტრი, საკმაოდ სერიოზული, მხოლოდ დირიჟორს ვერ პოულობენ. ამ დროს ციდან დაეშვა ოქროს სავარძელი, სასწაული სილამაზის მამალი იჯდა, შავი სათვალეებით. ხელში ოქროს ჯოხი ეჭირა. წამოდგა ფეხზე, დიდი ჭრელი კუდით. თითქოს მისი სხეული მოჩითული მდელო იყო. მან ამ ჯოხით დაიწყო დირიჟორობა. აგუგუნდა ორკესტრი. როიალის ხმა ისმოდა

ჯერ თითქოს ცრემლებს ღვრიდა, შემდეგ ისე დასჭექა ახალი ცხოვრების დასაწყისის ჰიმნი მოევლინა ქალაქს. დირიჟორი ყველაფერს მიხვდა-გაეღიმა..... როდესაც დაასრულა მოვიდა ვარიკოსთან ხელზე ეამბორა და უთხრა-დღეიდან შენს სახეზე მხოლოდ მშვიდი ღიმილი იქნება. ჩვენ ერთად ვიქნებით, ვერავინ დაგვაშორებს.

მთელი ორკესტრი ხარობდა, იყო მილოცვები, მხიარულება, სიხარული.

სიყვარული გადარჩენა და ურთიერთ პატივისცემაა. ყველას ამიტომ გვიყვარდეს, პატივს ვცემდეთ ერთმანეთს.

დიდი სიყვარულით „მეზღაპრე“.

2016. წელი. აპრილი.

## მურა დათვი

„ზღაპარი“

იყო და არა იყო რაა, იყო ტყეში მურა დათვი. მურა დათვს უყვარდა ისეთი ტყეები, სადაც უხვად არის მისი საკვები: წაბლი, რკო, თხილი, პანტა, ზღმარტლი. კიდურები დაბალი აქვს, სქელი. ძლიერ მოკლე ფეხებზე დგას, მაგრამ ისეთი ძალა აქვს ცხენსაც და ხარსაც ერთი დარტყმით დასცემს. აქვს წვრილი და პატარა ყურები, მოკლე კუდი. ძალიან საყვარელი შესახედია. ბელებზე მზრუნველი დედაა, კვებავს ძუძუთი. აქვთ თავიანთი ბუნაგი, როდესაც საშოვარზე მიდის მურა დათვი, უფროს ბელს აბარებს პატარა შვილებს, ის მალე ბრუნდება ძალიან ფრთხილობს, რომ მისი პატარები არ დაზიანდნენ.



ერთ დღეს უფროს ბელს დედამ ჩააბარა პატარა ბელები. ტყეში გამოჩნდა უცხო თეთრი ბელი გოგონა, უფროსმა ბელმა თვალი გააპარა გოგონასაკენ, ძალიან მოეწონა, სულ დაავიწყდა ჩაბარებული დაძმები, მის გულში სიყვარულმა იფეთქა.

– შენ რა გქვია თეთრო ბელო?

– მე ბელა მქვია, შენ?

– მე გელა ვარ, გაგაცილებ სახლამდე თუ შეიძლება?

– მე ტყეში ყვავილები უნდა დავკრიფო, დედაჩემის დაბადების დღეა.

– მაშ ერთად დავკრიფოდ.

დათუნია გელას საერთოდ დაავიწყდა ვინ იყო, სად მიქროდა, რა უნდოდა.

ამასობაში შეიპარა მელია კუდაგრძელია და მგელი დათვის ბუნაგში და სულ პატარა „წითელი“ დათვი მოიტაცეს. დაბრუნდა დედა დათვი და რას ხედავს, თავის პატარა არ არის. დაანგრია იქაურობა, ღმუის, ლეწავს ყველაფერს. კაჭკაჭმა ენა მიუტანა:

– აღმოსავლეთით მიჰყავთ შენი ბელი და თუ იმარჯვებ დაეწევი.

აქამდე თუ ბუქნით დარბოდა, ახლა ელვასავით გაიქროლა. მურამ მიაგნო თავის „წითურს“ მგელი და მელია დაგლიჯა, არ აპატია. ის შეცდომებს არვის პატიობს.

დეკემბერი დადგა. მურა დათვი გაემზადა ბუნაგში შესასვლელად და დასაძინებლად. შეიყვანა პატარა ბელები, ხოლო უფროსი ბელი დასაჯა, ცხვირწინ მიუხურა კარი და უთხრა: შენ შეარცხვინე შენი მშობელი, მისი სიტყვა, იმედი. წადი და ისიყვარულე მაგის უფლებას გაძლევ, დაქორწილდი გეყოლება შვილები და მაშინ მიხვდები რამხელა შეცდომა დაუშვი. დალოცვილი იყავი, ღმერთმა ბედნიერი გამყოფოს.

ყველამ უნდა დაუჯეროს თავის მშობლებს, მის სიტყვას, გიყვარდეთ ერთმანეთი.



გურა ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)

## მითოსური ზღაპარი წიქარაზე



I

იყო და არა იყო რა,
ღვთის უკეთესი ამ ქვეყნად
არც ვინ ყოფილა, არცა რა,
ცხადია, არ იქნებოდა
იყო პატარა სოფელი,
სოფელი, ფშანის პირებთან,
ყანა, ცისკრის ჟამს სოველი
მზისკენ გაიმზირებდა.
მყუდრო მიწური სახლები,
დაზვეპილ თიხის ბანითა,
ერდონი, კვამლთა ამშვებნი,
გოლიათურის ტანითა.
ჩუმი ბზუილი შრომისა;
კაცთა, მწერთა და მძრომელთა,
კვირაცხოველი გორისა,
ლომისა-ხატი ყოველთა.
იყო ბიჭი და ობოლი
დაღუპულ დედას სტიროდა,
ნაღველს ვერ იტყვი მოყოლით,
სუნთქვა ისმოდა სიოთა.
ბიჭს მამა ჰყავდა უნდილი,
ნაბდის ქვეშ ამოდებული
ათამაშებდა ბურთივით
ცოლი, კარს გამონთებული.
სატანა ტახტად ქცეული,
მოუსავლეთის მხარისა,
იყო როკაპის გრძნეული,
ყმა-მოდარაჯე თვალისა,
ერთგული თვისის მბრძანებლის,
შემტყობი გუმან-წადილის,
აწრთობდა ეშვებს ალესილს,
ქეჩოზე ჯაგარაშლილი.
როკაპი გულის ხვაშიადს,
მხოლოდ ამ ტახთან ფანტავდა,
ავი, გულღრძო და ქვაწვია,
მოსიარულე კარ და კარ
გერს სთხრიდა, სდებდა მიწაში,
ენით უტეხელს იტეხდა,
ლანძღვა- გინებას ვინ დასთვლის,
ან წყვდიადს გაუღიმებლად.
მოსვლის დღიდანვე შეჰჯავრდა
სხვა ქალის დანატოვარი
და როს დააკვდა ბინდი ქვას
იხმო ზრახვათა მსტოვარი.

ტახი სისხლიან თვალებით-
მონა არნახულ ძალისა,
ვის ვერსად დაემალების
ტრიალი ცის ბორბალისაც,
უთხრა: „ბიჭს თვალი ადევნე,
ასავალ-დასავლისასა,
მე, მისას, მომახსენებდე
მზისა ჟამს, გინდ მთვარისასა.”
უნდ მოვსპო, ანდა დავკარგო,
მოცილე მამულ-კერისა,
ვაჰ, ბედო, ბედო-ჯავარო,
ვაჰ, მსხვერპლო აშარ-გველისა.
ცაზე ღრუბელი ვიდოდა,
ტყეში-ალ-ქაჯთა თვალები,
ხარი მისძოვდა დიდგორთან,
ცას ჰხევდნენ რქათა რკალები.
არ გვითქვამს; ოჯახს მწითური
ჰყავდა წიქარა ხარიო,
მდელო უყვარდათ მას და ბიჭს,
ვითარც ციური ბანიო,
სულ, მარტოდ ყოფნა ერთურთთან,
თვალთა უთქმელი ფერება,
კარგია, სულსა რაც უნდა,
რაცა გულს ესიმღერება.
იცოდა, წყეულთ-წყეულმა,
ბიჭის და ხარის ამბავი,
თავს ჰგრძნობდა მათგან ძლეულად,
სიყვარულისა ძალთანით.
ქმარს უთხრა, შხამის გორგალმა,
ვკვდები, ვერა-რა მშველისა,
მზე მიმდის, ბინდიც მომძალდა,
სხივიც გამირბის ფერისა,
მკითხავ-ექიმნო, სადა ხართ,
მიქელ-გაბრიელ მელისო,
ხარს თუ, დამიკლავ, რაცა ვარ,
ასკეცად მშვენიერიო
გავხდები, გულზედ ქონივით,
მალამოდ დაგედებიო,
მეფედა გაგხდი, მონის წილ,
დედოფლად დაგიჯდებიო.
ხარის გულ-ღვიძლი მომართვი,
ტაფაზე მოხრაკულიო,
თორემ, მოვკვდები, ათას ჭირს
შეგყრი, გყო გატანჯულიო.
სახლ-კარს გადავწვამ, შენც მოგკლავ,
ბიჭსაც ზედ მივაყოლებო,
ჩამოგიბნელო თვალის ცა,
ჯვარ-ხატი გადაგიმტერო,
მერე სოფელი მოვთხარო,
ავაწიოკო წვრილები-
თოთო ბალღები (იცი ხომ,
წვალებით გამოზრდილები)
დედებს წავჰგვარო, გველეშაპს
ლუკმად მივართვა ჯერზედა,
მე, თუ კი, არა მეშველა,
ყველა მკიდია ფეხზედა.
ბევრი იფიქრა... და კაცმა,
ისევ, მეფობა ირჩია,
იგივ – ქალ-ქორფა-ქალწული,
თბილი კერა და ჩიჩია.
გასწირა ხარი, გასწირა,
ქალმა დაუფსო თვალები,
რაიც ფუყე და ბრაწნია,
არ არის შესაბრალები;
არცა ასეთი კაცუნა,
არცა ასეთ ქალია,
დაცურდა ზვავი, დაცურდა.
ვაი,.. ობოლის ბრალია.
გამოიტანა, ოჯახის, მამამ
დიდრონი დანები,
დიდი სალესი ბორბალა,
გობურა, წყაროს წყალებით,
დაატრიალა, აჩხავლა
დანა, ხორკლიან ქვაზედა,
წიქარას ძოვნა ჩაჰმწარდა,
გაშვებულს იალაღზედა.
ნეტავ, რა მოხდა, რაი სჭირს,
რა შფოთი იპყრობს მისანსა
დარდი ეძალა, თვალთა მზის,
რა ელის, დასაფიცარსა..?
ფრთები მოისხა ჩლიქებზე,
გულდაგულ გამოეჩქარა,
საქმენი, მარტო იმედზე,
ცუდ არს, მზა იყავ ცდაზედა.
ბიჭი გრძნობს, რაღაც აბავი
შავი ნისლივით ჯარდება,
მამას რად უნდა საკლავი
დანის ალესვა ქვაზედა...?
მამი, რად ლესავ დანებსა,
რად ჰგევხარ ღრუბელ-ტყვიებსა,
მამა პირ-თვალით გამეხდა,
ენას დაიყრის იებსა;
წიქარა უნდა დავუკლა,
შენს გაზრდას, ღვთაებასაო,
აუკანკალდა კაცსა ხმა,
ჩვარ-ფლასთა დაემსგავსაო.
ატირდა, ბიჭი ატირდა,
ცხარე კურცხალი, სოველი,
ლოყებს ნაკადად დასდინდა,
გახდა მეგობრის მგლოველი.

წყაროზე ხარი წალალა,
წყალი სჩქეფს, ხვივის მცინარე,
ტირის ყმაწვილი საწყალად,
ცრემლი ეღვრება მდინარედ,
ხარსა ეხვევა, ალერსით,
უკოცნის ლამაზ თვალებსა,
ჩემო, წიქარავ, სალესით
შენთვის ლესავენ დანებსა,
დღეს უნდა დაგკლან, ზვარაკად –
მსხვერპლად ღვთაებას გწირავენ,
მეც თავს მოვიკლავ, ასე მწადს,
ობოლს მიმიღებს მიწა მე.
შენს მეტი, ქვეყნად ერთგული,
ტოლი, ან მეგობარია,
არ მყავს, არცა ვინ მეგულივს,
ბედმაც დამიხშო გზანია.
ხარმა შეჰხედა ბიჭს, მერე,
ვითარც ადამის ძენიო,
ენას აიდგამს; გაგვწირეს,
რჯულს იცვლის მამაშენიო,
ვუფრთხილდეთ, ჩვენდა საკლავად
დიდსა დანებსა ლესავსო,
დედინაცვალი გამძლავრდა,
ფიქრთა ატარებს ბნელსაო,
მოკუნტა ქმარი, ფერხთა ქვეშ
საწმენდ ფარდაგად იფინა,
დრო აღარა გვაქვს, წამი გვდევს,
ცელთ პირი აუფიფინდა,
ალბათ ორივეს დაგვკლავენ,
ანდერძს აგვიგმენ სწრაფადა,
მამას გაჰხედე მალ-მალე,
დანის პირებიც გაფხავდა.
ცრემლთა რად ურთავ წყაროსა,
რადა ღონდები გულთაო,
ცამ შუბლი შეჰკრა, ნაოჭთა
შორს ნისლი შეიხუთაო,
მალე სისხლებით იავდრებს,
მზეს ტანზე შეჰყრის ჟრჟოლებსა,
გაიქელება იამზე,
თვალთ შუქი დაუღონდება,
ნუ მოსთქვამ, შემოგევლები
და განაცვალებ თავსაო,
წიქარას ნათქვამს ენდობის,
ბიჭი უკოცნის თვალთაო,
რაცა გვჭირს, წერის ბრალია,
ბედზე, ბედისა მწერლებმა
სთქვეს; ...გლოვა რის მაქანია,
მზე ღამის უკუნს ერევა.
ბიჭს გაუკვირდა, ხარისა
კაცივით, სიტყვათ ბმობანი,
იწამა ღმერთი ძალისა
და სოფლის არაკობანი.
წიქარამ უთხრა: -უბრალო
შენ, არ გეგონო, მავანი,
მთვარე ვარ, მიწად, უბადლო,
ღვთაება ჩამომავალი,
მისანი, მგრძნობი ყოველთა,
სულიერთ ზრახვათ მხილველი,
ზეცის ტატნობით მომერთვა
სამყარო, გასაკვირველი,
მხრებზე შემაჯექ, ცხრა მთას იქ
დაგკარგავ, გაგარონიებ,
საჩვენო ჭალიკონიც ჰქრის,
მკლავთა შემოგვხვევს ღონიერს.
სამი რამ უნდა ვისაგზლოთ,
ბიჭს ეტყვის ხარი-მისანი;
ერთი სალესი ფილთაქვა,
კოკა-წყლით დასაფიცარი,
ერთიც სავარცხელ-ჯაგრისი
ტოპრაკს გულდაგულ ჩასდეო,
შეგვერგოს ღმერთის სასმისით,
ცის ნამი, მიწის სახეო;
სთქვეს-და ერთ სულად, ერთ ხორცად,
ერთი ღვთაების შვილები,
ვითა ვარსკვლავი ცას მოსწყდა,
განქარდნენ ელვა-მილევით.
ქალი გაჰკივის; სადა ხარ,
შე, დოყლაპიავ, შენაო,
ავადმყოფობამ გამთანგა,
სად ჭირში გადაშენდაო,
ჩემი ურგები ქოთანი-
გერი, მოცილე კერისა,
ხარს თუ ჰკლავ, ჩქარა დაჰკალი,
დღე გამითენე მღერისა.
კაცმა ხარი ვერ იგულვა,
ვერსადა ნახა მიდამოს,
იმათმა კვალმა, იმავ წუთს
სამი მთა გადირბინაო,
ციკანი დაჰკლა, მიართვა
გულ-ღვიძლი ტაფა-მწვარები,
ღამენი დაწყდა, ინათლა
სამყარომ ტანჯვა-წვალებით.
ბირდაბირ ეზოს გადმოდგა
დედინაცვალი, დოინჯით;
მოვრჩი, გულ-ღვიძლი მომიხდა,
ზარ-ზეიმისთვის მოირთვი,
რად ჩამოგტირის პირ-სახე,
ადრემც კი, საფლავს ჩაგდეო,
ვიცოცხლებ მტრების ჯინაზე,
დავრჩრდილო მზე და მთვარეო.

დედინაცვალთან ქოშინით
ბოროტი ტახი მოვარდა,
რას შეგიქმნიათ ბოჟირი,
დღენი დაგვიდგა გლოვათა;
წიქარამ ბიჭი შეისვა
მხრებზე და შორეთს, ცხრა მთას იქ
მირბიან, ეხლა შევიცან
ამბავი, მაცნე ქარის თქმით.
ქმარს ტაფა თავზე დაამხო,
დანა, ნალესი სიპითა,
დედინაცვალმა აიღო,
სისწრაფით გასაკვირითა,
ტახსა ქეჩოზე მოაჯდა,
მერე მოვიცლი შენთვისო,
ქმარს მიაწყევლა, ქოქოლად,
ხვალის დღემც ნუღარ გეღირსოს;
დასწივლა ქართა ბუქებით,
მიწათა სკდომა-ხევანით,
სხვათა სისხლისა მწოველნი,
რად არ სწყდებიან, ნეტავი..!?
გზად გამოენთნენ, იხევენ
ტყავთა იძრობენ ტანზედა,
შეშლილთა ჰგვანან, იმ ოხერთ
შავი ჩრდილები დასდევდათ.
ცივმა დაჰბერა ბორიომ,
ქარია სიკვდილ-მდევარის,
ვაი და არას მქონიოს,
გასწეწავს ბედისწერანი.
ბიჭავ, გაჰხედე, სუსხიან
სუნთქვას, რა ქარი გვახვევსა,
„შორში, რაღაცა ბუზად სჩანს"
ბიჭიც მალი-მალ გაჰხედავს.
ეგ, ტახია და როკაპი;
მქშინავი გესლა-ქარისა,
სწორედ მეორედ მოსვლა გვჭირს,
მადლს ენდე მისან ხარისას,
პირთა უკუღმა ისროლე
ხის-კბილა სავარცხელია,
ჩვენს უკან ტევრი იფოთლებს,
ხშირი სავალად ძნელია,
ჩქარა, ჰე, რაღას აყოვნებ,
მოჰქრიან ელვა-მალები,...
ესროლა, მინდორ-ყანობებს
ბიჭმა ჯაგრისის ბრჭყალები.
ავარდა ტევრი რცხილების,
თხილს გაერია შინდები,
ძეძვები წვრილზე-წვრილები,
მაყვალ-ეკალას შვილებით.
იფნი, ანწლი და ტირიფი,
წნორები ფშანის პირებთან,
არყი მალული ტირილით
ქარ-საქანელას მინებდა.
აქა-იქ ჩადგნენ მუხები,
აქა იქ წიფლის ზროები,
ქორაფ-ნეკერჩხლის დუყები
ავარდნენ სწორზე-სწორები.
ფერდას კვრინჩხები მოედო,
შიგ და შიგ ლილიფარები,
ჟოლოს ნაყოფი მოესწრო,
ვით ჟღალთმიანი ქალები,
ტყემალს მაჟალო ეწვია,
პანტამ კოწახურს გასძახა,
კუნელი, როგორც მზეწვია,
სულ განაპირად ჩასახლდა.
გაჩნდნენ ლორთქო და სვიები,
ფითრები ფიქრის გვირგვინით,
წკნელები ხვია-ხვიების
და ასკილების ღიმილი.
კორტოხზე ვერხვი მოვიდა,
ფოთლებით ვერცხლისფერებით,
ნაძვმა დასტოვა შორი მთა,
ტყეს გაუწვდინა ხელები.
მწვანე გალავნად მოერტყა,
სივრცეს გულ-მკერდი ახალა,
ტყე აგუგუნდა, მისი ხმა
ხევ-ღრანტეებში ჩასახლდა.

II

მიჰქრის წიქარა, ტყე მიიფარა,
ტყე გაუვალი ჯაგით,
ხეთა სიმრავლე შემოიფარგლა
ფოთოლთ უჩინარ ქაფით
გადაენასკვნენ რცხილები რცხილებს,
ტირიფთა მოწნეს ჭალების რკალი,
ქორაფნი იფნებს აფსკვნიდნენ თითებს,
მუხები ტანებს მოსავდნენ რვალით.
ეკალბარდები ასკილის ტოტთა,
მაყვლის წკნელები, თხილის ხალები,
გლარჯა ბალახთა სიუხვით მოსკდა
და აელესა ტყემალს კავები.
მჩხვლეტავი ნარი, ლენცოფას სუნთქვა,
ლორთქო ხვიარას ბადეთა ქსელი,
ტყე გაუვალი ტახს დაემუქრა
და ტახი უფრო შეიქმნა ხელი.
ლორს ჩაჰფრენია ჭანგების ხროვა,
მზერები, მშვილდის ლარების დარად,
მწვანე ბალღამი შეაფრქვევს ოხვრას
და შეკივლება ტყეს; ჩქარა, ჩქარა!
თვალნი იდუმალ ჭაობთ ნათების,

ძალა, სახიერ ბოროტებისა,
ტყეს გაშმაგებით შემოასკდების
თესლი, სისინა ციურ გველისა
დედინაცვალი, ტახზე შემჯდარი,
ტახი ეშვებზე, ეშვნი-ეშმაზე,
გულღრძო, უგვანო და ჯანდამწვარი
ხეთა მოუვლენს ელეთ-მელეთებს.
გაიკაფება ზროთ ლაბირინთი,
შემდეგ, ნაირთმის გაწეწავს ქარი,
გადაამწუხრებს ფოთოლთ ტირილი,
ყველა ოჯახში ივანებს მკვდარი.
ტახი ყელს დასჭრის ტანწერწეტ ალვებს,
არყის ნაყარებს, ქორაფის დუყებს,
მუხებს ალესილ ეშვებს შეავლებს
და წარმავალი დღით დაადუმებს.
დაჩეხავს შინდის შოლტივით ტოტებს,
კაბაჭრელებსაც შეახევს კაბას,
სასიკვდილოა ყველა, დე, მოკვდეს!
დედინაცვალის ხრიალებს ხახა.
მარჯვნივ და მარცხნივ; ეშვით ჩლიქებით
ტახმა აკაფა ტყე ფოთლოვანი,
მდელო მოირწყა სისხლით იების
და მწუხარების გახდა მთოვარი.
ტყის მუხლმაგარი ქარი წამოდგა,
საბერველივით ალივსო მკერდი,
წინ შეეფეთა მკვლელთ, არდანდობას
და თვისებურად დაჰრია ხელი,
ურტყა ტოტები, გააწნა სილა,
შოლტი და შოლტი გადულაწუნა,
დინგი ტახისა მიიწევს წინა,
ვით საჭრეთელი, გამალებულად.
დაფიქრების და იდუმალების
ჩუმი ღელენი, მშვიდი წყარონი
შეშფოთებულან, უკვდებათ მცველი,
ტყე გოლიათი, ტყე ტკბილხმოვანი.
შაშვის გალობით, ბულბულის სტვენით,
ბუთა კრუსუნით, ჭოტის კივილით,
ტყე დავიცვათო, აღვმართოთ ხელი,
ქორმა თაგვისთვის, მგელმა ირმისთვის.
მოჯარდნენ წყარო-ნაკადულები,
დატბორეს ჭალა, დასცეს ფლატენი,
კვდებიან შიშით დაზაფრულები
და გზა არა აქვთ უკან დახევის.
ტყის და ჭაობის მორბიან ალნიც,
ალნი მდინარის თმაგრეხილს წნავენ,
აგერ ტყაშმაფაც, ელვარე თვალნი
და ჟღალისფერი სხივნი ტერფამდე.
წარყვნის სურათს ჰგავს რტოების როკვა
და მოსისინე ქარის გნიასი,
ტყე დევებს უხმობს, ხევებში ოხრავს
ჭინკათ ბნელეთი, ქაჯთა წყვდიადი.
მუხა ბუბუნებს, წიფელი ბრდღვინავს,
ნუთუ, არ ძალგვიძს ჭირის მორევა,
ჩვენ ხომ მზის სხივნი ძარღვებში გვიდგას
და გვასულდგმულებს მიწის ქონება.
რბილდება მიწა, ეფლობა ტახი,
ჭანჭყობად იქცა ნაშალნი ბელტის,
გაბეზრებული ათასგვარ მახით
დედინაცვალი წივის და კვნესის.
შემოეფლითა სამოსი სრულად,
გადაესერა ეკლებით სახე,
დანა უბჯრია ხელთ ორლესულა
და ენით წყევლის გეენას აფრქვევს.
ჰა, როგორც იქნა, გაკაფეს ტევრი,
ბნელ ძალებს როდი სძინავთ თეოზე,
ტყვიის ღრუბლებით შავდება თეთრი,
დღენი, რომელნიც სხივით მზეობდნენ.
მოექანება დელგმის ნაგლეჯი,
ორსული-ტახი, დედინაცვალით,
ავნო, სიკვდილით როდის დაწვებით,
მიწით პირზე და თვალში ნაცარით.
წიქარა ლაღად მიაპობს სამანს,
ბიჭი ქარივით არის მსუბუქი,
ერთად ღვთაებრივ ანგელოზს ჰგვანან,
ამოდის მზე და კვდება უკუნი.

III

ღამით მნათობი ცივად თოვს,
ვერცხლის ბილიკებს აჩენსა,
ეული ეძებს სულით სწორს,
ხარი მადლსა სძღვნის გამჩენსა,
რქებზე სანთლები აენთო,
მთვარე უგზავნის ციაგებს,
გაჰხედე ლაღო, გაჰხედე,
ვინ გვედავება მზიანეთს,
ტყემ, რა ხრიკებით უგანა,
ბუნების დამაწყევართა,
მწვანის ღვთაებას მუდამა
გულზე სიკეთე ეხატა.
„ბუზის ოდენად რაღაც სჩანს,"
(ღელვა აიტანს ბიჭსაო),
ნუთუ, საუფლო მდევარის
სურვილით დაგველრიჯაო.
სწორედ, ისინი არიან,
ტახი და დედინაცვალი,
ხარი საუბრობს, ნუგეშით-
- დღე შესჭამთ გარდამავალი,
ელვასა ჰგვანან, მეხივით
დაგვეცემიან თავზედა,

წიქარა ეტყვის ყმაწვილსა,
ბედი ჰკიდია ცდაზედა,
კოკურით წყალი ისროლე,
ხელთა უკულმა, არესა,
გატყობ რომ თრთიხარ, ფერითაც
მოჰგავხარ მიმქრალ მთვარესა,
ღრჭიალი მესმის კბილების,
კრუსუნი ძაღლთა პირისა,
ეშვენი ალესა, წყვილ და წყვილ,
ისრულებს დანაპირებსა.
ორლესულებით დაგვჩეხავს,
დაგვჭრის, დაგვფლითავს დევნილთა,
თვალებში სისხლი ჩაექცა,
ტვინიც მით გადაენისლა....
დედა-დნებისა შემყრელი,
მოსურნე შიგან-გულთაო,
ნიკორას სისხლის შემსმელი,
ჯაგარზე აიბურთაო,
საცაა, ერთგულ წიქარას
გამოშიგნავენ ფაშვითა,
ტახმა იმძლავრა, ეშვები
იმის ჩლიქებზე დაცვითა,
გამოუკაწრა ბარძაყნიც,
კუდის ბალანსაც მისწვდაო,
ხარმა სხეული დაძაგრა
ლამის ფრინველად იქცაო.
ბიჭმა კოკურა ისროლა,
ჭურჭელი, სავსე წყალითა,
მთვარე ღრუბლებმა დასერა,
უცნაურ ნიავ-ქარითა,
ზღვა გაჩნდა ტალღებ-თამაშით,
მედგარ ზვირთების მცემარე,
მდევართ შემოჰკრა ტორები,
მძიმე და ამაკვნესარე.
ტახს ებრძვის ზღვათა მესეფე,
ზვირთების ბასტიონებით,
წყალნი ჩქერ-ჩქერად შეუღლდნენ,
ძალ-იცნენ ტონა-ტონები,
ბორბალო ქარსაც მოუხმეს,
გაჰკრეს-გამოჰკრეს კუდები,
თავსხმაა, უძლებთ მეხ და მეხ
ტახს სცემენ დარახტულები.
იმძლავრა ქარმა, ცად შესდგა
ძაბრად ნაბუქი სვეტები,
ჰკვესავდა ელვა, ვით დანა,
ნაკადთა რეტის-რეტებით.
იძრა ზვიგენთა ლაშქარიც,
ვეშაპნიც მწკრივად დალაგდნენ,
კამარით მაღალ-მაღალით
დელფინი ჰქმნიდნენ გალავნებს,
დააბზრიალეს მორევი,
ბინდი შეჰყარეს ღამისა,
სად არის, ძალი მომრევი
შავზე-შავბნელი ტახისა..?
ცოცხალი რკალით შეჰბოჭეს,
წყეულ ეშმათა ნაცვალი,
გსურს... და ერთობას ეომე,
რა, ღონე გინდა, რა ძალი?
სიკეთეს დიდი გული აქვს,
სიყვარულს უდიადესი,
ღვთის ნებელობა ვისაც სწამს,
ვერც რას დააკლებს ჰადესი.
ეს, იცის ტახმა, როკაპმაც,
ბრძოლაში განაჩვევია,
ღმუის, ქშუტუნობს, იმის ხმას
ზღვა ახშობს, ტალღათ მფრქვევია.
ცისარტყელებს ჰგავს ფერადი,
ქალთევზათ გუნდის ქაფები,
მკერდზე უნთიათ ჟღერადი
ვარსკვლავნი მოკიაფენი,
წივიან სირინოზები,
მოფრენილ ქარის ჭავლებზე,
გალაქტიკიდან მოვლენილ
მზის მელოდიებს დასდევენ.
ჰგოდებენ ამფორიები
ცად, ფორიაქის მაცნენი,
ჰქრებიან მთია-მთიებში,
ჟიკჟიკა კორიანტელით.
რა მოუხერხონ, (რაი ჰქმნან)
ამ ოხერთ, აზრი ირთვების,
ავსულებს ჰკვებავს, აძლევს ძალს,
კაცთა შავბნელი ფიქრები.
ზღვამ ყურთასმენა წარიღო,
გონს თალხად გადაეფარა,
ბედო, ბოროტის გამრიყო,
შენ გინზერს მთელი ქვეყანა.
თავს ზევით ძალა არ არის,
ტვინი უსკდებათ მდევართა,
სიმღერაა თუ, გნიასი,
თუ, ყმუილია მყეფართა,
ლამის გაგიჟდნენ, კოსმიურ
ხმათა სიხშირის ველებში,
სიკვდილი არვის არა სურს,
სიკვდილი ბადებს მუდამ შიშს;
თუ, უკვე მკვდარი არა ხარ
გონით, გულით და სულითა,
თუ, სიყვარული არა გწამს,
ვით შობა გაზაფხულისა,
თუ, გაოცება არ გიპყრობს,
ბუნების გარდასახვისა,



თუ, არ ენდობი გულით სწორს,
ვით, შრიალს ალვა ტანისას,
მაშინ, რა არის სიცოცხლე,
რა, რისთვის არის შობილი,
მტერსა მტერ თუ არ ვუწოდეთ,
ვისლა ვუწოდოთ ძმობილი.
ქარში განბანილ სივრცეებს,
ქარით დაბერილ სხეულებს,
საუკუნენი მისდევენ,
წყვდიადით გადარეულებს,
ჩრდილი გვეცემა დიადი,
თუ, გასცდი, გახვალ მზიანეთს,
ღვარძლი აღივსო პირამდის
და გადმოჰხეთქავს მდინარედ.
ღორი იხტიბარს არ იტეხს,
ტრიალებს ლახტის წრეშია,
დედინაცვალი ცოფსა ჰფენს,
გველთათმა ანაჩეჩია.
სურთა რომ წყალნი გააპონ,
ჭავლთა შეჰბოჭა შეტევამ,
რად ჰცოცხლობ გულო ვერაგო,
ან, ძალი რისგან გეძლევა...?
ან, გაშმაგება-უპირო,
უძლები თვალის უპენი,
სიხარბე-სივრცე-უძირო,
წყვდიათ ხვეულა მრუდენი,
სიკეთის შორი-შორობა,
სიავის სალბუნ-სალბუნი,
მეფობით, სხვათა მონობა,
მათ კვნესით, დავლის-დავლური.
რომ ნახა ტალღათ სიმედგრე
და შეუვალი ბუნება,
აღივსებს ტანთა საბერველს,
ტახი სმად დაეყუდება;
ზღვას შესვამს, წვეთის-წვეთობით,
თვალთ არ სჩვევია ხამხამი,
სინათლის ეშვით მერჩოლი
და კუდიანის ხარხარით,
დააშრობს, ფსკერსაც დაუწვდენს,
გაჰბოტავს ლამებს ქვიანებს,
სივრცეს გაჰხედავს თვალთუწვდენს...
ვაი, თუ, .. დააგვიანდეს
ვაი, თუ, გასცდნენ სამანებს
დევნილნი, უჩინ ქვეყნისა
გადაეფაროთ პირბადე
და სიყვარული დედისა,
ეს, არ მოხდება, ასე სურს
როკაპს, წყვდდიადის-წყვდიადეთს,
მკერდში ქვა უძევს და ქვის გულს
არ გააკარებს იარებს.

ზღვის სანაპიროს უწიეს,
ყოველი შეჰქმნეს ტიელად,
თვალნი ბოროტის ეძებს გზებს,
სად შავი ცეცხლით მიელავს.
დაჰკეცეს შარა-ბილიკი,
კამარა ჰკიდეს კამარას,
უნდა დაფლითონ ღიმილი,
უნდათ აქციონ არარად.
რა, გააჩერებს მდევართა,
ფიქრს ფიქრი მოსდევს ეჭვისა,
რა, იქნებოდა, ეხარნა
სიკეთეს ყისმათ-ბედისა.

IV

ყველაფერს თავის ზღვარი აქვს,
დევნილთ ძალები ეცლებათ,
კლდეც სკდება მიწის ძვრათაგან,
ყინულიც დნება ნელ-ნელა...
დაღლა ეტყობათ ხარს და ბიჭს,
სუნთქვა სჭირს, მუხლი ეკვეთით,
შემოსწოლია ბინდი-ბინდს
და ოხრავს მთელი ხმელეთი.
გაჰხედე, ჩემო, ყველაივ,
რას გეტყვის გზათა ბუქები..?
რაღაც სჩანს შორში, ხილვა სჭირს,
ალბათ დაფრენენ ბუზები,
იტყვის ბიჭი და წიქარას
გონი სხვაფრივად ემლვრევა,
ცამ ბინდი გადაიყარა,
მდევართ ჩრდილები ეფეთა.
ბიჭავ, ისროლე ფილთაქვა,
მიწას გაუდის გრიალი,
ბოროტთ დანდობა ვინა სთქვა,
ქვა მიჰქრის ფრიალ-ფრიალით.
ხელთაუკულმა ნასროლი
სალესი დასდგამს გორებსა,
ნაპრალში შვავთა ნასხლეტი
დიდსა ქვებს მოაგორებსა.
საუკუნეთა ლოდინში
კლდეს გულჩათხრობით ეძინა,
სიაევ შენთან ბოდიში,
არ დავიბნელოთ მზე-დილა,
ვით, ნატვრის თვალში მთვლემარე,
სამყაროთ უძლეველობა
სიმკვრივე ათას ჟღერადებს,
ჩემს ტანში მოიმღეროდა.
მე, გავასრულე ცხოვრების
ერთი დიადი ფურცელი,
მძაგდა ბინძური მონები,



ლაღებს, სილაღით ვუმზერდი.
არ დაგანებებთ ლამაზებს,
არსობის დიად იმედებს,
ორსა მეგობარს ჰფარავდეს
მკერდი, ძმობას რომ იერთებს.
იცოდეთ, სადმე ჩაგჩეხავთ,
დავძენძავ ბინძურ სხეულებს,
ამ ქვეყანაზე რაც ხდება
ღვთაების თვალი უყურებს,
სთქვა კლდემ და მიწის გულიდან
ზრდა იწყო შვეულ-შვეულად,
არას დამნდობთა რაც უნდათ,
ქვეყნად სამუდმოდ წყეულა.
ბორიალობენ კლდეები,
ცურავენ უკიდეგანოდ,
ბრძოლად მკვრივდება გული მთის,
მტერს, ... ვინც ზედ გადაუაროს.
კლდეებზე გადიქროლებენ
ალნი, ცეცხლოვან ქარებით,
ნეტავ, რას უნდა ფიქრობდნენ
მფრინავი ამორძალები.
ტახის და დედინაცვალის
დაღუპვად ემზადებიან,
ქვეყნად ბოროტი ვინც არის,
მტვერივით განქარდებიან.
აწ, სახუმაროდ ვის სცალის,
მხარს, მხარი მისცეს, ზღუდედა
გადაელობა ცის კარი
მდევარს, ატეხილს მრუდედა.
ფერცხალი გორი დაუდგათ,
ფრიალო, ანატირები,
სვეტები ორლესულები,
ამოზიდული ტინები,
პიტალოთ კანიონები,
თვალუწიერი ხრამები,
უფსკრულნი დანაფეთები,
ჭიუხნი სატიალენი.
არცა გზა, არცა ბილიკი,
მოსაკიდები ფეხისა;
ჩლიქებით კონწიალობა,
ტინზე არეკვლა ეშვისა,
ფიქალთა მსხვრევა, ნაშალში
ზვავივით დაქანებისა,
ტახის ამ დღეში ჩავარდნა,
წერაა, ... უფლის ნებისა.
ბევრსა უფსკრულსა გადურჩა,
ნახტომით კამაროვანით,
მთლად გააკვირვა მეუფე,
ცის მკვიდრნი-ყამაროვანნი.
გრძნეული ტახის ძალასა
წინ ვერ დაუდგა ვერა-რა,
მიფშვნიტ-მოფშვნიტა ლოდები,
დაფქვა და გაავერანა.
ერთსა დიდ ნაპრალს უწიეს,
კანიონს გადაპობილსა,
ტახი დაეჭვდა, ალმაცერ
აჰხედა თავის დობილსა,
ლამის სისხლისგან იცლება,
ღონეც მოაკლდა მუხლშია,
მისსა ამ ყოფას ავსული
არ აგდებს აინუნშიაც,
ღორის განწირულ საყვირებს,
დედინაცვალის წყევლასა,
კლდეთა ეხოთაც შეჰყვირეს
და დაემსგავსნენ ელვასა.
ნაპრალის თავზე მფრინავი,
მდინარეების ყეფითა,
ქარნი მიმსრბოლნი მსტვინავნი,
ლოდნი მზირალნი წვეტითა;
ტანში, ძვალ-რბილში გამყრელნი,
ტვინთა დამთხვევნი ძვალზედა,
ყორანთა ყვავებს გასძახეს,
მივდივართ საშოვარზედა.
სვავთაც შეიგრძნეს, გარემოს
სისხლით შეორთქლავს ნისლიო,
ტახი და დედინაცვალი
შხამზე ნაძოვი ფიქრიო,
გადავა, გადაიყრება
კლდეთა ხაროთა ბნელასა,
შესჭამენ ტურა-აფთარნი,
დაუძახებენ მელასაც,
არ დააკლებენ კაჭკაჭნი,
ქორნიც უხმობენ ძერასა,
ორბსა შეჰყეფავს არწივი
გამარჯვებულის მღერასა.

V

მდევარს გაექცნენ, მდევარი
გაჰქრა ფიზიკურ არსობით,
სამყარომ მორთო ფერადით
თალხი, ტანჯვითი სამოსის,
აღარც ზღვა, აღარც ტყე-ტევრი,
არცა კლდეთ კანიონები,
მხოლოდ ყვავილნი ბევრ-ბევრი,
მზე და ღიმილის კონები,
კვლავ სივრცე უკიდეგანო,
კვლავ შარა დაუკეცელი,
აწ, ვიღამ უნდა უგანოს,
გინდ იყოს წყლისა მკვეთელი.

მოჰხედეს, ტრიალ მინდვრებზე
ყანა ბიბინებს კაბანით,
არხში თავ-პირებს იმტვრევენ
რუნი რუკრუკა ღაღანით,
მწყერიც ქვითკირობს, მერცხლებსაც
გაუდით წკაპა-წკუპები,
ცაო, ვენაცვლე შენს ყელამს,
ლურჯი შეგვასვი ყლუპები,
ამბობს ბიჭი და წიქარას
რქებზე ნიავი ეხება,
ტყე-გუგულეთით უხმობს წამს,
ტყე-ღრე რომ დაეხეტება,
იდუმალ-უჩინარების
ქვეყანა, ყოველთა თანმდევი,
ველზე ხმა კვნესის ნარების,
თუ, რას? ... აროდეს არ გეტყვის,
მიდიან, მათი დამშლელი
აწი, დროთ ჟამის-ჟამია,
მდინარე, ვნების ამშლელი
ბევრმა შესვა და დალია.
გადაიარეს სამძლვარი,
დიადი განსაცდელისა,
კაცსა რაც ჭირის-ჭირი სჭირს,
ერთ ღიმში განქარდებისა.
გავიდნენ ტრიალ მინდორზე,
ცათა გუმბათის ღალაზე,
ღირსეულთ ბევრი იბრძოლეს
და გამარჯვებით გალაღდნენ.
წიქარას თვალნი უბრწყინავს,
ვით ცისარტყელა შვიდფერი,
ცაში იხსნება ვარდის გზა
და ხეივანი სიმღერის.
გალობენ ანგელოზები,
იისფერ ღრუბლის რაობას,
ფრთოსანთ გუნდივით მოწყდების
სიოცეთ სანახაობა.
ღმერთის გულ-მკერდი გაშლილა,
ლტოლვად ანთებულ სულისა,
სამყარო ისევ დაბრუნდა,
გამკვეთი ბნელ-უკუნისა.
მეტეორივით წიქარა
მიჰქრის ნისლიან ქაფებში,
ჯანღი რქით გადაიყარა
ბურუსი-ჭუჭყის ლაქებით,
ლოცად გადიქცა, მჭვირვალებს
სიწმინდის წვიმის ღვარები,
ღმერთსა შესთხოვა, ბრალება
გქონდეს ჩემეულ ტანჯვების,
ნიავ-ქარებო... ქარებო...
მთებო და მინდორ-ველებო...
მთვარე ვარ, დავიბარეო;
ბიჭის გზა დამიმშვენეთო,
შენც ეთერულო სამყაროვ,...
ჭავლით მიმსრბოლო უსრულეთს
მასთან აროდეს გამყარო,
სულ თვალ-წამწამში უყურე.
ოჰ, ალვის ხეო, მაღალო,
სწორო და თვალთა უწვდენო
მზევ, კენწეროთა ლაღ-ლაღო
რა, ფერთა გამით უსტვენო.
ძმობილი გებარებოდეთ,
უარეთ თვალისჩინივით,
თქვენსა საუფლოს მეფობდეს
და ოცნებობდეს დილისთვის.
ის ცისკარია, ლაჟვარდებს
შეარხევს ფრთებით არწივის,
ხეო, უვნებლად ამყოფე,
უკრას ლელწამი მალხინი.
მხარი იცვალა, შამბნარებს,
ტყეს გაუვალსა ტევრიანს
წიქარა შეჰყვა, როგორც მზე
შინდივით გადაერია.
უცხო ტბას ირგვლივ ერტყმოდა
ლელწამთ დრეკადი ტანები,
სხივნი წვებოდნენ ფერდობთან,
ალერსით შენაქანებნი...
ჩაეწნათ გალაქტიური
იდუმალების საწყისი,
რაიც ნისლებით მიუდის
ხმით ყოვლის გადამავიწყით,
ხმა გაფანტული კაეშნის,
ხმა, შენივთული ღმერთასა,
დრო მოგუგუნე ქარებით
არსთ სძლვნიდა უკვდავებასა.
სამყაროს ჭიპი სად არის,
უძირო, ფსკერის ძირასა,
გზა აქ ძევს უცხო სამანის,
ნაკადი თავდაყირასა.
უხილავ უჩინ-მაჩინებს,
ქარავნით, ბინდის შარაზე
ღვთაების ჰანგი აცილებს
და ლელწი კვნესის ამაზე.
აქ, მირაჟივით ისახვის
სამოთხის ედემ-ბაღები,
მხოლოდ-ღა ლელწსა იგი სჭრის,
ვინც არის მსხვერპლთა გამღები.
წიქარაც ამ ტბას წაადგა,
აკაფა ღერო, ჭრილებით
გამოიყვანა საკრავად,
ის სალამურნი წვრილები;

ერთი-სალხინო ბედისა,
მეორე-საჭირვარამო,
საქმე-ღირსეულთ ქებისა
უნდა, აქო და ახარო.
ბიჭს მისცა გულის სახსოვრად
სალმობა თავდავიწყების,
აზრთა უწყვეტი განდობა,
თვისი კეთილი ფიქრებით.
და უთხრა: მარტომ იცხოვრე,
სცან არსთა საზრის-რაობა,
შენ არ გეგონოს საუფლე,
ზეიმით სანახაობა,
არ შეგაცდინოს მორთულმა
ეშმამ, სიკეთის ნიღბითა,
იცან მგელი და ქორბუდა,
გლარჯა სვია და პირწმინდა,
ყველას თავისი მიაგე,
ეცადე შერიგებასა,
ტანჯვის გზა გამოიარე,
მერე, შეუდექ ლხენასა.
დაფარფატებენ პეპელნი
თეთრულნი, თითებფრთიანა,
გაგანა, ჭრელურსაებრნი,
ტალღურა და მახვიარა,
რაის შიმშილი, ბიჭსა ცით
სუფრა ეშლება მეფური;
ხაჭო, ნაზუქი, ხავიწი,
ფხალი და ვაშლი კეხურის,
ცხელ-ცხელი დედას პურები,
ყველი და თაფლაკვერები,
ქადანი სავსე გულებით
ბადაგნი, ყურძნის წვენები.
მოფრიალობენ, ღვინოს სურს
შესვან და მწყურვალს აამოს,
კოკაში ნაბავს წყარო სულს
და შუშა კიტრიც ნავარდობს,
ლაგდება ყველა, ლამაზად,
ლურჯად დახატულ სუფრაზე,
ჩიტნი უსხედან მხარ და მხარ
და სხივნი ღრუბელთ გუნდაზე.
ამაღლდა, როგორც ფრინველი,
ტოტებაწურვილ ალვაზე
ბიჭს შესვამს ხარი, დიდველის
ალვა გასცქერის სამანებს.
თან, დაუბარებს: მზეთა-მზევ...!
უსმენდე ჩემსა ნათქვამსა;
ყოველი ძალუძს გრძნეულ ხეს,
არა მოჰშორდე ალვასა,
თუ, რამე გაგიჭირდება
ან, ძლიერ მოგენატრები,
სალამურისა ჭირის ხმამ
მიხმოს და მეც აქ გავჩნდები.
სთქვა და ბუმბულებრ-ფარფატით
გადაჰყვა ნიავთ ჭავლებსა,
ალპიურ საძოვრებში
ილაღებს, ინარნარებსა.

VI

ბიჭი სტირს, გამარჯვებისა
ვნებამ ერთიან მოთენთა,
სამყარო გადაეფინა
როკვად, სიმღერად, მოლხენად,
გულს გადეყარა წარსული,
ფიქრებს ეძალნენ ფიქრები,
აღარ მოსდევენ ავსულნი,
შავი ეცვალა მზისფერით.
ნიავმა ნამით განბანა,
ცის ანა აფრქვევს ჟუჟუნებს,
ძლევის სიხარულს არ მალავს,
სივრცეს ზეიმით უყურებს.
ლხენის სალამურს ამღერებს,
ცხრა ზეცის თალი ეხსნება,
ლაჟვარდის ბანი-ბანებზე
მოდის ია და ენძელა.
ჩიტნი ჟივ-ჟივით გალობენ,
ლმობის დასცქერის ეროსი,
წვიმა არ აკლებს სამოსელს
ყვავილებს „მშვენიეროსი"
ოქროსთმიანი მეუფეც
მოჩხრიკავს ცათა ხნულებსა,
საქმეს ვინ, ვისას დაულევს,
ობოლს-დარდიან წყლულებსა,
სამყაროს ბრძენნი მართავენ,
მართვის ღვთიური წესითა,
რასაც თხრობით ვერ იტყვიან,
ამუსიკებენ ლექსითა,
კოსმიურ დვრიტის გამგებნი,
ამგებნი ფიქრთა ტაძრისა,
გულით ზღვასავით ლაღები
ხორცით მიწიერ ძალისა.
ჰარმონიული სიმღერით
ფერს ფერის ქარზე ეძინა,
არ დაიმალვის სიკეთე,
გინდაც იმოსოს ძენძითა.
ათას სიბნელის ხაროებს
ერთი სანთელი ანათებს,
პირზე ჰკოცნიან წყაროებს,
მადლში არ ითხოვს არაფერს,
ქვაზე სდებს, სწირავს ჩქერალსა,
მწყურვალს ახარებს, ხვივისა,

გული არ შემოელახა,
მამშვიდეს კაცთა ჭირისას.
ჰანგი ღრუბელში გადადის,
ღრუბელნი ქედის ქედებზე,
ეჰე, ვინ იცის სადამდის
მიაქვთ ამბავი ედემზე.
შორში შავი მთის ფერდაზე,
შავი ბობოხით თავზედა,
ერთი მეცხვარე უფრთხის მზეს,
ნაბადს იხურავს ტანზედა,
ცხვარი ჰყავს აურაცხელი,
მაინც სიხარბის მონაა,
წყვდიადს რად უნდა სანთელი,
წყვდიადი სხივთა ქრობაა.
მაშ, ეს რა კვნესა ეძახის,
რა, მელოდია დუდუნებს,
ყრმა ეტატება დედამისს,
ვით მტრედი ცად მოღუღუნე,
გულს რა ცრემლები ელვრება,
მხეცსა ვინ უკვნეტს ეშვებსა,
რა, ხმა ეძახის; -შენ ტყვე ხარ,
სული მიჰყიდე ეშმებსა,
მოდი სამოთხის ბაღნარში,
ცხვარი ცვარ-ნამით ალაღე,
შენს ცოდვებს ღმერთი გადაშლის
თუ, გულით მოივალალე.
მინდორს თეთრ ლაქად მოედო
ცხვარი, თიკანი, ბეკეკა,
სივრცე მოჰქონდათ ძერა-ქორს,
ფარაც მოსძოვდა ნელ-ნელა,
თავად, მეცხვარეც გამოჩნდა,
ელამი თვალის მქონები,
უხილავ სალამურის ხმამ
გადმოატარა გორები;
ასეთი, ხმა უცნაური,
გულსა უხმლოდაც დალახვრავს,
ძალა აქვს ანდამატური,
-ამოუხსნელი ქარაგმა.
ცხოველნი ჰანგის თილისმით,
ხიბლის ტბად იმყოფებიან,
ზარის წკრიალში სხივი მზის
მხოლოდ ღვთაების ძღვენია.
მონაცვლეობენ, წიწკნიან,
ცხვარი სძოვს წვნიან ბალახსა,
დედდება ბინდის-ბინდია,
ბიჭის სამყოფელ ალაგსა,
თავს იყრის თეთრი ნალები,
მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს,
ამ ჯადო სალამურის ხმით
ალვაც მაღლდება ზეცამდე.

მეცხვარეს მოესურვება
ხელთგდება სალამურების,
გადუბრუნდება გუნება,
დღეს შესცვლის საღამურები,
ეშმაკა - ხრიკებს იმარჯვებს,
მობლანდავს მახის ბლონდებსა,
ბიჭს ეტყვის: ძმისავ, გინატრე,
სულ მოგცემ რქიან ბოტებსა,
ოღონდ, ჩამო და მაჩვენე
გრძნეული სალამურები,
ხმით დამანელე, დამსეტყვე,
აწ დავსტკბე მათი ყურებით,
თითნი შევავლო, ვეფერო,
შევუქო ყელი რაკრაკა,
ზენაარია..... ამას ვგრძნობ,
დამხუთა, დამაგლახავა.
არ შეცდა ბიჭი, „ძირს ჩასვლა”-
-უთხრა, რომ მეკრძალებაო,
სალამურნია ჩემი ხსნა
ცითა, ძირს-მინდვრის დედაო,
შენც, მხოლოდ ტკბობას დასჯერდი,
ღმერთმა რაც მოგცა, იკმარე,
დღე გაითენე ისევ მზით,
ეძმე ოცნების ბინადრებს.
ცუდი აზრები ჩაიდო
გონსა, გულს-ბოღმის ძირები,
იფიქრა; მოვსჭრი ალვის ზროს,
მეცხვარემ, შურისძიებით.
ალვა შრიალებს, ვერცხლისფრად
მისი ფოთლები ტრიალებს,
ვაიჰ-თუ, უმუხთლონ კაი ყმას,
მზე დაბლა დაუბზრიალდეს,
ფიქრობს, უხილავ ძაფებით
ზენას უგზავნის იმპულსებს,
სხვა ესმის გონით გამხელილს,
ვინემ მიწიერ ბინულებს.
ღამის ფიქრს აჰყვა, ცისკარით
მეცხვარემ ცხვარი აშალა,
ისევ წავიდა იმავ გზით,
ჩრდილით გზა გადააშავა.
იმ, ქვეყნის, მეფეს ესტუმრა,
ძღვენით და დიდი სალამით,
მხრებზე ნაბადი ეხურა,
ფეხნი ემოსა ქალამნით.
ეკრძალვა და ემოწიწა,
სიტყვაც დამარცვლა ღერღილად,
აწი, ხელი ვარ თქვენს წინა
მეფეო, ნეტავ გეხილა
მე, რამაც შმაგად მაქცია
და გადამრია ჭკუაზე,

თქვენს სამფლობელოს მზეწვია
სულ, სხვა სხივებით უმარჯვებს;
ერთ ალაგს, ცხრა მთის გადაღმა
ვერცხლის წყარონი დიანო,
ოქროსი არის ყველა გზა
და ცად უცხო რამ ხმიანობს,
არცა ჰგავს ჩიტის გალობას,
არცა  მთოვარის კვნესასა,
ღმერთს უფერთხია წყალობა,
თმები ჩაშლია ძეწნასა,
ლელწამთა სალამურები,
რაც ამოსთქვამენ სათქმელსა,
ათას სასმენი ყურებით
არსთა ვერ იგრძნო გამხელა,
ვერ გაძღე... მზერა გაგექცეს,
სიუხვით აღვსილ ხორაგზე,
ალვის ხე მინდორს გადმოსცქერს,
ნაზარდი ქაჩალ გორაზე.
ზედ, ერთი ბიჭი, კენწეროს,
შემჯდარი, ცაში ჰკიდია,
არ გვარგებს ებრძოლ-ემტერო
უნდა ვიხმაროთ ხრიკია;
სხვაგვარად, ჩამოტყუებით
ხელში ჩავიგდოთ, ტიელი,
ის, სალამურნიც-ტყუპები
ლელწმისა, არა იელის
შენი იქნება, ხელმწიფევ,
ვით ეკადრების ზენასა,
სწორედ ამისთვის გემძივე
და ვაცოდვილებ ენასა.
ტარტაროზს როდი ეძინა
განფენილს სულის ჩრდილებში,
ხშირად ჩაგვესმის მისი ხმა
ფარული, თანაც ფრთხილები,
მაცდური, ხორცის სურვილით,
ანთებულ კაცთა გულებზე
ერთი უძლები სიმი კრთის
და ის გვაფხიზლებს, უმეტესს;
აღზევდე, კერპად გადიქცე,
მოძმენი გექცნენ მონებად,
გავიწყდება რომ სამიწე
ჩვენც ერთხელ ჩაგვეკონება.
ჰოდა, ეს მარადიული
ეშმაკეული ცდუნება,
სიკეთეს გამოწირული,
ამ, სიმს აუმღვრევს გუნებას;
ისეთ ხმას მოაცემინებს
სისხლს მობეზრდება თმენანი,
შური გადმოხეთქს ჯებირებს,
ატყდება ხანჯალთ წევანი.

შურის ფოსოში ხელმწიფეს
ვით ჭინკა-ეშმაკეული
ჩაუჯდა, ეტყვის-იგი ხე
ზეცას ჰკიდია, გრძნეული
დასცქერის ედემ-სამოთხეს
და მარადისად შრიალებს,
მიდამო იცვლის სამოსებს,
ვით ჭავლებს ლხენის მდინარე.
სხვისთვის სამარის გამთხრელი
გააპანღურეს მეცხვარე,
ასეთ გზით ბედის ამგებნი
ვერ მიაღწევენ ზეცამდე,
სულ  უკანალზე ირტყამდა
ფეხებს, მირბოდა ისეთსა,
თავის მოსავალს იმკიდა,
იმას რაც მტრობით ითესა.
ხელმწიფე დროს არ ჰკარგავდა,
სულს ფხანდა ხარბი წადილი,
ეშმას მიმდევარს შხამადა
შეერგოს ტკბილი წანდილიც.
გაჰგზავნა შავი ყორანი,
დედაბრის სამოსელითა,
მდელო ჰსურს კვდომად მოვარდნილს
ცელს, გაფხავებულს ლესვითა.
მწვანე აქვს, ბალღამ ნარევი
თვალები დედაბერსაო,
გუგა-„ცა მელის," შხამ-გესლი
ამ ქვეყნად ბევრი სთესაო.
მიწას ყურს ადებს,
ხმალებრი შავი ელდენნი კრთებიან,
გრძნეულ ხეზე ზის ის ბიჭი,
მშვიდი და ბედნიერია.
როგორმე, უნდა აცდინოს,
თავი აცოდოს ხრიკებით,
ხიდან ჩამოსვას, რადგან გრძნობს
ხე ცას ჰკიდია შიბებით.
თხა ალვის ძირში მიაბა,
აჩხავლებს, სადგისს ჩხვლეტავსა,
ბიჭი ქალს შეეხმიანა;
რა, უჭირს დედის-დედასა...?
ბებერი ხვეწნა-მუდარით
დაიტკბობს ენა-პირებსა;
არ, მითხრა, შვილო, უარი,
თხასა ვკლავ შენაწირებსა,
სრულ დიდ ღვთაებას ეწირვის,
შეთქმულ მაქვს სულზე გმირისა,
ქარში უყვარდა ლერწივით
ჩემს ვაჟს შრიალი ღიმისად.
იმის ხატს ვენაცვალები,
ვკლავ თხას და ვერ დამიკლია,

მკლავთა აღარ მაქვს ძალები,
ღონიც დრომ შემომილია.
დასერავს გულის-გულებსა,
სიბრალულისა ქანები,
დაავიწყდება ბიჭს, წესად,
წიქარას დანაბარები:
ხიდან, ძმობილის გარეშე,
გეკრძალვის ასვლა-ჩამოსვლა,
თუ, გსურს გულისთქმას დანებდე,
გონიც მოიხმე წყალობად,
ჭირთა გჭირს სალამურისა
ე, მაშინ ხმობა ბაჭიავ,
ვერ ხედავ, წყვდიადს მურისას
ბებრად რომ მოუპრანჭია.
ჩამოსცდა ტოტებს ასხეპილს,
ციმციმ დაეშვა შვეულად.
თვალნი სავსე აქვს კაეშნით,
დედაბერს გამორჩეულად.
დედა-შვილურად ეფერა
ბიჭი, ნუ, გეშის დეაო,
შენ ვგონებ, თვალთაც ვერ ჰხედავ,
შეგყრია ბნედის-ბნრდაო.
თხას დავკლავ, დახამხამებას
ვერც კი მოასწრებ თვალთაო,
დამტანჯა მაგის წვალებამ,
გულს ბრალნი გამიახლაო,
ღვთაებას უარს ვერ ვეტყვით,
ვერცა გადავალთ წესზედა
ჰოი, რა რიგად, კაცთა გვჭირს,
იყო სიკვდილის მთესველად.
ვიშვიშებს შავი ყორანიც,
აფჩენს უკბილო ხახასა,
ამ თეთრი ღვინით ხსოვნანი
უთხარი ჩემსა ვაჟასა,
დიად შენდობას მოელის,
იმ ქვეყნად, განათლებასა,
დალიე, ტკბილად შეგერგვის
შენს გაზრდა-გახარებასა.
ბიჭს, მონატრება დედისა,
აუბნევს გონის თვალებსა,
ვერ ამჩნევს მწვანე ფერისას
ქალი რომ აფრქვევს ბრწკალებსა.
ღვინოს სვამს, ბანგით გარეულს,
ყინწი მოსწყდება წამიერ,
წყვდიადს გადიცვამს ეშმა სრულ,
ფრთათა-ხელების მაგიერ,
ბიჭსა გუდაში გამოჰკრავს,
კლანჭთა შემოხვევს ღონიერს,
ჩრდილი გადეკვრის ველთა, წამს
გადიყვანს სულ სხვა ჟამიერს;

VII

ბევრს ოქროს გულზე გადიყრი,
მაგრამ ოქრო ვერ გახდები,
დარჩები ქვეყნის ჰარიფი,
ვით ქაფი, ქაფში გაჰქრები.
ჯერე გადახტი, გადევლე
უფსკრულს და ბეწვის ხიდებსა,
ოფლი წურწურით ნადენი
ჩამოგდიოდეს კბილებსა,
მერე, სთქვი გავიმარჯვეო
და დაიძახე ჰოპლია,
არ დაშვრე, შენად ითვალო
ღვთისაგან მონაშობია.
გაიზეიმე, თუ, მტერმა
იწამა მძლეთა-მძლეობა,
შენი შეიგრძნო ბუნება
და თვისი არაფერობა.
შემოიკრიბა დარბაზი,
ჯარი და კარისკაცები,
სამეფო ტახტზე დაბრძანდის
ხელმწიფე შემაზარები,
გვერდზე მონები დაუდგნენ,
შავ ავაზათა კრებულით,
შუბნი კეტავდნენ კართაბჭეს,
სისხლს და შფოთს მონატრებულნი.
მუქი ყორანიც მოფრინდა,
შლეგი ქარების თანხლებით,
ტომარა მიფლით-მოფლითა,
ბასრი გამოჰკრა ბრჭყალები,
იქცა ავსული, დედაბრად,
შეკრებილთ თვალნი აკვესა,
გადმოაფრქვია მყრალი ხმა,
ვით გესლი შხამთა არესა.
ბიჭი მიჰგვარა ხელმწიფეს,
(მძინარს გადაჰკრავს ქოთებსა).
ჰოი, სადა ხარ დედის მზევ,
სხივთა გთხოვ მანათობელსა.
დგას ცისკრის სხივი, დაფლეთილ
სამოსით დივნის წინაშე,
იკრებს ხელმწიფე ფიქრით თლილ
აზრებს, შავად რომ ბრწყინავენ.
ნაზირ-ვეზირნიც მდუმრობენ,
ელიან რისხვა-ქებასა,
მალე იხილვენ მყუდროზე
მთვლემარ ქარების შეხლასა.
ხელმწიფე ყორანს შესცქერის,
ყორანს-უდაბნოს სევდასა,
ყორანი თავის მეუფეს
მიაყრის ამბის სეტყვასა;

ამპარტავნობით ყიმყიმობს,
თავსაც ამეტებს ვეზირთა,
წინ ის არს, საქმით ვინც ბიჭობს,
ღირსიც ის არის ქებისა,
მან დიდი შრომა გასწია,
აცდინა ცისკრის სხივები,
როდი ყოფილა ქვაწვია,
არც უთხოვია ქირები.
ხელმწიფის კრძალვა-რიდებამ
შეაძლებინა უძლები,
ყმაწვილი ცხრა მთით მოჰგვარა,
ოღონდ ის სალამურები,
გრძნეულ ალვის ხეს შემორჩა,
ხეს, ჩამოკიდულს ზეცაზე,
არ მოგვცემს, გინდაც ევლო თავს,
გინდაც ათასჯერ ეცადე.
მხოლოდ ამ ყმაწვილს ეწაფვის
(სთხოვეთ ქვეყანათ მპყრობელო)
სალამურები წყვილ და წყვილ
მოგართვას, ტყე-ველს მოედოს
ის, ხმები უცნაურები-
მეტყველნი ბიჭის ბაგეზე,
სიმდიდრე მოსკდეს ულევი
და თვით სამყაროც დაგნებდეს.
ხელმწიფე ტკბილად საუბრობს,
ქარაგმობს, ქარაგმულებსა,
ყველა სიმუხთლე დალახვროს
და გაუმარჯოს გულებსა;
სწორთა ფარდთა და დიადთა,
(ფლიდს ვინ აუბამს ენასა)
საქმე უკადრი, ვინცა ჰქმნა,
ყველა მიიღებს ვნებასა,
ვით გაგიბედეს უგვანი,
არსთა ღვთაების სადარსა,
ნანობის ცრემლი სულთა მდის,
მიკიდებს ცეცხლის ღადარსა.
ყორანი თხოვნით გაახელ;
შეგთხოვდი მობრძანებასა
და არ მეგონა, მონას ქველს
დღეს არ ვეტყოდი ქებასა,
ღირსთა ღირსება დაჰკარგეს,
საქმე ჰქმნეს ჩემთვის ულირსი,
ყველას საკადრისს მივაგებ,
ცისკარო, შენის გულისთვის.
პატიებას გთხოვ, შემინდე...
სირცხვილის, აწ, ვარ მტვირთველი,
ეჭვის ღრუბლები გაჰფანტე,
ღიმილით გასაკვირველით.
ყმაწვილო, ტკბილო, ტანზრდილო,
გვერდით დამიჯექ გენაცვა,
ერთად ვიმეფოთ, გაქციო
აქ, ულამაზეს ვენახად,
რა დაგრჩენია ტყე-ღრეში,
ქარ-წვიმა სატიალეში,
ზამთარს უფრთხოდე დაგეშილს,
ყინვას, - უთეთრეს თვალებში,
ტახტრევანს დაგასვენებდე,
ნოხად დაგიფენ გულებსა,
ველურ ცხოვრებას დაეხსენ,
მთხოვე და აგისრულდება;
ყველა სურვილი, ძამიკო...
და ყველა ნატვრის-ნატვრები...
ყოველი ძმურად გავიყოთ,
მენდე,... მისმინე,... დამყევი...
ხელმწიფე ასე, ეფერა,
ასე, უქონა თავია,
დაუსურათა მეტყველად
ღვინოდ უქცია ქაფია.
ვერა რას გახდა ჭაბუკთან
აზრი ვერ შეაცვლევინა,
ბიჭი დუმილით გაურჩდა,
ქვის წყალი დაალევინა.
ცოფი მოჰგვარა ნიღაბცმულს,
მოპრანჭულს ფარჩა-ფურჩებით
მეფეს უგულოს უკლავს გულს,
ურგებ-უსმენი ყურებით.
ჰბორგავს დარბაზიც, ურჩობას
იცის, არ არის ჩვეული,
არც შეცოდება-დანდობას,
აფთარ-მგლად გადაქცეული.
დასჯას ითხოვენ ურჩისას,
წართმევას ორთავ თვალისას,
დახშობას გაზაფხულის და
არ გათენებას ხვალისას.
ბიჭი ხელთ იგდო დუშმანმა,
ალჩუს დაუჯდა კოჭები,
მაგრამა სალამურთა ხმა
ხეს დარჩა შენაბოჭები,
მხოლოდ- ღა ბიჭს ეწიფების,
მის გუმანს, მისსა თხოვნასა,
ხეს შეხსნას, ჯადო-მიმჟღერი,
ალვას ნიავზე მთრთოლავსა.
ამისთვის ცოფი დაჰყარა,
დაზაფრა შავი ყორანი,
ხელმწიფე ძლიერ გაჯავრდა,
ფუჭად გასწია ბრძოლანი.
დაჰღონდა ეშმათ მეუფეც,
შუბლზე გაუსკდა ძარღვია,
წყვდიადს-სინათლის მეურჩეს
სიკეთე შემოჰფანტვია.

ძალა წაერთვა, საწადელს,
ამჯერად, ვერ მიაღწია,
შხამ-გესლით მისწვდა დღე-ნათელს,
ღამის კურუმით დაჰხია,
სადარაჯოზე დაჰგზავნა
ჯიქები შავზე-შავები,
დევნი აფრინა გზადაგზა,
ცხრა-ცხრა ეკიდათ თავები.
ჯოჯო, ვარანი, აფთარი,
ტურა, სპილენძის მგელები,
შემოსა რკინის აბჯარით
მთანი და ხევის-ხევები,
ცა დააბნელა ღრუბლებით,
ადინა წვიმის ღვარები,
ზეცას ურდულის კეტებით
გადაუკეტა კარები.
ისევ ბნელეთში შთააგდეს;
ბანგის სიზმარი აუხდა,
რითი გააძღობ მშიერ მგელს,
როცა გაძღომა არ უნდა.
მიუვალ კლდეთა ნაკვეთში,
დილეგსა, ცხრაკლიტულებით,
ჩასვამს, ვამპირნი ნაგეში
კლდეს უზის ყოველ უბეში.
გადიხარხარებს, ვისაც სურს
სულ, ტკბობა წუთისოფელით,
ის ამოუჭამს გულის-გულს,
სიცოცხლის უარმყოფელი.

VIII

უდაბნოდ დაყუდებულა
კლდისა მდუმარე სალები,
ვნებები დადუმებულა
ამორფიული ძალებით;
არის უკუნის სიჩუმე,
დუმილი გაუსაძლისი,
არვინ არავის იხუტებს
და დახაშმული ქარი ქრის.
სიცხეა სულის მხუთავი,
თონებრ ლაპლაპებს გარემო,
ჩასაფრებულა მგუდავი
და მზე აჭენებს ფაეტონს.
ბიჭი ილვიძებს, ზმორება
და სუნთქვა ხშირი ეძალა,
ბნელი ეფარვის გონებას,
ვით ძილქუშების ქვეყანა.
ძლივს გამოფხიზლდა ბანგისგან,
გონს გადეყარა ბინდები,
სად არის, ალვა რა ექმნა,
ანდა,-მჭვირვალი დილები.
ცის ნაგლეჯს ჰხედავს მხოლოდ-ღა,
დაგმანულს რკინის გისოსით,
გაჰყვირა, ექომ იგივ ხმა
შემოუბრუნა კლდიდან-კლდით.
ბევრი იტირა, იზახნა,
იგლიჯა თმათა ბლუჯები,
ურვაში როდი არის ხსნა,
ანდა კნავილი კნუტებრი.
სარკმელს მივარდა, ისრუტა,
მზერით აღივსო მიდამო,
ლაქა ეყოფა, ხედავს, ცას
რაღაც ფრინველი მიაპობს.
დიდდება შორი წერტილი,
ნაცრისფერ ყვავად ფარფატებს,
ეს, იმედია ალბათ, ხსნის...
ღვთაებას ლოცვას აღუვლენს.
გასძახებს. ჰე, სულიერო...!
აწ, მოვლენილო, იმედად...!
დამიხსენ, კვლავაც, ვიჟღერო,
კვლავაც, ამოვსთქვა სიმღერა.
ყვავო, ველების მოწყენავ,
სიკვდილის მაცნედ გიცანო,
სამყარო შენში მოძველდა,
ჟამი ათას წელს ყვინთაობს,
კიდევ სამას წელს იცოცხლე,
სივრცე შეიცან ყანების,
მიშველე, გამომიწოდე
ხელი, ძმის შესაბრალები.
შენს სათვალთვალო მინდორზე
ერთი ალვის ხე შრიალებს,
იმის აწურულ ტოტებზე
ხმა საცნაური წკრიალებს,
იქ, დამრჩა, წიქარასაგან
ნაჩუქი სალამურები,
გადაიფრინე, ქარ და ქარ,
დრო მიჰქრის დანაშურები,
აქ, მომიტანდე, ვადიდო
ყვავთ მოდგმა, ცრემლთა ლმობანით,
ნუთუ, გსურს მწუხრში გამწირო,
არ ძალგიძს ლხინთა თმობანი.
ყვავი ყურსაც არ ათხოვებს,
ფერ-ნაცარს გადაიყრისა,
შენ, კარგად უნდა გახსოვდეს,
ქვებს რომ მესროდი ბინდისას,
მე, პატიება არ ძალმიძს,
არც დამნდობი ვარ მოყვრისა,
ვერ ჰხედავ ლეშის შოვნა ჭირს,
შენ კი, საკრავნი მოგინდა.
წავიდა, გადაიკარგა,

ვითა, მირაჟის ლანდები,
უმოყვროდ კაცი არ ვარგა,
კაცი ძმობაში მჟღავნდების.
დაჰკიდა თავი, დაღონდა,
სასო ელევა რწმენისა,
ვერ დაიბრუნებს, რაც მოხდა,
ქარივით იკარგებისა.
ისევ, დილეგის სარკმელი,
საბედოდ, ქვეყნის ხედვისა,
ვით, გაზაფხულის ფანტელი,
ზეცისკენ იმზირებისა.
ბიჭიც გასცქერის, მზერა თრთის,
თვალთ არ უჯერებს მეტყველთა,
ჩიტი მოფრინავს, ღიმი ცის,
ფრთოსანს შესძახებს: მე, ტყვე ვარ,
გამომწყვდეული ცხრაკლიტულს,
გამოკიდული უფსკრულზე,
ბნელად მისერავს დარდი გულს,
ადრე მომწყვიტეს უსრულეთს.
ბელურა ფრთიან-ფრთიანობს,
დღეთა ჩამოჰკრავს ზარებსა,
ამას გთხოვ, ნიავთ-ნიავო,
ალბათ, არ  დაიზარებსა....
გასძახა, ჩიტო, ღაბუავ!
ადგილის დედის მაცნეო,
მოჯარდნენ ჩემსა თავზედა,
ღრუბელნი ბოღმით სავსეო,
დილეგსა გამომაწყვდიეს,
გამწირეს, მომჭრეს სოფელსა,
ალვის ხისაკენ გასწიე,
აგრემც, ემრავლე მშობელსა.
იქ, სალამურებს იხილავ,
ექო მის ლელწში ხმიანობს,
გლოცავდეს დედის ჩიქილა,
ლაღო და გამგებიანო.
მეგობრის ნაჩუქარია,
ქარი აკვნესებს ხანდისხან,
ხარებავ, მომიტანდია,
მიესწრაფოდე კარგის ქმნად.
საჭირვარამოს დავუკრავ,
გამოვუძახებ ძმობილსა,
ჭირსა ზოგჯერა თქმა უნდა,
იტყვი და შვებას მოგიტანს,
გაესაუბრა ბელურა,
ჭოჭმან-ჭოჭმანი დაეტყო,
საყვედურებით ეს უთხრა;
თუ, გახსოვს.. იმ, თქვენ მხარესო
კაკანათებს რომ მიგებდი,
მაბავდი ათას მახეში,
იმ, წყენას ყურზე ვიბნევდი,
ვით შურისგებას დაგეშილს,
და ჰა, ეს წამიც დამიდგა,
სხვისთვის რაც გსურდა, იგემე,
შენი გოდება რად მინდა,
გულს ველარ გადამირევენ.
ფრთა ფრთას შემოჰკრა, ფანცქალით
ჭავლით გადაჰყვა დინებას,
არიან კაცნი მდაბალნი,
არ გისმენს მონანიებას;
შენგან წყენას არ ივიწყებს,
ძალი არ ესმის გვემანის,
არ ძალუძს ღატაკს-სულით მჭლეს
გულწრფელი მიტევებანი.
წასკდა ღვარტოტად ნაკადი,
ცრემლთა დაბინდეს თვალები,
ჩემი წიქარა სად არის,
მის სიყრმეს ვენაცვალები,
სტირს გულამოსკვნით, ზეცამაც
ტყვიის ღრუბელნი მოჰყარა,
მეხის მიწაზე ჩამოსვლას,
ელვა არ აკლებს ოხვრასა,
დელგმაა, შედედებული
ღრუბელი კოკისპირულობს,
იმედი, ხელ-ფეხ შეკრული;
უხმლო, უიღბლო, უპირო,
ცოდოა, ტიელ ბრძოლაში,
მარტოსულთ წყალი გაჰრიყავს,
ძალა სჩქეფს, მეგობრობაში,
ქარს გადააქცევს ქარიშხლად.
წვიმამ ქვეყანა წარიღო
და დააქცია ხმელეთი,
აღარ არს იგი, რაც იყო,
შეჰყარა ელეთ-მელეთი.
რამდენ დღეს სწვიმდა, ვინ იცის,
ან, ვინ დაუდო სამძლვარი,
ცისა შორეულ შარა-გზით
მზე მოევლინა ნამგზავრი.
ლოცვად დავარდა ჭაბუკი,
მნათობს შესთხოვა ლმობანი,
მზემ შემოიხსნა ქარბუქით
ნისლების ქობის-ქობანი.
ლამაზი თვალნი აჭიტა,
აზიდა ზეცის კამარა,
ბევრი დრო როდი დასჭირდა,
დასცა დაფი და ნაღარა.
ჯერ ტოროლებმა შესძახეს,
შემდეგ, ცას წავალ-წავალმა,
გალობა უთხრეს ერთმანეთს
სხივებმაც ამომავალმა.
სიწმინდის ბროლით განბანეს

გულთ უხილავი ძაფები,
მთამ გადასძახა ხევით-ხევს
წყაროთ მჭვირვალი ქაფებით.
წამია, წამსა არა ჰგავს,
წამს ნუ გაატან წამ-სევდას,
ჭირთ წარმავლობა ვისაც სწამს,
იცხოვრებს რიყის ქვაზედაც.
დილის დაფიონს ამოჰყვა,
ვით სიხარულის ცქრიალი,
ვით, სულიერთა ამოთქმა
მერცხალი, ბზრიალ-ბზრიალით,
შავი წმინდა და კეთილი,
გულთეთრი, კუდმაკრატელა,
სამყარო გამოკვეთილი,
ღმერთის სპეტაკი სახება.
ჩამოუქროლა კანიონს,
ციხის შეგმანულ სარკმელსა,
ვარო დანდობის ქარიო,
ცაც სხივოსანი დამსდევდა.
მერცხალი დილის იმპულსი,
დღეთა ღვთაების ლხენაო
აზიმუტების მიმყური,
ვინც გვამცნობს მისის ენასო,
ვინც ხატავს ზეცის სიწმინდეს,
შავ-შავი სილუეტებით,
სრიალით როცა ჭიკ-ჭიკებს,
კოსმიურ ღიმში ვერთდებით.
ბიჭმა ღვთაება შეიცნო,
მარტო არ არის ურვაში,
ტრიალ მინდორში, შორით-შორს,
მერცხალო! ცდომილთ ბრუნვაში,
შეჰგოდებს, ალვა ტანადი
ამღერებს ბედისწერებსა,
ტოტებზე, წვიმით დამბალი
საკრავნი განისვენებსა.
ჩემს მთრთოლვარ ბაგეს ელიან,
ჩემს სუნთქვას, ჩემსას თითებსა,
თუმც, ესე საქმე ძნელია,
ტყვესა ჩამწყვდეულს დილეგსა,
უარს ნუ მეტყვი, ოცნებავ,
ლურჯი მთის, ზურმუხტ მდელოსი,
აქ მომიტანდე, ჯერ ხომ ვართ,
ერთ არსნი სამყოფელოსი.
შორი ქვეყნიდან მოვსულვარ-
მერცხალი, ბანად, ვნახეო,
ისევ, დგას იგივ ქოხულა,
ბლარტნი იქ გამოვზარდეო,
აივნის კუთხე- კუნჭულში
შევაკოწიწე ხუხულა,
ბამბა, ჩალა და ნაჭუჭი
ჩემ ნერწყვმა შეაკუნწულა.
ეხლაც, იქიდან მოვფრინავ;
მამამ მოგჭამა ჭირია,
სოფელი მოლოდინშია,
სოფელს ისევე, სჭირიხარ,
მეც, შენს დობილად მიგულე,
ვგლოვობდე შენსა ტანჯვებსა,
თუ, რა ვარ, ახლა მიყურე-
სთქვა და გადევლო ხრამებსა
ვით, გაფიქრება, ვით თვალნი,
აღვსილნი ერთის მიზანით;
აანთოს, ბედით მიმქრალი,
ღვთაების რწმენის ნიშანი.

## IX

ბიჭი სარკმელს არ შორდება,
მზერით აოკებს სივრცესა,
ვით, შემკვრივება მორევთა,
გული სიხარულს მინებდა.
რა ჟამმა დაჰკრა, ანდა დრო
ვის გაუზომავს ყოფისა,
ვინ, რასა სჩივის, ვის ეყო
ესე, ცხოვრება შფოთისა,
ან, ფიქრი, ანდაც, ოცნება,
ანდაც, განწილვა მთელისა...
და მოღალულსა ლოცვებად
მწუხრიც მოადგა ბნელისა.
თვალთა გადეკრა ზმანება,
გონსა ეპარნენ რულები,
ქუთუთო წამწამთ დანებდა
გამეფდნენ სიზმარულები.
დროებით ხორცი ყუჩდება,
თუმც, არ ივიწყებს ჩვევებსა,
სიზმარი იაგუნდებად
შეკრიბავს მოჩვენებებსა.
იქ ჭინკა, აქეთ ქაჯები,
ტყედ როკვა დედინაცვლისა,
ტახს მისდა სამტროდ დაგეშილს,
ისევ, უზომავს მანძილსა.
შორით, ხეობის ხმა ისმის,
დევს ტყენი აკრთობს გუგუნით,
კლდე და კლდე ალი ჩამოდის,
ვით, განცვიფრება უკუნის.
შეკრთება, გადაეყრება...
ხილვანი გულთა მზარავი,
ხედავს მერცხალი გულთეთრა
უზარმაზარი ქარავნით,
უშველებელი კრებულით,
მხარგრძელი ჩიტუნებისა,
საძმო საქმისთვის შეკრულნი

შორსა გზას მიუყვებისა.
ტყუილად ცდილან ძელქორნი,
ალალნი, ორბნი, ძერანი;
დამშლელნი ამა ერთობის
არა არს, ვერც ჰქმნას ვერავინ.
აგერ, ხე ალვის, ხე ღვთისა,
ნაზარდი ნიავთ-ნიავზე,
აღმასვლა დიდად ემძიმა,
გულსა ქარ-ქარებს მიაგებს.
გაეხარდება ჟივილი,
მოფრენილ წმიდა ლაშქრისა,
სჩვევია წამით ტირილი,
დრო უდგას გრძნობათ აშლისა.
გაუწვდენს სალამურებსა,
ძმისას იკითხავს ამბავსა,
იჩქარეთ, საღამურდება,
ღამე დაგვხურავს კარავსა,
სწრაფადვე უკან გაბრუნდით,
ლოდინმა სული დალია,
გფარვიდეთ ზეცა ნაბრუნდი,
ქარ-ზურგით მალზე-მალია.
ბიჭსა ვნებათგან მოქანცულს
გაელვიძება დაისით,
ფრთოსანთა მწკრივებს ჭავლი სურთ,
ვით იმედები ხვალისი.
მნათობიც მშობელ დედას ჰგავს,
ფერმკრთალი დასალიერით,
სარკმელს მიეჭრა ფარფატა
საკრავით, სალმობიერით.
ბიჭი სულს სულზე იხუტებს,
უკოცნის ყელის-ყელამსა,
მადლი იმ დედას, იმ ბუდეს,
ვინაც გვიშობავს ლხენასა.
ცაც ხარობს, მწუხრის ნისლებს ცრის,
ფრთა ფრთას ერევა, მხარი-მხარს,
ძმაო, ძლიერ ხარ, ისევ ძმით,
მადლო, სიკეთის ძალი ხარ.
ტუჩზე დაიდებს, დაუკრავს
მკვნესარე საკრავიერსა,
ხმას იისფერი ცა უნდა,
ღამის მოუხმობს იებსა,
სხვას აატირებს, თავადაც,
ტირის ტალღური გარემოც,
ქვეყნად არავის არ ასცდა,
ჭირი და გლოვა საერთო.
ლხენა მზიური, ხმა-ცისა
გინდაც, ათასჯერ ისმინო,
ტანჯვა არ სუბუქდებისა,
ტანჯვა მიაგავს მიმინოს;
მზე და მზე ჩამოგიქროლებს,
ფრთა-ფრთა გადმოკრავს ხრმალებსა,
სად თინათინი იბროლებს,
იქ დაგთხრის თვალის-თვალებსა,
დაგაკარგვინებს მეგობარს,
მოყვასის ხილვას ნატვრადა
შორში გაგისვამს და ყოფას
გიმწარებს ჟამის-ჟამადა.
წვიმას დაიწყებს, მალული,
ჯანღს, ცრემლი შეეფერება,
ნაგვიანევი მგზავრული
კვნესს, სივრცობს ფენა-ფენებად,
მიდის დაჭრილი ნიავიც,
მიაქვს ამბავი ბიჭისა,
ამბავი გვიან-გვიანი,
გარდუვალ სიდუხჭირისა.
წიქარას ბინდის მდელოზე
ნისლები მოეხვევიან,
ჟრჟოლის შეჰყრიან სამოსელს
და ამბავს მოუყვებიან,
სალამურის ხმაც მოსწვდება,
საჭირვარამო ბედისა,
თვალთა ცრემლები მოსწყდება
წიქარას, აჩქამდებისა,
სიამეთ ტანით გადიყრის,
ჩლიქებით დაბრდღვნის მიწასა,
ძმა უნდა კაცსა ასეთი,
ჭირს რომ იტვირთავს ძმისასა,
ადგილს მოსწყდება ელვასებრ,
კლდისას ემსგავსის ქანებსა,
გასწევს მეგობრის მონატრე,
გაჰხევს სიმრუმეს ღამეთა.
რქებზე მთოვარე აენთვის,
გზებზე ვარსკვლავნი ციერი,
ეხლა, უყურეთ, ვინ არს, ვინ?..
წყალნიც გასჩქვიფა მღვრიენი.
ხევ და ხევ გადაიფრინა,
ზურგზე იმოსა ფრთენია,
ვით ჯადოსნურმა იფრითმა
ანგრია დასანგრევია.
წამი-წამს ციდან ჩაჰკიდა,
ჯურღმულს ციაგის კიბენი,
მცველნი დაჰკოდა, დასწყვიტა
დევნი, მთასავით ძლიერნი.
შემდეგ ვამპირნი დაჰფლითა,
სისხლი შეიცხო რქაზედა,
კლდის გული ძლიერ გაჰკვირდა,
რვალი გულ-მკერდზე აფეთა.
წიქარა ვერ შეაჩერა
ყურის წამლებმა გნიასმაც,
ვერცა, ათასმა ქაჯებმა

ვერაფრით დააზიანა.
ქვესკნელის რვა კარს გასცილდა,
ამსხვრია კართა დირენი,
დასცვითა რქები დასცვითა,
კარ იყვნენ, როგორც ტინები.
მეცხრე კარს ძლივ-ძლივ უწია,
მკერდი ძალუმი დაჰღალა,
მთვარემ აკვანი ურწია,
მზემ სხივნი გადმოაღვარა.
ტანთ აიკრიფნა ვარსკვლავნი,
მუხლთა რკინისა რვალები,
შინდავ ნისლებში ნაკვებო,
ხარო, შენ გენაცვალები;
ასე, ილოცვის ჭაბუკი,
ხარის ხატება უნთია,
ნესტოთ დაჰბერეს ქარბუქი,
ბურთებრ შეჯარდნენ კუნთნია,
დასცა საყვირნი, ხმის ტალღამ
ბჭენი ურყია დილეგსა,
რის შეცოდება, რის დაღლა,
ხარი განწირვას მინებდა;
ვით მეტეორი, ვით ელვა,
ვით შუბი, ვითა ისარი,
ვით სისხლისფერი ქიმერა,
ვით წარღვნა-გრგვინვა ცისანი.
ზვავებრ დაატყდა მეცხრე კარს,
პირნი გადუხსნა ნაპრალთა,
მაგრამ ცალი რქა ჩამოსტყდა,
დაჰღონდა, ბედი ჩაჰმწარდა.
წყვილი კურცხალი გადმოსკდა,
როგორც ბოჩოლას თვალებსა,
მდუღრად ატირდა ხაროსთან,
ვინ, ვისსა შეიბრალებსა.
ის იყო ნების მატარი,
ცათა მოძრავი გონისა,
მისი ბიჭობა სად არის,
მსგავსი შევარდენ-ქორისა,
ან, გულთმისნობა, გრძნეულის
ძალა ვინ გამოაცალა,
ცოდოა კაცი ეული,
გზა ცეცხლით მიენაცარა.
წყვდიადს გადასწვდა ამბავი,
წიქარას ბეჩაობისა,
შეკრბა შავეთის ამქარი,
არე სიმყრალით მოსისხა,
უდგათ დღეობა, მეუფე
ეშმას შესწირვენ ზვარაკსა,
გამომწყვდეული სიკეთე
დარჩება ჭიათ ჯარასა,
ყველას სატანჯველს მიაგებს
გამჩენი აგდებს ცდაზედა,
თუ, გაიმარჯვე წყვდიადზე,
მაგარი ხდები ქვაზედა.
იცოდე, აღმართს ძალა ხნავს,
სულსა ზრდის თავისდადება,
მსხვერპლი გაიღე, არა რა,
ქვეყნად, უმსხვერპლოდ არ ხდება.
არ ახსოვს, წამთაც არ უთხრეს,
საუკუნეთა სრბოლების,
სად ხარ კაცობის საუნჯევ,
გული აჩვენე ბროლების...
ყურში ჩურჩული ჩაესმის
ჟამი ლაგდება ჟამზედა,
უცებ ნათდება შავეთი,
ძნელი ყოფილა დაცემა..
მე გაგიმრთელებ მაგ რქასა,
ოღონდ პირობა აგია;
ვინ ეუბნება ამასა...
პატარა ცუცნა თაგვია...
მოჰკვდები, სული სულეთსა,
ხორცი საჩემო ხდებისა...
თაგვო, მიშველე! უღელსა
დავიდგამ მოკვდინებისას,
ამ ბიჭს დავიხსნი, გავიყვან
ალვის ხეს, მინდორ-ტრიალოს,
შენ გებარები, ღვთიანო.
შეჰყურებს თაგვთა მეუფე...
ხარს შვენის შუბლი ნიკორა,
მზე სიყვარულით ეუფლვის,
მთვარე ასხურებს მირონსა.
გაძვრა-გამოძვრა თაგუნი
ბალახი მოაცუნცულა,
ცქიფად გადუსვა ქარულით,
რქა-რქაზე შეაკუნწულა.
წიქარა ლხენით აივსო,
მადლი შესწირა გრძნეულსა,
რქაც კი ხნავს ბებერ ხარისო,
გუთნისდედისგან ქებულა.
კარი ვერ უძლებს დარტყმებსა,
გაუდის ლაწა-ლუწები,
ეშმამ ურჩხულნი დაგეშა,
ვამპირნი სისხლით უძღებნი,
გრგვინვას ჰგავს ოკეანისას,
ზვავს მოქანებულს სლიპებზე,
ხარი არ ხუმრობს, ობოლ ძმას
როდი ამყოფებს იმედზე,
შეამტვრევს კარებს გლიჯინით,
შეიტანს ხარა-ხურებსა,
ჩაეხუტება შეზრდილ ბიჭს,
ჩალას დაუყრის ტურებსა.

ზურგზე შეისვამს, ათას ფრთას
და ათიათას ფეხსაო
ის გამოისხამს, გზა და გზა
მრავალ შხამიან გველსაო
ჩლიქის ქუცუცით დაფლითავს,
ზესკნელს ამოვა ქშენითა,
ჰგავს გოლიათურ მაღალ მთას,
ცეცხლს, ნაღვივს საზრველითა.
გაიყვანს ტრიალ მინდორზე,
პეპლების სამფლობელოში,
იქ, დაუხვდება ალვის ხე,
ცამდის აწვდილი ღეროთი,
გარემო მოფერებისა,
ჩიტების ჟივილ-ხივილით,
მადლი ღმერთს, ისევ ელირსათ
სიხარულისა ტირილი;
ბიჭი ხარს ჰკოცნის, ხარი-ბიჭს
ლოკავს, დრუნჩს ადებს სოველსა,
სიყვარულისა ნიჭთა-ნიჭს,
დიდ გრძნობას განუყოფელსა,
რა შეედრება ნეტავი,
რა და რით განიზომება,
მაღალი არის ზეცამდი,
აქვს უთვალავი ქონება;
სავსე სიკეთე-მადლითა,
ლმობით და გულმოწყალებით,
იგი ანათებს ღამითაც,
ოქროს დაუდის წყალები.
წიქარა ეტყვის ბიჭს: - ჩემო,
ერთავ, ნუგეშო გულისა,
ფანცი-ფუნცებით რაც ფერობს,
ნუ, მიენდობი სრულისად,
გონება-ჭკუას ატანდე,
ასჯერ ზომავდე საქმესა,
ირწმუნე ხერხი, ძალას რგებს,
წინ რა უდგია გამჭრელსა,
უფალმა მოგვცა სიუხვე
ზეიმის სალამურითა,
იდღეგრძელე და იპურე,
წყარო სვი გაზაფხულისა.
მე, ალპურ იალაღებზე
სარჩოს ვიშოვნი ძოვნითა,
თან გავიყოლებ შენსა მზეს,
მიალერსებდეს კოცნითა.
ალვის ხეს შესვა, თავად კი,
ვით, მოწყვეტილი ვარსკვლავი
გაქანდა, შორი ლურჯი მთით
ველს უძლვნა სალამთ-სალამი.

X

ვინ სთვალოს, ჟამსაც არ უთქვამს,
დრონი წყალივით ვიდოდნენ,
უცებ მოწყენის ტაროსმა
მოჰბერა კვნესის კილოზე.
ბიჭს ხარის ხილვა მოუნდა,
ბოჩოლას დიდი თვალებით,
ლხინშიც და ჭირშიც დროულად
ვცხოვრობთ და მივექანებით,
იმ უკუნეთის უკუნით,
განშლით და ისევ მკვრივობით,
გვაღვიძებს ტყეთა გუგუნი,
დღეთა ახალი კვირობით.
ხეებს ფოთოლი ეძარცვის,
მსწრაფლ ვეთხოვებით შვებასა,
გული მეგობარს ეძახის,
ერთყოფის გრძნეულებასა.
საჭირვარამო სალამურს
დაუკრავს, ეტყვის ჭირებსა,
სულს სიყვარულის ტბა უნდა,
ვით, ნამი ია-იებსა.
მაგრამ წიქარა არ ჩნდების,
ცისკარში მწუხრი ირევა,
სტირიან წამწამთ წამები,
სისხლის ცრემლებით, მღვრიეთა.
ნაკადულებად ცვივიან,
ჩამოღარავენ ფლატეთა,
ცას მოუღია პირია,
მდუღრობს ციაგი ღამეთა.
ჩიტნი აღარა ლაღობენ,
ყუჩობს ცხოველთა გუნდებიც,
შვიდ ფერად ველარ თაღობენ
კარნი იდუმალ ბუნების,
ჰანგი ტიელ მთებს შეჰგოდებს,
ზარი მწუხარებს ექოთა,
სად ხარ გულსწორთა შემცოდევ,
ტანჯვა განა არ ეყოფა,
ვინც მოსთქვავს ასე მხურვალედ,
ვინც მოსცემს ასეთ ჰანგებსა,
ჭირი რაისთვის უმრავლე,
რისას აბრალებ ბრალებსა...
ღვთაება არა რას იტყვის,
სდუმს, მდუმარება სჩვევია,
ბრძნობა, დუმილით შეიცვნის
და რაც შეიცვნის, ღმერთია.
არ სჩანს წიქარა კარგა ხანს
ლოდინში სული დალია,
დაკვრა შეწყვიტა, მისწყდა ხმა,
ბიჭს უჭვრეტს იდუმალია;

შორი ხნულების სიმღერა,
ჩრდილები იისფერული,
კვალი ღრმა პირით იჭრება,
კვალს მისდევს ცხრა გუთნეული,
გუთნეულს გუთნისდედები,
უღელს შებმული ხარები,
ვით მჭედლის საბერველები
ფერდში ნაკრები ქარებით
დიდ ნესტოებსა ბერავენ,
ორთქლი აუდით ტანზედა
ნისლად იკვრება სერ და სერ,
სისხლი დაღვრილი ქვაზედა.
ჭაპანში მწკრივად გაბმულან
ხარნი, კამეჩნიც ბევრიო,
ორი ხარისას ეწევა,
ლაბას ძლიერი ქედიო.
მონატრებებით აღგავსებს,
გრძელ-გრძელი ოროველები,
მეხრე სხარტი და ჯანსავსე
გრძნეულებაა ველების.
ცალკე წიქარა შეუბამთ...
მარტო ეწევა გუთანსა
ხნული ფუვდება, მზე უნდა,
ბელტი-ბელტზედა ბრუნავსა.
რძისფერ ცისკრებში ლივლივებს
ყამირი შავად მოხნული,
ტოროლა წიავ-წიავებს
და გალობს თავგადაკლული.
დაიფარცხება ლელობი,
დაითესება მარცვალი
ტყით, მომზირალი შველებით,
დაიხატება ცარგვალი,
მერე ჯეჯილი წამოვა,
მერე ჟუჟუნა წვიმები,
პურს მოუხდება ყანობა
მკა და თავთუხის ზვინები.
კალოში ჩაინავლება
შეკრული ხელეურები,
მზე მოსხივდება ალებად,
დადნება ზვინეულები,
გაილეწება კალოზედ
პური, სალეწი კევრითა,
წყალს შეასმევენ წყაროზედ,
ძნას შეაჭმევენ ქერისას,
შუბლით კიაფა ნიკორას,
შინდას წიქარა ხარსაო,
იტყვიან; არა იყო, რას,
მუხლთ გაიდგამენ ქარსაო,
ცოტას შესჭამენ მაწონსა,
ცოტას დოშეჭამანდსაო,
რძიან კორკოტა-წანდილსა,
ქორფა ჭინჭარის ფხალსაო,
თონის ლავაშა პურებსა,
(ქოთნით, შეკაზმულ ლობიოს)
წაატეხავენ ყუებსა,
ზედ დაჰკრავს ფიჩხის ბოლიო,
ნამჯეულ ნაწვერალებში
ხვივის მარცვალთა ღივიო,
მტრედის- ფიქრივით გუნდები
ვით მოარული სხივიო,
სარჩოს ნუგეშით შესცქერენ,
ჭყუმპალაობენ ტირიფონს,
მარჯვედ უფრთხიან ათას მკვლელს;
ქორსა, ძერას და მიმინოს.
ცხოვრება უნდა ყველასა
და გაგრძელება მოდგმისა,
სადაც სიკვდილი სცელავსა,
იქავ სიცოცხლე მორბისა,
ზენა ქარებიც მოდიან,
კალო ბზით ნიავ-ნიავობს,
პური სეტყვისებრ მოდინდა,
მზე ფიცხობს, კალო ბზრიალობს.
საბძელი დიდ პირს დააბჩენს,
ბზეს მოხვეტავენ არნადით,
პურო, ვენაცვლე შენს გამჩენს,
გამყევი კუბოს კარამდის.
წიქარას წყალზე წალალავს,
ჩამოჰბანს ოფლის ღვარებსა,
ნარჩიტა მიჰყავს ალალსა,
რცხილის მოსჭრიან ხალებსა,
ხარი ბროლს დაეწაფება,
წყაროს დაუცლის ნავსაო,
ბიჭს, დედის ნაცვლად დახვდება
შინ გესლის ბადეხლართაო.
დაისო, ხილვათ დაისო,
მომნატრევ, გამიხსენია,
ცრემლით თვალები აივსო,
გულთ მონატრება ძნელია.
ცეცხლის ღადარად მოენთო,
ზმანებათ შუქის-შუქობა,
ხართან ყოფნისა წამებო
სულთა მაჩვენეთ ბუდობა,
სურვილით დამაკოცნინეთ
წიქარას დრუნჩი სოველი,
სთქვა და ფერხულით მოლხინე,
მგლად ექცა წუთისოფელი.
კლდე-ღრე იარა, იხოკნა
ლაწვნი ბროწეულ სადარნი,
შავი ღრუბელნი იმოყვრა,
გულს შემოინთო ღადარი.

გაჰკივის სული მკვნესარე,
უხმოდ, წნორივით მღელვარი,
დედამიწიდან ზეცამდე
ღვართა გაუდით რქენანი.
ჩემი ბოჩოლა-იმედი
და გათენება ხვალისა,
ალბათ, აღარსად მიმელის,
ალბათ, გამხდარა მთვარისა.
ნეტავ, რა ჭირნი ეყარა,
ნეტავ, რა ბედისწერანი,
ჩემო წიქარავ, სადა ხარ,
ყვავნი, ქორნი და ძერანი
ალბათ, თავს დაგტრიალებენ,
ვითარც, სიკვდილის მაცნენი,
მეც მანდ მოგივალ, მადროვე,
არ, მოჰკვდე, გენაცვალები.
იძახის, მაგრამ ძახილი
აწ, აღარ ესმის ძმობილსა,
წითლით ივსება ძახველი,
მდელოც ქვეშ უშლის ლოგინსა.
წიქარა ლეშად ქცეულა,
ტრიალ მინდვრებში, ეულად,
სიამით, რაც ბოძებულა,
აწ, შხამად გადაქცეულა.
მირბის, ქარი ვერ ეწევა,
ვერც თვალი არწივ-ორბისა,
ჭირი მაჩვენე, გაქცევა
გაჩვენო მარათონისად.
მგლისა გაუხდა მუხლები,
კამარა კლდეთა ჯიქისა,
გაჰლია ღადა-ღუდენი,
ნაპრალს ჩაკიდულ ტინისა.
ჰა, როგორც იქნა მივიდა,
ხარის სამყოფელ ადგილსა,
უშველებელი ბინდიდან
ღმერთი შეჰყურებს ძალისა.
პატარა თაგვად იქცევა,
წიქარას მომკვდინებელი,
ის რაც ნათობდა ცისფერად,
ეხლა, იმოსავს ბნელეთით.
ბიჭი მეგობარს დააკვდა,
ცრემლის მონამა ცვარებით,
გამჩენო, ყველას აკმარე
მწუხრი, ასეთი წამების.
„სიკვდილი უნდა, არ ჰკვდება,"
შეყრა უკუნის ძილისა,
როგორ გაუძლოს ამ სევდას,
დუმილს ძმის, ასე ტკბილისას.
ჩემო, ძმობილო, რად სტირხარ...
რა, მოხდა ამისთანაო...?

შენს კართან ჩამოიჩოქა,
აქლემმა შაოსანმაო,
ეს, ასე ხდება ყოველთვის,
თაგვი ესიტყვის, მწუხარსა,
სხვანი იბადვის, ეს კვდების,
შეშაც ინაცვრის ბუხარსა.
სამყაროს წესი ასეა,
სინათლე ბნელში ერევა,
იცლება, რაიც სავსეა,
ჭკნება, რაც ჟღერდა ფერებად.
გულძარღვიანო ყმაწვილო,
მაღალი სულის მექონევ,
ჭირი გჭირს, უნდა გაუძლო,
უნდა, დასძლიო როგორმე,
ეგ, მართალია, თაგუნი,
„სხვის ჭირი, ღობეს ჩხირია"...
ნაღველი მაწევს ფარული,
სხვა ლხინობს, მე კი, ვსტირია.
სიცოცხლემ აზრი დაჰკარგა,
ნათელმა თავის სხივები,
ჩემთვის ყოველი დამთავრდა,
შავეთას ფიქრში ვირევი.
მდოვრობს წყვდიადის მდინარე,
ნავით მელიან ქაჯები,
სიკვდილო, ბევრჯერ გინატრე,
შვებავ, ამ, ჩემის ტანჯვების.

## XI

იდუმალებას ვინა ჰფლობს,
ან, ვინ აწესებს ჯერობას,
სიცოცხლე მაინც, სიკვდილს სჯობს
და სიყმაწვილე ბერობას...
გარდაცვალება რა არის,
ან, დაბადების გრძნებანი,
ქვეყნიერების სადარი
სად არის, ვკადროთ ქებანი,
ვინ, ვისზე როდის ილოცა,
ვინ სცვალა ბედის-ბედობა,
სოფელი არის მილოცვა,
სხვა, ყველა ფუჭი ყბედობა,
აქ, აქ გვეძლევა, მოწამეთ
აქ, უკვდავების საუფლო,
ნუ, გადავფანტავთ დრო-წამებს;
შენსას, ვერა იქმს სხვა უცხო.
ვინ დაგიშალა, გეთაყვა,
ცაზე ვარსკვლავთა წყვეტანი,
დაბლა გაშლილა ქვე-ყანა
მაღლა სხვა საოცრებანი;
მიხვალ, გარს-გარსად შესტოპავ,

ცხრა ცისას ნახავ გზნებასა,
შემობრუნდები სხვადასხვად,
ხის მსგავსობ განშტოებასა,
მოინახულებ, იცოდე,
ქვესკნელს მიმავალ შავეთსაც,
ბეწვის ხიდს გახვალ, ინწროებს
დახევ, გაფხრიწავ, დალეწავ,
ბევრსა ცდუნებას იგემებ,
ჩრდილსაც ბევრ-ბევრებს შეიცვლი,
სიცოცხლე გვაძლევს იმედებს,
მზე, მხოლოდ ბნელით შეიცვნის.
ტკბილსა საუბარს მიუბნობს;
თაგვი სცდის, ცდასა არ იშლის,
ჯანღია, ისევ ბინდ-ბუნდობს,
დღე მომლოდინე ქარიშხლის.
ბიჭი ცდუნებას არ მისდევს,
არცა რად აგდებს თხრობასა,
დღეს მას დაუდგა შავი დღე,
ძმისას რომ ართმევს ძმობასა.
სიცოცხლე, მართლა, არ უნდა,
არცა რა ულირს ჩირადა,
თაგვო,... მომკალი,... დაბრუნდა
შავი მზე ჩემდა ჭირადა.
ღმერთიც კი ჰკვირობს ღმერთობას,
თავსა სცნობს და ვერ უცვნია,
ეს, ძმისთვის სჩადის მკვლელობას,
ეწირვის,... ბრძნობა ფუჭია;
არის ის, რასაც ვერ იტყვი
და რაც არ გამოითქმების,
ხორცი ჩვენია, სული ღვთის,
ვით გადაფრენა ირმების.
წავიდა თაგვი ციმციმად
ბალახი მოარბენინა,
ბიჭს გაუწოდა, ისევ ცდის...
იქნებ, სიცოცხლე გერჩივნა...?
ხედავ ღრუბელთა ქულებით
ნისლმა ასწია კაბანი,
სამყაროს გლუვი მუხლებით
წყალში გაუდის ჩქაფანი,
საცაა მზეც გამოჩნდება,
ღიღილო გაშლის თვალებსა,
შენ მკვდარსა გნახვენ, ბრალება
შხამად გადუქცევს წამებსა.
ხმა სალამურის სამუდმოდ
გადიკარგება ყანებში,
ჯერ, კიდევა გაქვს ფიქრის დრო,
წასვლამდე მოუსავლეთში.
ბიჭმა ბალახი იწოდა,
ბალახი მოკვდინებისა,
მზე ღრუბლებისკენ მიცოცავს,
წარსული დალხინებისა
გაჰქრება, როგორც დაისი
ერწყმის მილეულ სხივებსა,
ხმა დამწუხრდება ნანისი,
წყარო ჩამოშლის მძივებსა.
გვერდით უწვება წიქარას,
არ გაყრა-შეყრის წუთია,
დასალიერში მიმქრალა
დედის თვალების შუქია.
ამ ქვეყნიური სამოთხე
უნდა გაცვალოს ნათელში,
სიცოცხლე დასთმოს, ამ ერთხელ,
ბინდს შეეფლითოს დაგეშილს.
ხელი შემართა, ელვად კრთის
გასხივოსნება სულისა,
დამთავრდა ერთი შარა-გზის
ამბავი გაზაფხულისა.
უნდა გადისვას ბალახი,
გრძნეულ სამყაროთ შეყრისა,
მთაში გაჰყვირებს ხარლაღი
კვნესას, გარდაცვლილ დედისას,.
თაგვი სწრაფია ფიქრზეც კი,
იქმსა სასწაულ ქმედებას;
ბალახს წარტაცებს ტანჯულ ბიჭს,
აწ, ეყო მეტის-მეტება;
ჭარბად, არ ვარგა არა რა,
არცა სიმღერათ გრეხანი,
ჭინთვით გაწყდება იგი ხმა,
რითაც ტკბებოდნენ ზეცანი,
ბევრი ტანჯვა და ცდუნება,
ბევრი ცდა, ათას სხივებით,
კაცსა შეუცვლის გუნებას,
ბერსა მოუნდის რიკები,
მაგრამ ზემაღლით ნაწრთობი
ცეცხლით, არ სტყდება ფოლადი,
ზურმუხტს გადეკვრის ტატნობი,
სულთა ცისფერი ბჟოლანით,
ღვთაება, ღმობის ცრემლებით,
მუხლს იყრის ორთა წინაშე
და იტყვის-გქონდეთ მზეველი,
რაც ღმერთებისთვის ვინატრე,
აწ, ყოველივე ვიხილე
და ყოველივე ვიგრძენი,
ძმებო, მე თქვენი, ჭირიმე,
ცანი გლოცავდეთ ძირძველი.
რაც ჰქმენით, ქების ღირსია,
რაც ვნახე, ხოტბა სჭირია,
ვიცი და არა ვიცია
თქვენს თავზე გასაჭირია,
ღირსნი ხართ უკვდავებისა,

ზეციურ ქვეყნის ბინადარნო,
გმადლობთ, რომ კვლავაც მელირსა,
ფეხი გადავდგა წინაო,
ხეივანს ვხედავ ნათლიანს,
მზე ხვივის შეკრულ მტევნებში,
ვიქნები თქვენი ნათლია,
მომავალ წრფელ სიმღერებში.
მახსენეთ თაგვი გრძნეული-
ღმერთი იდუმალ ძალისა,
დიდხანს იცოცხლეთ, სხეული
მზე იყოს, ნიავ-ქარისა.
სულ სხვა ბლახის ფოთოლი
წიქარას სხეულს შეახო,
უყურებს როგორც მშობელი,
უმღერის-„შენ ხარ ვენახო”-ს.
გამოელვიძა წიქარას
რა, დიდხანს მძინებიაო,
სთქვა და ცით გამოისახა
სამყარო როგორ ხვიარობს,
როგორ ცეკვავენ ვარსკვლავნი,
როგორ ანცობენ მთიები,
სად არის შვების სამძლვარი,
ანდაც სამანი სიმღერის.
შენს მტერს ეძინოს, ძამიკო
ისე, შენ როგორც გეძინა,
რომ არ ეს ციდა თაგვიკო,
გინდაც, რომ ბევრი მეტირნა,
გაგვყრიდა წუთისოფელი,
გაგვიყენებდა რამ გზასა,
სიდანაც აქეთ მომსვლელი,
არცა ვინა და არცა რა,
არა ყოფილა აროდეს
და ალბათ არცა იქნება,
რა ვიცით ჟამის კალოზე
არსს რანი მოაფიქრდება.
სთქვა და შიგ გულში ჩაიკრა
ხარი, მოჰხვია ხელები
ბიჭმა, შობილმა წამიდან
ჯანღიდან ველის-ველებით.
გუგა სილურჯეს ირეკლავს,
გუგუ გაუდით გუგულებს,
როკვა უხდება ირემთა
და გაოცება უყურებთ.
მინდვრად ალვის ხეც შრიალებს,
შოლტივით სერავს სივრცეთა,
ყვავილნი, მარად მცინარე,
ზეცის ფერადებს ირეკლავს.
თაგვი შესცქერის, მზერა კრთის,
უფალს ზმანება ეწვია,
ველზე იღვრება ჩრდილი მთის,
ჩრდილი სინათლის მზეწვია.
ხედავს საყვარელ სახეებს,
ციურ ერთობის ძალსა,
მზეო მალი-მალ დაჰხედე,
სიცივე არგებთ არასა.
გამოერკვევა გრძნეული
და ეტყვის:-გულისწორებო,
ზენა ვარ, გადარეული,
ვიწვი, სახმილი მომედო.
მე, თქვენი სიყვარულისა
ვიწამე მძლეთა-მძლეობა,
მომირთმევია სრულისად
მარადისობის დღეობა.
წადით, იცხოვრეთ იმ მხარეს,
სადაც არ არის მტერობა,
სადაც არ აკრთობს ცხოველ მზეს,
შურობის მონაცვლეობა,-
-უთხრა და გარდაუსახა
უკვდავებისა ნიშანი,
გამოიკვეთა გრძელი გზა
ვარდის და სოსანისანი;
ბიჭი აღზევდა ხარის ქადს,
მადლი სძლვნეს მადლის ძალასა,
სალამურებში გული ძგერს,
წიქარაც მოსწყდა ალაგსა;
გასცილდნენ შორეთს, გასცილდნენ
ცხრა მთას, ცხრა მინდორს, ცხრა წყაროს,
სული შროშანით ამძივეს,
გაალამაზეს სამყარო,
კოსმიურ ნისლში შეცურეს,
შესრუტეს ყოფის ძირები,
სიოცის წამით გვესტუმრნენ,
ამაო სოფლის გზირები,
იისფერ ღრუბელს ემსგავსნენ
ცად, მიძინებულს ქარზედა,
დაემშვიდობნენ მზე-მთვარეს
მეცხრე ცის გასაყარზედა.
მას მერე არვის უნახავს,
ჟამნი გათეთრდნენ ზამთარით,
ბევრჯერ იცვალა მთვარის ცა,
ცა, დაფლეთილი აფთარით.
რაც მიდის მბრუნავ სოფელში
დალმა, ან ალმა სპირალზე,
გინდაც, დაიძრე ლოდებით,
გინდაც, ათასჯერ ინატრე;
აღარ შესდგება ზეიმი,
აღარც, ფერხულთა ცერანი,
გადმოშლის ზენა სეირით
ბედობას ბედისწერანით,
აიკინძება კინძებით,

გარდასულ დღეთა ბურუსი,
ყოველი გადამკვრივდების,
ვით მახვიარა უსრული.
ტინებად ჩამოტინდება
ჩამომტირალი კლდეები,
ზედ ჩამოჯდება მზის დედა,
პირიმზით ანაჟღერები,
კვლავ, შეიცნობა ტანჯვის გზით,
რანი სწერია ქვაზედა,
რატომ დასრულდა ზღაპარი
ბიჭზე და წიქარაზედა.

## ეპილოგი
## XII

ამბობენ ას წელიწადში
თუ, გაგიღიმა ბედმაო,
ხილვების ტრიალ მინდორში
წიქარა ხარი ჩნდებაო,
კლდე-კლდე მოფრინავს სილაღით,
ყვავილნიც შლიან თვალებსა,
სხივი ჩამოდის, სხივზე ზის
ბიჭი ღვთაების ნაკვესად.
ხმაც ისმის სალამურისა,
მხიარულ ჰანგის კილოზე,
ქრება დღე, მტრობა-შურისა,
ბნელი ემალვის სიოცეს.
წიქარას, ბიჭი ობოლი
სანთლებს დაუნთებს რქებზედა,
რა, შეედრება მოლოდინს,
ალერსს ანთებულს მზეზედა.
ისევ იხსნება შვიდი ცა,
ანგელოზთ ისმის გალობა,
შენ, არ დააკლო ამ დროს ცდა,
უფალს შესთხოვო წყალობა;
გამცნოს რაიმე, გულს რაც სტკივს,
სევდა ჩაჰბეროს საკრავსა,
ქვეყნად რანი ვართ, ვინ არს ვინ...?
მოგვიყვებოდეს ამბავსა.
და იმავ წუთას იხურვის
ცნობის წადილის წინაშე,
სხვას არას გეტყვის, ჭავლი რბის,
გინდაც ათასჯერ ინატრე.
ისევ, ჯადოსნურ სალამურს
ხმა ამოჰყვება ჭირისა,
კვლავ, მოთაყვანე თაგვი სწუხს;
მეგობართ სულის ნიჭისა,
ისევ აოცებს უსრულო,
უმწიკვლოდ თავისდადება,
გადაეხვევა გულით სწორთ,
ვით, დიადემის ნათება,
წიქარა ციხეს დალეწავს,
(მერცხალიც ჩნდება ცაზედა),
ისევ დაიხსნის თავის ძმას,
ეჰ, მერამდენე ცდაზედა,
ისევ გადავა ზღაპარში,
ისევ, დაკოდავს დევებსა,
მოკვდება ძმობის ჭაპანში,
მწარედ ატირებს ხევებსა.
ჟამსა დრო გაეკიდება
კიდე-განს უნაპიროსა,
ისევ მოგვიწევს ბინდებთან
ბრძოლა და პირისპირობა.

წერას შევუდექი ლაჯანურჰესთან, ლეჩხუმი, ხიდი რიონზე,
სოფელ ალპანასა და სოგიშს შორის, 6 აგვისტოს 1992 წ.
ხუთშაბათი, დავამთავრე 1996 წ. .მაისში, თბილისში.

გურა-ანგურა

მხატვრობა, დასაწყისში, **თამარ გედევანიშვილისა**
მხატვრობა, ტექსტში, **ბესო გედევანიშვილისა**

**მოსე ბოროდა**



## ცოლი, რომელიც ჰაერით საზრდოობდა
### (იტალიური ზღაპრის მოტივზე)

დიდი ხნის წინ ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა მდიდარი თავადი, რომელიც ისეთი ძუნწი იყო, რომ ყოველდღე ერთი ლუკმა პურით, ვაშლის კანის სისქე ძეხვის ნაჭრით და ერთი ჭიქა წყლით საზრდოობდა. თავის მოსამსახურეს დღეში ორი შაურის გარდა არაფერს აძლევდა, რის გამოც მასთან არცერთი მოსამსახურე ორ დღეზე მეტს არ ჩერდებოდა.

ერთ დღეს ამ თავადმა მოსამსახურედ ეშმაკზე უფრო გაეშმაკებული კაცი დაიქირავა – ისეთი, რომ გველსაც კი გაპარსავდა. ის მაშინვე მიხვდა, თუ რა ხდებოდა ამ თავადის სახლში, და მოიფიქრა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ არა მარტო შიმშილით არ მომკვდარიყო, არამედ ამ ძუნწის ფულით კარგადაც ეცხოვრა.

მივიდა თავის ნაცნობ ქალთან, რომელსაც ამ თავადის სახლთან ახლოს დუქანი ჰქონდა და ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა, და ჰკითხა: ქალო, შენ შენი ქალიშვილის დაბინავებას არ აპირებ?

– რას ჰქვია არ ვაპირებ! ღმერთმა თუ კარგი ქმარი მისცა – ამაზე უკეთესი რა იქნება?

– ხოდა თავადზე რას ფიქრობ?

– ხუმრობ? სად თავადი და სად ჩვენ. განა არ იცი: ტოლი ტოლს ეძებს.

– მაინც გეკითხები.

– რომელ თავადს გულისხმობ?

– აი, მახლობლად რომ ცხოვრობს.

– უი მე, ღმერთო ჩემო! ამაზე უარესი ვინმე არსებობს ქვეყანაზე? ისეთი ძუნწია, რომ უფრო თავის თავს დაამშევს ვიდრე ზედმეტ შაურს დახარჯავს. ცოლს თუ შეირთავს, ლუკმა პურსაც კი დაამადლის! თუმცა – არც მგონია, რომ როდესმე ცოლი შეირთოს.

– მე ამ თავადს ისეთ რამეს ვეტყვი, რომ ის იმწამსვე დათანხმდება.

– ასეთს რას ეტყვი?

– ვეტყვი, რომ შენ შვილს საჭმელი არ სჭირდება, რადგან ის ჰაერით საზრდოობს.

– და შენი თავადი ამ აბდაუბდას დაიჯერებს, ხომ?

– ეს უკვე ჩემი საქმეა.

– კარგი. ვიცი, რომ დიდი ეშმაკი რამე ხარ. იქნებ მართლა ისე გამოვა, როგორც შენ ამბობ.

იმავე დღეს მოსამსახურე თავადთან მივიდა და უთხრა: ბატონო, უცოლოდ რატომ ხართ? უკვე ისე ახალგაზრდა აღარა ხართ, დრო გარბის, და...

– გინდა, რომ ცოლი შევირთო, არა? ჩემი სიკვდილი გინდა? განა არ იცი, ცოლის რჩენა რა ჯდება? მთელი ჩემი ფული წყალივით ხელიდან წავა! ძვირფასი ქუდები, აბრეშუმის კაბები, და – საჭმელი! საჭმელი! მარტო საჭმელს რა ფული უნდა!

– ბატონო, ქალიშვილს, რომელიც მე თქვენთვის მინდა, არაფერი არ სჭირდება – არც აბრეშიმის კაბები, არც ქუდები – არაფერი. საჭმელიც კი არა!

– რას ჰქვია – საჭმელი არ სჭირდება? ხუმრობ?

– არა, ბატონო: ეს ქალიშვილი პურით კი არა, ჰაერით საზრდოობს!

– რას ჩმახავ, რას მიედ-მოედნები! ვინ უნდა დაიჯეროს, რომ ცოცხალი ადამიანი ჰაერით საზრდოობს!

– იცით, ბატონო, ამას როგორ აკეთებს: დღეში სამჯერ სახეს მარაოთი ინიავებს – და ამის მერე საჭმელი აღარ სჭირდება.

– მე ეს ჩემი თვალით უნა ვნახო. თუ ის მართლა ჰაერით საზრდოობს – მაშინ, ცოლად შევირთავ, რატომაც არა.

მეორე დღესვე მოსამსახურემ მედუქნის ქალიშვილი თავადთან მიიყვანა. თავადმა ქალიშვილი სადილზე მიიწვია, თან ფიქრობდა "აი ეხლა ვნახოთ, რას იზამს". შევიდნენ სასადილოში, სადაც უკვე სუფრა იყო გაშლილი: ორი ლუკმა პური, ორი ძეხვის ნაჭერი და ორი ჭიქა წყალი. თავადმა ქალიშვილი დამცინავი ღიმილით მიიპატიჟა: "გემრიელად მიირთვით".

ქალიშვილმა გაიღიმა, მარაო ჩანთიდან ამოიღო, გაშალა, სახე სამჯერ დაინიავა, და თავადს უთხრა: "გმადლობთ, ბატონო, დანაყრებული ვარ".

თავადმა ეჭვიანად ჰკითხა: ჩემთან ნასადილევი მოხვედით?

– არა, ბატონო. ჩემი სადილის დრო ზუსტად ეხლაა.

– მერე რატომ არ ჭამთ?

– მე ჰაერით ვსაზრდოობ.

თავადს თვალები გაუბრწყინდა და გახარებული ხმით ჰკითხა: თანახმა ხარ, რომ ჩემი ცოლი გახდე?

– კი ბატონო.

– ძალიან მიხარია! – შესძახა თავადმა. მერე ცოტა იფიქრა და უცბად შეშინებული ხმით ჰკითხა: საგვირგვინო კაბა ნეტავ... რა შეიძლება ღირდეს?

ქალიშვილმა გაიღიმა: ამაზე ნუ შეწუხდებით, ბატონო. საგვირგვინო კაბას დედა მიყიდის. და არა მარტო ამას – სხვა კაბებსაც, ფეხსაცმელს – ყველაფერს.

თავადს სახე გაუბრწყინდა. შესძახა: რა ჭკვიანი დედა გყოლია! მაშ – ერთ კვირაში ჩემი ცოლი გახდები.

წავიდა თუ არა ქალიშვილი, თავადმა მოსამსახურეს უთხრა: ეს რა კარგად მოიფიქრე! ძალიან მიხარია, რომ ასეთი კარგი ცოლი მეყოლება! მადლობელი ვარ. და იცი რა: დღეს ორ შაურს კი არა, სამს მოგცემ... თუმცა... ასე რომ ვიფიქროთ, რად გინდა მეტი ფული? ფულს დახარჯავ, მალე დაგავიწყდება, რისთვის დახარჯე. ბატონის მადლობა კი არ დაგავიწყდება.

– მართალი ბრძანდებით, ბატონო!

გავიდა თუ არა ერთი კვირა, მედუქნეს ქალიშვილი თავადის ცოლი გახდა. საუზმის დროს, მარაოს ჩანთიდან იღებდა, სახეს ინიავებდა, მარაოს ჩანთაში დებდა და თავადს ულიმებდა.

სადილის მერე, როგორც კი თავადი დასაძინებლად წავიდოდა, ქალიშვილი მოსამსახურეს ოთახში შეიპარებოდა. იქ ისინი სუფრას შლიდნენ და ყველაფერს, რაც მედუქნე ქალი თავის ქალიშვილს დილაობით უგზავნიდა – შემწვარ ქათამას, ყველს, პურს, ღვინოს – გემრიელად შეექცეოდნენ, თან ძუნწს დასცინოდნენ.

ამ ლხინში და დროს ტარებაში ორი კვირა რომ გავიდა, ქალიშვილის დედამ მოსამსახურეს უთხრა: შენ არ ამბობდი, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ და შენ შვილს გსურთო? რა გააკეთე მერე?

– რა გავაკეთე? ყველაფერი მოვიფიქრე და ეხლა ველოდები, როცა ის თავადი...

– რა? ჩაღრძვება თუ რა? მე და ჩემი შვილი მეორედ მოსვლის დღემდე უნდა ველოდოთ?

– მაიცა, ქალო. ორ კვირაში ყველაფერს მოვაგვარებ.

იმ დღესვე მოსამსახურემ მედუქნის ქალიშვილს ჰკითხა: ხომ არ იცი, ეს შენი ქმარი განძნეულს სად ინახავს?

– ვიცი. სარდაფში. ერთხელ მაჩვენა. მთელი ტანით კანკალებდა, ორი თვალით კი არა, ათასი თვალით მიყურებდა, ეშინოდა, რომ მე...

– ბევრი ფული აქვს?

– უი მე, სარდაფი ვერცხლის  და ოქროს ფულითაა სავსე!

– გასაღებს სად ინახავს, იცი?

– ვიცი, მარა რას გვიშველის? სახლიდან მარტო ჩემთან ერთად გამოდის, და ისიც იმ დროს, შენ რომ სახლში არა ხარ.

– ხოდა, ეხლა რომ ძინავს, არ შეგიძლია გასაღები ჩუმად აიღო და...

– და რა? სარდაფში ჩავიდე, არა? უცბად რომ გაიღვიძოს, მაშინ მე რა ვქნა? არა, სულელი ვიყავი, ამ ძუნწის ცოლობას რომ დავთანხმდი. სულ შენი ბრალია!

– დაიცა, ნუ ფეთქდები, მომისმინე. ჩვენ ამ გასაღების ტვიფრი გვჭირდება.

– აჰა! და იმ ტვიფრს როგორ გააკეთებ?

– მე კი არა, შენ გააკეთებ.

– ეს როგორ?

– დედაშენს ვთხოვ, მაგარი ცომი გაგვიკეთოს. ამ ცომს მოგიტან, და ეს შენი ქმარი რომ დასაძინებლად წავა, შენ გასაღებს აიღებ, ამ ცომში ჩადებ, ისე რომ გასაღების ტვიფრი გამოვიდეს. მერე მე ჩემ ნაცნობ ხელოსანს გასაღებს გავაკეთებინებ და...

– არ გითხარი: ჩემი ქმარი სახლიდან თუ გადის, მაშინ ჩემთან ერთად – იმ დროს, როცა შენ სახლში არა ხარ.

– ნუ ღელავ, ერთ დღეს ყველაფერი მოგვარდება, როგორც ჩვენ გვინდა.

– კარგი, იყოს შენებურად.

ერთ დღეს, როცა თავადი ცოლთან ერთად ქალაქში სასეირნოდ გავიდა, ქუჩაში ნათესავი შეხვდა, რომელიც მახლობელ ქალაქში ცხოვრობდა და რამდენიმე დღით იყო ჩამოსული.

– გაიცანი, ჩემი ცოლი.

– ცოლი შეგირთავს! გილოცავ! ბედნიერებას გისურვებ.

– გმადლობ. მართლა ბედნიერი ვარ. ამისთანა ქალი ერთადერთია ქვეყანაზე! ჰაერით საზრდოობს!

– ჰაერით?

– გაგიკვირდა? იცი რა: ერთ კვირაში მოდი ჩვენთან, სადილად. ყველაფერს შენი თვალით ნახავ.

– სიამოვნებით მოვალ.

უკანა გზაზე თავადმა უცბად წამოიყვირა: ეს რა ვქენი! სულელი ვარ, სულელი!

– რატომ, ჩემო კარგო?

– რატომ, რატომ... ეს ჩემი ნათესავი რომ სადილზე დავპატიჟე – არ იცი, ხორცი რა ძვირია! ის ჰაერით ხომ არ საზრდოობს!

– დაწყნარდი, შეიძლება რამე მოიფიქრო.

-...ა-ა-ა, იცი, რას გავაკეთებ? ეხლა ნადირობის სეზონია. სანადიროდ წავალ, ხორცს მოგიტან, შენ სადილს დაამზადებ და...

– რა კარგად მოიფიქრე! ფულსაც არ დახარჯავ და შენი ნათესავიც კმაყოფილი იქნება!

მეორე დღეს თავადი დილით ადრე ადგა და ცოლს უთხრა: "მე სამ დღეში დავბრუნდები, რადგან ტყე, სადაც ბევრი ნადირი ტრიალებს, შორს არის. შენ კი ამ დღეებში სახლში იყავი. რამე თუ დაგჭირდება, ჩემ მოსამსახურეს უთხარი." ამ სიტყვებით დაემშვიდობა და წავიდა.

წავიდა თავადი თუ არა, მოსამსახურე ქალიშვილთან მივიდა და უთხრა: "ეხლა მე უნდა სასწრაფოდ ჩემ ნაცნობ ხელოსანთან წავიდე, გასაღების ტვიფრი მიუტანო და...

– არ გვჭირდება.

– რას ჰქვია, არ გვჭირდება?

– ჩემმა ქმარმა გასაღები სახლში დატოვა.

– აჰა. მაშინ ცოტა უნდა დაველოდოთ, ერთი საათი მაინც – შეიძლებ დაბრუნდეს ის შენი ქმარი.

– ორი საათიც დაველოდოთ.

დაელოდნენ ორ საათს, მერე ქალიშვილმა მოსამსახურეს უთხრა: მიდი, მოიყვანე ხელოსნები, მინდა, რომ სახლი განაახლონ. მე ამასობაში სარდაფში ჩავალ, ფულს ავიღებ.

ხელოსნები მივიდნენ, ყველაფერი ისე გააკეთეს, როგოც ქალიშვილს სურდა. ამასობაში ქალიშვილი და მოსამსახურე დროს გემრიელად ატარებდნენ – კარგ საჭმელს მიირთმევდნენ, ძვირფას ღვინოს შეექცეოდნენ.

გავიდა სამი დღე. თავადი თავის სახლს მიუახლოვდა. სახლს რომ მიადგა – ვერ იცნო. ჰკითხა ერთ გამვლელს: აქ ხომ ჩემი სახლი იდგა – რა დაემართა?

– ბატონო, ეს თქვენი სახლია, ვერ იცანით?

– ჩემი სახლი?

– ვისი უნდა იყოს, ბატონო? თქვენია.

– და ეს ყველაფერი...

– ეს ყველაფერი, როგორც ამბობენ, თქვენმა ცოლმა, ქალბატონმა...

თავადს უკვე არაფერი ესმოდა. მუშტები თავში დაიშინა და წამოიყვირა: „ვაი ჩემ თავს! ჩემი ფული! უ-უ-უ-უ!“ ყმუილით სახლში შევარდა, კიბე აიარა და საწოლ ოთახს ეცა. აქ ძალ-ღონე დაკარგა და იატაკზე დაენარცხა. მოსამსახურემ და ქალიშვილმა ის საწოლში გადაიტანეს. ქალიშვილმა ჰკითხა: "ჩემო კარგო, რა შემიძლია გაგიკეთო?", მაგრამ თავადმა არაფერი არ უპასუხა, მარტო იმეორებდა "ჩემი ფული!... ჩემი ფული!" – და ამ სიტყვებით სიცოცხლეს გამოესალმა, მისი სახლი და მთელი ქონება ქალიშვილის ხელში გადავიდა.

გლოვის წელიწადი გავიდა თუ არა, ქალიშვილი მოსამსახურეზე გათხოვდა და ორივენი ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ხალხი ტყუილად ხომ არ ამბობს: ძუნწის ოქრო – მემკვიდრესო.

# პროზა



რევაზ მიშველაძე

## ბაღდადური ცოიკაური

სახლში რა დამაჯენს. სახლში ჯდომა სიკვდილია ჩემთვის.

მოვლენ სამსახურიდან და შეიყუჟებიან ბინებში.

ერთი იმის ტურად გადამაქცია, რა აქვთ ამდენი სალაპარაკო ოჯახის წევრებთან.

„დაბრუნდნენ სკოლიდან?“

„მე ხვარავინ მიკითხა?“

„საჭმელი გაქვთ რამე?“

ა, ეს შეკითხვები მაქვს ცოლთან, მეტი რა ვარკვიო.

პოლიტიკაზე დოვუწყებ ცოლს კამათს, ან, თუ გინდა, ფეხბურთზე? ჯერ ერთი, რა იცის მაგან და მეორე-სად ცალია საწყალს, მაქვასავით ბრუნავს დღე და ღამე.

ქუჩა სხვაა. ქუჩაში რომ ხარ, ცოცხლდები კაცი. რაღაცა საქმე გაქვს. ჩამვლელს სალამზე მაინც ხომ უნდა უპასუხოს ვინმემ. უცხო კაცს ავტობუსის გაჩერება ხომ უნდა მიასწავლოს ვიღაცამ.

მტრისას ქალაქი გაჩერებული კაცის გარეშე. ყველა რომ დაცუხცუხებს-ჭიანჭველების ბანაკია. ადამიანი იმიტომხარ ადამიანი, რომ ხანდახან უნდა გაჩერდე და ქვეყანას გადახედო.

ესეც არ იყოს, არ შეიძლება, ქუჩაში, რა გლახა დღეც უნდა იყოს, რაღაცა არ მოხდეს, რამე საინტერესოს არ წააწყდე, პატარა სალაპარაკო მაინ ცარ იშოვო მეორე დღისთვის.

მთლად უბრალო ამბავს გეტყვი. როდის იყო? ამის წინა პარასკევს არა, იქეთა პარასკევს, ახალშელამებულზე, ვდგავარ ასე, სასტუმროსთან და აგურისფერი „ჟიგული“ გამიჩერდა ცხვირწინ. გადმოვიდი ასე ორმოციოდე წლის ბიჭი და სახვეწნი რომ ექნება კაცს რამე, იმნაირი სახით შემომაჩერდა.

ვერ ვიცანი, სიმართლე გითხრა.

მაპატიეთ, ბატონო, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთანო.

ბრძანეთ-მეთქი.

რას ვეტყოდი სხვას.

მე თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ მე გიცნობთ შესახედავად, მინახიხართ ბევრჯერ აქანაო.

შესახედავად მთელი ქუთაისი მიცნობს, ალბათ. აქანა დავიბადე და აქანა დავბერდი მეთქი.

გაგიკვირდებათ, მარა უნდა გითხრათ მაინც ჩემი გაჭირვებაო. სიდედრი მყავს გლახათ. დილამდე, ეგება, ვერც გაატანოსო.

მერე მე რომელი პროფესორ-დასტაქარი მნახე, მე ვუთხარი.

ორ საავადმყოფოში ვიყავი და კაციშვილი ვერ ვნახე. სახლში წასულა ყველა ექიმი ჩემდა იღბლადო. მორიგე არ წამომყვა, დაჭრილებს ელოდებიან ხობიდანო. თუ არ გეწყინება, ჩავჯდეთ აგერ, წამომყევი, ვითომ ექიმი ხარ, ჩემი ოჯახობა მაგას ვერ მიხვდება და სიდედრს ამ ქვეყნის კაიხანია აღარაფერი ეყურებაო. მაჯას გოუსინჯავ, სიცხეს გოუზომავ და მეტს ნამდვილი ექიმიც

არაფერს შვება. ცოლის ჯაჯღანიდან ამომოყვანე, მადლს იზამ, წლევანდელი დაწურული ცოლიკაური მაქვს, ბაღდადიდან მძახალმა ჩამომიტანა, თითო ჭიქას ვიტყვით, ჭად-ყველს გავტეხავთ და საათში, საათნახევარში მე თვითონ ამოგიყვანთ გნებავთ აქ და, გნებავთ, სადაც გაგეხარდებათო.

თავიდან, გითხრა სიმართლე, უარის თქმა დავაპირე, მერე ვიფიქრე: ვინ იცის, რა ოჯახობის პატრონია, ხომ შეიძლება, გარდაიცვალოს სიდედრი და ცოლს ეგონოს, უექიმობამ მოკლამეთქი. ხომ შეიძლება, ამ ნიადაგზე აყვნენ ერთმანეთს და ოჯახი დაინგრეს-მეთქი. წავალ, ცოდნას რავა დავამადლი კაცს, ბაღდადურ ცოლიკაურსაც დავაჭაშნიკებ –მეთქი. ერთი სიტყვით, დავთანხმდი.

ნინოშვილის ქუჩაზე გადავახვევინე, ჟორჟიკია ხახალეიშვილი და სულიკო მებუკე ჩევისვით და გოვუყევით გზას.

ავადმყოფი სიდედრის პატრონი ბაკისუმელი მამაგეიშვილი აღმოჩნდა. იქვე ნაცხოვრება არხგალმა, გიორგაძეების ბადრიჯნის ყანის ბოლოში.

მანქანის ხმა რომ გაიგონეს, სიდედრის თავმდგომები აივანზე გადმოდგნენ.

დოცენტი მევიყვანე, ოპერაციისთვის დავანებებინე თავი, მიხედე იქით საქმეს, ოთხ კაცზე გაშალეო, შეუკვეთა მამაგეიშვილმა ცოლს და სიდედრის ოთახში შეგვიძღვა.

ჯერ ტაბურეტზე დაწყობილი წამლები შევათვალიერე სათითაოდ, ეს კარგია, ეს რად უნდოდა-მეთქი, ჩავილაპარაკე, რავარც ექიმებმა იციან. მერე სიძეს მოვაყოლე, რა აწუხებდა ავადმყოფს. სიძეს იმიტომ, რომ ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებდა, ხოლო თვითონ ავადმყოფს საააქაო პირი აღარ ჰქონდა. ენა წართმეოდა და ძლივს ფეთქავდა.

ასე და ასე და ასე და ასეო, ჩამოაჭიკჭიკა სიძემ. დარდით აღარ ვართ ხალხიო. მესამე წელია ლოგინზეა მიჯაჭვული, მარა ქე იყო კარგად, ამის ენას გაჩერებულს ვერ ნახავდითო. ეს სამი დღეა ჭამა შეწყვიტა და გუშინ საღამოს ცნობაც დაეკარგაო.

სიცილი კბილით მიჭირავს. არა და, მამაგეიშვილი უბედურ-ნახევარი ჰყავს გამჩენს. ისე გულწრფელად, მუდარით მეუბნება-შენი იმედი გვაქვს, ბატონოვო, რომ შემირცხვენია მესხიშვილის თეატრის არტისტები.

ჩემსას ვეცდები, ცოტა დაგვიანებული კია, მარა ცდას არ დავაკლებ. თუ რამევუსაშველე, ხომ კარგი, თუ არა და ღმერთი რომ არ ვარ, ქე გეცოდინებათ-მეთქი.

ავადმყოფს მაჯა გავუსინჯე, სიცხე გოვუზომე (ოცდათოთხმეტი ჰქონდა), ხელები დავიბანე და სასტუმრო ოთახში გავედი.

ჟორჟიკია და სულიკო მაგიდას უსხედან ახლომახლო. შევედი თუ არა, ნარდი დაკეცეს და წამოდგნენ.

რავაა საქმეო, ჟორჟიკიამ.

თვალს არ ახამხამებს.

ჩემზე დიდი აფერისტი რავაა ყველა-თქვა, გულში გამეცინა.

თამადად მებუკე დავსვით. მოკლე სუფრებზე მებუკეს უკეთესად გამოსდის თამადობა.

მესამე-მესამე ბოთლს ვაყუმბარებთ, საათმა ის-ის იყო პირველისაკენ გეიწია, რომ სიდედრის ოთახში ჩრდილები აფათურდნენ.

წამოვდექი, ბოდიში მოვიხადე, ამ წუთში გეახლებით, ავადმყოფს დავხედავ, ხომ იცით, ჩემი პროფესიის ამბავი, ჩემს თავს არ ვეკუთვნი-მეთქი.

ჭირისუფლები მივწი-მოვწიე.

არ შეიძლება ასე, ერთად ნუ დადგებით, ამას ახლა სიმშვიდე და ჰაერი სჭირდება და საერთოდ, ამდენი ადამიანი ნუ ხართ ამ ერთ ოთახში, ზოგმა აივანზე მოიცადეთ, ან ჩვენთან გამობრძანდით სუფრაზე-მეთქი.

მოვკიდე ხელი მაჯას, ვიშვლიპე საათი. სადაა მაჯისცემა.

წუთში სამი დარტყმა არც კი აქვს.

გამოვედი ბიჭებთან და ჩურჩულით ვეუბნები თამადას.

– გადადი სულიკო დიდ ჭიქებზე, თვარა კვდება, მე მგონი, ეს დალოცვილი-მეთქი.

ნუ გეშინია, ბატონო, მაგი მასე მესამე დღეაო, მამაგეიშვილმა.

მე რისი მეშინია, გულში ვამბობ, შენ გეშინოდეს, ხვალიდან ბრინჯზე და თევზზე რომ იქნები გასაქცევი-მეთქი.

პატარა ხანში მამაგეიშვილის ცოლმა გამოგვაკითხა.

კვდება, ბატონო ექიმო, გვიშველეთო.

ახლა არ ნახა ამ წუთში? ექიმმა უფრო იცის, თუ შენ უფრო იცი, რას შვება, დაგვაყენეთ ცოტა ხანს, არ მოკვდება, ნუ გეშინიათო, სიძემ.

რაღაც ოთხი სადღეგრძელო გვქონდა დარჩენილი. ვთქვით. დავამრგვალეთ სუფრა და ჭიშკარს რომ გამოვცდით, კივილი მოგვესმა.

ნირი არ წახდომია მამაგეიშვილს. სათითაოდ გადაგვკოცნა და გამოგვაცალა. თქვენს პატივისცემას ვერ გადევიხდითო, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, რაც დღე და საათი ჩემს სიდედრს დააკლდა, ასჯერ გამრავლებულად შეგმატოთ გამჩენმაო. დასაფლავებაზეც უნდა დამაფასოთ, ბარელამ ბოლომდე მეცით პატივიო. ჩვენი აწი ერთმანეთის დაკარგვა არ გამოვა ნამდვილადო.

ქელეხზე სხვა ღვინო ჰქონდათ. იმასაც არა უშავდა, ოფშკვითური საფერე იყო, მარა ბაღდადის ცოლიკაური სულ სხვაა, მზის სუნი და გემო აქვს იმ დალოცვილს.

## ქართველები

კითხვით ვკითხულობ, როგორ არ ვკითხულობ, ბატონო, შენს ნაწერებს, თუ სადმე წავაწყდი, რასაკვირველია, მაგრამ გითხრა სიმართლე გულს არ ხვდება.

ასე მგონია, თქვენ მწერლები, ავი ფიქრებიდან ჩემს გამოყვანას, გართობას ცდილობთ და მეტი არაფერი.

კარგია ხუმრობაც, ირონიაც, თავშესაქცევი ისტორიებიც, მაგრამ ახლა არაა ამის წერის და მით უმეტეს კითხვის დრო.

შენს ნოველებს სხვა მკითხველი სჭირდება: ნერვებდაწყნარებული, გალაღებული... რა ვიცი, რანაირი.

გული დამწყდა, წეღან რომ ბრძანე, სადაა მკითხველიო, სულ ტყუილად ვჯახირობ და ვათენებ ღამეებს, აღარაფერს თქვენ აღარ კითხულობთო.

არ გიფიქრია იმაზე, რომ იქნებ მთლად ჩვენი ბრალიც არ იყოს ეგ ამბავი.

მე, დამარცხებული, გალახული, დაჩოქებული, ხალხის შვილი, გადავშლი შენს წიგნს და იმის მაგივრად, რომ რაღაც გულის მოსაფხანი მითხრა, იმედისკენ შემაბრუნო, რას მელადავები, შე კაი კაცო.

შენს ხასიათზე ვარ თუ არა, არ უნდა მკითხო?

ვერ მოვიშორე, ბატონო, ვერა, დამარცხებულის სინდრომი.

ეს ოცი წელია წელში მტეხს ჩვენი სამარცხვინო გამოქცევები აფხაზეთ-სამაჩაბლოდან და მიწაში მიმათრევს.

რანაირად-მეთქი, კაცო, ჩემს თავს ვეუბნები, ცხინვალში აგერ ა, გუშინწილ ორმოცდაათიპინგვინის დაჩოქების შემყურე. ხალხი, რომელსაც ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, მღვდელი თევდორე, სამასი არაგველი და გია აბესაძე ჰყავს, ასე როგორ დადედლ-დაგლახავდებოდა-მეთქი. შენ რომ მწერალი ხარ, რაღაცა ისეთი იმნაირი მითხარი. შეუძახე შენს ერს, შეანჯღრიე, გამოაღვიძე, შიში განდევნე მისი არსებიდან... ეგებ მთლად განწირული არა ვარ, შენც იფიქრე და მეც მაფიქრებინე.

მე ისტორიკოსი გახლავართ, ორ ამბავს მოგიყვები ჩვენი ისტორიიდან.

ერთი შედარებით ახალია, მეორე-უფრო ძველი.

ნახე, დააკვირდი, იქნებ რამეში გამოგადგეს. ერთი-ორ მწერალს მოვუყევი, მაგრამ არაფერი დაწერეს.

ეტყობა, ვერ მოირგეს ენა-კალამზე.

მაშ, ასე:

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი გაგონილი გექნება. გერმანელთა ყველაზე მკაცრრეჟიმიანი, გამართული, სისასტიკით გამორჩეული ბანაკი იყო.

სიკვდილის ამ უზარმაზარ ქარხანაში, როგორც იუწყებიან, ოთხ მილიონნახევარმა ტყვემ გაიარა შრომა-გასწორების გოლგოთის გზა. მათგან ოთხმოცმა პროცენტმა იქვე დაასრულა სიცოცხლე. ვინც გადარჩა, სამუდამოდ დახეიბრებულ-ტრავმირებული დახანხალებდა ერთხანს.

ახლა, რასაკვირველია, არც ერთი მათგანი აღარ იქნება ცოცხალი.

1943 წლის ივლისში ოსვენციმიდან თერთმეტმა ქართველმა სამხედრო ტყვემ მოახერხა გაქცევა.

ბანაკიდან გაიქცნენ, მაგრამ, რად გინდა, ზონიდან გასვლა ვერ შეძლეს.

ორ დღეს იმალებოდნენ ტყე-ჭალაში და ორი დღის მერე თერთმეტივე დაიჭირეს.

საგანგებოდ გაწვრთნილ გერმანულ ავჩარკებს სად გაექცეოდი.

ცემა-ტყეპით მილალეს უკან, ბანაკში, იმ საღამოსვე გაასამართლეს და თერთმეტივეს დახვრეტა მიუსაჯეს.

ყველაფერი დამთავრდა.

გადარჩენის იოტისოდენა შანსიც აღარ არსებობს.

თერთმეტივე ერთ საკანში შეყარეს ფაშისტებმა და, თქვენ როგორ ფიქრობთ, სხედან ქართველი ტყვეები და ზლუქუნებენ? არამც და არამც.

საკნიდან მხიარული ლაპარაკი, გადაძახ-გადმოძახება და, რამაც ფაშისტი გუშაგები სულ გააგიჟა,-უტკბილესი ქართული სიმღერა ისმის.

ისტერიულად, ტირილგარევით, მრისხანებით და ღრიალით კი არა, მშვიდად, ხმაშეწყობილად, ლამის აუღელვებლად მღერიან, ისინი, ვინც გამთენიისას, ასე 6-7 საათზე, უნდა მიყარონ კედელთან და დახვრიტონ.

შუაღამისას ბანაკის მთავარი ექიმი ოტო შვარციპატრულის თანხლებით განწირულთა საკანს მიადგა და სიკვდილმისჯილი ლევან წერეთელი გამოიძახა.

შეიყვანა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქვე, სამორიგეოში და რუსულად ეუბნება:

მეო, თბილისის უნივერსიტეტში ომამდე ლექციებს ვკითხულობდი და ბერიას მოედანზე ვცხოვრობდიო. მამაშენი კიმოთე-კიმი წერეთელი მაშინ ასისტენტად მუშაობდა და გერმანულს ვასწავლიდიო. ბევრი პატივისცემა მახსოვს მამაშენისგან. შენ არ გიცნობდი, მაგრამ საბუთები რომ გადავათვალიერე, მამის სახელიც რომ არ გამეგო, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხარ კიმასო. მოსვენება დავკარგე . რა პირით მოვაწერო ხვალ შენი დახვრეტის ოქმს ხელიო. ბანაკის უფროსმა ვერ გადამიწყვიტა შენი საკითხი და „ბრიგადენფიურერთან" გავვარდი. როგორც იქნა, მივაღწიე შენთვის დახვრეტის მუხლის მოხსნის და მაიდანეკში გადაყვანის ბრძანებასო.

ამას ყველაფერს თავჩაქინდრული ისმენს ლევან წერეთელი.

სიხარულის ნიშანწყალი არ ეტყობა.

დიდი მადლობა, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ვერ ვიჩუქებ სიცოცხლეს თქვენგან, ჩემი გადარჩენა უსინდისობა იქნება იმ ათი ჩემი თანამოძმის წინაშე, ხვალ რომ დასახვრეტად წარსდგებიანო.

გაგიჟდა, თურმე, გერმანელი: რა დროს სინდის-რევერანსებია, ნუთუ თავი არ გეცოდებაო.

დიდი ხვეწნის შედეგად, ერთ რამეზე დაითანხმა: შებრუნდი კამერაში და აუხსენი ყოველივე, დარწმუნებული ვარ, ისინი შენს გადარჩენაზე უარს არ იტყვიანო.

როცა დაბრუნდა და უამბო ბიჭებს, რაც მის თავს ხდებოდა, კამერაში დიდი ბჭობა არ გამართულა.

ყველა ქართველი ერთხმად ურჩევდა გასვლას.

ჩვენ მაინც აღარაფერი გვიშველის და, შენ თუ საქართველოში ჩასვლა მოგიწია, ჩვენს ამბავს მაინც ჩაიტანო.

უსმენს ღიმილით ლევანი თანამებრძოლებს.

არ ველოდი ამას თქვენგანო.

ასე თუ გამწირავდით, ვერ ვიფიქრებდიო.

ნუთუ წამით მაინც დაიჯერეთ თქვენ, რომ მიგატოვებთ და დარჩენილ, გაძაღლებულ წუთისოფელს ისე გავივლი, რომ ჩემიცოცხლად დარჩენის ეჭვს თავსატეხად დავუტოვებ ქვეყანასო.

ღამის ოთხ საათზე გამოუძახა თურმე ოტო შვარცს. დიდი მადლობა მოახსენა გარჯისათვის და უარი უთხრა.

დილით თერთმეტივე დახვრიტეს.

ეს ამბავი ოტო შვარცის დაკითხვის ოქმში სწერია. ჟურნალმა „ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა 1962 წლის ნოემბრის ნომერში.

მეორე ამბავი ასეთია: მარტვილის ახლოს, სოფელ თამაკონში, ტეხურგაღმა, ფალავების მშვენიერი სასახლე იდგა.

ფალავები, მოგეხსენებათ, ბრწყინვალე თავადები იყვნენ და ლეძაძამედან სალხინომდე მათი საგვარეულო მამული იყო გადაჭიმული.

სამასი წლის ამბავია.

თავადმა მელიტონ ფალავამ გვიან შეირთო ცოლი და კარგა ხანს შვილი არ ეძლეოდა.

იმედი რომ თითქმის გადაეწურათ, სწორედ მაშინ, მელიტონისა და შორენას ქორწინების მეცხრე წელს, ფალავების ოჯახში ბიჭი დაიბადა.

გადარჩა ფალავების სათავადო დინასტია. მემკვიდრე მოუვლინა განგებამ ამ ძირძველ, სახელოვან საგვარეულოს.

ბიჭს ზურაბი დაარქვეს.

ორი წლისა, ჩვეულების თანახმად, გასაზრდელად იქვე, თამაკონში, ღარიბ გლეხს-კიწი გაბუნიას მიაბარეს.

კიწის ორი შვილი ჰყავდა: ხუთი წლის გახუ და ზურაბის-კბილა-ბოჩო.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულის სამეგრელო მოგეხსენება.

გაჭირვებამ ავაზაკები მოამრავლა. საქართველოში მანამდე გაუგონარი-ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა გაჩაღდა.

თურქეთიდან შემოპარულები იტაცებდნენ, ვისაც მოიხელთებდნენ (უფრო ქალებსა და ბავშვებს) და სტამბულის ბაზარზე ჰყიდნენ.

ტყვეთა სყიდვაში ქართველებმაც დაიდეს წილი და, რომ არა სოლომონ მეფის მრისხანე ბრძანება, ადამიანებით მოვაჭრეთა კოცონზე დაწვის შესახებ, ვინ იცის, კიდევ რამდენხანს შეგვარცხვენდა ეს კანიბალური საქციელი.

კიწი გაბუნიას მეუღლე-ღალღა შვილებს საერთოდ მტრედის მზრუნველობით ზრდიდა, მაგრამ, ღმერთო, შეგცოდე, მომეტებულ ყურადღებას ზურაბისადმი იჩენდა, რადგანაც შავთვალება ზურაბი ფალავების საგვარეულოს იმედი გახლდათ.

ერთ უბედურ დღეს თურქმა ავაზაკმა ღამით ტეხური გადმოტოპა და კიწი გაბუნიას სახლს გარშემოეწყო.

ოჯახის უფროსი შინ არ იყო.

ლებარდეში ყავრის საჭრელად იყო წასული.

აბრაგებმა ღალღა ლოგინიდან წამოაგდეს.

ქალს ყელზე ხანჯალი დააბჯინეს და ყურში ჩაუსისინეს:

ხმა არ გაიღო, შენს შვილებს არას ვერჩით, ფალავას ვაჟის გასატაცებლად ვართ მოსული. მოგვეცი სწრაფად და ჩვენს გზას ვეწევით, თორემ შენ ყელს გამოგჭრით და სამივე ბავშვს თურქეთისაკენ წავასხამთო.

შეიძლება არ დაიჯერო, რასაც ახლა გეტყვი.

ღალღას ბევრი არ უფიქრია, თავისი ბაჩო ზურაბის ატლასის ახალუხსა და ჩოხა-მესტებში გამოაწყო, მხრებზე პატარა თეთრი ნაბადი მოახვია, ძილბურანში მყოფი ბიჭი გულში ჩაიკრა, ცრემლის ღვრით ჩაკოცნა და თურქებს გაატანა.

ასე გადაარჩინა გლეხის ქალმა ფალავების საგვარეულო უმემკვიდროდ გადაგებას.

ეს ამბავი ალე ხარგელიასგან ჩავიწერე თამაკოში 1965 წელს.

ა, ესაა სულ, ბატონო რეზო, რაც უნდა მეთქვა.

იქნებ ასეთი ამბების გახსენება უფრო გამოადგეს ჩვენს დაბეჩავებულ თანამედროვეს, იქნებ ამ ისტორიებში უფრო ჩანს ერის სული.

თუ ჭკუაში დაგიჯდეს, უამბე მკითხველს.

მოყოლა და გალამაზება შენი ხელობაა.

სერგი ლომაძე



# ერთი დღე თერჯოლაში

აპრილში თერჯოლაში მოგვიხდა ჩასვლა-იმერეთის ერთ პატარა და ლამაზ ქალაქში. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამჯერადაც მე დამევალა, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტისაგან, სტატიის დაწერა ამ ამბის გამო. მაშ ასე, –ჩემს ვრცელ შემოქმედებას შეემატება კიდევ ერთი ახალი თემა: სტატია დასავლეთ საქართველოს ქალაქ თერჯოლის შესახებ, თუმცა რადგანაც იქ პირველად მოვხვდი და იქაურობას კარგად არ ვიცნობ, არა ზოგადად ქალაქზე, არამედ –კონკრეტულად ჩვენს იმდღევანდელ ამბებზე უფრო მომიწევს წერა და იმ ადამიანებზე, ვისაც შეხვდებით იმავე დღეს.

თბილისიდან ოთხნი გავედით: ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი-აკადემიის პრეზიდენტი, ქალბატონი ლამზირა შეყილაძე-მისი თანაშემწე, მე-ასევე თანაშემწე პრეზიდენტისა, და გია-შესანიშნავი ახალგაზრდა, ვერცხლისფერი მანქანის საჭესთან რომ იჯდა და ათასგვარი ამბით გვართობდა. ამინდი კარგი შეგვხვდა, თუმცა თერჯოლა თბილისიდან იმაზე უფრო შორს კი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. მიუხედავად ამისა, შუადღეზე მაინც იქ ვიყავით. თერჯოლა გაცილებით უფრო შორია, თუმცა... დანამდვილებით ამის მტკიცებას მაინც არ მოვყვები... ქალბატონი გულნაზი გაგვიძღვა, მე და ლამზირას, იქაური გამგეობის შენობისაკენ. ხელში მეჭირა საწერკალამი და ბლოკნოტი. მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემი მეგობრები ათასზე მეტი წარმატებული პოეტური საღამოს მონაწილენი ვართ, ახლა უფრო ვნერვიულობდი, რამეთუ პოეტი კაცი დღემდე ვერ შევეგუე ჟურნალისტობას (არადა, უკვე ჟურნალისტიკაშიც სერიოზული სტაჟი დამიგროვდა, უფრო-პუბლიცისტიკაში).

გამგეობაში, სულ თავიდან, ორი ადამიანი ვნახეთ: ქალბატონი-ნინო ლილუაშვილი და ნათია სახეჩიძე. ისინი მუშაობენ ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროს სპეციალისტებად. იგივე განყოფილების უფროსია ქალბატონი მზია ჭანტურიძე, თუმცა იგი, პირადად, არ გვინახავს. ნინო და ნათია სასიამოვნო თანამოსაუბრეები აღმოჩნდნენ. მათ გაგვარკვიეს იმ სიახლეებში, რასაც გამგეობა ნერგავს თერჯოლის გაუმჯობესებისათვის. ინფორმაცია მოგვაწოდეს გამგებლის-ბატონ თემურ ჯაფარიძის შესახებაც.

ბატონი თემური ჭიათურის რაიონიდან გახლავთ, სოფელ ხრეითიდან. წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისქალაქში, სხვადასხვა თანამდებობებზე, კარგა ხნით ყოფილა თბილისის ცნობილი ცირკის ხელმძღვანელიც. იმუშავა დეპუტატადაც. თუ არ ვცდები, 2014 წლის აგვისტოდანაა დღევანდელ თანამდებობაზე (გამგებლად). კოლეგები მას ახასიათებენ, როგორც გამრჯე და მიზანდასახულ ადამიანს. მან მკვეთრად აამუშავა სოციალური პროგრამები, თანადაფინანსების პროგრამა, სამედიცინო კუთხით დაფინანსების პროგრამა და ბევრი სხვა. მისი ინტერესთა სფერო ფართოა. პირადად რომ მენახა, აუცილებლად დავუსვავდი შეკითხვას კულტურა-ხელოვნების შესახებ, თუმცა ასეთი საუბარი ჩვენ, აკადემიის წევრებმა, სხვა დროისთვის გადავდეთ. მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენს აკადემიას დიდ პატივს სცემს და ანთოლოგიის მესამე და მეოთხე ტომი აიღო კულტურული დაწესებულებისთვის.

ვნახეთ ნინო გაბრიაძეც-პრეს-ცენტრის სამსახურის წარმომადგენელი; ქალბატონი ნინო ისე კარგად ერკვეოდა ლიტერატურაში, რომ სპეციალობით, მგონი, ფილოლოგი უნდა იყოს. რაც შეეხება მის დღევანდელ საქმიანობას, გამარკვია, რომ გამგეობის პრეს-ცენტრი სწორედ ამ ბოლო დროს წამოვიდა წინა პლანზე, გააქტიურდა, შეიქმნა ფეისბუქ-გვერდი და აქაა მთელი ინფორმაცია. ეს ინფორმაციები ნინო გაბრიაძეს, ძირითადად, გამგეობიდან და საკრებულოდან-ქალაქის ამ ორი მთავარი ორგანოდან მიაქვს. პრეს-ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ყველასთან, რათა გამგეობის საქმიანობა იყოს გამჭვირვალე. მოქალაქეებისთვის ძალიან ადვილია პრეს-ცენტრთან დაკავშირება, ასე რომ მათ გამგეობაში მიუსვლელადაც შეუძლიათ შეიტყონ ნებისმიერი ინფორმაცია...

თერჯოლის გამგეობის მონახულების შემდეგ საკრებულოში გადავინაცვლეთ. აქ შევხვდით საკრებულოს თავმჯდომარის-ბატონ ავთანდილ ჩუბინიძეს მოადგილეს-ქალბატონ სოფიო ბუსკივაძეს, რომელიც პროფესიონალი ჟურნალისტი აღმოჩნდა და ამან, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა: მე, პოეტი კაცი, ჟურნალისტს ვესაუბრებოდი ნამდვილი ჟურნალისტივით. თუმცა, რადგანაც პოეტები ყველაზე უფრო მრავალმხრივ ადამიანებად ითვლებიან, ეს ბარიერიც გადავლახე.

ქალბატონ სოფიოს, თავის დროზე, თურმე რამდენიმე ჟურნალ-გაზეთში უმუშავია, და ამათგან არაერთი მათგანის ხელმძღვანელიც თავად ყოფილა. (ერთ-ერთ ამათგანს „ათინათიც“ რქმევია, და ასეთმა დამთხვევამ ძალიან გაგვახარა, –ხომ ჩვენი ჟურნალის სახელიც „ათინათია“! საერთოდ, ეს სიტყვა, ბოლო ხანებში, ძალიან პოპულარულ-გავრცელებული გახდა, ეტყობა, თავისი სინათლით, იზიდავს ქართველის გულ-გონებას). იყო ტელეკომპანია „მედეას“ ჟურნალისტიც. სოფიო პოლიტიკურად აქტიურია, რის გამოც, ადრე იდევნებოდა კიდეც. მიუხედავად ყველაფრისა, ბოლოს მან მაინც მყარად დაიმკვიდრა საკუთარი თავი, საკუთარი ადგილი. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ავთანდილს, რომელიც უფრო ადრე, გამგებლადაც ყოფილა ნამუშევარი, სოფიომ იგი დაახასიათა, როგორც გულისხმიერი, ყურადღებიანი პიროვნება. სოფიო ბუსკივაძემ თქვა, რომ მათ სამსახურში კამათი, კრიტიკა სრულიად დასაშვებია, და რომ, ხშირად, სწორედ კამათის რეჟიმში იბადება ყველაზე უფრო საჭირო მოსაზრებანი. მან გვითხრა: თერჯოლაში ოცდაოთხი სკოლაა ამჟამად, ხოლო თერთმეტ სკოლაში ხსნიან ბიბლიოთეკებს, ორი ბიბლიოთეკა კი, ქალაქში, რეგულარულად ფუნქციონირებსო. მე შევეცადე, როგორც ყოველთვის, პოეზიაზედაც გადამეტანა საუბარი. ისიც ამყვა, მურმანი, მუხრანი, შოთა ნიშნიანიძე, ანა და ზოგი სხვა მიხსენა, მერე კი, უცებ, გალაქტიონისა და დიდი რუსთაველის სახისმეტყველებასა და სხვა პოეტურ სიღრმეებზე დავიწყეთ საუბარი. ქალბატონი გულნაზი მიხვდა, რომ ჩემთვის ეგზომ ხელსაყრელი თემა შეიძლებოდა მეორე დღემდე გამეგრძელებინა და ტაქტიკურად განმარიდა იქაურობას. ასე დავბრუნდით, ისევე, გამგეობის შენობაში. მალე მოვხვდით შესყიდვების განყოფილებაში, ხოლო იქ გავიცანით ლია კუპატაძე და კოტე ცნობილაძე, რომელთაც დაგვაკვალიანეს, რომ ამ სამსახურის უფროსი ბატონი ზურაბ გოგნაძე ბრძანდება....



თამარ გავაშელაშვილი (პოეტი)

ყველაზე საინტერესო შეხვედრა იქაური, ადგილობრივი პოეზიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან-თამარ გავაშელიშვილთან გვქონდა. ქალბატონი თამარი რამდენიმე წიგნის ავტორია, მუშაობს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის-საბავშვო ლიტერატურაშიც. იგი ბავშვობაში ავად გახდა (ამბობენ-მდინარის წყლიდან შეეჭრაო ინფექცია ჭრილობაში) და სიარულის უნარი დაკარგა. მიუხედავად ამისა, თბილი და ძლიერი სულის ადამიანი აგრძელებდა ცხოვრებას, შეექმნა თავისი წიგნები.

ლექსებს ბავშვობიდან წერდა, წარმატებანიც იქიდანვე თან სდევდა, მაგალითად, რაიკომის მაშინდელმა მდივანმა, ანზორ ბურჯანაძემ, ბინაც კი აჩუქა ჯერ კიდევ დამწყებ პოეტს. ქუთაისშიც გაწევრიანდა შემოქმედთა კლუბში. მას ხელს უწყობდნენ დავით კვიცარიძე და მედეა ჩოგოვაძე, რომელნიც ყველაფერში ეხმარებოდნენ, ხოლო უკვე მოგვიანებით, ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა დავით ნესტერენკომ მისი ოჯახის ვალი დაფარა საკუთარი ფინანსებით. ქალბატონმა თამარმა მის ხელისშემწყობთა შორის დაასახელა, ასევე, რუსთავის 2-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ლალი ნაზღაიძე, ტრისტან რობაქიძე, ზურაბ კუხიანიძე, დომენტი ახობაძე და ზოგი სხვანიც, თავისი ცხოვრებიდან კი უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებად დაასახელა ტელემე-

დის გმირად გახდომა. თბილისში (თერჯოლიდან), ქუთაისქალაქში ჩატარებული მისი შემოქმედებითი საღამო, და ის დღე, როდესაც გაიცნო ჩვენი აკადემიისა და ჩვენი ჟურნალის პრეზიდენტ-რედაქტორი ქალბატონი გულნაზი, რომელიც, ყველაფერთან ერთად, თამარ გავაშელიშვილის რჩეული პოეტიც ყოფილა. იგი ძალიან კმაყოფილია ადგილობრივი ხელისუფლების (კერძოდ, ბატონ თემურ ჯაფარიძის).

ხოლო თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პიროვნებად, ქალბატონი თამარი, ასახელებს მეუღლეს-იური გურგენიძეს. ისინი უკვე ოც წელზე მეტია ერთად არიან. ბატონი იური გასაოცრად მყარად უდგას მხარში სნეულ მეუღლეს და დიდწილად სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოს ჰყავს ისეთი განსაცვიფრებელი ადამიანი, როგორიც არის პოეტი თამარ გავაშელიშვილი. მე კი ასე ვიტყოდი: გურგენიძე-გავაშელიშვილის წყვილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დასაფასებელი მოვლენაა ჩვენს ქვეყანაში, ბევრგვარი შეხედულებისა გამო. ეს, მოკრძალებულად, უბრალოზე უბრალოდ მცხოვრები ოჯახი, წარმოადგენს თავისებურ ფენომენს, რომლის შესახებაც შეიძლება მთელი რომანი დაიწეროს. მათ ძალიან გილთბილი შეხვედრა გაგვიმართეს, წამოსვლისას კი შამპანური და ხილი გამოგვატანეს. ადამიანის სულის ძლიერება-ყოვლისმომცველობა საბოლოო ვიწამე, როცა ეს ორი დაუვიწყარი პიროვნება გავიცანი თერჯოლაში....





**თერჯოლის გამგეობაში ურთიერთგაგება და სიყვარულია**





უკან რომ ვბრუნდებოდით, უკვე საღამოვდებოდა. ერთ-ერთ სასადილოში შევედით და გემრიელად დავნაყრდით, შემდეგ კი უფრო ენერგიაალევსილებმა გამოვწიეთ თბილისისაკენ. მე ათასი ფიქრები მიტრიალებდა თავში. ვფიქრობდი იმდღევანდელ ნანახ-განცდილზე, და ვფიქრობდი მომავალზეც. ახლახანს ხომ ჩემი ჯგუფის-„ზღვარის“ პროექტებიც დავგეგმეთ. „ზღვარის“ დაახლოებითი სურათი ასეთი იყო: კახა ბაციკაძე (ტექსტი, მუსიკა, ვოკალი, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტები, ინსტრუმენტთაგან უფრო-გიტარა, კლავიში); გიორგი ზუხბაია (ტექსტი, მუსიკა); სერგი ლომაძე ( ტექსტი, მუსიკა, ვთქვათ-კლავიშიც); ვასო ლომაძე (ტექსტი, მუსიკა); ლუკა ამირანაშვილი ( სოლო– გიტარა, ბას-გიტარა); გია, ფაქტიურად, შეცვალეს ტატო ებანოიძემ (სოლო-გიტარა) და გია გერგუშელიძემ (დრამი), გოგა გოგსაძემ (ბას-გიტარა) დაემატა ჯგუფს. ბევრი პროექტი გვაქვს დაგეგმილი, ათასი ახალი საქმეა გასაკეთებელი. მე და კახა. როგორც სიმღერების ძირითადი ავტორები (უპირველესად ყოვლისა კი-პოეტები!), ჯგუფისათვის უამრავ სხვადასხვა საქმეს ვაკეთებთ ერთად; და ამ ფონზე, მაინც ჩამოვედი თერჯოლაში; და არც მინანია-ვნახე მშვენიერი ქალაქი, მშვენიერი ხალხი, გავესაუბრეთ გამგეობის, საკრებულოს წარმომადგენლებს, ასევე-რიგით მოქალაქეებსაც და რაც მთავარია შევხვდით ადგილობრივ პოეტსა და მის მეუღლეს– დაუვიწყარ ადამიანებს: პოეზია ხომ ნათლით ავსებს სამყაროს...

მოკლედ, უაღრესად კმაყოფილნი დავბრუნდით ჩვენი არცთუ ისე პატარა მოგზაურობიდან.

თბილისი. 2016 წელი. აპრილი.

P.S. აუცილებლად სათქმელია მადლობა ბატონ სულიკო სამხარაძისთვის, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი „თერჯოლური მოგზაურობა“....

***მინაწერი რედაქტორისაგან:*** თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ თემურ ჯაფარიძეს, ბატონ თემურ ქოჩიშვილს და მთელ კოლექტივს. აგრეთვე საკრებულოს თავმჯდომარეს, მის აპარატს. ჟურნალი „ათინათის“ რედაქტორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი მადლობას უხდის იმ დიდი ადამიანური დახმარებისთვის რაც მათ გამოიჩინეს აკადემიისათვის. მჯერა მათ ბატონი ჯუმბერზ ლეჟავას სული დალოცავს, რათა გაძლიერდნენ და მართონ ის სისტემა კეთილსინდისიერად რაც მათ აბარიათ..... ამინ!

## ქალბატონი გულნაზი – დიდა თანამედროვე აკადემიისა



ხუთი მაისი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის საიუბილეო დღეა. წელს, ერთი დღით ადრე, (ოთხში) მთავარი აკადემიის შენობაში არსებულ დარბაზში, შემოქმედებითი საღამო დავგეგმეთ, რომელიც ჩვენი აკადემიის პრეზიდენტისთვის უნდა მიგვეძღვნა.

მაისი ყველაზე ლამაზი თვეა, ისევე, როგორც რუსთაველის პროსპექტია ყველაზე უფრო სახელოვანი მთელს თბილისში (ხომ იგია, სწორედ, გული თბილისისა). და აი, მაისის თვეში, ამ პროსპექტზე მდებარე შენობის ერთ-ერთ მთავარ დარბაზში, გაიმართა დიდებული პოეტურ– მუსიკალური ღონისძიება, რომელიც მამა მერაბმა გახსნა და დალოცა როგორც ქალ-

ბატონი გულნაზი (რომელიც ჩვენი ორგანიზაციის სახედ და ლეგენდად ჩამოყალიბდა), ასევე მთელი დარბაზი. მამა მერაბი ერთ– ერთი წამყვანი პირია ჩვენი აკადემიისა. იგი მეუღლესთან ერთად იყო მოსული, რამაც კიდევ უფრო დასდო ფასი მის მობრძანებას. დაუვიწყარი მეუფე თადეოზის შემცვლელად, აკადემიაში, ბევრს სწორედ მამა მერაბი დაუგულებია. ასე რომ, სრულიად ლოგიკური იყო, როცა მან გახსნა თვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ღონისძიება ჩვენი ორგანიზაციისათვის.

შემოქმედებით საღამოს გაძღოლა მე დამევალა.

მაშ ასე: პრეზიდიუმში ვისხედით, – მამა მერაბი, ქალბატონები-გილნაზ ხარაიშვილი და ბელა ალანია, ბატონი ვაჟა ეგრისელი, მე, და ჩემი მეგობარი-პოეტი კახა ბაციკაძე; რაღა თქმა უნდა, პრეზიდიუმში იყო ქალბატონი მაყვალა გონაშვილიც, რომელსაც მალევე გადავეცი სიტყვა, ხოლო მან, ჩვენი გულნაზი, კიდევ ერთი საპატიო წოდებით დააჯილდოვა, გადასცა, რა, მწერალთა კავშირის სიგელ– დიპლომი, როგორც ღვაწლშემოსილ ადამიანს, რჩეულ პიროვნებას.

მალევე მივიდა ტრიბუნასთან ვაჟა ეგრისელიც. მკვეთრად ვაფიქსირებ ჩემს აზრს: ბატონი ვაჟა დიდი პოეტია და მიკვირს, რომ ზოგი ადამიანი ორჭოფულ დამოკიდებულებას ხედავს, ჩემს ნაწერებში, მის მიმართ. ვიმეორებ, – ბატონი ვაჟა დიდი პოეტია, და იმ დღესაც მისი გამოსვლა ისეთი იყო, როგორც მაღალი რანგის ხელოვანს შეეფერება. იგი ყველასაგან განსხვავებული ფილოსოფური პოეტია.







შემდეგ კი ტრიბუნასთან მივიდა თემურ ჩალაბაშვილი, რომელიც ერთ-ერთი ლიდერია მწერალთა კავშირისა...

მოკლედ, გამომსვლელები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, თუმცა საღამო, ძირითადად, მაინც სამ მთავარ საყრდენზე აიგო. ეს იყო: 167-ე და 36-ე საჯარო სკოლები, ასევე-ხაშურის წარმომადგენლობა, რომელიც არ ჩამორჩა თბილისურ სკოლებს. იყო მეოთხეც– შალვა ილურიძის მიერ შეგროვებული მუსიკოსთა. საბავშვო ჯგუფი-პატარა „ლომისელები“. მათ სამჯერ მოუწიათ გამოსვლა და– ოთხი მუსიკალური ნომრის შესრულება, მათვე წილად ხვდათ საპატიო მისია საღამოს დასრულება-დაგვირგვინება!..

ასსამოცდამეშვიდე სკოლამ (დირექტორი-ელენე ფუტკარაძე და პედაგოგი-ლამარა გერგედავა) კიდევ ერთხელ მიაღწია წარმატებას. მოსწავლეებმა, ძირითადად, ლუარა სორდიას წიგნის მიხედვით ააგეს თავიანთი გამოსვლა; ყველამ იცის, თუ როგორი მეცნიერია სუპერფილოლოგი ლუარა სორია, რომელმაც საეტაპო ნაშრომები შექმნა; აი, ასეთმა მეცნიერმა, წიგნი უძღვნა ქალბატონ გულნაზს, და სწორედ ეს ტექსტი (ნაწყვეტები წიგნიდან ) წაუკითხეს დარბაზსს. გასაკვირია, რომ ასეთი რთული ტექსტიც კი, მოზარდებს, გარკვეულწილად მაინც, გააზრებული ჰქონდათ. მათ შეძლეს ის, რომ მეცნიერული ტექსტი, და საერთოდ, მთელი თავიანთი გამოსვლა-წარმოდგენა, სწორად მიიტანეს მსმენელამდე. ეს იყო გამარჯვება...

ოცდამეთექვსმეტე სკოლამ (დირექტორი– მაია კვინიკაშვილი, პედაგოდი-ციური ხუჭუა, რომლის ქალიშვილიც ასევე ესწრებოდა საღამოს) კი თავისი გამოსვლა ძირითადად, ქალბატონი გულნაზის ლექსებზე ააგო, –მოწაფეებმა წაიკითხეს, ზეპირად, ჩვენი ხელმძღვანელის პოეტური შემოქმედება. მათი გამოსვლა ბრწყინვალე იყო. არ ვიცი, ეს მათივე დამსახურებაა თუ იმ ლექსე-

ბის ავტორისა, რომელთაც კითხულობენ (თუ-ზეპირად ამბობდნენ); მე მგონი-ორივესი! დიდებულად გაისმა იუბილარის ლექსები, მოწაფეების მიერ თქმული. ბედნიერი ადამიანია ქალბატონი მაია, რომლის სკოლაში არის რჩეული პედაგოგიც და, შესაბამისად, რჩეული მოწაფეებიც...




**გულნაზი ხარაიშვილი აკადემიის წევრებთან ერთად**

ხაშურელ სტუმრებსაც ქალი მეთაურობდა, – იქაური ბიბლიოთეკის დირექტორი მაკა დიდებულიძე (უცნაურია: თითქმის ყველგან ქალნი ლიდერობენ, ამასობაში კი ჩვენი ტელევიზიები ხშირ-ხშირად გვაწვდიან ინფორმაციებს იმის შესახებ, თუ როგორ იჩაგრება ძლიერი სქესის წარმომადგენელთაგან სუსტი სქესის წარმომადგენელნი, თუ როგორ არ ვაფასებთ ჩვენს ქვეყანაში ქალებს!). ქალბატონი მაკა ნამდვილი ლიდერია ბუნებით, აქტიური, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, ყოველთვის ენერგიული და სამოქმედოდ განწყობილი. მის მიერ შეკრებილი მოწაფეებიც, ასეთივე მობილიზებულნი იყვნენ. მათგან ერთ-ერთს, ნინონრომაშვილს, ძალიან კარგად ვიცნობთ: უკვე კაი ხანია, რაც იგი ჩვენი ჯგუფის -„ზღვარის“ გულშემატკივარი (ფანი) გახლავთ, არასდროს გამოუტოვებია, ბოლო წლებში, ზღვარელთა სტუმრობანი ხაშურში და, შესაბამისად, ძალიან ვაფასებთ ამ გოგონას.... ხაშურელებმაც, ძირითადად, ქალბატონი გულნაზის შემოქმედებაზე ააგეს თავიანთი გამოსვლა და წარმატებასაც მიაღწიეს. დაფასდა მათი შრომაც. საერთოდ, ყველა სასიკეთო შრომა ფასდება. ადრე თუ გვიან; ამ შემთხვევაში კი წარმატება მალე და ადვილად იქნა მოპოვებული (თუმცა ამ ყოველივეს უკან, ალბათ, არც თუ იოლი გარჯა იდო. ასეა: სინამდვილეში ადვილად არაფერი ხდება).

საღამოს ესწრებოდა და მასში მონაწილეობას იღებდა უამრავი ადამიანი. მათ შორის– ვახტანგ გაჩეჩილაძე, შალვა გერაძე, გელოდი ფოცხიშვილი, ჩვენი რეზო ადამია, ლამზირა შეყილაძე, ნაირა მარშანია, მაია მახარაშვილი, ნიკო ბაღაშვილი, მანანა ზაზიკაშვილი, ყამარ ბლიაძე ( რომელსაც ახლდა ქალიშვილი-ნანა და ნათესავი შორენა ზაქუტაშვილი), ნელი ქველაძე, თინა ხაბურზანია, ხარაიშვილთა სიამაყე-ჯუმბერ და ნოდარ ხარაიშვილები, სულიკო სამხარაძე, თინა ხოხობაშვილი, დიდი ნიკო ხერკელაძე და სხვანი და სხვანი. არ დამავიწყდება მოქანდაკე გელა ლარიაშვილის შვილიშვილის გამოსვლაც, რომელმაც გაახალისა დარბაზი თავისი ბავშვური ხიბლით და განაცვიფრა– ნიჭიერებით. მინდა დავასახელო, ასევე ტატო ხარატიშვილიც, რომელმაც, როგორც იტყვიან, „ცეცხლი დაანთო“ ტრიბუნაზე....



ხოლო „ზღვარის“ ლიდერის– შეუდარებელი კახა ბაციკაძის გამოსვლა (სიტყვით გამოსვლა) მართლაც რომ ხანძარს ჰგავდა. მე ვამბობ, რომ ჩვენ,

„ზღვარის“ წევრებს, ათასზე მეტ პოეტურ საღამოში მიგვიღია მონაწილეობა და ამათგან დიდი უმეტესობა წარმატებული იყო-მეთქი; კახა, ხანდახან უფრო მეტ რიცხვს ასახელებს-ორიათას საღამოს, რომელთა დიდი უმეტესობა წარმატებული იყოო. შეიძლება, რომ იგი ამ სტატისტიკის დროს, ჩვენს „ზღვარამდელ“ პერიოდსაც გულისხმობდეს. არ ვიცი. რატომღაც არასოდეს ჩავძიებივარ. ჩვენ ბევრზე ბევრ ადამიანს შევპაექრებივართ უამრავ სხვადასხვა სფეროში, თუმცა ჩემს სამყაროდ მაინც მხოლოდ პოეზიას ვთვლი. ამავე დროს, საერთოდ-ხელოვნება, ფილოსოფია და.... მთები მიყვარს ყველაზე მეტად.... ვფიქრობ, კახაც ასეთია, რამეთუ მას დიდი ხანია ვიცნობ. იგია, სწორედ ჩემი საუკეთესო მეგობარი.



**გულნაზ ხარაიშვილი და მამა მერაბი**



**გულნაზ ხარაიშვილი, მაყვალა გონაშვილი**

კახამ, იმ დღეს, სიტყვით დახატა განუმეორებელი, მონუმენტური პორტრეტი გულნაზ ხარაიშვილისა. მან, კახამ, თავის არცთუ ხანგრძლივ გამოსვლაში, ყველაფერი ჩაატია. მის სიტყვებში ქალბატონი გულნაზი წარმოისახა, როგორც რჩეული რჩეულთა შორის, ქართული ხელოვნების ფანატიკოსი ადამიანი, რომლის მიზანიც არის ბოლომდე ბრძოლა ჩვენი ხელოვნების (ჩვენს ხელოვანთა) გადარჩენა-აღორძინებისათვის..... საერთოდ, ქართული კულტურის ერთ-ერთი უპირველესი ქალბატონი-აი, ასე დაახასიათა, საბოლოო ჯამში, კახამ, გულნაზ ხარაიშვილი....



**ჩემი საყვარელი შვილიშვილები – თეონა სხირტლაძე, თამუნა სხირტლაძე და ვახტანგ სხირტლაძე**




მთლიანობაში, ღონისძიება, ძალიან წარმატებული გამოვიდა. იუბილარმა, ბედნიერებსაგან, რამდენიმეჯერ, ცრემლებიც ვერ შეიკავა. ამ უაღრესად ძლიერი ადამიანისაგან ცრემლი თითქოს გასაკვირია, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, იგი ხომ მაინც ქალია (თუნდაც-მამაკაცური ნებისყოფით), და ის კი არა, თვით „ვეფხისტყაოსნის" ფოლადისებური გმირებიც კი ხომ სტირიან ხოლმე!....

მერე იყო სუფრა, სადაც მამა მერაბმა, თამადად, ვაჟა ეგრისელი დაასახელა. და იყო, ისევ, ლექსი, სიმღერა, ზმა, სიტყვათთქმა... თითქოს გრძელდებოდა, სუფრასთანაც შემოქმედებითი საღამო....

მერე კი იყო ფიქრი.

ვფიქრობდი: აი, განუზომელი შრომის შედეგად, ქალბატონმაგულნაზიმ (და მთელმა ჩვენმა აკადემიამ) კიდევ ერთი ტრიუმფი მოიპოვა, კიდევ ერთი დიდი გამარჯვება, მაგრამ ხვალ ახალი დღე იქნება და ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი, ისევ განუზომელი შრომა, ბრძოლა, და ასე უსასრულოდ.... აი, ესაა ხვედრი ჭეშმარიტი ხელოვანისა, ტკბილ-მწარე, ეკლიანი გზა გამარჯვებამდე, მწვერვალთა მწვერვალამდე....

თბილისი. 2016 წელი. მაისი.

P. S. აუცილებლად უნდა მოვიხსენიო კიდევ ორი ადამიანი: პირველია ხელმძღვანელი მთავარი აკადემიისა, ბატონი გიორგი კვესიტაძე რომელმაც დიდად შეგვიწყო ხელი ამ ღონისძიების მოწყობაში, ხოლო მეორეა ბატონი როინ მეტრეველი, რომლის აქტიურობა-ძალისხმევით შეიძლება ჩვენმა აკადემიამ, ახლო ხანში, გეპეის შენობებში გადაინაცვლოს..... ვნახოთ... ყველაფერი ჯერაც წინ არის. გასაგრძელებელია დიდი მუშაობანი სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა სფეროში....

ერთი რამეც უნდა დაზუსტდეს: ქართული აკადემიების წარმომადგენლებიდან, ნამდვილ, სრულ აკადემიკოსებად, დღესდღეობით, უნდა ჩაითვალონ, –მთავარი აკადემიის აკადემიკოსები, ასევე, –სულ ცოტა, სამი სხვადასხვა აკადემიის აკადემიკოსები, და ასევე-თვით პრეზიდენტები აკადემიებისა. (სხვანი, თითქმის ყველანი, მხოლოდ არასრულ აკადემიკოსებს წარმოადგენენ, გარდა იმათისა, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურებანი აქვთ). ქლბატონი გულნაზი დღეს ერთადერთია ქალთა შორის, რომელიც ფლობს როგორც აკადემიის დამაარსებლის, ასევე-მისი ლიდერის ტიტულს... საერთოდ, ბევრს ენიჭება მაღალი წოდება და რომ არ მოხდეს დიადი სიტყვის-აკადემიკოსის დეგრადაცია, უნდა გავამკაცროდ ამ წოდების მინიჭება ან უნდა შევიმუშაოდ სხვადსხვა, ახალი წესები; მიდის ამაზე მუშაობა ჩვენს აკადემიაშიც, და, როგორც მითხრეს, ზოგ სხვა ორგანიზაციაშიც. მგონი, ასეთ საკითხში, ყველა ნამდვილი მოღვაწე დაგვიჭერს მხარს.

## ლეგენდები არა კვდებიან

(დიდუბის პანთეონის ქრონიკა)

ჩვენი ჟურნალის მეცხრამეტე ნომრის გამოშვება ლეგენდარული ფილოსოფიის-მოგზაურისა და სპორტსმენის, მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენის-ჯუმბერ ლეჟავას საფლავზე მისვლით და იქ შემოქმედებითი საღამოს ჩატარებით აღვნიშნეთ. თუ არ ვცდები, ბატონი ჯუმბერი პირველი ქართველი გინესიორი იყო, ადამიანი რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა, დაგვიტოვა უნი-

კალური ნაშრომები, რომელნიც ჯერაც ბოლომდე არაა შესწავლილ-დამუშავებული. ჯუმბერ ლეჟავას სურვილი იყო ამ ნაწერთა დამუშავებული სახით გამოცემა, და ნაწერებს ხელი მოჰკიდა რამდენიმე მკვლევარმა, მათ შორის-ცნობილმა მეცნიერმა ლუარა სორდიამ. იმედი მაქვს, რომ დიდი მეცნიერის-ფილოსოფოსი მოგზაურის ნაშრომთა ტომებს მალე იხილავს საზოგადოება, იმედი მაქვს, არ გაიფანტება ეს ძვირფასი ლიტერატურა ბატონი ჯუმბერ ლეჟავასი.



ჯუმბერ ლეჟავას საფლავთან

იგი დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. ამ დიდი კაცის საფლავს ისე მიეახლება ხოლმე ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, მთელი თავისი აკადემიით, როგორც სალოცავს რამეს საკვირველს. ასეთივე სიტუაციაა მაშინაც, როცა მიტროპოლოტისა და საოკეთესო სასულიერო პოეტის (პროფესიონალი პოეტის) მეუფე თადეოზის საფლავთან მიგვიყვანს ხოლმე.

გაზაფხულის თბილ დღეს მივეახლეთ ბატონი ჯუმბერის საფლავს. ეს ადამიანი, ქალბატონ გულნაზთან ერთად, იყო ფუძის დამდები ჩვენი აკადემიისა (ამ საქმეში, მათ მეუფე თადეუზიც მხარში ედგათ), თუნდაც ამიტომ, განსაკუთრებულ პატიშია მისი სახელი ჩვენს შორის. წელი ის ეარ გავა, რამდენჯერმე რომ არ მოვინახულოთ მისი სამარა. ვინ აღარ იყო ომ დღეს იქ მოსული– პოეტი-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი, ჯუმბერ ხარაიშვილი, სულიკო სამხარაძე, მამა გურამი, შალვა გერაძე, ლამზირა შეყილაძე, თამარ ჯაჭვაძე, მანანა ზაზიკაშვილი, ნელი ქველაძე, ერთ-ერთი საჯარო სკოლა მაია კვინიკაძის მეთაურობით, რომელთაც წარადგინეს ციური ხუჭუას მიერ კიდევ ერთხელ ბრწყინვალედ მომზადებული ბავშვები.... მოკლედ, რა ვიცი, ვინ აღარ შემიძლია დავასახელო... ღონისძიებას თვითონ ქალბატონი გულნაზი უძღვებოდა და ყველაფერი იყო ისე, როგორც ეკადრებოდა დიდი ჯუმბერ ლეჟავას სულს.

მე და კახა ბაციკაძე კაი ხანს ცალკე ვისხედით, იქვე მდგარ „სკამეიკაზე“,და ხარბად ვკითხულობდით ცინცხალ ნომერს „ათინათისას“. მერე ქალბატონმა გულნაზიმ მიგვიხმო და ღონისძიებას შევუერთდით.

შემოქმედებითი საღამო-ღონისძიება როცა დასრულდა, თავისი სიტყვით გამოსვლებითა თუ ლექსებით, როცა უკვე მომსვლელთა კრებულმა დაშლა დაიწუო, ხუთი ადამიანი შემოვრჩით მხოლოდ-ქალბატონები-გულნაზი, ლამზირა, თამარი, ბატონი ვაჟა, ასევე-მე და კახა. ჩვენ ამოვარჩიეთ იქვე, საფლავთა შორის მდგარი თეთრყვავილოვანი ხე, და სურათები გადავიღეთ მის ჩრდილში. იყო ნიავი, რომელიც თეთრყვავილა ფარდებს ალივლივებდა ჰაერში, თეთრყვავილა თოვლს

აფენდა საფლავებს, ასე ეფერებოდა დიად სულებს, და მე ვფიქრობდი, რომ დიახ, ესაა, სწორედ საქართველო, ქვეყანა ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის (ეს, და არა ინდოეთ-არაბეთი თუ სხვა), ესაა ქვეყანა ალუდა ქეთელაურისა, ზვიადაურისა, და არაქართველი მუცალისაც კი, ქისტი მუცალისა, ან ასევე ქისტი ჯოყოლასი! განაღათუ გინახავთ, ხალხო, სადმე სხვაგან, ასეთი ლიტერატურული გმირნი, ან თუ ილიას „განდეგილი“ აიზილებოდა სხვაგან სადმე, ან მისივე ნახევრად-პოემა „პასუხის პასუხი“,ან ისევ მისი ქმნილება „ყვარლის მთებს“.

ხომ გახსოვთ ჯოყოლასა და ზვიადაურის სიკვდილის შემდგომი შეხვედრა;

ხომ დაილეწა, თუნდაც მხოლოდ პოეტურ ფიქრში, სიკვდილის კარისჭენი...

და მაშინ ვინ იცის– ეგებ მეუფე თადეოზიც და ჯუმბერ ლეჟავაც არ არიან დაკარგულები სამარადისოდ...

ეგებ სიკვდილი არც იყოს, ძმანო, დასასრული....

თეთრი ყვავილები გარშემო ჩრდილებს ისროდნენ და სასაფლაო ივსებოდა თეთრი, ნათელი ჩრდილებით, და იდგა ყვავილების თეთრი სურნელი-როგორც იტყოდა გრანელი.

აი, მივედით პოეზიის ერთ-ერთი ღმერთის, მწუხარე ღმერთის-ტერენტი გრანელის საფლავთან.



თბილისის 36-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა, მოსწავლეებმა და მამა მერაბიმ პატივი მიაგეს ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას.

მერე სხვა საფლავებიც ვნახეთ, მათ შორის-განსვენებული ალიო მაშაშვილის (მირცხულავასი), რომელიც ნათესავი გახლდათ ვაჟა ეგრისელისა.

ბატონმა ვაჟა ეგრისელმა, როგორც პოეტმა, ალიო, კარგა ხანია, რაც უკან ჩამოიტოვა, მაგრამ მირცხულავას, როგორც ჩანს, ცხოვრება უფრო ესმოდა, ამიტომაც კარიერისტული საფეხურები მან უფრო მაღლა აიარა, სხვას რომ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც კი იყო, რაც, მაშინ ძალიან დიდ თანამდებობას წარმოადგენდა (მაჭავარიანისა და ფანჯიკიძის შემდგომ კი მაგ თანამდებობამ დაკარგა ძველებური ძალა, ადრეული პეწი). ალიო, თავის დროზე, ხელს უმართავდა ვაჟა ეგრისელს, ხოო შემდეგში, როცა ბატონი ვაჟა დიდი პოეტი გახდა, არ დაივიწყა თავისი ცნობილი ნათესავი. ალიოს საფლავთან იგი უამრავ რამეს მოგვიყვა წარსულიდან, ბოლოს კი, სხვათა შორის, ისიც თქვა: როდესაც იმქვეყნად წავალ, მინდა აქ დამასაფლავონ სადმე, აი აქ-ჩემი დიდებული ნათესავის – პოეტ ალიო მაშაშვილის სიახლოვესო.

ბატონმა ვაჟამ სიკვდილზე რომ დაიწყო ლაპარაკი, ყველას გაგვიკვირდა, მართალი ვთქვა, დავიბენით კიდეც. ერთადერთი ქალბატონი გულნაზი არ დაბნეულა და თავისი მოსწრებული ნახევრად-ხუმრობით განმუხტა სიტუაცია: ვაჟა ბატონო, შენ დიდხანს იცოცხლე და ეგ პროექტი, დასაფლავებისა, ჩვენ მოგვანდე, ნუ გეშინიათ – თქვენ მერე ვინ მოგაკლებთ პატივისცემას, ქართველები მერე კი ვართ მაგარნი მაგ ამბავში, მხოლოდ ეგაა, რომ სიცოცხლეში გვიჭირს ადამიანის დაფასებაო...

როცა პანთეონიდან წამოვედით, როცა მე და კახა მარტონი დავრჩით, მრავალ თემაზე დავიწყეთ ფიქრი. მიგვეჩქარებოდა სტუდიისაკენ, სადაც ახალ ალბომს ვიწერთ. მთელი ჯგუფის- „ზღვარის“ წევრები ერთობლივად ვშრომობთ თითქმის ყველაფერში, თუმცა ჩემზე და კახაზე მაინც ბევრი რამაა დამოკიდებული, გადამწყვეტნი ვართ სიმღერათქმნადობაში, ასევე-არანჟირების საკითხში, და საერთოდ მთელი ალბომის, მთელი ჯგუფის საკითხში; „ზღვარის“ ლიტერატურული ხაზიც ხომ წარმოუდგენელია ჩვენს გარეშე....

და მაინც:

ყოველთვის ვცდილობთ დროის გამონახვას აკადემიისათვის, რამეთუ ჩვენი აკადემია მიგვაჩნია თანამედროვე ქართული კულტურის ერთ-ერთ ბურჯად, და ამ გაერთიანებამ ბევრი რამ მოგვცა მასში ჩვენი მუშაობის ოთხი წლის მანძილზე...

იმ დღეს, იქ, დიდუბის პანთეონში, ახალი ყვავილებით მოირთო ბატონი ჯუმბერის საფლავი, ჩვენი ჟურნალის ახალი ნომერი დავადეთ გულზე დაუვიწყარი ადამიანის– ხომ მისი გულია, დღეს, თბილი ქვა, თბილი მიწა მისივე სამარისა;

იმ დღეს იქ, კიდევ ერთხელ დაფიქსირდა რომ ლეგენდები არა კვდებიან;

დიახ, ასეა – ლეგენდები დაუვიწყარნი არიან, ესე იგი უკვდავებაა მათი სახელი...

თბილისი. 2016. წელი. გაზაფხული.

## ვაჟა ეგრისელი-75

თანამედროვე საქართველოში კულტურის სადავეები ნელ-ნელა ხელში აიღეს აკადემიებმა. რჩეულ, სოლიდურ აკადემიათა ხელმძღვანელები, რომელნიც ნამდვილ, სრულ აკადემიკოსებად არიან მიჩნეულნი (სხვა უაღრესად გამორჩეულ მოღვაწეებთან ერთად), წარმოადგენენ ცენტრალურ ფიგურებს დღევანდელი კულტურისა. აი, სწორედ ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას-„ქალდეას” ლიდერობს პოეტი ვაჟა ეგრისელი, როელსაც ჩვენმა გაერთიანებამ, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ხელმძღვანელობით, სამოცდათხუთმეტი წლის იუბილე გადუხადა დიდი ბიბლიოთეკის საპრესკონფერენციო დარბაზში.

მოგეხსენებათ, რომ ვაჟა ეგრისელი ძალზე ალიარებული პოეტია, მრავალი ათწლეულის ლიტერატურული სტაჟის მქონე და თითქმის ყველა პრიზ-პრემია-წოდების მომხვეჭი. აი, ასეთი კაცის იუბილის გადახდა ითავა სწორედ ჩვენმა აკადემიამ, მაგრამ ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმემ ვერ შეაშინა ქალბატონი გულნაზი რომელსაც სალამო-იუბილეების მოწყობაში რომ ბადალი არა ჰყავს, ამას ბევრი ცნობილი ხელოვანი დამიდასტურებს.

მაისში, შუადღის სამ საათზე, დიდი ბიბლიოთეკის (საჯარო ბიბლიოთეკის) დარბაზში თავი მოიყარა ბევრმა ადამიანმა, მათ შორის გამოირჩეოდნენ ხელოვნება-მეცნიერების ვარსკვლავები, ის ნამდვილი ელიტარები, რომელთაც დღევანდელი გაიაფასებული, ცრუ ელიტარული მანტია უკუაგდეს და ელიტარობას მუხლჩაუხრელი შრომა ამჯობინეს. იუბილეს ესწრებოდა ჩემთვის რჩეული სამივე აკადემიის პრეზიდენტი (ქალდეასი-თვით იუბილარი, ფაზისისა-ნუგზარ ნადარაია, ლეჟავას აკადემიისა-სალამოს მთავარი ორგანიზატორი გულნაზ ხარაიშვილი). აკადემიების გვერდით ალბათ მხოლოდ დიდი, მთავარი აკადემია და გელათის აკადემია თუ მოიხსენიება დღეს-სიძლიერის, სისრულის მიხედვით, აქტიურობის მიხედვით.



გარკეული პრობლემის გამო, „ზღვარის" ლიდერმა კახა ბაციკაძემ ბოლო წამსლა მოუსწრო ღონისძიებას, ანუ, ფაქტიურად გამოტოვა იგი. მე და მას ხომ „მისტერ ზღვარს" გვიწოდებენ ხანდახან, როგორც ამ შემოქმედებითი ჯგუფის უცვლელ სიმბოლოებს, და მეგობრის არყოფნა დაეტყო ჩემს წამყვანობას,-მიუხედავად იმისა, რომ საღამოს კაცურად გავუძეხი, მაინც ჩამოვ-თვალე: უფრო მეტი ანთება იყო საჭირო, და გარკვეული დროის შემდეგ ღონისძიების საჭეთ-მპყრობლობა ქალბატონ გულნაზს გადავაბარე.

ბატონები-ნიკო ხერკელაძე, უშანგი მოსიაშვილი, სერგო წურწუმია, სულიკო სამხარაძე, ნა-რო კოლხელი, ნიკო ბაღაშვილი და სხვანი მრავალნი შეადგენდნენ მომსვლელთა ნუსხას. ცეცხლი დაანთო გივი სიხარულიძის სიტყვამ, რომელიც პრეზიდიუმში მოვიწვიეთ თავიდანვე, ხოლო ონერ ძაძუას სახელი აკადემიათა ხელმძღვანელებმა თვითონ გააჟღერეს რამდენჯერმე. ბატონ გივისთან ერთად, განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბატონების-ნუგზარ ნადარაიას, ტიტე მოსიას და ნიკო ხერკელაძის გამოს-ვლები.


შესრულებულია გელა ლარიაშვილის მიერ

ქალბატონებიდან, პრეზიდიუმში, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მაყვალა და გულნაზი იყვნენ წარმოდგენილნი-ყველაზე უფრო სათნონი, გულთბილნი და პოპულარულნი. ქალბატონმა მაყვა-ლამ, აღიარებულ პოეტ-იუბილარს, „ოქროს კალამი" გადასცა სა-ჩუქრად.

ვინ არის, დღეს, ნომერ პირველი პოეტი?

ამ კითხვას მე, რეალურად, ღიად დავტოვებ. მე ჩემი აზრი მაქვს, სხვას-თავისი.

თუმცა რამდენიმე პიროვნებას მაინც ხომ აღიარებს თით-ქმის ყველა, და მათში ერთ-ერთი ნათელი ფიგურა ხომ არის ეს კოლხი კაცი-ვაჟა ეგრისელი-ავტორი უამრავი წიგნისა, რომელთა შორისაც არის უზარმაზარი ტომები „კოლხური ფსალმუნების." ერთხელ კამათი მომივიდა ბატონ ვაჟასთან.

მის მსხვილტანიან წიგნებს ხშირად ვკითხულობდი და სი-დიდის, ასევე ხშირი მოხმარებისაგან დაიშალა წიგნები. ვთქვი მაშინ: ძალიან დიდი წიგნებია და სჯობდა უფრო პატარა, თუმცა მეტი ტომი გამოეცა, უფრო გამძლე იქნებოდა-მეთქი. გაიგო ეს

პოეტმა და მითხრა: როგორია, ეგ წიგნები ისე ხარისხიანადაა გამოცემული, ჯერ არავისთან დაშლილა და გაფუჭებულა, რაღა შენს ხელში მოუვიდა ეგ ამბავიო. მე მივუგე: ბატონო ვაჟა, ისინი, ეტყობა, არ კითხულობენ, მე ვკითხულობ და, ვინც კარგი მკითხველია, ვინც ხშირად კითხულობს, იმის ხელში ცვდება წიგნი-მეთქი. ამაზე მაშინ ბევრი იცინა ცნობილმა პოეტმა. (დიახ, თუ გინდა კარგი ავტორი იყო, უნდა იყო კარგი მკითხველიც).

საღამოს დაესწრნენ ნაირა მარშანია და მაია მახარაშვილი, მანანა ზაზიკაშვილი, ნელი კვახაძე, სულო თავბერიძე (თავისი ყოფილი სტუდენტებით), იამზე ჭელიძე, თინათინ ხაბურზანია და სხვანი კიდევ, ხოლო პოეტი მიმოზა ცანავა თავისივე აფერადებული ექსპრომტით წარსდგა იუბილარის წინაშე. საღამოს ყამარ ბლიაძეც ესწრებოდა-წარმატებული საბავშვო პოეტი და მწერალი.



არ შეიძლება არ ვახსენო ქალბატონი მარინე სხირტლაძე-ჩვენი დიდი ქომაგი დიდ ბიბლიოთეკაში. მისი ხელშეწყობით ვქმნით, იქ, დაუვიწყარ ღონისძიებებს. და, რაღა თქმა უნდა-გვანცა ხარაიშვილი, რომელიც მეგობართან ერთად მოვიდა. გვანცამ მთელი პოემა წაიკითხა, ეს კი, მოგეხსენებათ, ყველაზე რთული საქმეა ღონისძიებაზე: ლექსი და მუსიკა, მოკლე, ხარისხიანი სიტყვათქმაც, იპყრობს მსმენელს, ხოლო პოემა დიდია და რთული. ურთულეს საქმეს შეეჭიდა გვანცა, თუმცა მიიყვანა კიდეც ბოლომდე ეს ამბავი.

საღამოს ღერძი კი იყო საჯარო სკოლის მოწაფეები. ახალგაზრდებმა ბრწყინვალედ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა და აპლოდისმენტებიც ღირსეულად დაიმსახურეს. დაფიქსირდა მათი შრომა, გარჯა. მათ დიდებულად წარმოაჩინეს თავიანთი სკოლის სახელი.

ხოლო რაც შეეხება შალვა ილურიძის „ლომისს"…. ო, ეს ანსამბლი ცალკე თემაა!

როგორც კი დიდებული პოეტი დარბაზში შემოვიდა, მათ დააგუგუნეს მრავალჟამიერი…. და, მერეც, მთელი საღამო მათი სიმღერების ღველფზე თბებოდა და ცეცხლზე ინთებოდა … ბატონი შალვა-ესაა უზღვავი ენერგია, დაულეველი ძალა სასიმღერო, ამოუწურავია მისი მუსიკალურ-ორგანიზტორული შესაძლებლობები…

ბოლოს ქალბატონმა გულნაზიმ ძალიან დინჯად და სწორად წარმართა საღამოს ბოლო ეპიზოდები. უნდა ვაღიარო, რომ ამჯერად ისიც შეეჩეხა გარკვეულ სირთულეებს. მაგრამ, საბოლოოდ, როგორც იტყვიან, გემი მაინც დიდებულად შეიყვანა ნავსადგურში (პორტში).

შესანიშნავი იყო ბატონი ვაჟას ბოლო-შემაჯამებელი გამოსვლა. მან მოკლედ მიმოიხილა ყველაფერი და ბოლოს მისი ძველი, ვრცელი ლექსით დაასრულა სიტყვა. იქუხა აპლოდისმენტებმა, ხოლო ანსამბლმა ისევ წამოიწყო ომახიანი სიმღერა. აი, მაშინ კი გაიფიქრა ბატონმა ვაჟამ, უცებ, ჩემი „შავლეგოც" ხომ არ წავიკითხოო-მისი ყველაზე უფრო ცნობილი ლექსი, მაგრამ მერე მაინც გადაიფიქრა…

ასე დავრჩით იმ დღეს „შავლეგოს" გარეშე, რომელიც, როგორც მავანნი ირწმუნებიან, რეკორდულად მრავალჯერაა ღონისძიებებზე წაკითხული.

მაგრამ „შავლეგო" (ძველიც-შალვა ახალციხელს რომ ეძღვნება, ახალიც-მერაბ კოსტავას რომ ეძღვნება, ვაჟა ეგრისელის ლექსი) იქ მყოფთა დიდმა ნაწილმა ისედაც ზეპირად იცოდა. ასე რომ, ამაზე გული არ უნდა დაწყდეს პოეტს.

სხვა მხრივ კი….

სხვა მხრივ ხომ ეს შესანიშნავი იყო-დიდი პოეტის იუბილე…..



მე ყველანაირ ლექსს ვაღიარებ, თუკი იგი ნაღდია, მაგრამ რადგანაც ძალიან პოეტურმუსიკალურ ენას-ქართულს, რითმიანი, მუსიკალური ლექსები მეტისმეტად ამშვენებს, სპეციალურად უნდა აღვნიშნო, რომ თავისებური და ორიგინალურია მუსიკალობა ბატონი ვაჟას პოეზიისა, თუმცა როგორც ქალბატონი ლუარა სორდია ამბობს, ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ალბათ მაინც მეტაფორული (სახისმეტყველებითი) აზროვნებაა უმთავრესად, ასევე-სიბრძნე და სინათლე ამ პოეტურ ნაშრომთა (პოეტური წიგნებისა).

საერთოდ, ქართველები ჩვენს საუკეთესო პოეტებს ხომ ოდითგანვე ვთვლიდით და ვთვლით მსოფლიოს (სამყაროს) საუკეთესო პოეტებადაც. მე „პოეზიის ჩემპიონები " არაერთხელ ვუწოდე ჩვენს დიდოსტატებს.

არის თუ არა, ვაჟა ეგრისელი, უმაღლესთა შორის?

ამას მარადისობა გაარკვევს ყველაზე უკეთ.

მე კი, ჩემდა თავად, მის პოეტურ ხელოვნებას ძალიან ვაფასებ, თანაც, არა მარტო მე არამედ-ბევრი, ბევრი სხვაც.

თბილისი. 2016. წელი. მაისი.

# დიდი სალამო

ნუნუკა გურალიას ხსოვნისა

ამ შემოქმედებითი საღამოს ჩატარება ყველაზე მეტად სურდა ქალბატონ გულნაზს.

და ამ ღონისძიების ჩატარება ყველაზე მეტად გვსურდა მეც და კახა ბაციკაძესაც.

მოკლედ, ეს, უფრო, საერთო იდეა იყო, და უყოყმანოდ ვიტყოდი-ერთი უდიდესი მიღწევაც ჩვენი აკადემიისა.

მაშ, პირველად ტარდებოდა იმ ადამიანის ხსოვნის საღამო, რომელიც ბოლო ათეულობით წლებია მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ქართული პოეზიას, ქმნიდა უბრალოებით გაჯერებული სირთულით ნაზავ ქმნილებებს, და ის იყო, ალბათ, პირველი მნიშვნელოვანი პოეტი ქალი საქართველოში, რომელიც ისე ტრაგიკულად წავიდა ქვეყნიდან, როგორც გალაქტიონი, პაოლო, რატი ნინუა, გოგა არაბული და სხვა ნაღდი პოეტები, რომელთა გულის თითეული პულსაციაც კი ლექსი გახლდათ.

საუბარი ეხება ნუნუკა გურალიას-ჩვენს უახლოეს და უტკბილეს ადამიანს, რომელიც გამოირჩეოდა არა მარტოდიდი პოეტურობით არამედ-დიდი ადამიანობითაც. მასთან ურთიერთობა მარადსამახსოვრებელია. მას თავიანთ მეგობრად თვლიდნენ უფროსი თაობები, ხოლო თავიანთ მასწავლებლად, მოძღვრად-ახალი თაობები.

აი, ვინ დავკარგეთ ცოტა ხნის წინ!

და მისმა წასვლამაც, ცადამაღლებამაც ისე ჩუმად ჩაიარა ჩვენს მარადიულ ქვეყნაში, როგორც, ვთქვათ, დიდი მხატვრის-ელმონდ კალანდაძის ან დიდი როკ-მუსიკოსის-ბაჩი ქიტიაშვილის გარდაცვალებამ.



სერგი ლომაძე



კახა ბაციკაძე



თამუნა (ნუნუკას ქალიშვილი)



თინათინ ხაბურზანია



ლამზირა შეყილაძე



მანანა დანგაძე

მაგრამ ამა წლის (2016 წლის) თოთხმეტმა ივნისმა აჩვენა, რომ ყველას არა სძინავს ამ ბედკრულ სივრცეშიაც კი, და რომ პოეტები არა კვდებიან.

და მოვიდა ხალხი სამების დიდ ტაძარში;

და შედგა დიდი საღამო ნუნუკა გურალიას-ჩვენი ნუნუკას ხსოვნისა.

გულნაზ ხარაიშვილი აქაც პირველი აღმოჩნდა, აქაც ჩემპიონი აღმოჩნდა-მან ყველას დაასწრო: სწორედ მისი მთავარი ორგანიზებით, პასუხისმგებლობით ჩატარდა ეს-პირველი საღამო ჩვენი დიდი ადამიანის მოგონებისა, და მან გაახსენა ყველას: რაც არ უნდა მიჩუმდეს მოვლენები (და რამდენი ხანიც არ უნდა მიჩუმდეს), საბოლოო ჯამში მაინც უკვდავია პოეტი, უკვდავია, როგორც პირამიდები, ან-აღმოსავლეთის დიდი კედელი, ან-უძველესი, გრანდიოზული პოემა გილგამეშის, ან-გრანდიოზული პოემა ქართველი ქრისტესი-შოთა რუსთაველისა....

დიახ, უკვდავია სახელი ყველა ჭეშმარიტი პოეტისა, დავიწყებაშიაც კი მარადიულია და დაუვიწყარი.

მაშ-უკვდავია ყველა ჭეშმარიტი პოეტი!...

საღამო ქალბატონმა გულნაზიმ გახსნა და მერე სცენაზე გამოიხმო მარინა კოლხიდაშვილი, მისი ანსამბლითურთ. ანსამბლი „ინანათი."

დარბაზი, სავსე დარბაზი, ისე იყო გასუსული, როგორც, აი, ზღვაზე რომ სიჩუმე გამეფდება. მხოლოდ აპლოდისმენტები აფეთქდება, დროდადრო, ირგვლივეთს. თავიდან ბოლომდე ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული საღამო.

სულ მალე მე ავიღე ხელში წამყვანის სადავეები და ბოლომდე ასე მივიყვანე საქმე. სიტყვის თქმის უფლებას ვაძლევდი ყველა მსურველს. იმ დღეს თავისუფალი გახლდათ ტრიბუნა. ბევრმაც თქვა თავის სათქმელი. რაც შეეხება გულნაზ ხარაიშვილსა და კახა ბაციკაძეს, როგორც აკადემიის ლიდერები, ისინი ორ-ორჯერაც კი წარსდგნენ მსმენელთა წინაშე (დიახ, ქალბატონმა გულნაზიმ ისე დააყენა საქმე აკადემიაში, რომ მეც და კახაც ლიდერებად გვაქცია მისი გარემოცვისა. ჩვენ სამნი ვქმნით აკადემიის ტრიუმვირატს).

აღარც ვიცი, გამომსვლელთაგან რომელი ერთი გამოვარჩიო-მანანა დანგაძე თუ მიმოზა ცანავა, ქეთა დოლიძე თუ ლეილა გაფრინდაშვილი, ჩვენი ლამზირა შეყილაძე თუ ლია გუსევა, ნაირა მარშანია თუ თინათინ ხაბურძანია, შალვა გერაძე თუ სხვა რომელიმე....

ყველას სიტყვა იყო გულწრფელი, სათნო, გულში ჩამწვდომი. (დარბაზში გახლდათ ბელა ალანიაც)....

საღამოზე გაჟღერდა ნუნუკას ტექსტებზე დაწერილი სიმღერები-კომპოზიტორ უჩა პატარაძის და სხვათა და სხვათა, ხოლო კომპოზიტორ ია მაისაიას სიმღერები ალბათ გვირგვინი იყო საღამოსი.....

მაგრამ...

მაგრამ საღამოს გვირგვინი მაინც თვითონ დიდი, დაუვიწყარი ნუნუკა გურალიას ლექსები იყო, რომელთაც იმ დღეს ყველა კითხულობდა (ყველაზე მეტი ლექსი მე წავიკითხე). ახლა თუ ვიღაცა მეტყვის, რომ ნუნუკას შეფასებისას გადაჭარბებულად გულუხვი ვარ და ზედმეტად ვაქებ, მე მას ვეტყვი, რომ თავის საქმეს მიხედოს და პოეტთა საკითხში ნუ ერევა, თუ საჭირო დონეზე არ ესმის პოეტური საკითხი. ჩემზე კარგად ბევრმა არ იცის, თუ როგორ იზომება პოეტისა და პოეზიის სიდიადე.

მე ლექსებს ვკითხულობდი ნუნუკას ბოლო და, ალბათ, საუკეთესო წიგნიდან-„ფერთა სისადავე," რომლის რედაქტორიც თვითონ ვარ, და ვამაყობ ამით, ისევე, როგორც ვამაყობ იმით, რომ ცხოვრებაში ვიცნობდი და ვიცნობ არაერთ დიდბუნებოვან ადამიანს. მათ შორის იყო, სწორედ, ნუნუკაც, რომელიც ძალიან ახლობლობდა ჩვენს წრესთან. მას გამორჩეულად უყვარდა ჯგუფი „ზღვარი" და ჩვენივე აკადემია, რომლის წევრიც იყო თვითონ (გადავწყვიტეთ, რომ ახლა, სიკვდილის შემდეგ, აკადემიკოსობაც მივანიჭოთ, ასევე-დავაარსოთ მისი სახელობის პრემია ან სიგელ-დიპლომი). ნუნუკა გურალია იყო, აგრეთვე, ჩემი ერთ-ერთი ჯგუფის-„ლიტერატურული ალიანსის" წევრიც, სადაც მე და კახა ვლიდერობდით.

ნუნუკას ხსოვნის საღამოს ბევრი გულშემატკივარი დაესწრო, მათ შორის-ლეჟავასა და ფაზისის აკადემიის წევრები იყვნენ უმრავლესობაში. მოვიდნენ პოეტის მეგობრებიც, სანათესავოც, განსაკუთრებით გამახარდა მისი შვილების, დის და დიშვილების იქ ყოფნამ. (ზუსტად არ ვიცი, მგონი შვილიშვილებიც იყვნენ მოსულნი). პოეტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მიმდევარი, მისი სახელისათვის მებრძოლი ადამიანი არის თამუნა-შვილი პოეტისა, რომელმაც მოკლე, მაგრამ გულშიჩამწვდომი სიტყვა გვითხრა ტრიბუნიდან.

უამრავ დამსწრეთა შორის ერთ-ერთი იყო დედაჩემიც-პედაგოგი კლარა ჩიგოგიძე, მეუღლე აკადემიკოს ამირან ლომაძისა და დედა პოეტ-აკადემიკოსების-სერგი და ვასო ლომაძეების. ო, ვიცი რომ ძალიან მაღლფარდოვნად მომივიდა, ახლა, ეს აბზაცი, მაგრამ განსაკუთრებით მინდოდა წარმომეჩინა დედაჩემი და შვილს ეპატიება დედის ქება (ხოლო თუ აქ ჩემი თავის და მთელი ჩემი ოჯახის შექებაც გამომივიდა როგორღაც, იმედია რომ ამას მაპატიებს გულმოწყალე მკითხველი)

ნუნუკას საღამო აღსანიშნავი იყო სუფთა სტატისტიკური თვალსაზრისითაც: როგორც მე და კახამ გამოვთვალეთ, თუ არ გვეშლება , ეს გახლდათ ორიათასმეათე (2010) პოეტური ღონის-

ძიება, რომელშიაც მონაწილეობა მივიღეთ (ამ ყოველივეს შეგიძლიათ დაამატოთ ასეულობით ჩვენეული კონცერტიც, თუმცა პოეტურ საღამოთა რიცხვი ბევრად სჭარბობს მათ რიცხვს).

ნუნუკა გურალიას ხსოვნის საღამო, პირადად ჩემთვის, წარმოუდგენელია კახას გარეშე, რამეთუ ნუნუკაც მიეკუთვნებოდა იმ პოეტთა რიცხვს, რომელთაც კახა ბაციკაძე საუკეთესო პოეტად და მუსიკოსად მიაჩნდათ (ასეთი იყო, კიდევ, დიდიმეუფე თადეოზი, წმინდა თადეოზი, და ბევრი სხვანიც). კახა, საერთოდ, ძლიერი ინდივიდი და ამაყი ადამიანია. უბრალოება და სიამაყე საოცრდაა შეზავებული ამ პიროვნებაში. ისევე, როგორც მე, მასაც უყვარს მჟღერი „სარეკლამო" ზედწოდებანი („მისტერ პოეზია," „მისტერ ხელოვნება," „მისტერ ზღვარი," „უდიდესი," „ახალი ხელოვნების ნათლიმამა" და ზოგი სხვანი), მაგრამ კახა მაინც არასოდეს სცდება ზრდილობის საზღვრებს და უფროს თაობასთან მისი დამოკიდებულება ყოველთვის მოკრძალებულია. ადრე თუ უჭირდა სიამაყის გაკონტროლება, ისე, როგორც ეს ბევრ პოეტური ყაიდის ახალგაზრდას მოსდის, ახლა ასე არაა. კახასთვის, ისევე, როგორც ჩემთვის, ნუნუკა გურალია იყო მისაბაძი მაგალითი, და თუ ჩვენი საერთო იდეალი ქრისტე და რუსთველია, ქრისტესეული, რუსთველისეულ სათნოებას, ადამიანთმოყვარეობას, მიმტევებლობას, სისუფთავეს ვხედავდით ჩვენ ნუნუკას გასაოცარ პიროვნებაში; არა მგონია იპოვებოდეს ქვეყნად თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც ჩვენი ნუნუკასაგან ნაწყენი დარჩა. ყველას უყვარდა იგი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი წინააღმდეგობანი შეხვდა ცხოვრებაში. დღეს კი.... ყველას ენანება იგი.

და იყო ცრემლები.

მაგრამ იყო სიამაყეც იმისა, რომ ჩვენ, ყველამ, გავიმარჯვეთ-ჩვენ ვნახეთ, იმ დღეს, პოეტის უკვდავება!

და ბრწყინვალე იყო კახას სიტყვა-გამოსვლები; (ვფიქრობ, ჩემი სიტყვა-გამოსვლებიც).

და ბრწყინვალე იყო ქალბატონი გულნაზისაც.

და ბრწყინვალე იყო ყველა სხვაც იქ-ტაძრის შემოქმედებით დარბაზში;

ეს გახლდათ დღე სამშაბათი, დაუვიწყარი სამშაბათი;

პოეტური დღე;

დიდი დღე პოეტ ნუნუკა გურალიასი....

მან რამდენიმე ლექსი უძღვნა, თავის დროზე, ტერენტი გრანელს, რომელიც რაღაც საოცრად უყვარდა.

და ახლა ვფიქრობ, რომ დაახლოვებით ისე წმინდად იცხოვრა, როგორც-წმინდა ტერენტი გრანელმა, გენიალურმა გრანელმა, ხოლო დაახლოვებით ისე აღესრულა, როგორც– გენიალური გალაქტიონი.

საოცარია!...

აქვე ისიც მინდა დავსძინო, რომ პოეტურ საღამოს ძალიან აკლდა ერთი კაცი,-ის კაცი ნუნუკას მეუღლე იყო, მისი უდიდესი სიყვარული, რომელიც ცოლის სიკვდილამდე სულ რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა.

მას მერე ნუნუკა ძალიან სევდიანი გახდა.

მაგრამ ახლა იქ, ცათა სასუფეველში, ერთად არიან ისინი, ბევრ სხვა კარგ ადამიანთან ერთად, და ყველა იმათი ნათელი სულნი ავსებენ, ანათებენ იქაურობას.

აქ კი, ჩვენთან, სამარადისოდ დარჩა პოეზია ნუნუკა გურალიასი-სიტყვათქმნადობანი ამ მართლაცდა გასაოცარი ადამიანისა....

უკვე, უახლოეს დღეებშიც, არის დაგეგმილი რამდენიმე სხვა ღონისძიება, მაგრამ არა მგონია, რომ რომელიმე მათგანმა შეძლოს და მეტოქეობა ჯეროვნად გაუწიოს დიდებული პოეტის ხსოვნის საღამოს, რომელსაც პირადად მე, დიახ, წლის მთავარი ლიტერეტურული მოვლენის სტატუსს მივანიჭებდი,-სხვადასხვა მკვეთრი მიზეზის გამო......

თბილისი. 2016. წლის ზაფხული.

**მზიური დათიაშვილი-აფციაური**



# სამაგიდო წიგნი

რეცენზია ახლად გამოცემულ წიგნზე „მეფუტკრეობის სიბრძნე და ფუტკრის საოცრებანი, თაფლის უხვი მოსავლის მიღების ახალი გზები“.

წიგნი, რომელიც ახლა ჩემს ხელთაა, ბატონ გურამ რცხილაძის - ავტორის დიდი პაპის-ლუკა მოსულიშვილის ხსოვნას ეძღვნება, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში უაღრესად განათლებული და ცნობილი პიროვნება ყოფილა. ამასთან ერთად იგი წარმატებული მეფუტკრე, თაფლისაგან აწარმოებდა მრავალფეროვან სამკურნალო პრეპარატებს და ამარაგებდა აფთიაქებს. ეს თვისება მასში გენეტიკური კოდის საშუალებით გადმოეცა.

წინამდებარე წიგნი საინტერესოა არა მარტო მკითხველისა და პროფესიული დარგისათვის, არამედ ის, მსოფლიო მეცნიერულ-პოპულარული, შემეცნებითი, სასწავლო-განმარტებითი სახელმძღვანელო და უპირველეს ყოვლისა სამაგიდო წიგნია მეფუტკრეობის განვითარების, თაფლის დიდი მოსავლის და ახალი წესით მიღების, ფუტკრის შემეცნებითი როლის შესწავლის საქმეში. ეს არის ქართული გენის და ქართული ფუტკრის, როგორც დიდი და უნიკალური პროდუქტიულობის მქონე ბუნების ქმნილების დიდი, მსოფლიო გამარჯვება.

ეს არ არის ჰიპოთეზა, ეს არის ბატონ გურამის პრაქტიკული დამსახურება, მისი დიდიხნის მუშაობის ახდენილი და რეალურად პრაქტიკაში განხორციელებული ოცნება, პაპისაგან გენეტიკურად გადმოცემული. მაძიებლის ნებისყოფიან უნარს მხედველობიდან არ გამორჩენია ბავშვობაში ოცნებადქცეული პატარა მწერის შრომის გასაოცარი თვისებები, მათი ცხოვების წესი და გვიძღვნა ეს საინტერესო და დამაფიქრებელი წიგნი.

ბუნების ეს ყველაზე დიდი და უნიკალური საოცრება-ფუტკარი ქმნის ისეთ გაწონასწორებას ადამიანში, რომელსაც ვერანაირი წამალი ვერ ახორციელებს. ამ წიგნიდან ვგებულობთ, რომ „ფუტკარს არ უყვარს ზერელე დამოკიდებულება, სწრაფი ქაოტური მოძრაობა. ხველა, დაცემინება, ვერ იტანს სულის შებერვას, ხმაურს, თამბაქოს და ალკოჰოლის სუნს. ამიტომ ვინც მეფუტკრეობას აპირებს ყოველივე წინასწარ უნდა გაითვალისწინოს“.

წიგნში მოცემულია სქემები სკების მოწყობის და მათი გადაადგილების პოზიციები; სამი, ხუთი სკის შემთხვევაში წლის სხვადასხვა პერიოდებში აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით.

ყველა დადებითს, რაც ბუნებაში არსებობს, მისი საწინააღმდეგო გააჩნია. ეს წიგნი სავსეა სიბრძნით. მისი ხელში აღებით და თვალის გადავლებითაც კი მიხვდება მკითხველი, თუ რა დიდი განძია იგი ყველასათვის: დამწყები მეფუტკრისთვის, პროფესიონალისთვის და უბრალოდ, მკითხველისათვის.

ალბათ ყველას განგიცდიათ ფუტკრის კბენა. რაოდენ მწარეა მისი ნესტარი. სწორედ ამ პაწია, უხილავმა ნესტარმა შეძრა ქვეყანა უძველესი დროიდან დღემდე.

რამდენიმე წლის წინ, გაზაფხულის თბილ, მზიან დღეს დილით აგარაკზე ეზოში ვფუსფუსებდი. ჩემი ყურადღება უცხო გუგუნის ხმამ მიიპყრო. ავიხედე და ღმერთო! –საკვირველება დავინახე: რაღაც შავი, ღრუბელივით გორავდა ვაშლის ხის ტოტებთან. მივუახლოვდი და ვნახე ფუტკრების მთელი გუნდი ისე იყო ერთმანეთში ჩახვეული და ისეთ უცნაურ ხმას გამოსცემდა (რადგან არ მენახა ასეთი რამ არასოდეს) ვიფიქრე უცხო მწერები ხომ არ შემოიპარა საიდანმე-მეთქი. გუნდი წრიულად მოძრაოდა დიდი ხნის განავლობაში. საინტერესო იყო მათი ყურება. ძირითად გუნდს გარშემო ცალკ-ცალკე მოფრინავე ფუტკრები ეხვია. მიახლოვება ვერ შევძელი, შემეშინდა, არ დამეხვიონ-მეთქი. ცოტა ხნით სახლში შევედი, როცა გამოვიხედე, იქ აღარაფერი იყო. მხოლოდ იმ ადგილზე რამდენიმე მკვდარი ფუტკარი ვნახე.




ჩვენს მეზობლად ვცხოვრობდა სწორედ უაღრესად კეთილი, ერუდირებული გამოცდილი და დაკვირვებული ადამიანი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასეთი უნიკალური წიგნის ავტორი გურამ რცხილაძე. ბევრჯერ მიკითხავს მისთვის რჩევა და პასუხებიც უანგაროდ მიმიღია. ახლაც გადავწყვიტე ეს ამბავი მისთვის მეამბნა.

ამ ამბის გაგონებაზე პროფესორს წყენა დაეტყო სახეზე. მე ჩემს თავს გავუჯავრდი, რატომ ავანერვიულე მეთქი. ცოტა ხნის მერე მითხრა: „ეს ჩემი სკების ნაყარი ფუტკარია, დროზე ვერ მოვუსწარიო. ხომ არ შეგიმჩნევია, რომელ მხარეს გაფრინდნენო“. იმდენად გამოუცდელი ვიყავი ამ საქმისთვის, ვინანე, რატომ ყურადღება არ მივაქციე-მეთქი. „არაუშავსო, მითხრა ბატონმა გურამმა“.იმის მერე სკებისთვის თვალი არ მომოცილებია, მაგრამ ასეთი რამ აღარ განმეორებულა.

ბატონი გურამი სულ სკებთან ფუსფუსებდა. თაფლის ყოველ გამოხდაზე საჩუქრით გვაჯილდოვებდა. გვიხაროდა, რომ ფუტკარი კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს. ოჯახში არასოდეს მოგვიკლავს ფუტკარი. გამოვიყვანდით გარეთ და ყვავილებზე ვსვავდით. ძალიან სასიამოვნოა ყვავილებზე მომუშავე ფუტკრების ბზუილი, თითქოს რაღაც ძალით გავსებს და ცხოვრების დაძლევის სურვილს გიჩენს. რას წარმოვიდგენდით, რომ ბ-ნი გურამი სწორედ თაფლის უხვი მოსავლის მიღების იმ ახალ მეთოდზე მუშაობდა, რაც წინამდებარე წიგნში ამოვიკითხეთ და გავვოცდით. მისგან გავიგეთ: „რომ გადაბეჭდილი ფიჭა თაფლის სიმწიფის მაჩვენებელია“,ეს შეიძლება ყველა პროფესიონალმა მეფუტკრემ იცოდეს, მაგრამ დამწყები მეფუტკრისათვის ნამდვილი სასწავლო და წინასწარ გასააზრებელია.

ამ წიგნმა ერთდროულად მოგვცა ის დიდი ცოდნა, რაც ფუტკარს შეეხება ცნობები და რჩევები, რაც ფუტკრის არსებობასა დამ ის როლს წარმოაჩენს ბუნებაში. ფუტკრის არსებობის ისტორია დასაბამიდან დღემდე და თაფლის დამზადების გზები, ფუტკრის ცხოვრების წესის დიდი საკვირველებანი. ის დიდი, სპარტელებისათვის დამახასიათებელი მკაცრი განვითარების საოჯახო თუ გარემოებისათვის აუცილებელი კანონები, რასაც დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვისაც

კი ვისურვებდი, რომ ამოვსულიყავით დროთა უმწეო ჩარჩოებიდან და ჩვენი ცხოვრებისათვის უკეთესი გონიერი საზრდო რეალურად თავისუფალი, მარტივი და მშვიდობიანი არსებობა მიგვენიჭებინა. ვისწავლოთ ფუტკრისაგან ეს სიბრძნე!

ის საოცრებანი, რაც ფუტკარს და ფუტკრის ოჯახს გააჩნია, არც ჩვენ გვაწყენდა ერის განვითარებისათვის და ოჯახის განმტკიცებისათვის, შვილების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და მათი სიმწიფის აღზრდა-გაზრდისათვის. ბოლოს და ბოლოს ჩვენც ხომ ამ ცხოვრების ის მექანიზმები ვართ, რომლებიც ცვდებიან და კვდებიან. დავტოვოთ ჯანსაღი თაობა და სიბრძნე დიდი ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის.

წიგნში მეფუტკრეობის განვითარების თითქმის ყველა დეტალი ისტორიულად დასაბუთებული და დამამტკიცებელი არგუმენტებითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით საგულისხმოა პროფესორის ახალი მეთოდი თაფლის უხვი მოსავლის მიღების საქმეში, რომელიც მან სწორედ 11 წლის ასაკიდან დაიწყო.

ეს წიგნი: „მეფუტკრეობის სიბრძნე და ფუტკრის საოცრებანი, თაფლის უხვი მოსავლის მიღების ახალი გზა",ჩემთვის უდიდესი საჩუქარია ავტორისაგან, რომელიც მან ჩემი ავადმყოფობის დროს მაჩუქა და მირჩია დიდი ყურადღება მიმექცია თაფლისათვის №1 საკვებისათვის.

წიგნმა ჩემზე უდიდესი, მოულოდნელი შთაბეჭდილება დატოვა და ჩემმა ინტერესმაც მოლოდინს გადააჭარბა. ამ წიგნით მე ბევ რამეს ვისწავლი.

ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს ამ ჭარმაგ, ხალხისათვის თავდადებულ, პატიოსან და კეთილსინდისიერ ექიმს, პროფესორ გურამ რცხილაძეს, მის ფუტკარივით საოცარ მშრომელ ოჯახს მამა-პაპური ექიმების ოჯახს და ვუსურვებ დიდ ბედნიერებას და კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობაში წინსვლას.

პატივისცემით მზიური აფციაური.

**ნინო ნაკვეთაური**



## მრავალსართულიანი კარკასული შენობები ჟეჟლის სისტემის მიხედვით

მრავალი საინტერესო შენობა-ნაგებობა შენდება დღეისათვის საქართველოში. მრავალსართულიანი შენობების აგებისას საჭიროა მათი გაანგარიშების სქემებისა და წინაპირობების მიხედვით დაპროექტება. ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დაპროექტებისას აუცილებელია მასალის მექანიკური მახასიათებლების თავისებურებბის გათვალისწინება. განსაკუთრებით ჯდენისა და ცოცვადობის დეფორმაციების ხანმოკლე და ხანგრძლივი დატვირთვებისას, რომლეთა გათვალისწინება ძალზედ აუცილებელია წინასწარდაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების დაპროექტებისას.

ჩვენი ქვეყანა მდებარეობს სეისმურად აქტიურ ზონაში, რის გამოც დაინერგა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საინტერესო, ექსპერიმენტული მშენებლობის პროექტი, რომელიც 1983 წელს შეიმუშავეს საქართველოში (პოფ. ჟეჟელის სისტემა). მას საფუძვლად უდევს ურიგელო ჩარჩო-კავშირებიანი კარკასი, რომლის მზიდი ელემენტები შეერთებული არიან შედუღების გარეშე ხახუნის ძალით, რომელიც აღიძვრება არმატურის დაჭიმვისას. კარკასის კონსტრუქციულ უჯრედს ქმნის გადახურვის პანელი და ოთხი სვეტის ელემენტი. სვეტებისა და გადახურვის პანელის გაერთიანება ერთ სივრცით კონ-

სტრუქციად ხდება მაღალი სიმტკიცის ბაგიროვანი არმატურის კ-7 -ის დაჭიმვით სპეციალური დომკრატების საშუალებით. არმატურა სვეტებში არსებული არხების გავლით თავსდება შენობის მთელ სიგრძესა და სიგანეზე ორივე მიმართულებით. ნაკერი გადახურვის ფილასა და სვეტებს შორის ივსება წვრილმარცვლოვანი ბეტონით. მიაღწევს რა ეს ბეტონი გარკვეულ სიმტკიცეს ხდება არმატურის დაჭიმვა, რის შემდეგ ნაკერები ფილებს შორისაც ივსება წვრილმარცვლოვანი ბეტონით, რაც იცავს არმატურას კოროზიისაგან. ჟეჟლის სისტემის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს სტატიკურად ურკვევი ჩარჩოს ანგარიში წინასწარდაძაბული არმატურით, გადახურვის ფილებსა და მოქნილ სვეტებს შორის შეჭიდულობით. არმატურის წინასწარი დაძაბვა საშუალებას გვაძლევს მაღალი სიმტკიცის ფოლადის გამოყენებით შევამციროთ მისი ხარჯი. ამავე დროს წინასწარ დაძაბული  რკინაბეტონი ჩვეულებრივი რკინაბეტონისგან განსხვავებით უბზაროა, რაც უზრუნველყოფს მის ხანგამძლეობას. ჟეჟლის სისტემაში წინასწარ დაძაბვის ძალას აქვს მეორე დანიშნულებაც, მასში წინასწარ დაძაბვისაგან გამოწვეულმა ხახუნის ძალებმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო მდგომარეობაში გადახურვის ფილების დამაგრება, იმისათვის რომ ისინი სვეტებიდან არ ჩაცურდეს.

ჟეჟელის სისტემით აგებულმა შენობებმა დროს გაუძლო და ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია მრავალსართულიანი კარკასული შენობების მშენებლობაში სეისმური რეგიონებისათვის.

**გულნაზი ხარაიშვილი**



## ჩვენო მეუფევ

ჩვენო მეუფევ, დიდია სიყვარული რაც ხალხში დატოვე, ძალზე დიდი. შენ კვლავ ჩვენთან ხარ ჩვენში დარჩი, სამუდამოდ. ერთი დღე არ გასულა რომ არ გვახსოვდე.

სიცოცხლეშივე მზედ ბრწყინავდი შენი სიმშვიდით.
ახლა სიონში განისვენებ ოლიანდრებთან.
როს ჩემში წვიმდა, გულის დარდებს გადაგიშლიდი
ვძლიერდებოდი... და ვომობდი, ბედის ავდრებთან.

არაფრის აღარ მეშინოდა, შენით სიკვდილზე გავიმარჯვე, დავამარცხე, მოვკალი, შენ მიქადაგებდი ყოველთვის ამაზე. ახლა დამიშორდი ფიზიკურად, სულიერად ჩემთან ხარ, ვგრძნობ რომ მარიგებ, ლექსებს მიყვები, მერე როლებს ვცვლით და მე ვკითხულობ შენს ლექსებს, როგორ მოკრძალებული იყავი ამიტომაც იყო, რომ თვით უფალი მოვიდა და თავისთან მიგიხმო, რა კარგი სახლი შეგახვედრა ბედად, სიონის ეკლესია, ოლიანდრებში ჩაკარგული სამუდამო სახლი. ყველა ახალი ნომერი შენთან მოგვაქვს და ღინისძიებას ვატარებთ აკადემიის წევრები, შენი თამრიკო (მეუღლე) შენი გოგონები, შვილები, შვილიშვილები, ჩვენთან ერთად იყვნენ და ეფერებოდნენ შენს საფლავს. წავიკითხეთ შენი ლექსები. ბელა ალანიამ იასამნების თაიგული მოგიტანა.ლექსიც წაგიკითხა, მოგეფერა ლამზირა შეყილაძე თავისი ქარაგმული.

ყოველ დღე რუსთავიდან მიწევს თბილისში სიარული. სიტყვებით ვიცი, რომ როდესაც სიონს მოუახლოვდები მხედავ, მიცავ ბოროტთა და მავანთა თვალისაგან, მეც მშვიდდები და ძალა მემატება.



შენს საუფლოში, წმინდანები სახლობენ მხოლოდ
და ლოცვით მოძლვრავთ დატოვილ მიწას
საქართველოსთვის ეს იყოს ბოლო,
არ აგვიტირდეს გაგრა და რიწა.

ვიცი და მჯერა დიდუბის პანთეონში ხშირად დადიხარ, რადგან იქ პოეტები განისვენებენ, იქ ჯუმბერ ლეჟავაა, იქ რეზო ჩხეიძეა ჩვენი აკადემიის წარმომადგენლები, ისინი სხვადასხვა პროფესიის დიდი ადამიანები იყვნენ, ერთი რეჟისორი, მეორე ლეგენდარული მოგზაურ- ფილოსოფოსი. ხშირად მსჯელობთ ალბათ, მერე კი ლოცვას აღავლენთ პანთეონში, ამიტომაა რომ ვძლიერდები დიახ, ეს ასეა.



**ნაირა ნიჟარაძე, გულნაზ ხარაიშვილი, ელა ალანია**

ბელა ალანია



# მოვალ შენამდე

მინიმები

* ვიდექი მწვერვალზე და ხარბად ვისუნთქავდი სამყაროს. ვფიქრობდი, მეყოფა ან ვეყოფი?

* გადაუშლელი წიგნი სევდას მგვრის. ის უსიყვარულოდ დარჩენილ ქალს მაგონებს, სიცოცხლის ბოლომდე რომ სიყვარულის მოლოდინშია და შეიძლება, ისე მოკვდეს, არავინ გადაშალოს და წაიკითხოს, მომეჩვენა, რომ ძალიან ცუდი რამ დავწერე. სასტიკი ხომ არ ვარ?!

* წიგნის თაროზე ჩამოწყობილი წიგნები ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს უკავშირდება. გადმოვიღებ, გადავფურცლავ და გამიტაცებს... ისე, თუ ხელახლა გადაიკითხავ მრავალი წლის წინ წაკითხულს, უამრავ სიახლეს იპოვი, ადრე რომ წვრილმანი გეგონა და მეხსიერებაში არ დაილექა. ახლა სრულიად სხვა კონტექსტში იკითხება.....

* ემოციებს უმოწყალოდ ვაბნევდი. წვეთ-წვეთობით იცლებოდა სურა, რომელშიც ჩემი სული იყო ჩარგული...

* ყველაზე ჯანსაღი აზრები სამზარეულოში იბადება, ხშირად მექანიკურად რომ მივყვები საქმეს. ჩემი სული ამ დროს კოსმოსშიც კი მოგზაურობს.....

* შინაურს ისე შეუძლია გული გატკინოს, მტერსაც რომ არ გამოუვა და ვერ წარმოუდგენია.

* მტრის არსებობა ცუდია, მაგრამ მოტივაციას გაძლევს, მუდმივად ფორმაში და ბრძოლაში იყო.

* იმისათვის, რომ გაძლიერდე, ეძებ საერთო ინტერესებს, საერთო წერტილებს მტრის მტერთან ..... მაგრამ აქ გადაჭარბება არ შეიძლება-შეიძლება საბოლოოდ დამარცხდე.

* როცა გაბრაზებული ხარ, ნუ დაიწყებ საქმის გარჩევას ნურავისთან, თუნდაც მართალი იყო. სჯობს, გაჩუმდე, მოითმინო. როცა ღელვა გადაივლის, მერე ისაუბრე ან სულაც დაივიწყე, რადგან უკვე წარსულის განმარტებები უინტერესოა.

* ქალი, რომელიც მატერიალური დაინტერესების გამო თხოვდება და ქმართან სხვა გრძნობა არ აკავშირებს, ანგარებასთან მყოფი მრავალჯერადი მოხმარების მეძავია.

* როცა სხვადასხვა კომენტარს და სტატუსს ვკითხულობ, ვფიქრობ, ადამიანები მაინც ძალიან ვგავართ ერთმანეთს და მაინც ძალიან სუსტები ვართ, როცა ვგრძნობთ, რომ ვერ გვიტანენ.

* სიმართლე სინათლეს ჰგავს. ის ყველგან შეაღწევს....

* ღამე შეიძლება, დღის შუქზეც დადგეს მაშინ, როცა გულში ჩაღამდება. დილა კი ყოველთვის მაშინ დგება, როცა გულში თენდება.... ჩვენი შინაგანი შეგრძნებები განაპირობებს სამყაროს აღქმას. ყველაფერი, რაც თავისთავად არსებობს სამყაროში, ჩვენთვის დიდი შეღავათი ვერ იქნება, რადგან არის მომენტი, როცა შეიძლება, ვერაფერი დაინახო და შეიგრძნო.

* ნელა-ნელა იჭრიტება სული. მასაც ედება გამონაბოლქვი. ძალიანაც რომ მოინდომოს ადამიანმა, მაინც ვერ დაანთებს მგზნებარე ცეცხლს. შავი ჭვარტლი არ დაანებებს, არ მისცემს საშუალებას, რომ იგიზგიზოს.....

* გაზაფხული ის დროა, როცა მთელი წლის ფეხმძიმე ბუნება გვიჩენს თავის პირმშოებს.... ზოგი მიწიდან ამოყოფს თავს, ზოგიც ხიდან თუ ბუჩქიდან გვამცნობს-მე დავიბადე!

* წასულები ბევრი არიან: მეფე-ვეზირები, მწერალ-მხატვრები, დიდ-პატარები.... გაივსო და გაიპოხა მიწა მათი ძვლებით, ლეშით, სისხლით.... აირია, გადაირია და ერთნი გახდნენ ახლა ადრე თუ გვიან წასულები, დიდები და პატარები, მეფეები თუ ვეზირები....

ცოტანი ვართ დარჩენილები. გაიჟღინთა ჰაერი ჩვენი ამონასუნთქით. მერე აირია, გადაირია, შეერია და გავხდით ერთნი.

მართლა, რა ახლობლები ვართ ერთმანეთისთვის-საერთო სამარხები, საერთო სივრცე.... და სისხლი გადასული, არეული, შერეული. მტკივა სისხლი, ჩვენი ერთობის სიმბოლო-ადამიანის სისხლი.

* ქართველი დედა დედა-ფუტკრის ფუნქციას იღებს თავის თავზე. რაც გინდა ის თქვით, მხოლოდ ის აწესებს წესრიგს.

* – სანამ ადამიანები სარკეს მოიგონებდნენ, როგორ ხედავდნენ საკუთარ სახეს, საკუთარ თავს?
– სხვისი თვალებით, სხვისი შეფასებებით, სხვისი დახასიათებებით. აი, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სხვისი აზრი.
ამიტომაა მისი გათვალისწინება საჭირო სარკეში ჩახევამდე და მის შემდეგაც.....

* ხის ხელჯოხით დადიოდა, ვინღა დადის-მეთქი ხის ჯოხით თბილისში. წაველდი და აფთიაქში გასაშლელი ხელჯოხი ვიყიდე. როგორ ზომაზეც გინდა ისე დააყენებ, გინდა დააგრძელებ, გინდა დაამოკლებ. ბოლო ტყავგადაკრულია, რომ არ გაცვდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მოვიდა. ვხედავ, ისევ თავის ხისკაუჭიანი ჯოხი უჭირავს. ჩემი ნაჩუქარი რატომ არ დაგაქვს-მეთქი. სხვას ვაჩუქე, იმას საერთოდ არ ჰქონდაო.

რას ვეტყოდი?! რატომ ხის არ აჩუქე-მეთქი და მომერიდაო. ჯოხიც კი არ გაიმეტა თავისთვის.

* რა არის სიცოცხლე? უპირველესად, სურვილი, რომ იცოცხლო, სხვა შემთხვევაში, მოსიარულე ლეშად გადაიქცევი, როცა არც კვდები და არც რჩები.

* „საწყალი კაცია,"-იტყვიან საქართველოში წესიერ, პატიოსან, უფულო კაცზე. ვფიქრობ, ქვეცნობიერებაში ასეთი ნათქვამი მაინც უმაქნის, უუნარო ადამიანებთან ასოცირდება და არა იმასთან, ვინც ღირსეულად მიჰყვება ცხოვრებას. ცუდია, რომ „საწყლობა" სწორედ ასეა გაგებული...

ამას წინათ, ერთ მაჟორიტარ კანდიდატზე იყო საუბარი და ახლობელმა მითხრა: ბეჩავია ეგ და მაგას ხმას არავინ მისცემსო. საუბარი იყო წესიერ პედაგოგ კაცზე, რომელსაც უამრავი ნაშრომი ჰქონდა დაწერილი და რამდენიმე წიგნი-გამოცემული. რატომაა ბეჩავი-მეთქი და აბა, რისი მაქნისია, ფული მაგას არ აქვს და მარიფათიო. გული მეტკინა.

* როცა გვინდა, რომ დრო ნელა გავიდეს, გვგონია, რომ სწრაფად გადის. როცა გვინდა, რომ დრო სწრაფად გავიდეს, რატომღაც გვგონია, რომ მიიზლაზნება. ვინ იცის, რომ შეეძლოს დრო გაგვიბრაზდებოდა ან გაეცინებოდა ჩვენზე.... ის ისეთია, როგორც იყო, არის და იქნება ყოველთვის .... ჩვენ კი, ჩვენი სურვილების, წარმოსახვის ტყვეები ვართ. ჩვენი კმაყოფილების მიღწევა, უმადურობის დაძლევა დრომაც ვერ შესძლო.

* ჭიანჭველა ვნახე, ბალახებში დაცოცავდა. როგორც იცის ხოლმე, მოხერხებულად, ზურგით მისთვის უჩვეულოდ დიდ ტვირთს მიათრევდა.... თითქოს იგრძნო, რომ მივშტერებოდი და მომეჩვენა, ნაბიჯს აუჩქარა. გულში გავიფიქრე, ნეტავ, როგორ დავეხმარო-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. მის ცხოვრებაში ჩარევა ნამდვილად არ შეიძლება....ისეთი თავდაჯერებული და საქმიანი იყო მისი სიარული.

ვფიქრობ, პრიმიტივები გვჯობნიან სისუფთავით, უმწეობით და არსებობისთვის ბრძოლის ჟინით. ასეთი პატარები დიდი ენერგიის მქონენი არიან.

* ზიგზაგები ადის-ჩადის, ადის-ჩადის.... კარდიოგრამა ცხოვრების დრამა ეს.... აღმართის და დაღმართის შესრულებით და სულ ზიგზგები და ზიგზაგები......

* თბილისი ვეძებ თბილისს..... სულიერებაში ვეძებ ადამიანებს..... საქართველოში დამეკარგა საქართველო..... საკუთარ თავში მომავლის იმედს ვეძებ და სინათლის სხივს ვებღაუჭები..... ვიცი, რომ სიყვარული და ეს პატარა სხივი ოდესმე აუცილებლად ყველაფერს მაპოვნინებს......

მაია ტყემლაძე

# ვრთით, ვღელავთ გენიოსი შოთას წინაშე...

საოცარი შეგრძნებაა! ჩვენ, ოცნებით, თითქოს, გვინდა გადავსახლდეთ დიად ეპოქაში, ოქროს ხანაში, რაღაცით მივუახლოვდეთ მეფეთმეფე თამარისდროინდელ საქართველოს, დროს, როდესაც მანათობელ ვარსკვლავად ბრწინავდა კაშკაშებდა გენიალური პოემის შემქმნელი გენიოსი შოთა...

ვღელავთ, ვთრთით პოეტის გენიის წინაშე... საკმევლისდარი სურნელება აქვს ერის სულში დავანებულ განძს, საუკუნეების წინ შექმნილ საუნჯეს. მას ვერც ჩრჩილი ჭამს და ვერც ქურდი იპარავს, ვერც დრო და ქარტეხილები ახუნებს, აფერმკრთალებს. კაშკაშებს მზედ, ციმციმებს ვარსკვლავებად... ჩვენ კი ვღელავთ, ვთრთით „ვეფხისტყაოსნის" წინაშე... შევბედეთ, ჰოდა, ეს შებედვა გვაკრთობს, ყოველი ნერვი, მთელი არსება გრძნობს, განიცდის ახლის შექმნის, დაბადების სიხარულსა თუ სიძნელეს... ჰო, იქმნება, ახალი სამოსელით იბადება „ვეფხისტყაოსანი". ეს იქნება ერთი, მრავალთა შორის, სხვაგვარი, თავისთავადი. და, ნეტავი, როგორი?!!



პატარა, შავი ქალაქი ცდილობს საიუბილეოდ ასე მიეფეროს შოთას სულს, თავს ხრის გენიოსის წინაშე. შავი ქალაქია, მაგრამ გული კი მზისა აქვს და გამოგვივა, უთუოდ გამოგვივა! აქ აზრი დაიბადა, იდეა ჩაისახა. ისე კი, ხელნაკეთი (წიგნის ყდა ხელით მოპირკეთდება), ხელნაწერი წიგნის შექმნაში სრულიად საქართველო, საერო თუ სასულიერო პირები გაერთიანდებიან. თითო ადამიანი გადაწერს ერთ სტროფს. გადაწერს ის, ვისაც ინებებს უფალი (მისი ნების გარეშე თმის ერთი ბეწვიც ხომ არ ჩამოვარდება), გადაწერს ის, ვისაც ძალიან, ძალიან უნდა. და ჩვენ, 1662 ადამიანი სასოებით, სიყვარულით გავერთიანდებით წიგნთაწიგნის გარშემო. ამ გრძნობას, დადებით ემოციას გადავცემთ ჩვენს ირგვლივ მყოფებს, ისინი მათ ირგვლივ მყოფებს და... ჰო, გამოგვივა!

ჩვენ უკვე ვწერთ „ვეფხისტყაოსანს". ვაგვირისტებთ სტრიქონებს, რომლებსაც ძალუმად აშუქებს მზე და იქიდან მოდის რაღაცნაირი, უკიდეგანო სითბო. სტრიქონები, თითქოს, დიდი, აზრიანი, ფართოდ გახელილი ფახულა თვალებია. ლამაზად მოხატულ-მოჩუქრთმებული ასოები სტრიქონების ხშირ-ხშირი, ფახულა წამწამებია. თრთიან, აფახურ-აპაჭუნებენ წამწამებს ლამაზად ჩაწიკწიკებული ასოები და თითოეული სტრიქონიდან ირეკლება გადამწერის სული. მეუფე დანიელმა გვაკურთხა, დაგვილოცა საქმე, პირველი სტროფი რუდუნებით ჩაგვიწერა!.. გამოგვივა, უთუოდ გამოგვივა! ერთ-ერთმა სკოლის დირექტორმა გვითხრა, ერთი სტროფი ოცჯერ გადავწერე, ოცდამეერთედ ნაცადი გამოგიგზავნეთ და, აბა, ნახეთ როგორი ხელწერაა, იქნებ მოგეწონოთ და ჩამაწერინეთო...

თბილისი, კლასიკური გიმნაზია. აქ დიად მამულიშვილთა ნატერფალებია. ახლა კი, „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონები იწერება. მყუდრო, სასიამოვნო გარემოა. სულ ახლოდან ქაშუეთის ზარები რეკენ. აქაც ღელავენ შოთას გენიის წინაშე...

აი, ახალგაზრდა, ფეხმძიმე ქალი მობრძანდა, ცხვირისკენ აზიდულა მუცელი, მესამე შვილს ელოდება. წერს, თვალები უბრწყინავს. ორნი წერენ. ის, პაწაწინა, ჯერაც მზის უხილავი, გენიოს შოთასთან რაღაცით თანაზიარი ხდება... დაასრულა. ღმერთო! ულამაზესი ხელწერაა. წამობურცულ მუცელზე ვეფერები, გულში ვიხუტებ. ვინ იცის, ვინ გვებადება! თვალებში სიხარულის, მადლიერების ცრემლი უბრწყინავს. მიდის ამაყად, მხრებგაშლილი მიგოგმანებს... ექიმი ქალბატონი გვესტუმრა. სასინჯ ფურცელზე წერს ნელა, სასოებით. მაჩვენებს, ასეთ ნაწერში სკოლაში სულ ფრიადებს ვიღებდი, მაგამ ახლა, სხვების ხელნაწერებს, ხელნაწერებს კი არა, დახატულ

ასოებს რომ ვუყურებ, ვერ ვბედავო. მშვენიერი ხელწერა გაქვთ, ჩაწერეთ-მეთქი. არა, არა, დღეს შინ ვივარჯიშებ, ხვალ მოვალ და ჩავწერო. აღარ მოვიდა, გული დამწყდა... უფაქიზესი გოგონა გვესტუმრა, სკოლის მოსწავლეა. ქათქათა ყელზე, შუა ადგილას, ულამაზესი ხალი აქვს. მარიამი ჰქვია. საწერ-კალამი არასოდეს სჭერია ხელში, მელანიც ეუცხოება... წერს, სასოებით აგვირისტებს ასოებს. მარიამს თავად უცდია. დიდი, სქელყდიანი ალბომი შეუძენია და იქ მეგობრებს, თანაკლასელებს აწერინებს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს. წიგნად გარდასახულ ალბომს მაჩვენებს. ვფურცლავ. ძალიან ლამაზი, ნატიფი ხელით ნაწერებია. და, ყველაზე არსებითი, ეროვნული სულისკვეთებაა ამ ღირსეულ საქმეში. აი, როგორი თაობა მოდის და, რა გადააგვარებს საქართველოს! ავიღებთ, უთუოდ ავიღებთ დიდ-პატარა „ქაჯეთის ციხეებს...“ ერთი ქალბატონი მირეკავს. ქვითინებს. რა მეშველება, ფურცელი დამესვარა, მელნით დამეთხაპნაო, ქვითინებს. ვანუგეშებ, არა უშავს, ეშველება-მეთქი. ის კი მაინც პატარა ბავშვივით ქვითინებს, ვერ წყნარდება... მადლობა, უფალო, რომ ასეთ განცდებს გვაზიარე. მადლობა, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, იმისათვისაც კი, ფურცელი მელნით, რომ დაგესვარათ, რადგან გულწრფელი ცრემლი ყოველგვარ ლაქას განბანს... წერენ, სასოებით წერენ მოსწავლეები (სულ პატარებიც კი), სტუდენტები, პედაგოგები, მოქანდაკეები, მხატვრები, პოეტები... ჰო, ერთი პოეტი გვესტუმრა. სასინჯ ფურცელზე დაწერა. მაჩვენებს. რაღაც, თვალები მიბრჭყვიალებს, დღეს არა, ხვალ მოვალ და ჩავწერო. მეორე დღეს აღარ მოვიდა, სხვა გამოგზავნა...

ნინოობაა, პირველი ივნისი. დღეს ძალიან ლამაზი ჩანაწერები გაკეთდა. სულში ზეიმია, ფიზიკურად კი ისეთი მოქანცული ვარ, ნაბიჯის გადადგმა მიჭირს. ყველა გადამწერის განცდები, ემოციები ჩემეული ხდება, მეც მათსავით განვიცდი და... ასაღამურებულს, მეგობრის თხოვნით, სიონის ეკლესიაში მივდივარ. აქ ხომ წმიდა ნინოს ჯვარია, რომელსაც წელიწადში მხოლოდ ორჯერ გამოაბრძანებენ... ჯვარს ვემთხვიე და რაღაცნაირად ვმსუბუქდები, ძალმოსილი ვხდები. მერე ტაძრის კედელს ვეხები შუბლით, სახით, ბაგეებით ვეამბორები და... ჟრუანტელი მივლის. იესოსავით თბილია, ტკბილი სიონის სხეული. თითქოს სისხლი ჩქეფს და ჩუხჩუხებს მის ძარღვებში. მთელი არსება შეიგრძნობს ამ სითბოს, სიტკბოს და ენერგიით ვიმოსები... გამოგვივა, უთუოდ გამოგვივა!!! ჰო, იწერება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები. საწერკალმები შემოგვაკლდა და გვარიანად ვინერვიულეთ. თუმცა?! მეგობარს, პოეტ იზო ცარციძეს შევეხმიანე ესტონეთში. მეორე დღესვე გამოგვიგზავნა. ინგლისიდანაც, მოსკოვიდანაც დაგვპირდნენ ახლობლები, აქაც, ჭიათურაშიც შემოგვაშველეს ადრინდელი, შემონახული კალმები... ფრთხილად აწებენ მელანში კალამს. წერენ გულმოდგინედ, სასოებით... მეგობარი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი თვალებგაბრწყინებული მეუბნება, რომ იქ, ქართული სიტყვების მომფერებელ– მომსათუთებელთა ლამაზ საუფლოში გაჩნდა არაჩვეულებრივი იდეა, რომ პოემის სტრიქონები ანას, დიდებილი ანა კალანდაძის სამუშაო მაგიდაზე გადაიწეროს... გადაიწერება აკაკის, მუხრანის, გალაკტიონის სახლ-მუზეუმებში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, და კიდევ ბევრგან, ძალიან ბევრგან...

ამჟამად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში ინტენსიურად ხდება პოემის გადაწერა. ჩემი თანამშრომლები, თანამოსაქმეები, ერთგული მეგობრები: ნანა წერეთელი, მაკა სუთიძე, ნინო ჭანკვეტაძე თავაუღებლად, რუდუნებით შრომობენ, წუთითაც არ ისვენებენ... მუნიციპალიტეტის გამგებელი, სულხან მახათაძე, რომელმაც მოსწავლეობისას ზეპირად ისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის რვაასამდე სტროფი, და ყველა, ყველას გათვითცნობიერებული აქვს ამ ისტორიულ-მამულიშვილური საქმის ფასი. ეს არის მოფერება, მოსათუთება, მოფრთხილება, მობოდიშება, ჩვენი უნიკალური საუნჯის– ქართული ენისადმი, ქართული ანბანისადმი რომელიც, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოჭრით, ჩვენივე დაუდევრობით, თუ რა ვიცი რით, ჩრდილში მოვაქციეთ...

დასასრულამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, მაგრამ, მჯერა, ყველა დაბრკოლებას გავუმკლავდებით და გამოგვივა, ღვთის შეწევნით, უთუოდ გამოგვივა!!!



**ხათუნა ჩიტაძე**

## ჩანახატები, მინიატურები

### „კანფეტი"

უცნაური დილა იყო, მძიმე, სევდიანი, ისეთი, როგორც წითელ პარასკევს შეეფერებოდა. დილით დაღლილი ავდექი და ნამარხულევ თვეს ნამარხულევი ხასიათით შევეგებე. სახლში სრული ქაოსი სუფევდა, რომელი პატარა რომელ დიდს მისდევდა, ვერ გეტყვით. ამ სრულიად მხიარულ და ზომიერად შერწყმულ აქრომატული ფერების სიმძიმეში ჩემი მამამთილის ხმა გაისმა, – გორათის საფლავზე იქნება მიყვანოო. – იქ რა გინდა? ვეკითხები გაოცებული. – თქვენ არ იცით, მე იქ ხომ ყოველ წელს დავდივარ. – და რატომ? – რა რატომ, ხათო, გიგა პაპა და დარო ბებო ხომ იქ ასვენია. გულში რაღაც სევდიან-სიხარულიანი გრძნობა ჩამიწვა. დარო ბებო! – ჩემი მამამთილის ბებო, მისი მამის დედა. დარიკო ბებია, რომელიც რამდენჯერმე ჩემს ხილვებში მოსულა და შემშველებია! დარო ბებო, რომელიც სიზმარში მწარედ დახეთქებულს თავთით დამდგომია, აუყენებივარ და ლოცვით გზაზე გამოვუშვივარ... მე კი არც ვიცოდი, თუ სად იყო მისი საფლავი! რაღაც აღტაცება ვიგრძენი და დავიწყე მზადება, თან გავძახი, აგიყვან, მაინტერესებს მათი საფლავები-თქო. არასოდეს ვყოფილვარ გორათზე, იქაც, როგორც ყველა სასაფლაოზე, უცნაური და მაგიური სიმშვიდე სუფევდა, ციოდა, ოდნავ ჟინჟლავდა, სიმაღლეზე ავუყევით, წინ ჩემი მამამთილი მიდიოდა, ეკალ-ბარდებს მაცლიდა, ჩამოწეულ მეჩხერ ტოტებს ამტვრევდა, ემანდ თვალი არ იტკინოო, მოცელილ ბალახს ილებდა და გვერდით ყრიდა. მთელი ცხოვრებაა ასე მივლის... სულ ცდილობს, თავისებურად, რომ გზიდან ნარ-ეკალი გამაცალოს, გზა მასწავლოს, გაკაფოს ისეთი სიძნელე, რომელიც შესაძლოა არ იკაფებოდეს. გული შემეკუმშა, მივხვდი, თუ რაოდენ ბევრს ნიშნავს ეს უკვე ძალზედ გამხდარი, დაპატარავებული, ზრუნვით დაბერებული ადამიანი ჩემთვის.. ახლაც მასწავლის, მასწავლის თუ სადაა ჩვენი მამა-პაპანი, მასწავლის, რათა მერე მე ჩემს შვილებს ვასწავლო... ეს ცხოვრების გაკვეთილია, ისეთი წრფელი, ზუსტი, როგორც უფალი! მივედით გიგა პაპას და დარო ბებოს საფლავზე. პატარა, ერთი ციდა საფლავი ყოფილა, იასამნებისა და სხვა ხეთა ჩრდილქვეშ დავანებული. ნამდვილად ეტყობოდა, რომ იგი არ იყო მიტოვებული. მათი შვილიშვილი ისე დასტრიალებდა საფლავს, როგორც განძს, საკუთარს, ოღონდ დამარხულს... მათი შვილიშვილი, ობოლო, მათი გაზრდილი, ამაგი და მადლი ახლა თვალხიხულად უკან რომ უბრუნდებოდათ... ვერც კი შეამჩნია ომარმა, როგორ ჩამომდიოდა ცრემლები, გული რაღაცნაირად შემეკუმშა, მე, 22 წლის შემდეგ ვიხილე იმათი საფლავი, ვინც თავი დადო და გაზარდა თავიანთი 23 წლის ომში უგზო-უკვლოდ დაღუპული ვაჟკაცის ერთადერთი შვილი! შვილი, რომელიც თვალით არ უნახავს მამას! გული შემეკუმშა, კიდევ იმიტომ, რომ მე მხოლოდ ახლა ამოვედი აქ. სად, სად ვიყავით აქამდე! ჩვენ ხომ მის აშენებულ სახლ-კარში ვცოვრობთ ჯერაც, იმ სახლ-კარში, რომლის მადლსა და ფუძის ანგელოზს ყოველთვის ვგრძნობ! გული შემეკუმშა კიდევ იმიტომ, რომ რაღაცნაირად დაბერებული და თან ისევ ბავშვი ჩემი მამამთილი ისეთი მონდომებით ჰგლეჯდა ბალახს, რომ მე ასე გულიანად სარეველას ვერასოდეს ამოვგლეჯ, ალბათ... იმიტომ, რომ მას ის ასწავლეს, რაც ჩემთვის არ უსწავლებიათ! გული შემეკუმშა კიდევ იმიტომ, რომ გორათიდან გადახედილ ულამაზეს ხედებს საოცარი სითბო დასევდა ერთ დიდ დიადემა დადგა თავზე... გულწრფელი იყო ჩემი ცრემლები... იქიდან ეკლესიაში გადავინაცვლეთ, მერე კიბეებით დაბლა ჩამიყვანა, ავტომობილთან და დამემშვიდობა, წადი ახლა, მე საფლავს შევლებავ და ჩამოვალ გვიანო... აუცილებლად ავიყვან ბავშვებს აღდგომაზე მათს საფლავზე, აუცილებლად მათი ხელებით გადავაგორებთ წითელ კვერცხებს და თავიდანვე ვასწავლი, თუ სად არიან მათი მამა-პაპანი! წითელი პარასკევია, დღეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო გაკვეთილი! მადლობა უფალო!

ნაძვის ხე

ქაოსში ძლივს ვართმევ თავს, რომ ნივთებს ადგილი მოვუძებნო... მერე კი სევდის მძივები თავადვე მებნევა ყელზე, მოგონებების ჯარი მოდის ჯარად! ერთ წუთს ვყუჩდები და სახლის კუთხეში დატუქსული ბავშვივით სკამზე ჩამომჯდარი მოგონებების წამიერ, უსიერ ტყეში შევდივარ... ვგრძნობ, რომ ყველა მენატრება, გაღმა გასულთა საუფლოდან! მაგრამ, მამა! მამა უფრო ძალიან მენატრება, ახლა, ამ წუთში, ამ წინა საახალწლო დროს... ბავშვობაში, ამ დროს ჩვენს ოჯახში მამის ხელით საგანგებოდ მოჭრილი ნაძვის ხე ირთვებოდა! როგორ ველოდი, როდის შებინდდებოდა, რომ მამას მანქანა გამოჩენილიყო ჩვენი ქუჩის თავიდან! უზარმაზარი ნაძვის ხის მოსართავად მთელი ჩემი ნათესაობა მოდიოდა. იყო ზეიმი! ჟრიამული და მისი სიხარულით, ბავშვივით ანთებული გიშრის თვალები! თვალწინ მიდგას უზარმაზარი ყუთები და შიგ ფაქიზად, დედის ხელით ჩალაგებული ულამაზესი სათამაშოები. მამა კიბეს ამოიტანდა და ყველა, დიდი თუ პატარა მისი განკარგულების ქვეშ ვიმყოფებოდით. როგორი მადლობელი ვარ შენი, მამა! ახლა, აქედან გეუბნები ამას, რომ დამიტოვე ულამაზესი მოგონებანი... მიყვარხარ! ისევ ისე, როგორც ყოველთვის! კინოფილმის კადრებივით იშლება ის დეტალებიც კი, რაც იქ, იმ წუთებში ხდებოდა და ბოლოს, აზრიალებული ნაძვის ხე! ყველაზე ლამაზი და სრულყოფილი! ისეთი, როგორიც არსად არ მინახავს და ვერასოდეს ვერ ვნახავ, მამისეული ნაძვის ხე! ოთახის სურნელი მახსოვს... წიწვების ფერი... და ისფერი, რომელიც აღარასოდეს განმეორებულა იმ ბავშვობის მერე...

* * *



პატარა ქოთანში პატარა ია დაიბადა. არ ვიცი, როგორ მოხდა, როგორ გაჩნდა, როგორ მოვიდა ჩემამდე, მაგრამ მოვიდა... წითელი იყო ქოთანი და ლურჯი ია მეტად ლამაზად იმზირებოდა იმ გაბაბთულ, ერთ ციდა სამყოფელში. შევეჩვიე, ვეფოფინებოდი, ცივ ნიავს არ ვაკარებდი და ყოველი მისი ღერის ამოსვლას სიხარულით ვეგებებოდი. ამდენ ყვავილებში მაინც და მაინც ის რატომ ამოვარჩიე? იმიტომ, რომ უბრალო და კეთილი სულისააია. ჩემს სასულეთს მან ერთგვარი ხიბლი შემატა. მაგიდაზე ია ილიმოდა და მიხაროდა მისი ყვავილობა. ყველაფერი უფრო სრულყოფილი და მშვენიერი ჩანდა. ჩემი სულის მეგობარი იგი იყო, სუფთა, უბოროტო... საწიგნობელში ია მზეობდა... ასე იყო... ხოდა ბოროტებამაც არ დააგვიანა! მოიტანა ყინულის ფიფქები, როგორც ხდება ხოლმე... იმ სიცივემ გულში ნელ-ნელა რაღაც დახურა და ტკივილი ახარა. ვერაფრით ვერ დავიოკე ტირილი, იის გარდაცვალებამ რომ მომგვარა! მაინც როგორ შურდათ სხვა ყვავილებს მისი...იცით ის ყვავილები, ქოთანსაც რომ გასცილებიან და თავი მიწამდე დაუხრიათ, ვითომ ყველას და ყველაფერს ემადლიერებიან და შენი ერთგულები არიან...კი, კი, ეგ ყვავილები ხომ ყველამ იცის, მათ ჭორიკნებს უძახიან! დიახ, ძალიან ბევრნი არიან, რადგან ადვილად მრავლდებიან!!! როცა სული მეტკინა, მაშინღა შევამჩნიე ჩემ გარშემო მათი სიმრავლე... იცით, მე ხმამაღლა გეუბნებით: მართლა დავიღალე!... იაც აღარ მყავს... დგას ოთახში მისი ქოთანი, მეტად წითელი და უფერული... სად წავიღო ეს ტკივილი?....

„ნოსტალგია„

მემომენატრა ზაფხულის თელხი... იფნისა და იალღუნის რწევა-ალმაფრენა ჩემი სოფლის ზეკარის მწვერვალებზე! მესიზმრება ზიზილას ყვავილობა, მთელს ზაფხულზე რომ ბატონობს მისი თეთრი, ზოგჯერ მოვარდისფრო ატლასის ფურცელ-ყვავილები... მომენატრა იქაური მთის თქორი, იგი ხშირად სტუმრობს ამ ბუნების ქმნილებებს და ცდილობს, არ შეაწუხოს ზედმეტი სიმძიმით...მაინც ვერ ანებებს თავს უნაზეს ბუნებას ჩემი ქვეყნის სოფლისას. მენატრება რაგვის ღობე-წნულები, პაწაწები, აქა-იქ მეჩხერად რომ ჩანს და თავისი თავმდაბლობით ყველა გალავანს რომ სჯობს! მაოცებ და ამ ღამის კუკუნახი...როცა გვიან ვბრუნდებოდით შინ, გზაზე ციცინათელების მთელი გუნდი მოგვაცილებდა და დღესაც, ასე მგონია, როცა მიჭირს ან მილხინს, იმ ციცინათელების გუნდი ჩემთანაა, ჩემს სულსა და გულშია. მე მათ ხშირად ვესაუბრები დღესაც, ისევე როგორც ბავშვობაში, თივის ზვინზე რომ ვესკუპე და სისულელეებს რომ ვახვევდი თავზე

ხელისგულზე დამჯდარ ციცინათელას. როცა თხრობას დავამთავრებდი, ხელს ავიქნევდი და ისიც, დასტურის მსგავსად აფრინდებოდა...განათდებოდა... მეც სული მინათდებოდა... ამ კუკუნახში ჩემს სახლთან ახლოს გადაჭრილი ხე შორიდანვე იმზირებოდა, რადგან ამ ხეს ფოსფორი ჰქონდა და ღამეში საზარლად ანათებდა... არ მახსოვს ახლა რა ერქვა იმ ხეს. სირბილით ჩავიქროლებდი იმ ალაგს გულგახეთქილი და ერთ წამში ეზოს გადავირბენდი, რათა ჩემი სახლის სამივე კიბეს გადავხტომოდი და პირდაპირ ოთახში მომედინა ზღართანი! ახლა ამაზე ისე გულიანად მეცინება... ...იცით? ჩემი არავის ესმის... აუცილებლად უნდა წავიდე ამ წელსსოფელში! ზვარე მიშველის! მომეხმარება! მისი ზვრები... მისი ზეკარი... მისი წყალი... მისი წყარო... მისი ჰაერი...მისი ძმადნაფიცები: ჩრდილი, ნუნისი, ჭენჭეხა... ოი, როგორ მჭირდება ეს პათოსი!

ამონარიდი ესეედან ,,გარდამავლობა."

მაინც რა არის ეს ბურუსი? უწვრილეს ცრემლებს ააბნევს მიწა, როცა ზეციდან ჩამოქანებულ წვიმას მზე დახედავს და აიძულებს კეთილი განზრახვით, რომ გამოვიდნონ სამალავში ჩაძირულნი...მზეს ვერავინ დაუდგება წინ! მზე ძლიერია და სამართლიანი! ამოქარდება მიწიდან წყალი, ამოყვება მცენარეთა ხასხასა ნაწნავებს და ფეხს აითრევს, რათა არეთმობა, არ უნდა გაშორდეს მიწას! – ასევე ძლიერსა და კეთილს! ასე ადრენიადაგ წყლის გაჩენისა... ის სულ მოძრაობს მზესა და დედამიწას შორის, ვერა და ვერ ეთმობა ვერცერთი!...

ნაწყვეტი ნოველიდან – „მებაღე“

ერთხელაც სოფელს ძალიან ცოტა ხნით ერთი პატარა, შავი მედროვე ესტუმრა .კრავის ტყავში გამოკრულმა სოფლის სიყვარული დაიბრალა. დაიბრალა და მერე თავისი მონაჩმახი თვითონვე დაიჯერა! დაიწყო სოფელში ამაყად სიარული და ქადაგება, თუ როგორ უყვარდა ეს მხარე და რა შესანიშნავ შრომას გასწევდა ამ სოფლის ასაშენებლად. მებაღეს შეატყობინეს, მგონი კარგი ადამიანი გვესტუმრაო, მგონი კეთილ საქმეებს იქმსო, მგონი ქვეყნის სიკეთეზე ქადაგებსო და მართლაც კეთილი ადამიანიაო. როგორც ამ სოფელს ჩვევია, მგონი მგონით სოფელს ეს მედროვე შემოეხიზნა. ხალხმა მიიღო მედროვე, შავი კაცი ცხვრის ტყავში გამონასკვული! იფიქრა მებაღემ იქნება და მართლა ძე ღვთისააო და მეც მარტო, ცალგანად აღარ გავწევ ჭაპანსო, იფიქრა თავისი უშურველი, კეთილი გულით, ისე როგორც დიდ ადამიანს შეეფერებოდა და მედროვე შავი კაცი თავისთან დაპატიჟა. მედროვემ შეიფერა ,,ვიღაც" მებაღის შემოთავაზება და ესტუმრა მას. განცვიფრებისაგან გადმოწეულ თვალებსა და მაღალფარდოვან სიტყვებს უკან ზიზღი და ბოროტება ალივლივდა. ბევრი კარგი გაეგონა მებაღე-ოსტატზე, მაგრამ ასეთ ლამაზ ეზობაღჩა– სახლს კი ნამდვილად აღარ ელოდა! მოუნდა ეს სილამაზე თავისი გამხდარიყო, ისე მოუნდა, როგორც ყველა უსუსურსა და არაფრის შემქმნელს, მოუნდა მედროვეს ყვავილების სურნელითა და ჩიტების ტკრციალით დამტკბარიყო და შეშურდა! დიდი, შავი შურით შეშურდა და დაიწყო აზრში ბოროტი ხლართების ხლართვა, ქსელ-მახეების გაბმა! ბევრი მიმდევარი ყავდა მედროვეს, მედროვეების მთელი ჯარი! დრო იყო ასეთი, საშიში და მედროვეული...

**პატარა რეზიუმე...**

და არის სიცოცხლე, ე.ი. ყვავილწნული... ამ სიტყვაში კი მრავალს ჩატევ: – ეს ლამაზი გრავიურაა, – სილაღე, სიხალისე, სინათლე... ანოცნობა, ფრენა, თრობა... და სანამ მიგორავს გოგორა, შენც მიჰყვები მშვიდი, უდარდელი, ხალისიანი... მერე სადღაც ჩნდება ნისლი და დგება სიცარიელე. ოდესღაც მაინც გადაგელობება ან სარეველა, ან ყვავილნარი, ან რაიმე, ან ვინმე, ვინც აუცილებლად შეცვლის რაღაცას... გენიამ შეიძლება გეენა მოგიტანოს, მდაბიომ – სამოთხე, აბა, რას გაიგებ! ეს ხომ ცხოვრებაა და ათასნაირად შეიძლება მოხდეს. და მე რომ მეგონა ჩემს ცხოვრებას არლიადგა, – ყოფილა სრული აპათეა! ბნელ კუნჭულებში რაღაც ადგილი განათდა, ხოლო ნათელში – კაეშანი ჩაწვა... ჩემი ყვავილწნული გაუფერულდა... ისე კი ყველაფერი უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ შენი სულიერი სამყარო არ გაფერმკრთალდეს... არ მეთანხმებით?

# წერილები

**ლუარა სორდია**



## ტერენტი გრანელის ენიგმები – „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება“

გამოცხადების გამუდმებული მოლოდინი, გარდასახვა „ბავშვი უფლისა“ და „მწუხარე ქრისტეს“ სახეებში თანმიმდევარ მისტიკოსად წარმოგვიდგენს ტერენტი გრანელს.

არა მიწიერს, წარმავალს, განხრწნადს, არამედ მარადიულს, „მარადისობის ლაჟვარდებს“ ეტრფოდა ტერენტი გრანელი და ცხოვრების გაზეციერებაზე ოცნებობდა.

„ღმერთი ძალასა განღმრთობადსა განმღრთობადთა მათ მიანიჭებს“. გვარწმუნებდა პეტრე იბერი (1, 76, 5).

განღმრთობის გზად პოეზია დასახა ტერენტი გრანელმა.

ამიტომაც იყო მისი იდეალი „ფალავანი მწიგნობარი“ – სულიწმინდა (2, 176).

ცნობილია, რომ სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, მკურნალობის ნიჭი, სასწაულმოქმედება, ენების ცოდნა სულიწმინდის მადლად მიიჩნევა ახალ აღთქმაში (პავლე მოციქულის ეპისტოლენი, I კორინთელთა მიმართ, თ.12, 7, 8, 9, 10) (3, 374).

სულიწმინდის მოქმედებას ღვთისმეტყველებაში „საღმრთო მობერვა“, „საღმრთო ნიავი“ ეწოდება.

ამ ტერმინებს ზვიად გამსახურდიამ მიაქცია პირველად ყურადღება ქართულ მწერლობაში მესიანისტური იდეის გამომხატველი ნაწარმოებების–„თამარიანისა“ და ვეფხისტყაოსნის“ შედარებით ანალიზის დროს (4, 293).

„მობერვის“ ცნებით დაინტერესდა პროფ. ა. გაწერელია ჩახრუხაძის „თამარიანთან“ დაკავშირებით (5, 116).

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალს „მომბერავი“ ეწოდება, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (6, 39).

წმ. გრიგოლ ნოსელის მიხედვით, საღმრთო სულითაა გაპირობებული „ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“. გაიგივებულია „სული – მობერვა–შთაგონება“ (7, 363).

ნეტარი ავგუტინე ევედრებოდა ღმერთს, მოთმინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულს ვერ ფარავდა: „აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა (8, 278).

ასევე, ყურადღებას იქცევს ქართული სასულიერო მწერლობის „საღმრთო ნიავის“ მადლის დაკავშირება სულიწმინდასთან (ბასილი, გალობანი ეფთმი მთაწმინდელისანი“ (9, 508).

ვაჟა–ფშაველას „ქებათა ქებაში“ სულიწმინდა ნიავის სახით ფიგურირებს: „ნიავიც მიდუდუნებდა ველებზე სულიწმინდადა...“

„სვავში“ „ციური ნიავია“ სულიწმინდის სიმბოლო: „შენ, ციურო ნიავო, მიეშველეთ მზეს, ერთად შეზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე“ (10, 285).

სულიწმინდის მოფენაზეა საუბარი ვაჟას მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი" (11, 509).

ვფიქრობთ, სულიწმინდა იგულისხმება აკაკი წერეთლის „სულიკოს" პერსონიფიცირებულ მახარობელ ნიავში.

ასეთი გაგებისა გალაკტიონის „მზერადიადი სიონი, ქარის დაბერვა, მზიური ღამის ქარი, ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით, ფიქრების ლურჯი ნიავქარი, უჩინარი ქარი, ფერადი ქარები, ის ერთი შეხება ნიავის"...

ტერენტი გრანელის ლირიკაში ქარი მრავალმნიშვნელოვანი ფენომენია.

ამჯერად გვაინტერესებს მისი ერთი ასპექტი–შთაგონებასთან, სულიწმინდასთან დაკავშირებული ქარი, ნიავი გრიგალი.

უზენაესით შთაგონებული დიადი წამებია „ცისფერი წამი, იდუმალი წამი, წამი სხვა გარინდების, ანთების წამი, ოქროსფერი წუთი".

„სიჩუმის ქარია" ტ. გრანელთან სულიწმინდით მოვლენილი შთაგონების სიმბოლო: „გულში ცეცხლი ინთება და სიჩუმის ქარია. ეს ბედია მხლებელი და სიჩუმე მძინარე, ფიქრი დაულეველი მოდის, როგორც მდინარე" (მგლოვიარე სერაფიმები) (12, 129).

„იდუმალება, იდუმალი ძალა, იდუმალი სული" ღმერთზე მიგვანიშნებს, „იდუმალ მხარეების გრიგალი" კი შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდის მოვლინებაა: „იდუმალ მხარეების მოდიოდა გრიგალი და მკლავდნენ ღამეები ბედის მძიმე გრიალით" (ზარათი ცისკენ) (13, 72). აქ შთაგონება, პოეტობა ღმერთით გაპირობებულ ბედისწერად არის მიჩნეული.

შთაგონების, სულიწმინდის ქარი დიადი წამების, ამაღლებულობის საწინდარია: „და ქარი ხმაზე და წამი–დიდი. და ვხედავ მთაზე რომ ვიღაც მიდის" (ციხიდან) (12, 288).

„საოცრება", „საოცრების კარები" ბიბლიიიდან, ფსალმუნიდან მომდინარე უფლის სახელია ტერენტი გრანელის ლირიკაში, ხოლო დუმილთან, ოცნებასთან, საოცრებასთან მოაზრებული ქარი შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდა: „დუმილი არის თეთრი ოცნების, ღამეა ქარის და საოცრების" (დღეა წვალების) (12, 63).

ეს შთაგონების ქარები პოეტის სულში დავანებულა განუმეორებელ მუსიკად: „ახლა ვერკვევი და ვიცი, ვინ ვარ, ახლა ქარები სულში მღერიან" (დაბრუნება) (13, 190).

სულის ტოტალური გრიგალი, ოცნების მეწამული ფრთები მიაფრენდა პოეტს ახალ სივრცეში. „და იყო მეტი გამოცოცხლება და ყველაფერი გრიგალს დანებდა. და იყო სივრცე, სადაც ოცნება მეწამულ ფრთებით მიმაქანებდა".

ქარია ირგვლივ, გრიგალში მიჰქრის პოეტის სულის ხომალდი „სხვა სიზმრის, " შემოდგომის ხიბლით გაბრუებული: „ისევ მარტო ვარ, ირგვლივ ქარია, გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, ეს დღე, ძვირფასო, სხვა სიზმარია, ეს დღე, რომელიც ჰგავს შემოდგომას" (12, 156).

პოეტის მშვენიერი ოცნება შთაგონების ქარით ისხამს ხორცს, შესაფერი ფორმით იმოსება, „შორეული ალები" კი მუდმივი გაოცების წყაროა: „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება და იწვევს გაოცებას შორეული ალები" (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე) (13, 85).

„შორეული ალები", ანუ შორეული ცეცხლი საღვთო სახელია.

ეს ფიქრის მშობელი ქარები ქარვისფერ იმედად ინთება პოეტის სულში: „როცა ქარი იწყება, გადვიქცევი ფიქრებად, ალბათ, ბევრი იქნება იმედები ქარვაში" (მწუხარე მელოდია) (13, 162).

ქარიშხალთან წილნაყარი პოეტი „იდუმალი ძალის" (ღმერთის) ტყვეა: „მივსდევ ქარიშხალს და უფრო ლანდებს და სული ტყვეა იდუმალ ძალის" (მივსდევ ქარიშხალს), „დიდი პოეტი გრიგალს ეძახის" (რიცხვი) (12, 159).

უხილავი ქარები ხმაურობენ პოეტის სულში, თვალებში (სინესთეზია): „ჩემი მოპირდაპირე უხილავი ქარია და თვალებში გაისმის ღამეების ხმაური".....

შთაგონების, სულიწმინდის ქარი სახელდებულია „სხვა გრიგალად“, „შორეულ ქარად„: „ახლა ჩემს გულში სხვა გრიგალია“, „ეს შორეული ქარი ჩემთვის ძვირფასი გახდა“, „ისმის ძახილი შორეულ ქარის“ (სულს მარტოობა უნდა) (14, 68).

მრავალ კონტექსტშია დაწყვილებული ოცნება და ქარიშხალი, რაც შთაგონების, ქარისა და პოეტური ფანტაზიის განუყრელობას უსვამს ხაზს: „ეს გაგიჟება უცნაურია, ქარიშხალივით მოდის ოცნება, ახლა გაფრენა როგორ მწყურია, როგორ მწყურია გამოცოცხლება (ეს გაგიჟება უცნაურია) (12, 83)

„გაგიჟება“ გულისა და გონების ძალთა გამძაფრებაა, ცნობიერების უჩვეულო აქტიურობა.

ქარიშხალია პოეტის ბედისწერა: „დღეს ჩემი ბედი ქარიშხალს მოსდევს“ (არ ვხედავ ღრუბელს) (12, 17).

შთაგონების ქარებს მოაქვთ განახლება, სინათლე: „ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნანგრევებზე ალმაფრენა, როგორც სანთელი“ (სულის ცეცხლი) (12, 48).

შთაგონებას უკავშირდება ცისკენ სწრაფვა ქარით, გამოუთქმელი ექსტაზი, რწმენა და აღტაცება: „ალბათ გამაფრენ ზეცისკენ, ქარო, როცა დადგება დრო აღტაცების“, „წინ გრიგალია და გამარჯვება“.

პოეტი ლაპარაკობდა „სამყაროს მისტიურ შეგრძნებაზე“, „შორეულ მისტიკაზე“, რომლის სინონიმია „ღამე, ქარი და მთვარე„: „ქარი და მთვარე არიან სინონიმები იმ შორეული მისტიკის, რომელიც მუდამ ანათებს ჩემს მწუხარე სულს. ქარი იდუმალია და მართალი, როგორც სამუდამო საგანი პოეზიისა... პოეტები იბადებიან ქარში და ისინი მისდევენ ქარების ნაკვალევს“.

გამოცხადების „შორეული შუქი“ პოეტის სულსაც ანათებს და წვავს უცეცხლოდ: „მოახლოვდება საღამო და პოეტის სული აინთება, როგორც შუქი“ (პოეზია ქარის და ღამეების) (12, 298-300).

სულის წვაც ნიშანდობლივია, რადგან, ა. დრევსის აზრით, „სულიერ ძალებს ახასიათებთ ცეცხლისებური ენერგია და ნათების უნარი, ხოლო ქრისტე კოსმიური ცეცხლის მატარებელია (15-77-78).

სულხან–საბა აღნიშნავდა, რომ „ღმერთი გადმოითარგმნების ხედვად და წვად“ (16, 253).

ქრისტიანული ღმერთი „მზიანი ღამეა“ შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის პოეზიაში (ვ. ნოზაძე, თ. ბაგრატიონი, ვ. ეკაშვილი, ზ. გამსახურდია, შ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, ე. ხინთიბიძე, ტ. მოსია).

ღვთაების ამ ორიგინალური სახის გამრავალფეროვნებაა „ღამის“ ახალ ნიუანსად კიდევ ახალი ეპითეტის „ცისფერის“ მიგნება: „სულს ცისფერი სინათლე“ ახლავს“, ანუ უზენაესი ევლინება პოეზიის სახით.

პოეზიას ტ. გრანელის შემოქმედებაში საღვთო სახელები მიემართება – „უსაზღვროება, მარადისობა, იდუმალება, რადგან იგი ღვთაებრივი სულის ყველაზე სრულყოფილი გაცხადებაა (პოეზია) (17, 28).

პოეტი ეძებდა „საგნების გაღმა“, სულის გადაღმა“, „ლოცვის გაღმა“, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გაწევას ცდილობდა და მისი იდეალი იყო „ცისფერი წვიმა“, „ცისფერი სული“ „ცისფერი ღამე“, „ცისფერი ყვავილი“, „შორეული ყვავილი“, ანუ უზენაესი.

საკუთარი ღირსების შეგრძნებას გვიცნობიერებს პოეტი შემდეგი სტრიქონებით: „დროა გრიგალმა მაღლა აგწიოს, როგორც ოცნება დიდი ნაღველის“ (ვიგონებ ალერსს) (13, 19).

ტერენტი გრანელთან „ფიქრი გაივლის ქარებს“, „ფიქრი და ველი ქარს უკავია“. „ქარები სულში მღერიან“... ფიქრების ქროლვას გამარჯვება მოაქვს: „ქრიან საღამოს ნელი ფიქრები, წინ გრიგალია და გამარჯვება“, და ისევ მინდა გრიგალში შესვლა და ისევ მოდის მაღალი ფიქრი და

პოეზია ტრიალებს“ ახლა მხოლოდ ტერენტი გრანელის ირგვლივ“ (გარშემო დგება მზიანი სივრცე) (13, 232).

„დიდი პოეტი „გრიგალს ეძახის“, „ის შორეული ქარი ჩემთვის ძვირფასი გახდა, და იყო წუთი, როდესაც ყველგან დაჰქროდა ფიქრი ქარიშხალივით“, „იდუმალ მხარეების მოდიოდა გრიგალი და მკლავდნენ ღამეები ბედის მძიმე გრიალით“ (მარათი – ცისკენ) (13, 72)

შემოქმედებითი ექსტაზის წუთებში ყველაფერს გრიგალი ეპატრონება და ოცნება „მეწამულ ფრთებს“ ისხამს: „და იყო მეტი გამოცოცხლება და ყველაფერი გრიგალს დანებდა და იყო სივრცე, სადაც ოცნება მეწამულ ფრთებით მიმაქანებდა“...

პირამიდასავით გარინდებული პოეტის გრიგალით გაფრენა მარადიულობასთან წილნაყარობაა: „პოეტს გარინდებულს, როგორც პირამიდა ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს“ (ფარული ვედრება) (13, 151).

**დამოწმებანი**


1. პეტრე იბერი (ფსევდო–დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961
2. წმიდა ბასილ დიდი, თხზულებანი, ფსალმუნთა განმარტებანი, ჰომილიები ექვსი დღისთვის, თბ. 2002
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
4. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ. 1984
5. „ცისკარი“, 1970, №8
6. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები, ლ. კვირიკაშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ. 1989
7. წმიდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღისათვის“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989
8. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
9. ჩვენი საუნჯე 20 ტომად, ტ. I, თბ. 1961
10. ვაჟა–ფშაველა, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 1, თბ. 2011
11. ვაჟა–ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1986
12. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
13. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
14. ტერენტი გრანელი ორ ტომად, ტ. I, თბ. 1991
15. А. Древс, Мир о Христе, М. 1925
16. სულხან–საბა ორბელიანი, ტ. IV, თბ. 1968
17. ტერენტი გრანელი, ცისფერი სიშორე, თბ. 1998

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*



## SATZGEFÜGE MIT DEM TEMPORALSATZ
## (Adverbialsätz, der Zeit)

Der Temporalsatz erfüllt die Funktion der Adverbialbestimmung der Zeit, nennt den Zeitpunkt, die Zeitdauer sowie die Häufigkeit des Vorgangs und antwortet auf die Fragen: wann? seit wann? bis wann? wie lange? wie oft?

**Als** endlich die Ruhe eingetreten war, sank er erschöpft auf den steinigen Boden nieder. (E. Kästner) – Wann sank er nieder?

**Seitdem** so viele von ihnen sich in Paris breitmachen, greifen sie Christen an. (H. Mann). – Seit wann greifen sie Christen an?

Wir haben alles so gelassen, **bis** sie kommen. (Chr. Hirte). – Bis wann haben wir alles so gelassen?

**Solange** ich Bewusstsein und Lebenskraft besitze, werde ich das nicht vergessen. – Wie lange werde ich das nicht vergessen?

Sie machten den Fehler jetzt selbst, **sooft** er dabei war. (H. Mann). – Wie oft machten sie den Fehler?

Im Satzgefüge nehmen die Temporalsätze die **Vorder-, Nach – oder Zwischenstellung** ein.

**Als** er die Stadt betrat, hatte sich der Kampflärm gelegt. (R. Carstensen).

Sie knieten wohl hin, **sobald** der König auftauchte. (H. Mann).

Der Häftling gab, **nachdem** er durchgezählt hatte, mit lässiger Hand ein Zeichen. (Br. Apitz).

Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz sind die Temporalsätze immer Konjunktionalsätze. Die Konjunktionen, durch die die Temporalsätze eingeleitet werden, sind: **als, wenn, ehe, bevor, bis, nachdem, seit, seitdem, indem, indes, indessen, derweilen, sobald, solange, sooft, sowie, während, wobei, kaum dass, wie, wo, da.** Je nachdem, worauf diese Konjunktionen hindeuten, antworten die Nebensätze auf folgende Fragen: die Frage **wann** wird zu den Nebensätzen gestellt, die durch die Konjunktionen: **als, wenn, ehe, bevor, nachdem, derweilen, sobald, sowie, während, kaum dass, wie, wo, da, indem, indes, indessen, wobei** eingeleitet werden. Die **bis** – Sätze beantworten die Frage: **bis wann:** zu den **solange**-Sätzen eignet sich die Frage: **wie lange;** auf die Frage **wie oft** antwortet der **sooft**-Satz, auf die Frage **seit wann** – der **seitdem** Satz.

In Hinsicht auf die Zeitpcrspektive beziehen sich einige von diesen Konjunktionen auf alle drei Zeiträume, die anderen nur auf einen. Außerdem werden durch die Konjunktionen unterschiedliche temporale Relationen zwischen den Vorgängen des Haupt– und des Nebensatzes ausgedrückt − der Temporalsatz drückt die Handlung aus, die mit der Handlung des Hauptsatzes **gleichzeiti**g stattfindet, ihr **vorangeht** oder **nachfolgt**. Auf Grund dieser zeitlichen Verhältnisse werden die Temporalsätze eingeteilt in: Temporalsätze der **Gleichzeitigkeit, Vorzeitigkeit** und **Nachzeitigkeit.** Außer diesen Verhältnisarten sind noch einige Verhältnisvarianten in Bezug auf den Vorgangscharakter im Nebensatz festzustellen. Alle Arten und Varianten von Verhältnissen werden durch bestimmte temporale Konjunktionen und entsprechenden Gebrauch der Zeitform ausgedrückt.

**Die Temporalsätze der Gleichzeitigkeit** werden durch die Konjunktionen eingeleitet, **als, wenn, wie, da, wo, während, wobei, indem, indes, indessen, seit, seitdem, solange, sooft, derweilen.** Im Rahmen der gemeinsamen Semantik − die Gleichzeitigkeit − bezeichnen diese Konjunktionen unterschiedliche zusätzliche Zeitverhältnisse zwischen dem Geschehen des Hauptsatzes und dem des Nebensatzes.

Die Konjunktionen: **als, wenn, da, wie, wo, seitdem** drücken die Zeitvrheältnisse in Bezug auf einen bestimmten Zeitpunkt aus.

**Wenn** der Lehrer die Klasse betritt, tritt Ruhe ein. (R. Klappenbaeh).

Sie ist ganz anders geworden, **seitdem** sie sclbstständig ist. (R. Klappenbach).

Die Konjunktionen **sooft** und **wenn** weisen auf eine sich wiederholende Handlung, auf ihre Häufigkeit hin − **jedesmal wenn, immer wenn, wie oft auch immer.**

**Sooft** er kam, brachte er Blumen mit. (Duden).

Die Konjunktionen **während, indem, indes, indessen, solange, wobei, derweilen** unterscheiden die temporalen Verhältnisse zwischen den Vorgängen in Bezug auf ihre Dauer − sie weisen darauf hin, dass der Vorgang im Hauptsatz genau die gleiche Dauer wie der synchron verlaufende Vorgang im Nebensatz hat. Dementsprechend haben durch diese Konjunktionen eingeleiteten Nebensätze das gleiche Tempus mit dem Hauptsatz, meist das Präteritum oder das Präsens.

**Während** sie nicht wusste, wohin mit dem ganzen Geld, konnte er sich nicht einmal ein Eis kaufen. (D. W-buch, Honos Verlag).

**Indem** er das Brot verteilte, war sein Gesicht ernst und von schöner Würde. (R. Klappenbaeh).

Die Konjunktion **solange** betont neben der Gleichzeitigkeit der Vorgänge auch ihre gleiche Dauer im Hauptsatz und im Nebensatz, dabei enthält sie den Hinweis auf den gleichen Anfangs − und Endpunkt.

**Solange** ich ihn kenne, habe ich ihn nie so erzürnt gesehen. (R. Klappenbach).

**Solange** − Sätze sind meistens **Vorder**sätze.

Die Nebensätze, die durch die Konjunktionen: **indes, indessen, indem, wobei, während** eingeleitet werden, drücken die temporale Bedeutung vermischt mit der Bedeutung des begleitenden Umstandes aus und geben den Zeitraum an, in dem sich das Geschehen des Hauptsatzes abspielt.

Er hielt den Kopf neigend, **indem** er das sagte. (H. Mann).

Vor den Konjunktionen, die das Verhältnis der Gleichzeitigkeit zwischen den Handlungen im Haupt − und im Nebensatz in Bezug auf die Dauer bezeichnen, wird am häufigsten die Konjunktion **während** gebraucht. Analogischc Semantik realisieren die Konjunktionen **wobei** und **indem,** die in der zeitlichen Bedeutung schon veraltet und seltener gebräuchlich sind. Meistens werden sie durch die Konjunktion **während** ersetzt.

**Indem/während** er sprach, öffnete sich die Tür. (Duden).

Die durch die Konjunktionen: **während, indem, indes, indessen, wobei** eingeführten Nebensätze können alle drei Nebensatzstellung einnehmen.

Auf das Verhältnis der Gleichzeitigkeit der Handlungen des Haupt− und des Nebensatzes in der Gegenwart, Vergangenheit oder Zukunft wird auch durch die**: als-, wenn-, wie-, wo-, seit-, seitdem−** Nebensätze hingewiesen.

Die Konjunktion **als** deutet auf eine einmalige Handlung hin und verbindet vorwiegend zwei Vorgänge, die in der Vergangenheit gleichzeitig stattfinden. Im Haupt− und im Nebensatz werden gleiche Zeitformen gebraucht.

**Als** mich einer schon am Fuß packte,riss ich blitzschnell mein Bein hoch. (Chr. Hirte)

**Als** Henri ihren Augen begegnet war,hatten sie spöttisch gelacht. (H. Mann).

**Als** bezieht sich auf die Vergangenheit auch dann, wenn das Geschehen im Sätz, durch das so genannte historische Präsens ausgedrückt wird:

**Als** die Tür durch den Windstoß plötzlich aufgeht, läuft ein großer Hund in den Hof hinaus. (Duden).

Durch die Konjunktion **als** wird auch auf eine dauernde Handlung hingewiesen. Dabei spielt der Kontext eine entscheidende Rolle.

**Als** er an der Uni studierte, erhielt er ein staatliches Stipendium.

Die **als** − Nebensätze können sowohl **Vorde**r − als auch **Zwischen** − und **Nach**sätze sein.

Die Konjunktion **wenn** wird zur Bezeichnung der temporalen Verhältnisse zwischen den sich in der Gegenwart oder Zukunft gleichzeitig vollziehenden Handlungen gebraucht.

Sind wir nicht Toren dir noch Weihnachtsgeschenke darzubringen, **wenn** solches Unrecht in der Welt triumphiert? (R. Carstensen).

**Wenn** wir über fünfundzwanzig sind, sieht uns keiner mehr an. (H. Fallada).

**Wenn**-Nebensätze sind meistens **Vorder**− und **Nach**sätze, seltener haben sie die Zwischenstellung. Der vorgestellte **wenn** − Nebensatz hat manchmal im Hauptsatz die Korrelate „**so**~ oder „**dann**~.

**Wenn** ihr Herz zu hoch schlug, **so** meinte seine liebe Mutter, es sei Gott. (H. Mann).

**Wenn** das wahr ist, **dann** trete ich sofort zurück. (Duden).

Die Konjunktionen **wie, da, wo** bezeichnen eine einmalige Handlung, die sich mit der Handlung des Hauptsatzes gleichzeitig vollzieht. Die Konjunktion **wie** weist auf den gegenwärtigen Vorgang hin und ist in dieser Funktion der Konjunktion **wenn** synonym:

**Wie** der Junker so neben mir steht und beim Zeichnen zuschaut, wird er mit einem Mal kreidebleich im Gesicht. (Cl. Back) = Wenn der Junker so neben mir steht .........

Wenn sich die Konjunktion **wie** auf eine Handlung in der Vergangenheit bezieht, so tritt sie oft als Synonym von **als** auf.

Und **wie** ich so ging, sah ich auf einmal den Kranich ankommen. (R. Klappenbach) = Und **als** ich so ging,.........

Als Synonym von den Konjunktionen **als** und **während** fungiert die Konjunktion **da,** die die Bedeutung „**zur Zeit als..~. „zu dem Zeitpunkt, als**..~. realisiert.

An dem Tage **als/da** er das Meer zum ersten Mal erblickte, beschloss er, Seemann zu werden. (R. Klappcnbach).

Die durch die Konjunktion **da** ausgedrückte temporale Bedeutung hat einen **kausalen** Nebensinn:

Jetzt, **da** (weil) die Sachlage entschieden ist, kann das nicht mehr berücksichtigt werden. (K. Bünting).

Die temporalen Nebensätze, die durch die Konjunktion **wo** eingeleitet werden, realisieren die Bedeutung „zur Zeit, als......`

Jetzt, **wo** sie so viel spricht, sitzt der junge Mann schweigend. (R. Klappenbach).

An dem Tage, **wo** man am meisten zu tun hatte, werde er krank. (R. Klappenahbach).

Das gilt auch für die „**da**~-Nebensätze:

Der Künstler schafft nicht nur dann, da er den Pinsel in die Hand nimmt. (R. Klappenbach).

Zum Ausdruck der Gleichzeitigkeiit wird bei **durativen** Verben im Präsens und Präterilum die Konjunktion **seit(dem)** gebraucht, die auf die Vorgänge hinweist, die im Haupt‒ und Nebensatz **gleichzeitig** beginnen und **synchron** verlaufen.

**Seit(dem**) der Kranke mit Strahlen behandelt wird, fühlt er sich wohler. (Duden).

**Seit(dem**) sie mit ihm zusammen ist, hat er keine Sorgen mehr. (K.D.Bünting)

Im Haupt − und im Nebensatz, werden identische Zeitformen gebraucht.

Das Gleichzeitigkeitsverhältnis wird im Satzgefüge auch durch die Konjunktionen **wenn** und **sooft** ausgedrückt, die die temporalen Verhältnisvarianten zwischen den Vorgängen in Bezug auf ihre Häufigkeit unterstreichen.

Der **wenn** − Satz bezeichnet eine sich wiederholende Handlung, die mit der Handlung des Hauptsatzes in allen Zeitabschnitten gleichzeitig erfolgt. Die Realisation der literarischen Semantik steht oft mit der Bedeutung des finiten Verbs im Nebensatz zusammen ‒ es soll die Handlung ausdrücken, die in ihrer Dauer gesehen und nicht in der Absicht begonnen wird, in einer bestimmten Zeit abgeschlossen zu werden. Die Verben wie; **sehen, fühlen, hören, besuchen, weinen, arbeiten, gehen, laufen** u.a. treten in den **wenn ‒** Sätzen oft auf:

**Wenn** sie weint, strömen ihr die Tränen über das Gesicht. (Chr. Hirte).

Wir gehen aus Vorsicht nicht mehr auf die Straße, **wenn** es dunkel wird. (H. Mann).

Die Bedeutung der Häufigkeit ist besonders spürbar, wenn vor der Konjunktion **wenn** die Wörter auftreten, wie: **oft, immer, ständig, täglich, stets, allemal, jedes Mal, ab und zu, manchmal, häufig, gelegentlich, Tag für Tag** u.a. durch die die **iterative** Semantik nachdrücklich hervorgehoben wird. Die Konjunktion **wenn** kann durch die Konjunktion **sooft** ersetzt werden.

Immer, **wenn/sooft** er mich besucht, teilt er mir supersensationelle Nachrichten mit. (Duden).

Jedes Mal, **wenn/sooft** wir uns begegnen, grüßt er mich freundlich. (R. Klappenbach).

Die „**wenn**~ − Nebensätze können ebenfalls auf eine vergangene mehrmalige Handlung hindeuten.

Das war jedes Mal wie ein Sonnenstrahl, **wenn** sie in den Laden kam. (Chr. Hirte).

Ich muss immer, **wenn** Annemarie mit grünblitzenden Augen, gleißenden Lippen ihres Vaters Sätze hervorbringt, an Helden Schillers denken. (Chr. Hirte).

In den **wenn/sooft** ‒ Nebensätze ist der Tempus identisch mit dem Tempus im Hauptsatz.

Der Ausdruck der Gleichzeitigkeit wird durch den Gebrauch der identischen Zeitformen bekräftigt.

**Die Temporalsätze der Vorzeitigkeit** werden durch die Konjunktionen: **als, nachdem, seit, seitdem, kaum dass, sobald, sowie** eingeleitet. Da die Vorzeitigkcitsverhältnisse nicht in allen Konjunktionalsätzen genau angegeben werden, ist hier der richtige Gebrauch der Zeitformen bestimmend ‒ im Nebensatz wird das Plusquamperfekt/Perfekt, im Hauptsatz − das Präteritum/Präsens gebraucht.

**Als** die Flotte das Ufer **erreicht hatte,** erkannten sie die plötzliche Wendung. (R. Carstensen)

**Als** ich gestern zu meinem Bruder ins Zimmer **getreten bin, rennt** er darin umher, wie ein wildes Tier. (H. Mann).

Das Verhältnis der Vorzeitigkeit wird oft durch das Adverb **erst** hervorgehoben ‒ **erst** steht vor der Konjunktion **als** und weist auf die zeitliche Abfolge der Vorgänge im Haupt‒ und im Nebensatz.

**Erst als** die Tür sich hinter Catherine geschlossen hatte, antwortete Jeannc auf den Rat. (H. Mann).

**Erst als** der Elefant noch Wasser zu sausen bekommen hatte, monierte auch ich meinen Durst. (Chr. Hirte).

Die finiten Verben des Haupt– und des Nebensatzes können bei der Vorzeitigkeit in gleichen Zeitformen der Vergangenheit dargestellt werden:

**Erst als** alle Vorbereitungen **getroffen waren,** rückte er gegen die junge Stadt am Tiber **vor.** (R. Carstensen).

**Als** meine Großmutter **gestorben ist,** da hab ich meinen ersten Toten **gesehen.** (Chr. Hirte).

Die Bedeutung der Vorzeitigkeit wird meist im Nebensatz realisiert, der durch die Konjunktion **nachdem** eingeleitet wird. Diese Konjunktion weist darauf hin, dass die Handlung des Nebensatzes vor dem Hauptsatzgeschehen vollendet ist. Der Vorgang des Hauptsatzes folgt einem bestimmten Zeitpunkt, der im Nebensatz gegeben ist:

Mit ihnen zusammen buk er zwischen heißen Steinen sein Brot und aß es, **nachdem** er es mit Knoblauch cingerieben hatte. (H. Mann).

In ihrer Bedeutung enthält die Konjunktion **nachdem** keine Information über den zeitlichen Abstand zwischen Vorgängen des Haupt– und des Nebensatzes. Wenn die Handling des Nebensatzes der Handlung des Hauptsatzes in der Vergangenheit vorangeht, so kann die Konjunktion **nachdem** durch die Konjunktion **als** ersetzt werden.

**Nachdem** ich ihn geöffnet hatte, fand ich unter der Schädeldecke gewisse Blasen, gefüllt mit wässeriger Flüssigkeit. (H. Mann) = **Als** ich ihn geöffnet hatte,.........

Wenn sich aber das Vorangehen des Nebensatzgesehehens in der Zukunft vollzieht, ist die Konjunktion **nachdem** der Konjunktion **wenn** synonym:

**Nachdem** sie ihre Prüfung ablegt, geht sie ins Ausland / wird sie ins Ausland gehen. (R. Klappenbach) = **Wenn** sie ihre Prüfung ablegt,......

Die **nachdem-**Nebensätze können alle drei Nebensatzstellungen haben.

Auf die Vorzeitigkeit weist die Konjunktion **seit(dem)** hin, die den Zeitpunkt angibt, zu dem ein dauernder Vorgang oder Zustand eingetreten ist, bezeichnet das Geschehen, das sich seit einer bestimmten Zeit ereignet hat.

Die dankbaren Latiner brachten dem Gründer ihres Volkes, **seit** er von dem irdischen Dasein entzückt war, göttliche Ehren dar. (R. Carstensen).

Das Verb steht im Perfekt oder im Plusquamperfekt. Wenn das Ende des Nebensatzes mit dem Beginn des Vorgangs im Hauptsatz zusammenfällt, werden die relativen Zeitformen − Perfekt − Präsens, Plusquamperfekt −Präteritum gebraucht.

**Seitdem** ich verstanden habe, wie denkt, traue ich ihm nicht mehr. (Duden).

Seitdem man mir die Situation klargemacht hatte, fühlte ich mich seelisch entspannt. (Duden).

Der **seit**-Nebensatz tritt meistens in der Vorderstellung auf, kann aber auch **Nach**– oder **Zwische**nsatz sein.

Die Konjunktion **kaum dass,** die zur Bezeichnung der Vorzeitigkeit dient, ist veraltet und wird nicht so oft gebraucht. Sie bezeichnet, dass es zwischen den vorangehenden und nachfolgenden Handlungen einen sehr kurzen Abstand, Zeitraum gibt – „**nicht lange nachdem**~.

**Kaum dass** die Mutter aus dem Haus war, begannen die Kinder zu streiten. (Duden).

Der Regen war, **kaum dass** er angefangen hatte, auch schon wieder vorüber. (Duden).

In der durch **kaum dass** eingeleiteten Temporalsätzen werden gleiche oder relative Zeitformen gebraucht.

Die Konjunktionen **sobald, sowie** werden als Synonyme betrachtet – sie heben die Bedeutung der Vorzeitigkeit hervor und weisen darauf hin, dass sich das Hauptsatzgeschehen unmittelbar nach der Vollendung des Geschehens im Nebensatz vollzieht.

Ich lasse den Vogel frei, **sowie** er voll flugfähig ist. (R. Klappenbach).

Eine Dame wollte über den Elefantenstall herauskommen, **sobald** die Elefantennummer in der Manege beendet war. (Chr. Hirte).

**Die Temporalsätze der Nachzeitigkeit** werden durch die Konjunktionen: **ehe, bevor, bis** eingeleitet. Die Konjunktionen **ehe** und **bevor** sind Synonyme. Sie leiten die Temporalsätze ein, vor deren Handlung die Handlung des Hauptsatzes liegt. Der zeitliche Abstand zwischen den Handlungen des Haupt-und des

**ehe/bevor**-Ncbensatzes kann durch den Gebrauch des Adverbs **noch** vor der Konjunktion **ehe** und des Adjektivs **kurz** vor der Konjunktion **bevor** genauer beschrieben werden.

**Noch ehe** er das Studium an der Uni abschließt, beschäftigt er sich mit naturwissenschaftlichen Forschungen. (R. Klappenbach).

**Kurz bevor** das Unwetter losbrach, erreichten wir die Schutzhütte. (R. Klappenbach).

Die Zeitformen in **ehe**– und **bevor**-Sätzen haben relative Bedeutungen − im Hauptsatz werden die Zeitformen das Perfekt oder das Plusquamperfekt gebraucht, im Nebensatz – das Präsens/Futur I oder das Präteritum.

Ich lasse dich nicht fort, **bevo**r du unterschrieben hast. (Duden).

Er sprach das Urteil, **ehe** er alle Zeugen vernommen hatte. (R. Klappenbach).

Der relative Gebrauch der Zeitformen kommt vor, wenn die Vorgänge im Haupt– und im Nebensatz durch einen großen Zeitraum voneinander getrennt sind. Wenn aber die Vorgänge einander unmittelbar folgen, so werden sie durch gleiche Zeitformen ausgedrückt, meist durch das Präteritum oder das Präsens.

Unser Feldherr wünscht sich mit dir zu sprechen, **ehe** es zu einer Schlacht kommt. (R. Carstensen).

Muss ich Sie erst hinrichten lassen, **bevor** ich von ihnen etwas Erfreuliches höre. (H. Mann).

Da die Konjunktionen **ehe, bevor** die zeitlichen Verhältnisse deutlich ausdrücken, ist der Gebrauch der Zeitformen meist frei. Frei ist auch die Stellung der Nebensätze – sie können alle drei Nebensatzstellungen haben, überwiegend treten sie in der Endstellung auf.

Die Konjunktion **bis** gibt die zeitlichen Grenzen an, an die das Geschehen des Hauptsatzes heranreicht und weist auf den Abschluss der Handlung im Hauptsatz hin. Im Haupt– und Nebensatz werden gewöhnlich gleiche Zeitformen gebraucht, meist das Präteritum oder das Präsens.

Er streckte seinen Rüssel in die Luft, immer höher, **bis** er meinen Balken erreichte. (Chr. Hirte).

Ich will mit der Königin saufen, **bis** sie umfällt. (H. Mann).

Bei Vorhandensein der **durativen** Verben ist der Gebrauch der relativen Zeitformen auch nicht ausgeschlossen.

So warten beide, bis Henri sich wieder zu ihnen gesetzt hatte. (H. Mann).

Sie schwieg, **bis** die Tür geschlossen worden war. (H. Mann).

Wird in dem **bis**-Satz eine dauernde Handlung ausgedrückt, so ist der Gebrauch von Plusquamperfekt oder Perfekt notwendig.

Er bekam keinen Schlaf, **bis** er sieh um diese wichtige Angelegenheit gekümmert hatte. (Bender K.)

Zur Hervorhebung der Dauer des Vorgangs wird im Hauptsatz das Korrelat **solange** (**so lange**) gebraucht.

**Solange**, **bis** der nächste Feldzug sich nochmals in Gefahr brachte, befahl Katharina. (H. Mann)

Wir beide sollen zusammen glücklich sein, **so lange, bis** wir nicht mehr zusammen sein sollen. (H. Mann)

Die **bis**-Sätze sind in der Regel **Nach**sätze. Nur im Falle, wenn das im Nebensatz Ausgesagte als etwas Bemerkenswertes darzustellen ist, nimmt der **bis**-Satz die **Spitzenstellung** ein.

**Bis** er ins Ausland fährt, will er sein Studium beendet haben. (R. Klappenbach).

Die Konjunktion **bis** kann als Synonym von **bevor** gebraucht werden, wenn der **bevor**-Satz einem verneinenden Hauptsatz mit **Vorzeitigkei**t untergeordnet wird.

Ich kann nichts entscheiden, **bevor** ich einige nähere Informationen habe. (R. Klappenbach). = Ich kann nichts entscheiden, bis ich einige nähere Informationen habe.

Der dominierende Modus der Temporalsätze ist der Indikativ. Der Konjunktiv kommt nur selten in den **ehe**– und **bis**-Sätzen vor.

Die Temporalsätze können durch verschiedene synonyme Strukturen ersetzt werden. Die sind:

**1. Die Präpositionalgruppen**, durch die nur die Nebensätze von einem geringen Umfang ersetzt werden. Der Ersatz ist möglich, wenn im Temporalsatz ein Verbalsubstantiv oder ein Substantiv mit temporaler Bedeutung vorhanden ist.

a. **Während-Nebensatz = die Präposition *während*** + **verbales Substantiv.**

Meine Frau war vormittags, **während** ich schlief, mit den Kindern zum Einholen gegangen. (Chr. Hirte) = **Während** meines Schlafes war mein Frau mit den Kindern zum Einholen gegangen.

**Während** er zwei Schiffe zur Fahrt ins Palasgerland rüstete, zeigte sich ihm auch schon, was der Flussgott ihm angekündigt hatte. (R. Carstensen). = **Während** der Rüstung von zwei Schiffen zur Fahrt ins Palaskerland, zeigte sich ihm, was der Flussgott ihm angekündigt hatte.

b. **Bevor**-Nebensatz = Die **Präposition *vor* + verbales Substantiv.**

Darum haben Sie den Guise fortgeschickt, **bevor** ich hier ankam (H. Mann). = Darum haben Sie den Guise vor meiner Ankunft fortgeschickt.

**Bevor** er meinen König traf, hatte ein Edelmann die Ehre gehabt, den Herzog von Lothringen in zwei gleiche Teile zu spalten. (H. Mann). = Vor dem Treffen mit meinem König hatte ein Edelmann die Ehre gehabt, den Herzog von Lothringen in zwei gleiche Teile zu spalten.

c. **Indessen**-Nebensatz = die **Präposition *während*** + **verbales Substantiv.**

**Indessen** dies geschah, hatte seine Mutter ihre Unterredung mit Katharina von Medici (H. Mann). = **Während** dieses Geschehens hatte seine Mutter ihre Unterredung mit Katharina von Medici. **Indessen** er an seinem Roman fleißig arbeitete, gingen die Kinder spazieren. (Ch. Hirte) = **Während** seiner fleißigen Arbeit an seinem Roman, gingen die Kinder spazieren.

d. **Seitdem**-Nebensatz **=** die **Präposition *seit* + verbales Substantiv.**

**Seitdem** er im vorigen Jahr umgezogen ist, haben wir nichts mehr von ihm gehört. = **Seit** seinem Umzug im vorigen Jahr haben wir nichts mehr von ihm gehört.

**Seitdem** er krank ist, arbeitet er nicht mehr.= **Sei**t seiner Krankheit arbeitet er nicht mehr.

e. **Nachdem-**Nebensatz = die **Präposition *nach* + verbales Substantiv.**

Ich meinerseits schneide sie auf, **nachdem** sie gestorben sind. (H. Mann). = Meinerseits schneide ich sie nach ihrem Sterben auf.

Jeannc wollte leiden und früh dahingehen, **nachdem** sie einen auserwählten Sohn geboren hatte. (H. Mann). = Nach der Geburt eines auserwähltcn Sohnes wollte Jeanne leiden und früh dahingehen.

f. **Wenn**-Nebensatz − die **Präposition *bei/während*** + **verbales Substantiv.**

**Wenn** die Sterne herabsinken, so bringt Juno der Göttermutter ein Opfer dar. (R. Carstensen). = Beim Herabsinken / Während des **Herabsinkens** der Sterne bringt Juno der Göttermutter ein Opfer dar.

**Wenn** das Volk einen König wählte, sollte die Wahl nur dann gelten, **wenn** sie von den Patriziern bestätigt wurden (R. Carstensen) **– Bei / Während** der Wahl eines Königs sollte die Wahl nur dann gelten, wenn sie von den Patriziern bestätigt wurde.

g. **Als**-Nebensatz **=** die **Präposition *bei/während* + verbales Substantiv.**

**Als** die Morgensonne strahlend aufging, leuchteten die Spiegelzeichcn der Trojaner über den Kampfplatz. (R. Carstensen). = **Während** des strahlenden Aufgangs / **Beim** strahlenden Aufgang der Morgensonne leuchteten die Spiegelzeichen der Trojaner über den Kampfplatz.

Die Ruder zerbrachen, und totwund legten sich die Fahrzeuge auf die Seite, **als** die Wassermassen gierig eindrangen. (Chr. Hirte) = **Beim** geringen Eindrang der Wassermassen / **Während** des geringen Hindrangs der Wassermassen zerbrachen die Ruder und totwund legten sich die Fahrzeuge auf die Seite.

h. **Wie**-Nebensatz die **Präposition *bei* + verbales Substantiv / Präposition *als* + Substantiv.**

**Wie** ich ging, da sah ich auf einmal den Kranich ankommen. (R. Klappcnbach). = **Beim** Gehen sah ich einmal den Kranich ankommen.

**Wie** ich Kind war, hat mich mein Vater oft huckepack getragen. (R. Klappenbach) = Als Kind hat mich mein Vater oft huckepack getragen.

**2. Partizipialgruppen**

Bei der Verwendung dieser **Transformationsart** sind gewisse Einschränkungen zur Kenntnis zu nehmen. Die Hauptbedingung für die Umwandlung des Nebensatzes in eine Partizipialgruppe ist die Identität der Subjekte im Haupt‒ und im Nebensatz.

Durch die Gruppe mit dem Partizip l werden die **während-Sätze** ersetzt.

**Während** der kleine Schüler die Linien und Punkte deutete, beobachtete er den Gesichtsausdruck des Lehrers, = Der die Linien und Punkte deutende kleine Schüler beobachtete den Gesichtsausdruck des Lehrers.

Die Wortgruppe mit dem Partizip 2 wird bei der Umwandlung des **als/nachdem-**Nebensatzes verwendet, wenn das Verb im Nebensatz intransitiv und nach seiner Semantik meistens nicht vieldeutig ist, wie: **erkranken, genesen, ankommen, erscheinen, aufblühen, verwelken, zurückkehren, auftauchen, verschwinden, einsteigen, aussteigen, stehen bleiben u. a.**

**Als** die Gäste in Berlin angekommen waren, wurden sie von den deutschen Kollegen herzlich empfangen. = Die in Berlin angekommenen Gäste wurden von den deutschen Kollegen herzlich empfangen.

**Nachdem** er nach Hause zurückgekehrt war, suchte er umsonst nach seinem teuren Hund. = Nach Hause zurückgekehrt suchte er umsonst nach seinem teuren Hund.

Nicht oft kommen in den Partizipialgruppen transitive grenzbezogene Verben oder verbale Fügungen vor:

**Als** er seine Doktorarbeit bis zu Ende geführt hatte, zeigte er sie seinem wissenschaftlichen Betreuer. = Er zeigt seinem wissenschaftlichen Betreuer seine bis zu Ende geführte Doktorarbeit.

**3. Satzreihen**

Was kümmert's den Mond, **wenn** ihn die Hunde anbellen. (Sprichwort). = Die Hunde bellen den Mond an, das kümmert ihn aber nicht.

**Wenn**'s Brei regnet, hab ich keinen Löffel. (Sprichwort). = Es regnet Brei, ich habe aber keinen Löffel.

**Wenn** die Armut kommt ins Haus, fliegt die Liebe zum Fenster hinaus. (Sprichwort) = Die Armut kommt ins Haus und die Liebe fliegt zum Fenster hinaus.

Die strukturell-semantischen Besonderheiten der Satzgefüge, die die Realisierung der syntaktischen Funktion der Adverbialbestimmung der Zeit durch einen Nebensatz bedingen, können als strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

**strukturell-semantische Modelle der Satzgefüge mit einem Temporalsatz**

**I.**

**HS-Subjekt/** ***Subst. Pron.Person,Ding,Erscheinun/*****+ Prädikat/** ***Verb-Vorgang,Zustand, Präs.Prät. Perf. Plq.Fut./*** **+ als, wenn, wie, während, indem, indessen, solange, deswegen, da, wobei, seit, wo, sooft-NS** ***[Gleichzeitigkeit]*** **+ Subjekt/** ***Substantiv. Pron. Person,Ding, Erscheinung/*****+ Prädikat/** ***Verb-Vorgang, Zustand, Präs.Prät. Perf. Plq.Fut./*** *z.B.*

Sie haben gar nichts für sich zu fürchten, **solange** ein anderer noch lebt.

**Wenn** er so sprach, traten ihr die Tränen in die Augen.

**II**

**nachdem, seit, seitdem, kaum, dass, sobald, als-NS*****[Vorzeitigkeit]*** **+Subjekt/** ***Subst. Pron.Person, Ding,Erscheinung/*****+ Prädikat/** ***Verb-Vorgang, Zustand, Plq.Perf./*** **+ HS-Prädikat/** ***Verb-Vorgang,Zustand, Veränderung des Zustandes/*****+ Subjekt/** ***Subst. Pron. Person,Ding,Erscheinung/z.B.***

**Nachdem** er die Schule abgeschlossen hatte, fuhr er aufs Land.

**Seitdem** dieses Problem gelöst worden ist, fühle ich mich wie neugeroben.

**III**

**HS-Subjekt/*****Subst. Pronomen-Person, Ding,Erschei-nung/*****+ Prädikat/** ***Verb-Vorgang, Zustand, Präs.Prät. Perf. Plq.Fut/*****+ (Objekt)** ***Subst. Pronomen-Person, Ding, Erscheinung/*****+ehe/bevor/bis-NS[Nachzeitigkeit]+Subjekt/*****Subst.-Person,Ding, Erscheinung/*****+ Prädikat/** ***Verb-Vorgang,Zustand, Veränderung des Zustandes z.B.***

Sie selbst brauchen keine endgültigen Beschlüsse zu fassen, **bevor** Sie alles gesehen haben.

Sie wich zurück, bis sie wieder aufrecht saß in ihrem graden Sessel. Mancher will fliegen, **ehe** er Federn hat.

**Fragen zur Selbstkontrolle**

1. Welche syntaktische Funktion erfüllt der Temporalsatz im Satzgefüge?
2. Auf welche Fragen antworten die Temporalsätze?
3. Wie ist die Stellung der Temporalsätze im Satzgefüge?
4. Welche Satzarten von Temporalsätzen unterscheidet man nach der Art ihrerVerbindung mit dem Hauptsatz?
5. Welche Zeitverhältnisse können zwischen den Handlungen des Haupt – und des Nebensatzes festgestellt werden?
6. Durch welche Konjunktionen werden die Temporalsätze der Gleichzeitigkeit eingeleitet? u.a.

**Temporalsatz**
**Übungen**

**1. Stellen Sie die Fragen zu den Nebensätzen.**

1. Sooft drüben der König und seine Brüder eine geöffnete Hand einladend hinstreckten,...... beeiferten sich auch Henri und sein Vetter. (H. Mann).
2. Der greise König war ja, seit der herrliche Aeneas Italiens Boden betreten hatte, bereit gewesen sich dem göttlichen Gebote zu fügen. (R. Carstensen).
3. Das war ihre Kraft, solange sie aushielt. (H. Mann).
4. Gibt es für mich noch einen Ausweg, nachdem so viele meiner treuen Kampfgenossen den Schlachtentod gestorben sind. (R. Carstensen).
5. Jcanne hatte ihn sehr geliebt, bevor er anfing andere Frauen zu suchen. (H. Mann).

**2. Trennen Sie die Temporalsätze von den anderen Sätzen ab.**

1. Immer stärker spürte sie, wie sehr die Glut der Liebe sie getroffen hatte. (R. Carstensen). 2. Auch dieses Fräulein hatte seinen Augenblick, da es mit vollem Recht durch ihn glücklich war. (H. Mann). 3. Geiz wird nicht satt, bevor er nicht den Mund voll Erde hat. (Sprichwort). 4. Wenn ich dir sage, dass ich mich fürchte, kannst du mich nicht verstehen. (H. Mann). 5. Niemals soll, solange ich lebe, Latiums Reichtum und Trojas Sagen euch fehlen. (C. Carstensen).

**3. Setzen Sie die richtigen Konjunktionen der Gleichzeitigkeit ein.**

l.......... ihm die Wahl der Kleidungsstücke leicht ist, fällt sie mir sehr schwer. 2.......... die bösartige Krankheit schon abgeklungen war, atmeten alle erleichtert auf. 3.......... der Mensch seinen treuen Freund verliert, fühlt er sich vom Gott und aller Welt verlassen. 4.......... der Alte das Bild der jungen Frau sah, blieb er stehen und betrachtete es lange. 5.......... er in der Zeitung las, kehrten seine Gedanken immer wieder zu seiner Arbeit zurück..

**4. Verbinden Sie die Satzpaare zu einem Satzgefüge mit dem Temporalsatz der Gleichzeitigkeit. Gebrauchen Sie dabei sinngemäß die in Klammern angegebenen Konjunktionen: (indem, indessen, sooft, während, wie, wenn, seit, derweilen, da, solange).**

l. Er setzt seinen Ruf aufs Spiel. Er besucht das Spielkasino. 2. Er sitzt den ganzen Sommer an seiner Examensarbeit. Die anderen verbringen ihre freie Zeit lustig. 3. Es ist nicht lange her. Er spielte mit den anderen Kindern im Hof Verstecken. 4. Sein Denken ist von der Vernunft diktiert. Sein Handeln ist rücksichtslos. 5. Der Professor sprach langsam. Die Studenten notierten die ausschlaggebenden Momente in Stichworten

**5. Stellen Sie in den angeführten Temporalsätzen den Vorgangscharakter – dauernden, punktuellen, sich wiederholenden fest.**

1. Seitdem er sich mit diesem Problem beschäftigt, verlässt er sein Labor nicht. 2. Die Großmutter widmet sieh dem Enkelkind, solange er bei ihr zu Besuch ist. 3. Als die Frau ihn vorwurfsvoll ansah, beugte er ein Knie vor ihr und gestand seine Tat. 4. Jetzt, da du mir alles erzählt hast, bin ich peinlich berührt. 5. Der Arzt untersuchte das kranke Kind, wobei die Mutter versuchte, es zu beruhigen.

**6. Drücken Sie das Verhältnis der Vorzcitigkeit zwischen den Vorgängen des Haupt– und des Nebensatzes durch den Gebrauch von passenden Konjunktionen.**

l.......... die Langstreckenschwimmerin mehr als 2000 Meter zurückgelegt hatte, gab sie auf. 2.......... du Näheres gehört hast, teile es mir bitte mit. 3.......... dieses soziale Problem aufgetaucht war, wurde es bewältigt. 4.......... sie die Wahl zur Miss-Deutschland gewonnen hatte, wohnte sie ständig in Berlin. 5.......... er dieses Schema gesehen hatte, verstand er alles leichter. die Kärtchen geschrieben hatten, sammelte sie die Kursleiterin ein.

**7. Setzen Sie die Konjunktionen der Nachzeitigkeit ein.**

1. Das Kind hütet das Bett,......... der Arzt ihm erlaubt auszugehen. 2. Das muss ich mir noch sehr überlegen,......... ich zu einem Entschluss komme. 3. Wir können mit unserem Wagen nicht weiterfahren,......... der Motor reguliert wird. 4. Der Lehrer diktierte die Aufgabe und wartete,......... sie fertig gestellt war. 5. Br blieb am Eingang stehen und wartete,......... der Bus um die Ecke bog.

**8. Bilden Sie die Satzgefüge mit den Konjunktionen: ehe, bevor, bis.**

1. Er ärgerte sich. Ihm wurde es übel. 2. Er will selber den rechten Augenblick wählen. Er teilt ihr etwas von der notwendigen Trennung mit. 3. Verurteile das Verhalten der anderen nicht. Du kennst ihre Motive nieht. 4. Ich musste es erst sehen. Ich konnte es glauben. 5. Der Bote hatte vierzehn Stunden gebraucht. Er kam an.

**9. Ersetzen Sie in den Sätzen die temporalen Konjunktionen durch synonymische, (s. unten)**

l. Wie er einen hohen Posten bekleidete, hatte er keine freie Zeit mehr. 2. Während der Arzt den Kranken untersuchte, trat ins Zimmer eine erwartungsvolle Stille ein. 3. Sooft der Professor die Arbeit des Aspiranten prüft, kann er sich mit seinem vernichtenden Urteil nicht zurückhalten. 4. Als es dunkel wurde, kehrten wir um. 5. Kaum dass die Ferien kommen, verreisen wir für ein paar Tage. */als, indem, jedesmal wenn, sobald, ehe, bevor, während, wie, solange, sooft, da, kaum dass./*

**10. Verwenden Sie die angegebenen Paare in den Satzgefügen mit Temporalsätzen; gebrauchen Sie dabei das erste Verb im Haupt-, das zweite – im Nebensatz.**

Muster: fertig sein – kontrollieren

Bevor wir mit den Reisevorbereitungen fertig sind, kontrollieren wir noch einmal unser Gepäck.

beginnen-erledigen; eintreten-verhavten; öffnen-atmen; regnen-schließen; wnschen-begegnen; besichtigen-warten; einsteigen-fortfahren; klopfen-öffnen; brauchen-anrufen;erzählen-übersetzen.

**11. Wählen Sie von den rechts angegebenen Konjunktionen die passende Konjunktion aus**

1....... wir ihn zum letzten Mal sahen, fühlte er sich noch sehr schwach „als~ oder „wenn~
2. Immer,...... er uns besucht, freut sich die ganze Familie von Herzen.

3. Ich beschließe für die Familie zu sorgen,...... er aus dem Urlaub zurück ist. „bevor~ oder „bis~
4. Man muss handeln,...... es nicht zu spät ist

**12. Verstärken Sie die Bedeutung der Häufigkeit durch Hinzufügung von unten angegebenen passenden Lexemen.**

Muster:........., wenn jemand an die Tür klopft, springe ich erschrocken auf. – Jedesmal, wenn jemand an die Tür klopft, springe ich erschrocken auf.

l.........., wenn sie lachte, bildeten sich drollige Grübchen an den Wangen. 2.........., wenn unser Nachbar sein Auto zum Stehen bringt, ist das Knirschen der Räder zu hören. 3.........., wenn ich ihn um etwas bitte, ist er bereit, mir zu helfen. 4.........., wenn wir bei unserem alten Onkel sind, erzählt er uns über seine Jugenderlebnisse. 5.........., wenn du schlechter Laune bist, vermeide ich mit dir zu sprechen.

*systematisch, immerfort, jederzeit, ständig, regulär, jedesmal, allemal, immer, stets, regulär.*

**13.Setzen Sie die passenden Temporalkonjunktionen der Gleich-, Vor– oder Nachzeitigkeit ein.**

1. Hs dämmerte gerade,......... ich den Bahnhof verließ. 2. In ihm ging etwas Furchtbares vor sich,......... er diese Worte hörte. 3.......... sich die Frau vor dem Spiegel schminkt, geht der Mann von Ungeduld erfüllt

im Zimmer hin und her. 4. Ich warte so lange,......... ich weiß, was mit ihm geschehen ist. 5. Er fährt in seinem Geschäft fort,......... die Hilfsorganisationen ihn bei seinen Bemühungen tatkräftig unterstützen.

**14. Ersetzen Sie die Temporalsätze durch synonymische Präpositionalgruppe.**

**Muster**: Wenn das Gesetzt **verletzt wird,** muss man notwendige Maßnamen dagegen treffen – **Bei der Verletzung** des Gesetzes muss man dagegen nötige Maßnamen treffen.

1. Wenn er aufsteht, fühlt er starke Schmerzen im Kreuz. 2. Indessen wir durch den Wald wanderten, sahen wir die Hasen in die Büsche schlagen. 3. Der Chef richtete seinen erstaunten Blick zur Tür, als ein unbekannter Besucher ins Zimmer eintrat. 4. Wenn er spricht, hatte er einen Befehlston. 5. Während der Forscher eifrig an diesem Problem arbeitet, muss er beträchtliche Schwierigkeiten überwinden.

**15. Ersetzen Sie Präpositionalgruppen durch synonymische Temporalsätze.**

Muster: Vor dem Sonnenaufgang ist mein Großvater immer schon auf den Beinen. – Bevor die Sonne aufgeht, ist mein Großvater immer schon auf den Beinen.

l. Während seiner Reise durch Georgien lernte er Sitten und Bräuche unseres Volkes kennen. 2. Seit der Verbesserung der Qualität werden die Produkte schneller verkauft. 3. Vor der Ankunft des Betriebsleiters wurden thalle Angelegenheiten erledigt. 4. Während seines Aufenthalts im Ausland machte er Bekanntschaft mit prominenten Wissenschaftlern. 5. Nach der Einschulung hat das Kind bemerkenswerte Fähigkeiten entwickelt.

**16. Verwenden Sie den Nebensatz in eine Partizipialgruppe mit dem Partizip 1. oder Partizip 2.**

Muster: Wenn die junge Lehrerin in Mathematik unterrichtet, bedient sie sieh einer bestimmten Methode. – Die in Mathematik unterrichtende junge Lehrerin bedient sich einer bestimmten Methode.

Als der Vater in seine Familie zurückkehrte, bemühte er sich alle Wünsche der Kinder zu erfüllen. Der in seine Familie zurückgekehrte Vater bemühte sich alle Wünsche der Kinder zu erfüllen.

l. Als die Sonne am Horizont aufgestiegen war, ließ sie das Leben überall pulsieren. 2. Während der Professor ein neues Problem behandelt, macht er die Studenten auf alle Einzelheiten aufmerksam. 3, Als mein ausländischer Kollege unsere Stadt zum ersten Mal sah, konnte er sich ein nettes Fest im Familienkreis. 4. Als die junge Frau einen großen Rosenstrauß band, atmete sie denen betäubenden Geruch ein. 5. Wenn der junge Mann an mir vorbeiging, grüßte er mich immer mit einer Verbeugung.

**17. Übersetzen Sie die nachstehenden Sätze ins Deutsche.**

1. როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი მომიახლოვდა, შევიცანი ჩემი სკოლის მეგობარი. 2. სანამ ეს სტუდენტი გამოცდაზე გამოცხადდება, მან ამ წლის სასწავლო მასალა სრულად უნდა გაიმეოროს. 3. იმ დროს, როდესაც მოსახლეობამ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ბუჩქებში მიიმალა. 4. სანამ მატარებელი დაიძრებოდა, საბაჟოს მოხელეებმა მგზავრების ბარგი შეამოწმეს. 5. დედა თავის პატარა ვაჟს ბევრჯერ ამეორებინებს ლექსს, სანამ ის მას უშეცდომოდ არ ეტყვის.

**18. Analysieren Sie die Sätze syntaktisch und morphologisch.**

1. Er war es sogar selbst, solange er nicht nachdachte. (Br. Apitz). 2. Zum ersten Mal sah sie sein Zwinkern mit dem einen Augen, wenn er scherzte. (H. Fallada). 3, Er blickte ihn so lange ernst an, bis der andere merkte, dass dies kein Tischgespräch mehr war. (H. Mann). 4. Er spendete den Göttern, bevor er trank, (R. Carstensen). 5. Während sie sich hastig anzog, hatte es sich herausgestellt, dass es sich nicht um etwas so einfach handelte. (H. Fallada).

**ლალი რატიანი**

**სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები დროის დამოკიდებულ წინადადებებში**

**რეზიუმე**

ქვეწყობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებებით განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალრიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით. ნაშრომის მიზანია

რთული ქვეწყობილი წინადადებების, კერძოდ დროის დამოკიდებული წინადადებების დაწვრილებითი დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელებისა და სტრუქტურების თავისებურებებისა და მათი განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღწერა, ცნობილი გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი დროის დამოკიდებული წინადადებების სახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სინელეების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა. ილუსტრირებული ენობრივი მასალა გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენის ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

Lali Ratiani

**Structural – semantic Models in the adverbial clause of time**

**Summary**

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by subordinate clauses, schematically they can be presented as numerous structural – semantic models.The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a **adverbial clause of time**, determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on the **adverbial clause of time** taken from famous German authors’works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases. The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.

**მანანა კვატაია**

## გურამ რჩეულიშვილის პოეტური ექსპერიმენტები

ზღვასავით უნაპიროა მისი შემოქმედება, ზღვასავით მოულოდნელი და მრავალხმიანი. უნიჭიერეს ახალგაზრდა მწერალს სხვადასხვა ჟანრში უცდია კალამი, მათ შორის, პოეზიაშიც. „წერდა, რაზეც მოხვდებოდა.. როგორც დღიურები მოწმობენ, მაინცდამაინც კმაყოფილი არ რჩებოდა ამ ექსპერიმენტებით.. ყველა მის მიერ მოსინჯული ჟანრიდან დაუფარავად მოედინება მისი პიროვნება“ (მარინა რჩეულიშვილი). პოეტურმა შემოქმედებამ ავტორის Alter ego-ს სიღრმისეული სივრცეები აირეკლა. ნოვაციური მიგნებები, ზუსტი, ორიგინალური ხატები, ახლებური რიტმიკა თუ აზრის სიღრმით გამოწვეული ემოცია – ის მარკერებია, რომლებიც ასე გამოარჩევს ამ პოეტურ ქმნილებებს.

გურამ რჩეულიშვილს უარი უთქვამს ტრადიციულ, გარითმულ სტრიქონებზე: „ო, მაღალო ბუნებავ, თუ დამბადე პოეტად, რითმის გრძნობაც უნდა მოგეცა“, – წუხს იგი 1960 წლის ჩანაწერში. მწერლის არჩევანი თავისუფალ, არაკონვენციურ ლექსზე შეჩერდა და ამით ის ერთგვარად პოეზიის შორეულ ფესვებსაც მიეახლა. „არქაული ფორმა ქართული წყობილსიტყვაობისა შედარებით უფრო თავისუფალი, ურითმო ლექსი უნდა ყოფილიყო. იგი დღესაც შემორჩენილია ზოგიერთ ქართველურ ენასა და დიალექტში“ (აკაკი ხინთიბიძე).

1960 წელს შექმნილ უსათაურო ლექსში გურამ რჩეულიშვილი ასახელებს იმ პირველმიზეზს, რამაც მას პოეზიის უცნობ სივრცეთა სიღრმეებისაკენ უბიძგა.

„რადგან ლექსების წერა დავიწყე,
უნდა ვთქვა კიდეც, რა მიყვარს ლექსში:
მე ვეტრფი, მე ვგრძნობ, მე ხოტბას ვასხამ

იმ პოეტურ ბუნდოვანებას, რომლის თითოეული
ნაწილიც სინათლით სუნთქავს“.

ლექსში არამიწიერ ნათელს, ენიგმურ ზებუნდოვანებას ადევნებული, ასტრალურ განზომილებაში გადასახლებული შემოქმედის ხატი ექსპრესიულად იკვეთება:

„ტრამალის შუაში დავდექი მე მარტოკა
იმდენი სივრცე და ჰაერი იყო გარეშემო
რომ სუნთქვის მეშინოდა.
დაიკარგა მზე თავის ზენიტში
დაიკარგა ჩემი სხეული უსასრულო მხარეში და
უცებ უცნაური ძალით ვიგრძენი ჩემი არსებობა“.

„მე მომერია დიდი სურვილი დავწერო ჩემი ბიოგრაფია“, – ვკითხულობთ სხვა, ასევე კონცეპტუალურ ლექსში. აქ ავტორი პირობას დებს: „ვეცდები ვიყო მორიდებული ზედმიწევნით და თავმდაბალი“. მწერალი ჩამოთვლის თავის საუკეთესო თვისებებს, საუბრობს მეგობრებზე, რომელთა შორის არ არიან: დანტე, უიტმენი, ტოლსტოი. სამაგიეროდ, რჩეულიშვილის სიმპათია დაუმსახურებია მეფე ოიდიპოსს – „თავისი ვნებით, თავისი ბედით“, ჰამლეტს – ყველა სისუსტით, ჩაილ ჰაროლდს, ნაპოლეონს – თავისი პოზით, ჰიტლერს – თავისი სიგიჟით. მწერალს იტაცებს ბედისწერა, „როგორც ერთობა კაცისა და ბუნების ყველა კანონების“. მას ხიბლავს ბალახი თავისი სიჩუმით, „და კაცი თავისი ნერვიული ხმით“. მრავლისმთქმელია ავტორის მხატვრული მიგნება: „მე ვიცი; ცოცხალ სამყაროს აქვს ორი ხმა: კაცის და მხეცის“.

გურამ რჩეულიშვილის პოეტური ექსპერიმენტები ოცდამეერთე საუკუნის პოეზიასაც ეხმიანება. ავტორი მინიმალიზმის მიმდევრად გვევლინება: მისი სტილური ნოვაცია ტროპთა, მეტაფორათა მინიმალისტური გამოყენების ტენდენციისაკენ იხრება, ამასთან, აქცენტი აზრზე, განცდასა თუ განწყობაზე გადადის.

მინიმალიზმი, როგორც მხატვრული აზროვნების ესთეტიკური კონცეფცია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყებს დამკვიდრებას და 1960-იან წლებიდან უკვე ფართოდ ვრცელდება. მის საწყისებს ხედავენ კონსტრუქტივიზმში, დადაიზმში, ფუტურიზმში, აბსტრაქციონიზმსა და მშრალ გეომეტრიზმში, რაც მთავარია, პოპ-არტში. მინიმალისტურ ქმნილებაში აქცენტი ვიზუალურ მხარეზე გადადის და ხაზგასმულია წმინდა ფორმალისტური ძიებანი.

პოეტურ ექსპერიმენტებში გურამ რჩეულიშვილი ზუსტი, მინიმალისტური კონტურებით გადმოსცემს მეგა-სამყაროს უთვალავ, ხშირად მოულოდნელ, ფერს, წახნაგს, ხმას. აი, ერთი ფრაგმენტი:

„კლდეებს შუა ქუჩი ამოსულა –
მომწვანო, სწორი ბალახი.
ქუჩის შუა გადის ბილიკი
მორუხო.
დილით აივლის ნახირი“.

ექსპრესიული სტრიქონები ფერწერულ ტილოს გვაგონებს, თხზვის მინიმალისტური მანერა კი განცდის სიღრმეს აძლიერებს. იმავე ლექსის სხვა სტროფში გარემოს შთამბეჭდავ სურათს ავტორის ხატიც ემატება:

„მთა მაღლა ხეობაზე,
ხეობა – დაბალი მთაზე,
მე ვზივარ ხეობაში
და
ვფიქრობ ზღვაზე“.

ლექსი „ყავის სმა“ სიტყვისმიერი ნატურმორტის შთაბეჭდილებას ტოვებს. საგანთა რიტმიკა, ფერთა ორიგინალური გამა თუ გრადაცია ერთმანეთში გეომეტრიულად გადადის და განუმეორებელ წარმოსახვით სივრცეს გვთავაზობს:

„სუფრა ყვითელი
დოქი დოქისფერი

დოქი შავი
დოქი შავი და ყავისფერი
ფინჯნები უფერული
კედლები მწვანე, წითელი
სუფრა ყვითელი
სკამები ჟამი“.

ირკვევა, რომ გურამ რჩეულიშვილს იაპონური პოეზია იზიდავდა. მის არქივში შემონახულა იაპონური პოეზიის კრებული, ერთ-ერთ დღიურში კი მწერალს ჩაუნიშნავს: „იაპონური პოეზიის გავლენით დავიწყე მინიატურების წერა“. მას სულ 25 მინიატურა შეუქმნია.

სამსტრიქონიან ლექსში, რომლის სათაურია „ქმრის დაბრუნება“ ავტორი ქარის თანხლებით, მინიმალისტური ნახევარტონებით წარმოადგენს უძლიერეს განცდას:

„ქარმა მოუბერა ხრიოკში:
მტვერი ავარდა სადღაც
ცრემლი შეიმშრალა ქალმა“.

თვალში საცემია რჩეულიშვილის პოეზიის ურბანისტული ხასიათი. ცხოვლად ჩარჩენია მწერლის ცნობიერებას ქალაქის პეიზაჟის ფრაგმენტები. ის საკუთარ თავსაც ამ პეიზაჟის ნაწილად აღიქვამს:

„ტრამვაი მიგორავს ქუჩაზე,
ქუჩა არ არის ფართო,
ქუჩა არ არის ვიწრო.
გურამი დგას და იცდის,
ეწევა სიგარეტს „პრიმას“.
ტრამვაი მიდის“.

მძაფრი, ძალზე ორიგინალურია გურამ რჩეულიშვილის მიმართება პატრიოტიზმთან. ერთ-ერთ რუსულენოვან ლექსში ის წერს, რომ მას სძულს სიცრუე, ყოველგვარი „იზმი“ და, განსაკუთრებით, პატრიოტიზმი. თუმცა ზოგან ავტორის პატრიოტული მუხტი უძლიერესია. ამის დასტურია ლექსი „მე მომერია დიდი სურვილი, დავწერო ჩემი ბიოგრაფია“, სადაც იმედგაცრუებული მწერალი ბედისწერასაც კი საყვედურობს:

„რატომ ტოვებ ჩრდილში
რუსთაველს და საქართველოს,
რატომ? რატომ? რატომ?
ხომ არ გეშინია საკუთარი თავის?“

ღრმა, ტკივილიანი, ტრაგიკული და მოულოდნელია იმავე ლექსის ბოლო რეფრენი:

„დამალეთ, დამალეთ, დამალეთ
ეს ქვეყანა!“

ტრაგიკულ აღსასრულამდე მცირე ხნით ადრე გურამ რჩეულიშვილის ლექსებში განსაკუთრებული სიძლიერით ზღვის სტიქიონის შეგრძნება და დაღუპვის გარდუვალობის პროვიდენციალური განცდა იკვეთება. მწერლის აფორიაქებულ ფიქრებში შემოიჭრება მიუსაფარი მეზღვაურის ხატი, საკუთარი ბედისწერის შესახვედრად რომ მიეშურება:

„წინ, სულელო მეზღვაურო,
წინ, სულელო ქარივით
უბინაოვ ქარივით
უგზოვ ქარივით..
ჭკვიანი ხედავს და არ ეშინია
მხოლოდ სულელი ვერ ხედავს ვერაფერს
ვერც ტალღას, ვერც წვიმას, ვერც ქარს, ვერც ზღვას“.

ამორფული პოეტური ხატები სასტიკმა რეალობამ შესცვალა: პოეტის მეგობარი ნუგზარ წერეთელი გაგრელ თვითმხილველთა მოგონებაზე დაყრდნობით აღადგენს 1960 წლის 23 აგვისტოს გურამ რჩეულიშვილის დაღუპვის სურათს: ადამიანთა გადასარჩენად მღელვარე ზღვაში შე-

სულმა გურამმა „მუქი რუხი, ჯიბეებიანი ხალათი პლიაჟზე მიაგდო, გაბედული და გამოცდილი მოცურავის მსგავსად უზარმაზარ ტალღებს ქვეშ შეუვარდა.. ბედისწერა უკვე ტალღებზე იდგა. გურამი იბრძოდა, ნაპირისაკენ მოდიოდა, მოისწრაფოდა, ვეებერთელა ტალღა კი უკან აბრუნებდა. მერე.. კიდევ გაიბრძოლა, ერთხელ ახედა დაბლა დაწეულ ცას და ტალახისფერ ტალღებში გაუჩინარდა.. თითქოს სიკვდილს ეთამაშებოდა, თვალებში უყურებდა და არც უფრთხოდა“.

„დაუმთავრებლობა! – აი, ჩემი სუფთა ქართული, ყველაზე ადამიანური ტრაგედია,“ – ჩაუწერია გურამ რჩეულიშვილს ერთ-ერთ დღიურში. მართლაც, მწერლის ცხოვრების გზა და მისი დიდი შემოქმედება ტალღებზე მდგარმა ბედისწერამ დაუმთავრებლობის დაღით აღბეჭდა!

## თავისუფლება - სიცოცხლის არსი

(სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 130 წლისთავისათვის)

გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის მაქსიმა: “თავისუფლება არის სხივური ელემენტი ადამიანში”. ბოლშევიკურ რეჟიმთან დაპირისპირებული 1920-1930-იანი წლების ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა სულიერი აზრისის ეს უმთავრესი მარკერი მათი ტრაგიკული ხვედრის განმსაზღვრელიც გახდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ქვეყნის თუ პიროვნული თავისუფლებისათვის რეპრესირებული ადამიანების სამოქალაქო თავგანწირვის დოკუმენტებიცაა. მათ შორისაა თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რეჟისორ სანდრო ახმეტელის საქმეები, რომლებიც მისი პოლიტიკური ბიოგრაფიის საინტერესო მომენტებს წარმოაჩენს.

ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელი 1886 წლის 1 (14) აპრილს სიღნაღის სოფელ ანაგაში დაიბადა. მამა – ვასილ ახმეტელაშვილი ანაგის ეკლესიის დიაკვანი იყო, დედა მარიამ ოდიშელიძე გახლდათ.

1900 წელს სანდრო ახმეტელმა სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. ოჯახის განჯაში გადასვლის შემდეგ მომავალი რეჟისორი განჯის გიმნაზიის მოსწავლე გახდა. აქედან ჭაბუკი თავისუფალი აზროვნების გამო გაურიცხავთ. ს. ახმეტელი თბილისის გიმნაზიაში აღუდგენიათ, რომლის ინსპექტორი მაშინ ექვთიმე თაყაიშვილი ყოფილა.

თავისუფალი აზრის გამოხატვისათვის სანდრო ახმეტელი 1905 წელს დაუპატიმრებიათ. შემდეგ იგი თელავში გადასულა, სადაც გაუცნია მწერლისა და პუბლიცისტის, ივანე როსტომაშვილის ქალიშვილი ტასო და 1907 წელს მასზე დაქორწინებულა. ამავე წელს მასთან ვაჟი – შალვა შესძენია.

1916 წელს სანდრო ახმეტელმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1910-იანი წლებიდან ის საქართველოს პერიოდულ პრესაში ეროვნული სულისკვეთების პუბლიცისტურ თუ თეატრალურ წერილებს აქვეყნებდა.

1910 წელს ახმეტელმა ქვემო მირზაანში დადგა ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის ”ღალატი”, 1919 წელს - თბილისის საოპერო თეატრში დიმიტრი არაყიშვილის “თქმულება შოთა რუსთაველზე”. 1920 წელს სანდრო ახმეტელი მიიწვიეს რეჟისორად თბილისის ქართულ თეატრში, სადაც დაუდგამს ს. შანშიაშვილის “ბერდო ზმანია”. 1923 წელს კოტე მარჯანიშვილს ახმეტელი თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორად მიუწვევია. შემდეგ იგი იყო ამ თეატრის მთავარი რეჟისორი, 1926-1935 წლებში – სამხატვრო ხელმძღვანელი.

სანდრო ახმეტელი გახლდათ მსახიობთა კორპორაცია “დურუჯის” დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1924), ის იყო კოტე მარჯანიშვილის მოწაფე და მისი მრავალი დადგმის თანაავტორი. მისი რეჟისორობით დაიდგა ს. შანშიაშვილის “ანზორი” (1928), შ. დადიანის “თეთნულდი” (1931), გრ. რობაქიძის “ლამარა” (1930) და ა.შ. პიესა “ლამარა” 1930 წელს მოსკოვში წარმოადგინეს. მისმა რეჟისორულმა გადაწყვეტამ და ეროვნულმა სულისკვეთებამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად ხელისუფლების მოთხოვნისა, პიესა ახმეტელმა რეპერტუარიდან არ მოხსნა. ამავე წელს ბერიას უშუალო ბრძანებით რუსთაველის თეატრი საზღვარგარეთ გასტროლებზე არ გაუშვეს. დოკუმენტური მასალის მიხედვით, აგენტთა დასმენებზე აგებული წერილობითი მოხსენებების საფუძველზე ლავრენტი ბერიამ მოგვიანებით “საიდუმლო განცხადე-

ბა გაუგზავნა საქართველოს ცკ-ს პირველ მდივან შალვა ელიავას, სადაც კორპორაცია "დურუჯი" გამოყვანილია ნაციონალ-შოვინისტურ, ანტისაბჭოთა ორგანიზაციად და მოითხოვა მისი დახურვა" (მეგრელიძე 2008: 14). "1934 წლისათვის "დურუჯი" უკვე ფაშისტურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციად კვალიფიცირდება" (კიკნაძე 1999: 11).

ცნობილი რეჟისორი პოლიტიკურ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობდა. 1905-1912 წლებში იგი ყოფილა ბოლშევიკთა პარტიის წევრი, 1917 წელს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ხოლო "იმავე წელს ამ პარტიის დამფუძნებელ კრებაზე გათიშვის შემდეგ, მან შექმნა რადიკალურ-დემოკრატიული პარტია. 1921 წელს რადიკალურ-დემოკრატიული და ნაციონალურ-დემიკრატიული პარტიები გაერთიანდნენ საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით " (მეგრელიძე 1992: 47-48).

სანდრო ახმეტელი 1922 და 1923 წლებში არალეგალური საქმიანობისათვის დააპატიმრეს, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალებითაც დასტურდება. 1922 წლის 17 მაისს გაუციათ ახმეტელის დაპატიმრების ორდერი, საიდანაც ირკვევა, რომ რეჟისორი 26 მაისის ნავარაუდევ გამოსვლებში მონაწილეობასთან დაკავშირებით დაუკავებიათ (*ფ. 6, საარქივო №23311, ტ.2, ყუთი 55 – ალექსანდრე ახმეტელის საქმე).* აქვე დაცულია ნაცრისფერი ქაღალდის მეოთხედზე ფანქრით სანდრო ახმეტელის მიერ რუსულად დაწერილი ბარათი: "ძვირფასო ლადო! მე საქართველოს საგანგებო კომისიის განკარგულებით დამაპატიმრეს. შენი საშა. 17. V. 22."

დაკავებული რეჟისორის ანკეტაში მითითებულია, რომ ის არის 34 წლის, დაამთავრა უნივერსიტეტი, გახლავთ ქართული თეატრის რეჟისორი, საქართველოს სახელმწიფო აკადემიური თეატრის მმართველი. აღნიშნულ საქმეში არსებული რუსულენოვანი დადგენილების მიხედვით, 1922 წლის 15 ივლისს გამომძიებელ ვ. ქავთარაძეს განუხილავს "ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელის (35 წლის, რეჟისორი, უპარტიო) საქმე № 1242, კონტრრევოლუციისა და ჯაშუშობის ბრალდებით". გამოძიებისა და საქმეში არსებული მასალების შესწავლით ქავთარაძეს მიუთითებია, რომ "აღძრული ბრალდება ფაქტიურად არ მტკიცდება" და დაუდგენია: "საქმე №1242 გამოძიებით შეწყდეს და გადაეცეს არქივს. მოქ. ახმეტელისაგან აღებული ხელნაწერილი გაუქმდეს და ჩამორთმეული ნივთები დაუბრუნდეს". ცნობაში აღნიშნულია, რომ მოცემული საქმისათვის დაპატიმრებული ს. ახმეტელი, რომელიც იზოლირებული იყო 26 მაისის ნავარაუდევი გამოსვლების გამო, ხელმოწერით გაუთავისუფლებიათ.

1923 წლის 8 მაისს სანდრო ახმეტელი უფრო მძიმე მოტივით დაუკავებიათ. მას ამჯერად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობა და "სამხედრო ცენტრთან" თანამშრომლობა ბრალდებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სანდრო ახმეტელის მეორე სისხლის სამართლის საქმე (*ფ.6, საარქივო № 23311, ტ.2, ყუთი 55),* სადაც დაპატიმრების ფურცელში (რუსულად) აღნუსხულია ბრალდებულის ანკეტური მონაცემები: ალექსანდრე ახმეტელი, 36 წლის, უმაღლესი განათლებით, სახელმწიფო თეატრის რეჟისორი. მისი ოჯახის წევრთაგან დასახელებულნი არიან: მეუღლე ანასტასია, 35 წლის, ტელეგრაფისტი, ორი ვაჟი: შალვა, 16 წლის, ჯუანშერი, 6 წლის.

აქვე ინახება სანდრო ახმეტელის ხელით რუსულ ენაზე დაწერილი ავტოგრაფი – "ბერტრან-დე-ბორნ"-ის მოქმედი პირნი და შემსრულებლები, რომელთა შორის დასახელებულნი არიან რუსთაველის თეატრის მსახიობები: უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, გ. დავითაშვილი, ა. ვასაძე, ა. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, ც. ამირაჯიბი და სხვები. შევნიშნავთ, რომ ს. ახმეტელის "დოკუმენტებისა და ნარკვევების" სამტომეულის I წიგნში შეტანილ 1923-1924 წლების ერთ-ერთი სარეპეტიციო დღიურში, რომელიც 19 სექტემბრით თარიღდება, ნათქვამია: "რეჟისორ ახმეტელის აზრით, ეს პიესა თავისი ფორმით ყველაზე ძლიერი ექსპრესიონისტული პიესაა.. რეჟისორი თვითონ კითხულობს პიესას რუსულ ენაზე. თარგმანი არ არის დასრულებული და შესწორებული. მთარგმნელს ტ. ტაბიძეს უნდა მოეთხოვოს სასწრაფოდ დაამთავროს ამ პიესის თარგმნა" (ახმეტელი 1978: 226). აქ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ "ბერტრან-დე-ბორნის" მთარგმნელი ტიციან ტაბიძე ყოფილა.

დაპატიმრების დღესვე, 1923 წლის 8 მაისს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის I განყოფილების უფროსის თანაშემწე ზალპერტს განუხილავს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის

კომენდატურის მიერ დაკავებული მოქალაქე ახმეტელის მიმართ მომზადებული საბრალდებო მასალა და განკარგულება გაუცია: სანდრო ახმეტელი, როგორც ნაციონალ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ციხეში დაეკავებინათ და მიემაგრებინათ I განყოფილებისათვის.

სანდრო ახმეტელის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია რეჟისორის ჩვენება (რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი), რომელიც დათარიღებულია 1923 წლის 10 მაისით: "1917 თუ 1918 წლის დასაწყისში ვიყავი ქიზიყის (ადგილი სიღნაღის მაზრაში) წარმომადგენელი. ადგილობრივმა ინტელიგენციამ "რადიკალ-დემოკრატების გლეხური პარტია" დააარსა. დამფუძნებელ კრებაში არჩევნების შემდეგ ეს პარტია დაიშალა. მე ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შევდიოდი. "რადიკალ-დემოკრატების გლეხური პარტია" იდგა საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთელი მიწის გლეხებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის ნიადაგზე. მოსახლეობის სხვა ფენებს მიწა მიეცემოდათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიწას ამუშავებდნენ. მიწის საკითხთან დაკავშირებით ვებრძოდით მენშევიკებს ნორმების გამო და ნაციონალ-დემოკრატებს, როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. პარტიის დაშლის შემდეგ მე არცერთ პარტიაში არ შევსულვარ."

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის რწმუნებულ პეტროსიანს 1923 წლის 15 მაისის დადგენილებაში აღუნიშნავს, რომ განიხილა საქმეები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შემდეგი წევრებისა: "1. სერგი იოსების ძე დანელიასი, 34 წლის, 2. დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილისა, 40 წლის, 3. მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილისა, 43 წლის, 4. ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელისა, 36 წლის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით შეიარაღებული აჯანყების, ბანდიტური ჯგუფებისა სხვა დანაშაულობათა ორგანიზების ბრალდებით". ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოგილევსკის განკარგულებით, ყველა ზემოხსენებული საქმე შესასწავლად საქართველოს საგანგებო კომისიისათვის გადაუციათ.

1923 წლის 3 აგვისტოს დადგენილებიდან ცნობილი ხდება გამოძიების შედეგები. საქართველოს საგანგებო კომისიის რწმუნებულ ნ. ჟაროვს განუხილავს 36 წლის ალექსანდრე ახმეტელის საქმე № 1293, კონტრრევოლუციაში მის მონაწილეობაზე და მიუთითებია საქმის გარემოებები: "საქართველოს მოსახლეობაში ახმეტელის დიდი პოპულარობის გამო ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა არალეგალურმა კომიტეტმა ავტორიტეტისათვის თავის შემადგენლობაში ახმეტელის კოოპტირება მოახდინა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.წ. იანვარში ახმეტელი ესწრებოდა დიმ. ჯავახოვის ბინაზე ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის არალეგალურ სხდომას, იცნობდა არალეგალური კომიტეტის მთელ შემადგენლობას და მათი საქმიანობის ნაწილს."

რწმუნებულ ჟაროვს გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ სანდრო ახმეტელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაშლის დეკლარაციაზე მოუწერია ხელი და დაუდგენია: "გამოძიება დამთავრებულად ჩაითვალოს და არქივს ჩაბარდეს. დაპატიმრებული ახმეტელი გათავისუფლდეს. გაჩხრეკისას ჩამორთმეული დოკუმენტები მას დაუბრუნდეს".

მკვლევარ ვასილ კიკნაძეს მოჰყავს ლ. ბერიას მიერ 1930 წელს შედგენილი დოკუმენტი, სადაც მითითებულია: "1923 წელს, "სამხედრო ცენტრის" დაპატიმრების დროს, ახმეტელი მიეცა პასუხისგებაში, როგორც "სამხედრო ცენტრის" აქტიური მონაწილე. 1924 წლიდან ხელმძღვანელობს ანტისაბჭოთა ორგანიზაცია "დურუჯს" თეატრის შიგნით|" (კიკნაძე 1999: 6). ვ. კიკნაძე რეპრესირებული რეჟისორის დევნის ჭეშმარიტ მიზეზსაც გამოკვეთს: "სანდრო ახმეტელი თავის ეროვნულ თეატრს იმ წლებში ქმნიდა, როცა შემოქმედებაში გაბატონებულ ადგილს იჭერდა საბჭოური ინტერნაციონალიზმის დოქტრინა.. ეროვნულის უზენაესობის აღიარებას მისი თეატრისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა" (იქვე, გვ. 8).

დიდი რეჟისორის ბიოგრაფები იმასაც მიუთითებენ, რომ რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელს - სანდრო ახმეტელსა და წამყვან მსახიობებს – აკაკი ვასაძესა და აკაკი ხორავას შორის დაპირისპირება ხელისუფლებამ ახმეტელის თანამდებობიდან გათავისუფლების საბაბად გამოიყენა.

ახმეტელი სამუშაოდ მოსკოვის "მწვანე თეატრში" გადავიდა. 1936 წლის 19 ნოემბერს ის სწორედ ამ თეატრში დააკავეს და მოსკოვიდან თბილისში ეტაპით ჩამოიყვანეს. მისი დაპატიმრების ბრძანება 1936 წლის 6 დეკემბერს გაცემულა.

დიდხანს გრძელდებოდა სანდრო ახმეტელის წამება. ბერიას მითითებით, დაუძლურებული ახმეტელი მანქანით რუსთაველის პროსპექტზე გაუტარებიათ, რათა ხალხს ენახა, რა ბედი ელოდა "ხალხის მტერს და მავნებელს".

დაპატიმრებულ რეჟისორს ბრალდებოდა ჯაშუშური საქმიანობა ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ, ასევე, ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაციის წევრობა, ხელოვნების სფეროში მავნებლური საქმიანობა და თვით სტალინისა და ბერიას ფიზიკური განადგურების განზრახვა. ბრალდების მიხედვით, ახმეტელმა "შექმნა მეამბოხე სამხედრო დაჯგუფებები ბაქოში, სოხუმში, გროზნოში, სტალინირსა და საქართველოს რიგ რაიონებში. ამ მეამბოხე სამხედრო ჯგუფებში პირადად "გადმოიბირა" 35 ადამიანი" (საარქივო.. 2008: 38). ჩეკისტებმა ახმეტელის მეუღლე – თამარ წულიკიძე-ახმეტელიც დააპატიმრეს.

1937 წლის 28 ივნისს რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ალექსანდრე ახმეტელსა და ამავე თეატრის თანამშრომლებს პლატონ კორიშელს, ელგუჯა ლორთქიფანიძეს, გია ქანთარიასა და ივანე ლაღიძეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა (ქონების კონფისკაციით), ხოლო თამარ წულუკიძე-ახმეტელს, ბუჟუჟა შავიშვილსა და ნინო ღვინიაშვილს - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სანდრო ახმეტელი დახვრიტეს 1937 წლის 29 ივნისს. გადმოცემის მიხედვით, დახვრეტის წინ დიდი რეჟისორის სურვილი ყოფილა, მისთვის ქართველს არ ესროლა, რაც შეუსრულებიათ კიდეც. 1956 წლის 11 თებერვალს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, სანდრო ახმეტელი და მისი მეუღლე რეაბილიტირებულნი იყვნენ.

**დამოწმებული ლიტერატურა:**


1. ახმეტელი 1978: ახმეტელი ს. დოკუმენტები და ნარკვევები სამ ტომად, წ. 1, თბილისი: საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1978.
2. მეგრელიძე 2008: მეგრელიძე გ. რატომ დააჭერინა სანდრო ახმეტელი ლავრენტი ბერიამ? – ჟ. "გუმბათი", 2008, №38.
3. მეგრელიძე 1992: მეგრელიძე გ. სანდრო ახმეტელი და ეროვნული მოძრაობა. – ჟ. "თეატრი და ცხოვრება", №6, 1992.
4. კიკნაძე 1999: კიკნაძე ვ. ახმეტელის პოლიტიკური პორტრეტისათვის. – ჟ. "ხელოვნება", 1999, №9.
5. საარქივო.. 2008: კლდიაშვილი გ., ავალიშვილი ლ. სანდრო ახმეტელის საქმე. – ჟ. "საარქივო მოამბე", 2008, №1 (აპრილი).

# ხელოვნება

რუსუდან ფაილოძე



## ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიული საწყისები

ტერმინი „ქორეოგრაფია“ ბერძნულ ენაზე პირდაპირი მნიშვნელობით ცეკვის ჩაწერას, ანუ ცეკვის აღწერას ნიშნავს. „ქორეა“ – ცეკვას, „გრაფია“ კი აღწერას. ტერმინმა ქორეოგრაფიამ ქორეოგრაფიული ცეკვის ხელოვნების აღმნიშვნელი სახელწოდება მიიღო და დღეს მას ცეკვის შესრულებისა და დადგმის ხელოვნებას უწოდებენ.

რა არის ცეკვა? ცეკვა ეს არის ადამიანების მიერ მოქმედებისა და გრძნობების პლასტიკური ხერხებით გამომხატველი ხელოვნება. ძველად იგი ადამიანთა სულიერი აღზრდისა და გონებრივი განვითარების წყაროს წარმოადგენდა. ამის დამადასტურებელია ჩვ. წ. აღ II საუკუნის ბერძენი მწერლისა და ისტორიკოსის ლუკიანე სამოსატელის (120-200) ცნობა ცეკვაზე, რომ „ცეკვა არ არის იოლი საქმიანობა, რადგანაც იგი მოითხოვს ყოველი მეცნიერების მაღალ დონეზე შესწავლას, არა მარტო მუსიკისა და რიტმიკის, არამედ გეომეტრიისა და ფილოსოფიისა“.

ასე რომ, ცეკვა უძველეს წარსულში იღებს სათავეს და მეცნიერ-მკვლევარები ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ცეკვა წარმოიშვა ნადირობასთან. რადგან ნადირობა წარმოადგენდა ადამიანთა შრომის კოლექტიურ პროცესს, რომელშიც მრავალრიცხოვანი შემსრულებელი მონაწილეობდა. თავდაპირველად ცეკვა ფერხულის სახით სრულდებოდა, რომელსაც წრიული ფორმა ჰქონდა, რასაც განაპირობებდა ნადირობის დროს ნადირთა წრეში მოქცევა და შემდეგ მათზე თავდასხმა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების საწყისების შესწავლა საქართველოში შემორჩენილი იმ უძველესი ფერხულების განხილვით იწყება, რომლის მსგავსი არ მოეპოვება მსოფლიოს სხვა ცილილიზებულ ერებს. აი, რას წერს აღნიშნულზე ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდი მოამაგე, თეორეტიკოს-პრაქტიკოსი ქორეოგრაფი, მეცნიერ-მკვლევარი ავთანდილ თათარაძე თავის ნაშრომში – „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები“. მაში ვკითხულობთ: „ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველების გარდა ცივილიზებულ ერებში რომელიმეს გააჩნდეს ისეთი უძველესი წარმოშობის ქორეოგრაფიული ნიმუშები, რომლის საფუძველიც მატრიარქატის ხანას უკავშირდება, შინაარსი კი ნადირობის ღვთაებათა თაყვანისცემას. დიდი მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი წინაპარი, კერძოდ, სხვანეთის ძველი თაობა, რომელმაც ჩვენს საუკუნემდე „ცოცალი სახით“ შემოგვინახა ანტროპომორფიზმის პერიოდის ისეთი უძველესი ქორეოგრაფია, როგორიცაა, ნადირობის ქალ – ღვთაების დალის, სათაყვანებელი ფერხულის სახელწოდებით – „დალა კოჯა ხელღვაჟალე“ (დალი კლდეში მშობიარობს) და „ბაილ ბეთქილი“, რომელთა წარმოშობის საფუძველი უშუალოდ უკავშირდება ადამიანთა განვითარების იმ პერიოდს, როდესაც მათი ძირითადი საქმიანობა ჯერ კიდევ ნადირობა იყო“.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიული წარსული არ გამორიცხავს ასევე ზოომორფიზმის ნიმუშების არსებობასაც. რომელთა შორის აღსანიშნავია თრიალეთის გათხრების შედეგად ნაპოვნი ძვ.წ.აღ -მდე II ათასწლეულის შუა ხანის ვერცხლის თასი, რომელზეც გამოსახულია მხეცისთავიანი ტუნიკით მოსილი 23 არსების საფერხულო მსვლელობა შენიღბული პერსონაჟის გარშემო.

თასზე გამოსახული სცენის შესახებ, ესა თუ ის მეცნიერი თავისებურ ვარაუდს გამოთქვამს. მაგ: კუფტინის აზრით, „თასზე ასახული სცენა თავდაპირველად ნადირობის ღვთაებასთან

იყო დაკავშირებული, შემდეგ კი ეს ღვთაება ბუნების აღორძინებისა და ნაყოფიერების ღვთაებად იქცა გარდაქმნილი".

ბატონი შალვა ამირანაშვილი აღნიშნავს: „ვერცხლის თასზე გამოსახული სცენა გამოხატავს ნიღბოსანთა მოძრაობას სამსხვერპლოს გარშემო წრის შიგნითა და ნიღბოსანი პერსონაჟით".

ზოომორფიზმის უძველეს ქორეოგრაფიულ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ძვ.წ. აღ I ათასწლეულის შუა ხანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ითიფალური ქანდაკებები. კერძოდ, რიონში, ხევსურეთში, კავკავსა და დაღესტანში. ასევე საინტერესოა, ნიჩბისის არქეოლოგიური გათხრების შდეგად აღმოჩენილი ძვ.წ.აღ I ათასწლეულის ბრინჯაოს სარტყელი, რომელზეც გამოსახულია ცხოველის ნიღბებით მორგულ მამაკაცთა ცეკვის ორი მომენტი. აქ ნადირობის სცენა კი არ არის წარმოდგენილი, არამედ, ირმებს შორის ვხედავთ მოცეკვავეების ცეკვას.

ბატონი ავთანდილ თათარაძე თავის ნაშრომში „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები" განმარტავს, რომ „ფერხულის ტიპის მასობრივი ცეკვის გავრცელების სფერო ძველად მოიცავდა თითქმის მთელ მსოფლიოს და ყველა მათგანს ძირითადად წრიული ფორმა ჰქონდა".

ასე რომ, ფერხული, როგორც მასობრივი ცეკვის საწყისი ფორმა და საერთოდ ქორეოგრაფიის ისტორიის საფუძველი დამახასიათებელი იყო არა მარტო საქართველოს ყველა კუთხისათვის, არამედ იგი უნდა მივიჩნიოთ მსოფლიოს ხალხების საცეკვაო ხელოვნების საწყისად, რომლებმაც ერთნაირად გაიარეს ველურობის განვითარების საფეხური და მასთან დაკავშირებული ფერხულების წარმოშობის პროცესიც.

რაც შეეხება ტერმინ „ფერხულს" სულხან-საბა-ორბელიანი თავის ლექსიკონში ასე განმარტავს: „ფერხული – მრგვალწყობა", ხოლო დიმიტრი ჯანელიძე თავის ნაშრომში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები" თბ.1943 წ, გვ 154 – ამბობს „...მონადირენი ლამპარსა ანთებულსა მხარსა შეიდებდნენ, ეგრე მრგვალსა დააბმენ".

სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში მოხსენიებული „მგვალის" ახსნისათვის მეტად საინტერესოა ის, რომ სვანეთში „მურგვალ" ნიშნავს მთელს, ყოველს. ფერხულის ფეხების მოძრაობათა ნაერთს „მურგვალ ჭიშხი".

ფერხულის აღმნიშვნელ ტერმინად ასევე გვხვდება „ძნობა". ივ. ჯავახიშვილი ასე აღნიშნავს „მძნობარი" მოცეკვავეთა გუნდს ნიშნავს. „რაკი გაირკვა, რომ ძნობა, ძნობრი და მძნობარი, გუნდობრიობის გამომხატველი ყოფილა, ამიტომ საფიქრებელია, რომ იმავე ძირის სიტყვა იყოს რა ძირისაც „ძნაა", რაც სულხან-საბა-ორბელიანის განმარტებით „ყანის კონას ნიშნავს".

Впоследней четверти XI века, в 1083-1086 годах, Григол Бакурианисдзе, великий Доместик и Випатос, основал грузинский монастырь в Петрицони (ныне Бачковский монастырь на территории Болгарии). В Византии этого периода было много грузин, активно действующих как научной, так и на политической и культурной арене. Императрица Византии Марфа//Мариам, дочь грузинского царя Баграта IV, грузинские военачальники, братья Григол и Абас Бакурианисдзе были покровителями грузинских ученых и деятелей искусства [49, 70]. Григол Бакурианисдзе составил церковный типикон на грузинском и греческом языках, а для составления типикона требовалось глубокое научное знание богословия и церковного права. При монастыре была открыта духовная семинария, где изучались: Святое Письмо, грамматика, риторика, диалектика. Просветительский центр Петрицони являлся важной школой и новой ступенью науки и высшего образования для Грузии.

Выдающийся богослов и переводчик XI века, святой Ефрем Мцире, уже тогда высказал мысль о необходимости союза богословия и философии.

До 70-х годовXI века в Афинском монастыре трудился наставник святого Георгия Мтацмидели святой Георгий Шекенебули (Затворник). Во второй половине XI века богословскую школу на Черной (Дивной) Горе возглавил Ефрем Мцире, создавший новый этап в переводческой практике: он внедрил новый метод, опирающийся на тенденцию максимальной приближенности грузинского перевода к оригиналу. Переведенные им сочинения называют формальным эквивалентом подлинника. Колофоны, составленные святым Ефремом Мцире – это глубоко научные труды по богословским вопросам, которые имеют научное значение, при помощи колофонов выясняются вопросы авторстваили перевода сочинений, возможность датирования сочинения и перевода. Святой Ефрем Мцире в своих колофонах впервые в истории грузинского стихосложения определил формы грузинского песнопения.



**Давид IV Строитель (1073-1125)**

На Черной Горе, около Антиохии, в монастыре Симеона чудотворца в двенадцатом веке жили около шестидесяти грузинских монахов, которые тесно сотрудничали с греческими и арабскими учеными и литераторами. Труды, созданные и переведенные этими монахами были широко распространены в близлежащих странах [53].

Грузины отправлялись на учебу в Константинополь, Манганскую и Романскую академии, где они имели возможность получить универсальное образование. По заказу царицы Мариам Теофилэ Хуцесмоназони (2-я половина XII – начало XIII века) перевел с греческого языка на грузинский метафрастические сочинения. В Манганской академии учился известный богослов и духовник царя Давида Агмашенебели Арсен Икалтоели; позднее, согласно народному преданию, здесь же получил образование Шота Руставели. Богословско-литературная деятельность протекала и в грузинском Галийском монастыре на Кипре [21].

(Продолжение следует)

**Елена Диакова**

## СОВЕТСКИЕ НАЦИОНАЛЬНЫЕ ФОРМИРОВАНИЯ ВРЕМЕН ВТОРОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ

Дьякова Е.В.
(Харьковский национальный педагогический университет имени Г.С. Сковороды)

70-летие Великой Победы заставляет в очередной раз обратится к разным аспектам Второй мировой войны, а особенно событиям 1941-1945 гг.

Последнее время в украинской историографии проблема дружбы народов и содействия жителей Советского Союза практически не исследуется. А ведь за освобождение Украины от немецко-фашистских захватчиков боролись представители более 200 национальностей, когда-то живших в СССР.

Целью данной работы является освещение борьбы национальных воинских подразделений за освобождение территорий Советского Союза от немецко-фашистских захватчиков в 1941-1943 годах.

Национальные воинские формирования существовали в Красной Армии с самого начала ее создания. Такие военные части создавались из представителей в основном одной национальности и, конечно же, имели соответствующие национальные особенности.

Как известно, поражение Красной Армии в первые месяцы войны сильно истощило человеческие ресурсы. И это вызвало необходимость отправлять на фронт людей из республик, откуда в 1930-е годы призыв в армию проводился редко. К таким республикам относились прибалтийские и среднеазиатские.

Первое национальное соединение _ 201-я Латышская стрелковая дивизия _ было образовано в августе 1941 года. А 13 ноября 1941 года Государственный Комитет Обороны (ГКО) принял Постановление о формировании воинских частей на национальной основе в 11 союзных республиках и 4 автономных республиках РСФСР [4].

Таким образом, были организованы азербайджанские, грузинские, туркменские, казахские, узбекские, башкирские дивизии, корпуса и бригады. А всего за годы войны было сформировано 66 национальных воинских частей.

В основном это были стрелковые и кавалерийские подразделения.

Кроме этого, очень важной причиной создания национальных формирований являлось слабое знание (а то и вовсе незнание) русского языка многими жителями Кавказа, Средней Азии, Поволжья и других национальных окраин Советского Союза.

В кавказских и среднеазиатских республиках к подбору кадров подошли довольно ответственно. Прежде всего, при комплектовании подразделений было решено использовать принцип добровольности. Так, Павлодарский обком КП(б)Казахской ССР принял постановление, в котором говорилось:

*«Для каждого коммуниста и комсомольца достойным ответом на постановление ГКО о разрешении формирования национальных войсковых соединений должна быть добровольность вступления в ряды национальных формирований»* [3].

Многие партийные, комсомольские, советские руководители разных рангов (от районных до республиканских) написали заявления об отправке их на фронт и вскоре первыми были мобилизованы в воинские части.

По мере комплектования воинских частей проводилось их обучение. Наряду с занятиями по военной тактике, владению оружием, большое внимание уделялось изучению русского языка.

Уже в конце 1941 года, а особенно весной 1942 года некоторые сформированные подразделения были передислоцированы непосредственно на театр боевых действий. Первыми боевое крещение получили

_ 47-я и 9-я Грузинские горно-стрелковые дивизии;

-63-я Грузинская стрелковая дивизия;

-306-й Кавказский (грузинский) стрелковый полк;

-77-я Азербайджанская и 76-я Армянская стрелковые дивизии;

-20-я Таджикская и 18-я Туркменская кавалерийские дивизии;

-1-я Туркменская горнострелковая и 72-я Туркменская стрелковая дивизии;

-19-я Узбекская кавалерийская дивизия» [2].

Позже на фронт отправилось еще несколько дивизий из Башкирской АССР, Кабардино-Балкарской АССР, Казахской ССР, Калмыкской АССР, Узбекской ССР, Таджикской ССР и Туркменской ССР.

Национальные формирования были направлены на разные участки советско-немецкой линии фронта. Бойцы разных национальностей брали участие в боях под Москвой, в Украине, Крыму, Сталинграде.

В мае _ июле 1942 года на харьковской земле отличились красноармейцы 106-й кавалерийской дивизии, созданной в Казахстане.

В связи с большими потерями личного состава эти формирования пополнялись за счет мобилизованных разных национальностей и по своей сути уже становились интернациональными.

Историк А.Ю. Безугольный считает, что в национальных соединениях возникали обособленные землячества, что снижало их боеспособность. Много воинов дезертировало или калечило себя, чтобы не принимать участие в боях [1].

Тем не менее, эти красноармейцы также отличались в боях мужеством и отвагой. Многие бойцы и офицеры были награждены орденами и медалями.

К высшему званию _ Герой Советского Союза _ были представлены:

96 казахов, 90 грузин, 89 армян, 67 узбеков, 43 азербайджанца, 38 башкир, 31 осетин, 16 туркмен, 15 таджиков, 12 киргизов, 8 калмыков, 6 кабардинцев и т.д. Многие дивизии были награждены орденами, получили звание «гвардейских» и наименование городов, при освобождении которых особо отличились.

Так, 112-я кавалерийская дивизия, образованная в Башкирии, в феврале 1943 года получила наименование_

-16-я гвардейская кавалерийская Черниговская ордена Ленина, Краснознаменная, орденов Суворова и Кутузова дивизия»,

_ 20-я горно-кавалерийская дивизия из Таджикистана в сентябре того же года получила наименование «17-я гвардейская кавалерийская Мозырьская ордена Ленина, Краснознаменная, орденов Суворова и Кутузова дивизия» [2].

Таким образом, национальные формирования внесли большой вклад в Победу над фашизмом.

### *Список использованной литературы*


1. Безугольный А. Ю. Национальные формирования в РККА в годы Великой Отечественной войны. [Электронный ресурс]: …, свободный (19.10.2015). — Название с экрана.
2. Градосельский В.В. Национальные воинские формирования в Великой Отечественной войне // Военно-исторический журнал. 2002. № 1.
3. Кирсанов Н.А. Национальные формирования Красной Армии в Великой Отечественной войне 1941—1945 годов. 106 к[авалерийская] д[ивизия]. [Электронный ресурс]: http://birlik.org.ua/page/nacionalnye-formirovanija-krasnoj-armii-v-velikoj-otechestvennoj-vojne-1941-1945-godov-106kd, свободный (19.10.2015). — Название с экрана.
4. Национальные воинские подразделения РККА. [Электронный ресурс]: https://ru.wikipedia.org/wiki/%CD%E0%F6%E8%EE%ED%E0%EB%FC%ED%FB%E5_%E2%EE%E8%ED%F1%EA%E8%E5_%EF%EE%E4%F0%E0%E7%E4%E5%EB%E5%ED%E8%FF_%D0%CA%CA%C0, свободный (19.10.2015). — Название с экрана.

ნიკო ხერკელაძე



# ტაშისკარის დიდი ომი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ № 2(16), №3(17)-ში)

70-იან წლებში ერთ-ერთი სტუმრობის დროს სოფელ ნოსტეში ლომა ხიზამბარელმა გვიამბო თაობათა ხსოვნაში გამოტარებული ამბავი:

„ტაშისკარის ბრძოლაში ოსმალოთა და თათარხანის ჯარებს, ბუნებრივია, საკვების თადარიგიც დაჭერილი ექნებოდათ, მაგრამ მოწინააღმდეგეთა რკალში მოქცეულთ განა რამდენი ხნით ეყოფოდათ.

სააკაძემ ძალზე მოამშია მტერი, სასოწარკვეთამდე, გულწასვლამდისო. სწორედაც რომ აქ არის მთელი ამ ომის საიდუმლო, ლოდინით და შიმშილით სულის წასვლამდე მიიყვანა მტარვალთა ურდო სააკაძემ. არც გადამწყვეტი ბრძოლა ჩანს ქართველთა მხრიდან. დამშეულნი, სასო მიხდილნი, თხრილებში ვიშვიშებდნენო“.

საბრძოლო გარემოს გაარიდა სააკაძემ ქართველთა ჯარი. მისივე რჩევით, ცხენოსანთა რაზმის მხედრებმა თავიანთ ცხენებს ფლოქვებზე ნაბდის ნაჭრები მაგრად შემოაკრეს და ხარის ტყავის თასმებითაც შემოახვიეს, რომ ყრუდ, უხმაუროდ ევლოთ და სიფრთხილით მიახლოებოდნენ ოსმალთა სადგომებს. აგრეთვე ცხენებს თავ-კისერზე ალვირებთან ერთად ჩამოამაგრეს ტომრები, სადაც ქერს უყრიდნენ. ესეც იმისათვის იყო საჭირო, რომ ხვიხვინით არ გაეცათ თავიანთი პატრონები, ყურადღება მუდამ გემრიელი საჭმლისკენ ჰქონოდათ მიპყრობილი.

სრული მზადყოფნაა ქართველ მეომრებში. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, შემთხვევითი გადაძახილი, ერთიან რკინის სალტედ უნდა შეკრან მეომრული რკალი, თოფის სასროლ მანძილზე სიჩუმით მიაღწიონ შიმშილითა და შიშით გაოგნებულ ოსმალოთა თხრილებამდე.

სააკაძეს სრული საბრძოლო მზადყოფნით მხარში უდგანან ბააკა ხერხეულიძე, ლომი ჩრდილელი, ხოსრევან გედევანიძე, მათარსი შიხაიდრისძე, პაპუნა ჩივაძე, თამაზ ქარციძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, ქვლივიძე და ინაშვილი – ომებში ნაცად-ნაწრთობნი.

იდგა 1609 წელი, შუა ზაფხული, დილის რიჟრაჟი. სააკაძის საომარი გზის მანათობელი ვარსკვლავი კიაფობდა მეწამულ ცაზე.

ოსმალურ 55000 კაციან ლაშქარს, მართალია, სხერტის ჭალებში წამოეწია ქართული ხმლის სიმწარე. ბევრი ჩაიხოცა, მაგრამ ქართველებზე მაინც ჭარბად ჩანდნენ. არც გასაკვირია, რადგან ქართველთა ლაშქარი სულ 10000 კაცს შეადგენდა.

სააკაძის ხმამ და თოფების გრიალმა გახია ოსმალური გარინდება. ზვავივით წამოვიდა ქართველ ცხენოსანთა ლაშქარი, მიქროდნენ შუბგაწვართულები, ცხენების აფრიალებულ ფაფარში ცხვირპირჩარგულები. მარცხენა ხელით ფარი უჭირავთ, მარჯვენით – ტყედქცეული შუბები. სწრაფგაგელებულებმა თხრილებს შემოუარეს და შუა ოსმალურ ბანაკში ისე შეცვივდნენ, მტერმა გაკვირვებაც ვერ მოასწრო. ერთმანეთს ეხეთქებოდა კაცი და ცხენი, ხმალი და ფარი, წივილით ცვიოდა ფოლადს ნაპერწკლები. თოფისწამლით აკვამლებულ ჰაერში ისედაც შიმშილით ღონემილეულ ოსმალებს უჭირდათ ორგანიზებული მოქმედება. აირია და აიზავთა ბრძოლის ველი. რკინის ჩახაჩუხი, ცხენთა ჭიხვინი, დაჭრილ-დასახიჩრებულთა გმინვა და კვნესა, სისხლით მოთხვრილი სახეები... გაშმაგების ზენიტში შესულიყო ორივე მეომარი მხარე. ადუღდა და გაფიცხდა ტაშისკარის ველი, ქართველთა შუბი და ლახტი აუცდენლად ხვდებოდა მიზანს.

იბრძოდა სააკაძე, ვითარცა ტურა-აფთრებში ლომი, ოსმალური ინით ნაღები მოსხეპილი თავები ცვიოდა მიწაზე.

იბრძოდა ლუარსაბ II – მძლავრად, მტკიცედ, ომშიც კი ლამაზი იერით;

იბრძოდა ყველა – თავადი, აზნაური, გლეხი – ერთ მუშტად შეკრულ იმედად, ეწაფებოდნენ მტერზე გამარჯვებას, ხმა ერისა მღეროდა მათ ერთიანობაში.

სააკაძე თავისი რაზმით ყველაზე ჭარბად შეყრილ ოსმალოებზე მიიწევდა და მიწასთან სწორდებოდა ალაჰის მიმდევართა მოხრილი ზურგები.

ტაშისკარის ბრძოლა დასასრულისკენ გადაიხარა.

ქართულ მახვილს გადარჩენილი, შიშისგან და შიმშილისაგანაც დაოსებული ოსმალები ტყეს შეერივნენ.

„არ ჰქონდათ ღონე გზის გაგნებისა და მაშინ ძარცვავდნენ დედანი ტყეთა შინა დამალულთა ყირიმელთა კაცთა: შეიპყრობდნენ, მოხდიდნენ დოლბანდს, თუ რამე ჰქონდათ, წაართმევდნენ, განაშიშვლიან და განუტევიან“, – წერდა ბერი ეგნატაშვილი.

„სააკაძის ერთი შეძახება არევდა და ფანტავდა მტრის ჯარსა!“ (იოსებ თბილელი).

„ომში დაწყებიდან დასასრულამდე, სააკაძე იყენებდა სპეციალურად დამუშავებულ საბრძოლო მეთოდს, კერძოდ, ყველაზე მრავლად, ერთად მჭიდროდ შეკრულ მტრის ჯგუფებს მიაშურებდა მეხივით შეძახილით „დავკრათღა მტერსა!“ (ლომა ხიზამბარელის ნაამბობიდან).

მისი ხმის გაგონებაზე მოქმედებას იწყებდა დაძაბუნებული ნერვი; სტიქიის მსგავს ძალად აღიმართებოდა საომარ ველზე ქართველ მეომრებისაგან სრული მზადყოფნა სიცოცხლის გაღებისაც კი და სანაცვლოდ შედეგიც აღარ აყოვნებდა.

თვითონ აფთარივით მიეშურებოდა პირველი წინ, მარჯვნივ და მარცხნივ შვიდ-შვიდი რჩეული მეომარი მიჰყვებოდა ზურგს დაახლოებით ოცდაათი, ხშირად ორმოცდაათამდე მებრძოლი უმაგრებდათ. მეომართა საერთო რაოდენობა ამ დროს დამოკიდებული იყო მტრის ჯგუფებად თავმოყრილ ჯარზე, თუ სად რა რაოდენობის დაჯგუფება იბრძოდაო. მისივე თქმით მტერთან, შეტაკების წინარე ჟამს სათათბირო შეკრებაზე, სააკაძე აუწყებდა ქართველ მხედრობას, მის ნიშანზე ელვისებურად მოეყარათ თავი მის გვერდით, რომ ეს წინასწარდაგეგმილი შეტევა ჩაეტარებინათ. ქართველი მეომრებისათვის ცნობილი იყოო, როგორც კი სააკაძე თავისი მედგარი ხმით შეუძახებდა, „დავკრათ-ღა მტერსა!“ ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ბრძოლის რომელიღაც მხარეს მტერი მძლავრობს, უპირატესობა მოიპოვა. მათ დასაფანტად და დასათრგუნად სააკაძის რაზმი სოლივით შეიჭრებოდა მტრის დიდ ჯგუფში; არევდა, დაფანტავდა, მრავალი შეაკვდებოდა ქართველთა მახვილებს; როგორც კი იწყებოდა შეჯგუფული მტრის დაშლა-დანაწევრება-განადგურება, შემდეგ საჭირო იყო ეს რაზმი მშვიდობიანად, ნაკლები ზიანით გამობრუნებულიყო უკან: მაგრამ იშვიათად ხდებოდა, რომ არ დაჭრილიყვნენ ქართველი მეომრები (ეს ომის ხელწერაა).

უკან გამობრუნებისას ზურგის დაცვას უნდა უზრუნველეყო, რომ ქართველები მტრის რკალში არ მოქცეულიყვნენ. ამ რაზმის წევრებს სპეციალურად არჩევდნენ განსაკუთრებით ძლიერი და გამოცდილი მებრძოლებისაგან.

ლომა ხიზამბარელის განმარტებით, ის მეომრები, რომელნიც გ. სააკაძის თანამებრძოლებად არიან მოხსენიებულნი, ისტორიულად ყველა მისი ის თანარაზმელები არიან, შეტევების დროს გვერდში რომ ედგნენ საიმედოდო.

ახალგაზრდა მეფის თვალწინ დაინთქა, დაიშრიტა ქართლის წასალეკად შემოსული ოსმალთა მრავალათასიანი მხედრობა. ასაკის გამო მანამდე არ ჰქონია ლუარსაბს მსგავს ბრძოლაში მონაწილეობის საშუალება. – სიმშვიდე სუფევდა გარკვეული დროით საქართველოში. ახლა მან თავისი თვალით ნახა ცხირეთიდან მტრის ეს უზარმაზარი არმია, ნიაღვარივით რომ იდგა თეძმის ხეობაში, ბერი თევდორეს მიერ ჩატყუებული. ცხადია, ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ, მეფე იყო საქართველოსი, – მას ევალებოდა მტრის ღირსეული დახვედრა, მითუმეტეს, უთადარიგოდ შეხვდა ქართლი; მტერმა მესხეთი დაარბია, შემდეგ შუა ქართლისკენ გამოეშურა. მადლობა ღმერთს, ბერმა თევდორემ გაიტყუა გოსტიბესთან მოსულები, უგზო, მიუვალ ღრანტეებში ატარა მტერი და თეძმის ხეობაში ჩაიყვანა. სულმნათი ბერი ფიქრობდა, ხეობაში გაშლილ ოსმალებს მოსახლეობა შეამჩნევს და საბრძოლოდ მოემზადებიანო.

სწორედ ასეც მოხდა.

ლუარსაბ მეფე მართლაც უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. შეიძლება მტერს ჩავარდნოდა, რომ არა გიორგი სააკაძე, რომელმაც ელვის სისწრაფით შეკრიბა ახლომახლო სოფლებიდან რამოდენიმე ასეული მეომარი, სხერტის ჭალაზე თავგანწირული შეტევით დააბნია, უკუაქცია ოსმალები, დაამარცხა და ბოლოს, – ტაშისკარის სამამულო ბრძოლა, სადაც 38 წლის გიორგი სააკაძემ იშვიათი სტრატეგიული ოსტატობით დაგეგმა და წარმართა საომარი ოპერაციები მტრის სრულ განადგურებამდე.

ლუარსაბ II-ის თვალში სააკაძე წარმოჩინდა, როგორც შეუდარებელი მაგალითი ქართველი სარდლისა და თავდაუზოგავი მებრძოლისა.

ტაშისკარის ბრძოლაში ერთიან დიდად მნიშვნელოვან მოვლენად გამონათდა ღირსება სააკაძის საბრძოლო ნიჭისა, რომელიც ყველა 10000 ქართველი მეომრის თვალმა ნახა და განიცადა; განმტკიცდა ქართველთა უძლეველობით გამოწვეული სიამაყე. გაბრწყინებული გულით ლო-

ცავდა ქართლის მეფეს ლუარსაბ II-ს და გიორგი სააკაძეს მოსახლეობა, ცრემლმორეული ულოცავდნენ და გულში იკრავდნენ ერთმანეთსაც ქართველი მებრძოლები.

სააკაძემ და მთელმა ხალხმა, ქართლის მოსახლეობამ ლუარსაბ მეფეს აჩვენეს თავისი სახე და ჩაახედეს თავიანთ გულებში, სადაც იდგა უძირო სიყვარული, რომელიც ტაშისკარის ბრძოლაში ერთიან გამარჯვებად აისახა და საძირკველი ჩაუყარა ზნეობრივ საურთიერთობო კეთილშობილებას.

ალბათ სწორედ ტაშისკარის ბრძოლა იყო ლუარსაბის გიორგი სააკაძესთან დაახლოების, მეგობრობისა და შემდგომ დამოყვრების მთავარი განმსაზღვრელი. ამის შემდეგ დაიახლოვა მეფემ გიორგი, მის გარეშე საქვეყნო საქმეებს არა წყვეტდა და იმდენად აღაზევა, რომ „შემდგომ მეფისა იგი იყოო“, – წერს მემატიანე.

ფიქრდამძიმებული თავადები შურისწყალგადასხმულები უნაგირებზე სწორდებოდნენ, ფარად-ფაშა მიზანდაბნელებული ჩასცქეროდა მიწას, ტაშისკარის საომარი ველი მის თანამოძმეთა გვამებით იყო მოფენილი.

შაჰ-აბასის გულის მოსაგებად ლუარსაბ მეფემ ფავლენიშვილი გაგზავნა ირანში და ოსმალო ტყვეები და მოკვეთილი თავები გაატანა.

ძალზე გაუხარია „ირანის მზეს“ ქართველი მეფის ტაქტიკური ნაბიჯით, – უეჭველია, სააკაძის აზრიანობაც იქნებოდა ჩაქსოვილი ასეთ მოქმედებაში, – განცვიფრება ვერ დაუმალავს, რადგან 60000-იან ოსმალოს ჯარზე გამარჯვება ერთი მუჭა ქართველებით პირდაპირ სასწაულიც კი იყო, თანაც მოწინააღმდეგე ქვეყნის ამხელა ლაშქრის განადგურება უიოლებდა ოსმალეთში ირანული გავლენის გაძლიერების გზას.

„ირანის ლომს“ არ აკლდა ნიჭიერი სარდლები, მაგრამ სააკაძე უფრო მკვეთრად გამოიკვეთა შაჰის ოცნების თავანზე.

1610 წელს შაჰ-აბასმა თავისთან მიიწვია მეფე ლუარსაბი. იგი გაემგზავრა შერჩეული ამალით, დიპლომატიური გონიერებით, მოფიქრებული აზრით.

მეფემ ქართლი სამეთვალყურეოდ სააკაძეს დაუტოვა და თავადებს შეშფოთების კიდევ ერთი მიზეზი გაუჩნდათ.

ლუარსაბ II ამაყად წარსდგა ირანში შაჰ-აბასის კარზე. მიზეზიც ჰქონდა საამისოდ, გამთბარიც იყო „ირანის ლომის“ გული – რკინა სანამ ცხელი იყო, მანამ უნდა გადაღუნულიყო.

გულთბილად გადაეხვია ცოლისძმას აბასი. ღირსეული დახვედრა მოუწყო, მრავალი ხოტბა უძღვნა მეფის გულის გასახარად. გამოჰკითხა ყველა დეტალი ტაშისკარის ბრძოლის მიმდინარეობისა, შეუქო მარჯვენა და მეფობა. ლუარსაბმაც ზომიერი თავდაჭერილობით მოუთხრო ბრძოლის მსვლელობა, აღწერა ოსმალთა ჯარის უჩინარად შემოსვლა ქართლის შუა გულში. განსაკუთრებით აღნიშნა გიორგი სააკაძის მაღალი სტრატეგიული ნიჭიერება მთელი ბრძოლის მსვლელობის მანძილზე.

აბასს სააკაძის ხსენებაზე ისევ გაუფართოვდა თვალები. კარგი პოლიტიკური ამინდი იდგა შაჰის კარზე და მანაც გულუხვი წყალობა და საჩუქრები უძღვნა ლუარსაბსაც და მის ამალას.

სითამამემორეულმა ლუარსაბ II-მ თავისი ჩანაფიქრის გამხელა დროულად ჩათვალა და მტკიცედ ჰკადრა, გაეთა-ვისუფლებინა წარმოშობით ქართველი ფარად-ფაშა. გაოცებისაგან სახე გაულურჯდა „ირანის მზეს“: ჯერ იყო და დატყვევებული მიჰგვარა ქართლის მეფემ ოსმალო ფაშა, ახლა დიდსულოვნებით მის გათავისუფლებას ითხოვს! ნეტავ საიდან უნდა იღებდეს სათავეს ასეთი თავგამოდება ქართველებისა? გონების სიღრმეში ცხადად იცოდა ამ აზრის გამფიქრებელმა, შექმნილი ვითარება, ტაშისკარის ომში ბრწყინვალე გამარჯვებიდან გამომდინარე, უარის თქმის საშუალებას არ მისცემდა ალაჰის მოციქულს, მაგრამ უფრო მთავარი საქართველოდან, მისი დედაქალაქიდან ირანული ჯარის გაყვანის მოთხოვნა იყო.

რა გამბედაობასა და სიმტკიცეს ფლობდა ამ ლამაზი გარეგნობის მეფე ლუარსაბის შინაგანი ბუნება, რომ გაშმაგებამდე მისულ შაჰს აზრი ვეღარ მოეკრიბა, თუ ვისგან იყო ნაკარნახევი ესოდენ მნიშვნელოვანი მოთხოვნა.

განა ვინმეს გაუკვირდება, ვინც კი იმ პერიოდის საქართველო-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობას იცნობს, რომ მხოლოდ გიორგი სააკაძის გონებაში უნდა დაბადებულიყო აზრი თბილისიდან ირანული ჯარის გაყვანისა და ლუარსაბ II-ის, როგორც მეფის, სიტყვით უნდა თქმულიყო მისი ირანში ჩასვლის დროს, შაჰ-აბასის კარზე წარდგომისას. ამ ულტიმატუმის შესასრულებლად შაჰმა ძმები ალავერდი-ხან და დაუთ-ხან უნდილაძეები იხმო. ისინი უცხო მიწის ნაყოფით საზრდოობდნენ და ცხადია, აქედან გამომდინარე, თავიანთ საზიანოდ და შაჰის ინტერესების საწინააღმდეგოდ სიტყვას არ დასძრავდნენ, ამიტომ ქართლის მეფის გულის მოსაგებად მიღე-

ბულ იქნა დროებითი მოჩვენებითი ლოიალური გადაწყვეტილება. შაჰ-აბასი რის შაჰ-აბასი იქნებოდა, ასჯერ არ გაეზომა და ერთხელ არ გადაეჭრა მხოლოდ თავისი გონების საზომით. მეორე დღეს სადარბაზოდ მიიწვია მეფე ლუარსაბი და განუცხადა:

– შენი პაპის, დიდი სიმონ მეფის პატივისცემით, რომელიც იყო ირანის და მისი მოსახლეობის კეთილისმსურველი, დიდად ვაფასებ მის შვილისშვილს ლუარსაბს, ირანელი მბრძანებლის მორჩილს, მისი ქვეშევრდომობისათვის გაწეული ღვაწლისათვის და ამის დასტურად გადავდგამ ამ ნაბიჯს – გადავწყვიტე, ვაცნობო დელუ-მუჰამედს, გამოიყვანოს თბილისიდან სპარსული ციხიონი!

აი, როგორი ექო გამოუწვევია ტაშისკარის ომს საქართველოს სამეზობლოში!

რა ღრმად დამაფიქრებელია ამდაგვარი ნაბიჯის გადადგმა „ირანის ლომისაგან“, ომის გარეშე, სისხლდაუნთხევლად თავისუფლდებოდა საქართველოს დედაქალაქი ირანელთაგან.

„და მისცა შაჰ-აბასმა, ქვეყნის მზემ და ირანის მშვენებამ, ქართლის მეფეს ლუარსაბს თბილისის ვილაიეთი“, – წერდა სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში.

ოსმალეთზე ხმლით გამარჯვებული მიემგზავრებოდა საქართველოდან ლუარსაბ მეფე სპარსეთში შაჰ-აბასის მიწვევით – პოზიციაგამარჯვებული ბრუნდებოდა სამშობლოში.

გიორგი სააკაძის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. უხაროდა ყველას – ერსა და ბერს. მიიღეს დამსახურებული შედეგი ერთად ყოფნისა და ქვეყნისათვის თანაფიქრისა და გარჯისა. საქართველოდან სპარსული ჯარი გადიოდა!

საავდრო ღრუბლებმა გადაიქარა საქართველოდან. ტაშისკარის ომში ჩვენი ქვეყნისათვის საამაყო გამარჯვებამ ალაგმა ოსმალონიც და ირანელნიც, მაგრამ ვერ მოინელა შაჰ-აბასის ვერაგმა ბუნებამ საქართველოსთვის და იგივე ცოლისძმისათვის გადადგმული სასიკეთო ნაბიჯი, ლუარსაბ მეფის მოთხოვნის საფუძველზე ირანული ჯარის თბილისიდან გასვლამ მოსვენება დაუკარგა აბასს!

მიმართა თავის ჩვეულ ხერხს, მოიმარჯვა გესლიანი კალამი და მისწერა მოჰამედ-ხან ყაზაყლარს: სასწრაფოდ ჯარი შეჰყარე, გაემართე ქართლისკენ, დაწვი და გაანადგურე; მეფე შეიპყარ, თავი მოჰკვეთე და გამომიგზავნეო.

ქართლში დავანებული სიმშვიდე საგანგაშო განწყობამ შეცვალა; მოჰამედ-ხან ყაზაყლარი შემოსეოდა ქართლის სოფლებს ცეცხლითა და მახვილით.

ლაშქრის შეკრება ბრძანა ლუარსაბმა; თვითონ, სააკაძესთან ერთად, საბრძოლო სამზადისს შეუდგა. ვერაფრით წარმოიდგენდნენ, ყაზახის პატრონს სწორედ „ირანის ლომის“ წერილი ედო უბეში. ჯერ კიდევ დაბნეულ-გაოგნებულებს შაჰ-აბასის უსტარმა მოუსწრო: მაცნობეს, რომ ყაზახის ხანი მოღალატეა, ოსმალთა ფაშებთან გაუმართავს მიწერ-მოწერა, ამიტომ სასწრაფოდ შეჰყარე ქართველთა ჯარი, გაემართე ყაზახისკენ, ააოხრე და გააცამტვერე, ხოლო მოღალატე ყახაზის პატრონს თავი მოჰკვეთე და აქ გამომიგზავნეო.

ასეთი ფანდებით ხარობდა ირანის შაჰის გული, ასე ემარჯვებოდა და ეწადა თავისი ავი პოლიტიკის განხორციელება. არა მარტო მეზობელ ქვეყნებთან, არამედ თავისივე ქვეყნის ორგანიზმში ცდილობდა მოწამლული სისხლის შეშვებას. შლეგიანი ფანატიკოსი, ეჭვიანი იყო თავისი შვილებისა და შვილიშვილების მიმართაც.

ლუარსაბ II შაჰ-აბასის ცოლისძმა იყო. თითქმის ძალით შეირთო ლელა-თინათინი. ქართლის მეფეს სხვა გზაც აღარ ჰქონდა, დათანხმდა მტრის ასეთ შემოთავაზებაზე, ოღონდ საქართველო ყოფილიყო მშვიდად. აბასმა ლუარსაბი ჯერ თავისი სურვილით მიიწვია, მეფური ღირსებით უმასპინძლა, საჩუქრებით აავსო, მის წაყენებულ წინადადებას დაეთანხმა, ორიოდე დღეში კი სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შეაგდო თავისი მოყვრის სიცოცხლე.

(გაგრძელება იქნება)

# ეკონომიკა

ონერ ძაძუა



## მენეჯერის ძირითადი ფუნქციები რისკების მართვის სფეროში

ზოგადად ეკონომიკის ყველა სფეროში, კონკრეტულად საკრედიტო სისტემაში, კონკურენციის ზრდა, განაკვეთების შემცირება (სტაბილური საბაზრო ეკონომიკის პირობებში) ბანკებს შემოსავლიანიბის შენარჩუნების რეზერვების მოძიებას აიძულებს. შემოსავლიანობის მისაღებ დონეზე შენარჩუნებისას დანაკარგების ალბათობის მართვა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა და მასში მნიშვნელოვან როლს რისკ-მენეჯერი ასრულებს. რისკის მართვის ტექნოლოგიის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში – საკმაოდ ტევადი და ხანგრძლივი პროცესია. რისკ-მენეჯერის ფუნქციები და ამოცანები წლიდან წლამდე ფართოვდება, ხოლო მოთხოვნა კვალიფიციურ სპეციალისტებზე იზრდება. რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობა მთლიანობაში რისკ-მენეჯერისმიერ ამოცანების სწორად დასმაზეა დამოკიდებული.

რისკების თავისთავზე აღება – საბანკო საქმის საფუძველია, ანუ საბანკო ოპერაციების მართვა თავისი არსით თავისთავად რისკების, და, პირველ რიგში, ბანკისათვის შემოსავლის უზრუნველმყოფელი საბანკო პორტფელთან (აქტივების ნაკრებთან) დაკავშირებული რისკების მართვას წარმოადგენს. ბანკებს მხოლოდ მაშინ აქვთ წარმატება, როდესაც მათ მიერ თავისთავზე მიღებადი რისკები გონივრულები, კონტროლირებადებია და მათი ფინანსური შესაძლებლობებისა და კომპეტენციების ჩარჩოებში იმყოფებიან. საბანკო მენეჯმენტის ძირითად ამოცანას მოგებას, ლიკვიდობასა და რისკს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მოძიება წარმოადგენს. მნიშვნელოვან როლს აღნიშნულ პროცესში რისკ-მენეჯერი ასრულებს.

რისკ-მენეჯერის ამოცანებია:

ა) რისკის მართვის ორგანიზაცია, რომელიც თავისთავში მოიცავს:

- რისკების მართვის ორგანოების განათლებას, მათი კომპეტენციების განსაზღვრას;
- ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცებას, რისკების მართვასთან მიმართებაში ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განაწილებას;
- რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავებას და დამტკიცებას;
- რისკების მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავებას;
- შიდა ნორმატიული საბუთების დამუშავებას, რომლებიც თავისთავში რისკების მართვის მკაფიო მეთოდებს მოიცავენ;
- რისკების კონტროლისა და მართვის დამტკიცებული პროცედურების სისწორის, ადექვატურობისა და სისრულის კონტროლი.

ბ) რისკის მართვის ხერხებისა და მეთოდების შემუშავება, რომელიც თავისთავში მოიცავს;

- რისკის ანალიზის მეთოდიკის შემუშავებას;
- რისკის კონტროლის ხერხებისა და მეთოდების შემუშავებას;
- რისკის შემცირების ხერხებისა და მეთოდების შემუშავებას.

გ) ბანკის საკრედიტო მუშაობის ოპტიმიზაციასთან მიმართებაში წინადადებების შემუშავაბა მინიმალური რისკებით, მათ შორის განუსაზღვრელი სამეურნეო სიტუაციის პირობებში. შემოსავლიანობის გადიდების მიზნით.

რისკ-მენეჯერის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საკრედიტო რისკის ანალიზი კრედიტის მიწოდების მომენტისათვის.

რისკ-მენეჯერი, კრედიტის მიწოდების მომენტისათვის რისკის ნეგატიური ფაქტორების გამოვლენისა და მისი შეფასების გზით, რისკების ანალიზს ახორციელებს. რისკის ანალიზი საკრედიტო ქვედანაყოფის, ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის და, როგორც წესი, იურიდიული სამსახურის მიერ საკრედიტო დასკვნის მიწოდების შემდეგ ხორციელდება.

რისკის ანალიზის წყაროებს წარმოადგენენ: საკრედიტო განაცხადის განსახილველად მსესხებლის მიერ წარმოდგენილი საბუთები (პირველადი საბუთები); ორგანიზაციის ოფიციალური საიტი; საარბიტრაჟო სასამართლოს საიტი; საკრედიტო ისტორიების საიტი; საგადასახადო ინსპექციის საიტი; ანალიტიკური და სტატისტიკური სააგენტოების საიტები; ინფორმაციების სხვა დანაჩენი გარე წყაროები.

რისკ-მენეჯერის დასკვნა უნდა მოიცავდეს აღწერილობით ნაწილს, რომელშიც რისკის ნეგატიური ფაქტორები, რისკის დონის შესახებ დასკვნები და მისი მინიმიზაციის ხერხები (რისკის თავისთავზე აღების შემთხვევაში) იქნება გათვალისწინებული. საკრედიტო რისკის ანალიზის მაგალითები ცალკე განხილვის საგანია.

ბ) საკრედიტო რისკის ანალიზი საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

კრედიტის რესტრუქტურიზაციის (პროლანგაციის, დაფარვის გრაფიკის ცვლილებისა და საკრედიტო დოკუმენტაციის სხვა არსებითი პირობებისას) შემთხვევაში, რისკ-მენეჯერი აფასებს რისკებს და ამზადებს დასკვნას იგივე პრიბციპით, როგორსაც იგი განაცხადის განხილვის მომენტში რისკების ანალიზისას იყენებდა.

გ) საკრედიტო რისკის კონტროლი.

იმის გათვალისწინებით, რომ დაკრედიტების პერიოდის განმავლობაში რისკები შეიძლება როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ შეიცვალოს (გაიზარდოს), რისკ-მენეჯერი რისკის მუდმივ კონტროლს ახორციელებს:

- პრობლემური აქტივების თავისდროულად გამოვლენის მიზნით (რისკის ნეგატიური ფაქტორების არსებობისას) მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და ფაქტიური საქმიანობის ყოველკვარტალური მონიტორინგის გზით;
- მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობების დაცვაზე (ბანკის საანგარიშსწორებო ამგარიშების მიხედვით მინიმალური ბრუნვების მხარდაჭერა, სავალო დატვირთვის დაცვა და ა. შ.) მუდმივი კონტროლის გზით;
- ბანკის საგირავნო სამსახურისა და (ან) საკრედიტო ქვედანაყოფის მიერ
- რისკის ნეგატიური ფაქტორებისა და არასტანდარტული აქტივების (აქტივების პრობლემური დავალიანების ნიშანთვისებებით) გამოვლენის შემთხვევაში რისკ-მენეჯერს კრედიტის ვადამდე ადრე გამოთხოვის შესახებ გამოაქვს გადაწყვეტილება ან რისკის მინიმისაციის ხერხებს თავაზობს.

დ) რისკების მინიმიზაცია (ნიველირება).

ზემოთმითითებული ფუნქციების განხორციელების პროცესში რისკის ნეგატიური ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში რისკ-მენეჯერი ზარალამდე მიმყვანი გარემოებების დადგომის ალბათობას შეაფასებს და გამოვლენილი რისკების მინიმიზაციასთან მიმართებაში წინადადებას ამზადებს. ასე, მაგალითად, ფინანსური მდგომარეობის გაუარესებისას შეიძლება მსესხებლის ძი-

რითადი კონტრაგენტების კეთილსაიმედობის დამატებით შემოწმება იქნას შეთავაზებული, ორგანიზაციისაგან არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით ახსნაგანმარტებითი ინფორმაცია იქნეს მოთხოვნილი, მმართველობითი ანგარიშგების ანალიზი იქნას განხორციელებული და ა. შ. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შემდგომი გაუარესების მაღალი ალბათობის შემთხვევაში რისკ-მენეჯერმა შეიძლება დამატებითი უზრუნველყოფის ან სხვა ღონისძიებების გაფორმების გზით ბანკის საგირავნო პოზიციის გამაგრება შეთავაზოს.

ე) ღონისძიებების შემუშავება პრობლემურ და ვადაგადაცილებულ დავალიანებასთან მუშაობისას.

პრობლემურ დავალიანების (არასტანდარტული აქტივების) გამოვლენის ან ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში რისკ-მენეჯერი შესაბამისი ღონისძიებების გეგმას ამუშავებს.

ვ) კონტროლი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ დაკრედიტების შემუშავებული სისტემის სწორად გამოყენებაზე, ნორმატიული საბუთების დაცვაზე (მათ შორის დარეზერვებასთან მიმართებაში) და ბანკის მუშაობის ოპტიმიზაციასთან მიმართებაში წინადადებების ფორმირებაზე.

აღნიშნული კონტროლის განხორციელებისას საჭიროა ყურადღება საკრედიტო ქვედანაყოფის მიერ ბანკის შიდა ნორმატიული საბუთების შემდეგ დარღვევებზე იქნას გამახვილებული:

- სხვა კომერციულ ბანკებში მიმდინარე კრედიტების / მესამე პირებისწინაშე ვალდებულებების არსებობისას საჭორია მსესხებლისაგან საკრედიტო ხელშეკრულებების / სესხების ხელშეკრულებების ყველა გვერდების კოპიოები ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით იქნას მოთხოვნილი და კომერციული ბანკის / მესამე პირის წინაშე მსესხებლის მიერ ვალდებულებების შესრულების პირობებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, დაკრედიტების პირობები დაწვრილებით იქნას გაანალიზებული.
- საჭიროა მსესხებლის საწარმოო შესაძლებლობების ანალიზი იქნას განხორციელებული (საკრედიტო ქვედანაყოფების დასკვნებში მკაფიოდ უნდა იქნას გაწერილი მოწყობილობების ცვეთის ხარისხი და ბოლო ოთხი საანგარიშგებო პერიოდის / კალენდარული წლის საწარმოო პროგრამის შესრულების ანალიზი).
- თუ კი მსესხებელი ანგარიშსწორებებს ბარტერისა და თამასუქების მეშვეობით ახორციელებს (მათ შორის თუ მსესხებლის ანგარიში სახსრების საკომისიოს საფუძველზე გადარიცხვისათვის გამოიყენება), საჭიროა მსესხებლის საერთო შემოსავლებში ასეთი სახის ანგარიშსწორებებიდან შემოსავლების წილი იქნას განსაზღვრული.
- იმ მსესხებლებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, საჭიროა ფინანსური მდგომარეობის ცვლილების მოტივირებული პროგნოზი იქნას განხორციელებული უახლოეს პერსპექტივაზე, რომელთა საქმიანობაში ბიზნესის განვითარების არასასურველი ტენდენციები არსებობენ (მიმდინარე ზარალის არსებობა, წარმოების მოცულობის შემცირება და ა. შ.).
- კრედიტების მსესხებლისათვის საბრუნავი სახსრების შესავსებად ტრანშის დადგენით გაცემისას საჭიროა ტრანშის დადგენილი ვადა იქნას დასაბუთებული და ტრანშების დაფარვის ვადები კრედიტის დაფარვის პერიოდზე მოსული ფულადი სახსრების შემოსულობების მოცულობებთან, მომწოდებლებთან და მყიდველებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით ანგარიშსწორებების პირობებთან, აგრეთვე დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის პერიოდთან იქნას შეხამებული.

საკრედიტო მუშაობის ხარისხის შეფასების შედეგად რისკების შეფასების მთავარ სპეციალისტს საკრედიტო მუშაობის ოპტიმიზაციასთან მიმართებაში გამოაქვს შემდეგი წინადადებები:

• საჭიროა მსესხებლის მიერ მითითებული ზარალის წარმოშობის მიზეზების ანალიზის განხორციელება და საკუთარი მოტივირებული მოსაზრების ჩამოყალიბება;

• უნდა განხორციელდეს დებიტორებისა და კრედიტორების ფინანსური მდგომარეობის / საქმიანი რეპუტაციის შეფასება;

• ვადაგადაცილებული დებიტორული /კრედიტორული დავალიანების გამოვლენის მიზნით მიზანშეწონილია მსესხებელს საბრუნავ-სალდირებული უწყისი მოეთხოვოს და დებიტორულ /კრედიტორული დავალიანების მოძრაობის ანალიზი განხორციელდეს;

საჭიროა აღინიშნოს, რომ რისკ-მენეჯერების ერთი ნაწილი საკრედიტო ქვედანაყოფის დასკვნებთან მუშაობენ და მხოლოდ მასში მითითებულ ინფორმაციას იყენებენ. მეორე ნაწილი, საკრედოტო ქვედანაყოფის დასკვნასთან ერთად, პირველად საბუთებთან მუშაობას ანიჭებენ უპირატესობას, როგორებიცაა: საბრუნავ-სალდირებული უწყისები, ხელშეკრულებები კონტრაგენტებთან, სადამფუძნო საბუთები და ა. შ. ჩვენი მოსაზრებით, უპირატესობა პირველადი საბუთების გამოყენებას შემდეგი ორი მიზეზის გამო უნდა მიენიჭოს: პირველი მიზეზია – „ენდე, მაგრამ შეამოწმე“. არ უნდა დაგვავიწყდეს იმის შესახებ, რომ რისკ-მენეჯერისა და საკრედიტო ინსპექტორის ამოცანები განსხვავებულია. მაშინ რიდესაც საკრედიტო ქვედანაყოფს დაკრედიტებასთან მიმართებაში გეგმის შესრულების ამოცანაზე აქვს აქცენტი გაკეთებული, რისკ-მენეჯერი კი – საკრედიტო პორტფელის გაუმჯობესებას ანიჭებს უპირატესობას. მეორე მიზეზია – „ერთი თავი კარგია, ორი კი უკეთესი“.ნებისმიერ შემთხვევაში პირველად საბუთებთან მუშაობა საკრედიტო რისკების ხარისხობრივი და უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის ბევრად მეტ შესაძლებლობებს იძლევა.

საკრედიტო პროცესი.

საკრედიტო პროცესის ძირითადი ცნებებია:

• საკრედიტო პროცესი -არის იურიდიულ პირებზე და ინდივიდუალურ მეწარმეებზე საკრედიტო მომსახურების მიწოდებაზე განაცხადის განხილვის პროცესი; საკრედიტო ურთიერთობების რეალიზაციის ხერხები და საშუალებები; საკრედიტო მომსახურების მიწოდების წესი და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი რეგლამენტირდება ბანკის საკრედიტო პოლიტიკის საფუძველზე მისი შიდა დებულებებით.

• საკრედიტო მომსახურება -არის კრედიტების მიწოდება, აკრედიტივების გახსნა, გარანტიებისა და სხვა დანარჩენი საკრედიტო პროდუქტების მიწოდება.

• საკრედიტო დოკუმენტაცია -არის საბუთების კომპლექტი, რომელიც საკრედიტო გარიგების სტრუქტურას შეესაბამება (საკრედიტო ხელშეკრულება, მინდობილობის ხელშეკრულება, ბრუნვაში საქონელის გირაოს, მოწყობილობის ან სხვა სახის ქონების / ქონებრივი უფლებების ხელშეკრულება), ასევე გარიგების სათანადო გაფორმებისათვის საჭირო სხვა საბუთები.

• დამკრედიტებელი ქვედანაყოფი -არის ბანკის (ფილიალის) ქვედანაყოფი, რომელიც საკრედიტო მომსახურების მიწოდების საკითხებს, ასევე საკრედიტო დოკუმენტაციის გაფორმებას განიხილავს.

• მსესხებელი -არის იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელმაც საკრედიტი მომსახურების მიწოდებაზე განაცხადი შეიტანა ან რიმლისთვისაც საკრედიტო მომსახურება არის მიწოდებული.

• დაკრედიტების ლიმიტი – არის საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებით საკრედიტო პროდუქტებზე ერთ მსესხებელზე ან ურთიერთ დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე დადგენილი რისკის ლიმიტი (კრედიტების მაქსიმალური თანხა).დადგენილი ვადის განმავლობაში ყველა საკრედიტო პროდუქტების (საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებაში მითითებული) მიხედვით

ერთ მსესხებელზე ან ურთიერთ დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე ერთდროული დავალიანება დადგენილ დაკრედიტების ლიმიტს არ უნდა აჭარბებდეს.

• საკრედიტო პორტფელი – არის ბანკის მიერ იურიდიულ პირებზე საანგარიშგებო თარიღისათვის მიწოდებული ყველა საკრედიტო მომსახურების ერთობლიობა ფულად გამოხატულებაში. გაითვალისწინება მხოლოდ მიმდინარე დავალიანება და არ გაითვალისწინება მოცემული კრედიტების მიხედვით ადრე განხორციელებული გადახდები.

• საკრედიტო კომიტეტი – არის ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მარეალიზებელი ორგანო, რომელიც საკრედიტო საქმიანობის მართვისა და ხარისხობრივი და დაბალანსებული საკრედიტო პორტფელის ფორმირების მიზნითაა შექმნილი. საკრედიტო კომიტეტის წევრები ბანკის უფლებამოსილი პირების მიერ მტკიცდებიან.

• იურიდიული სამსახური – არის ბანკის (ფილიალის) ქვედანაყოფი, რომელიც ბანკის მიერ ჩასატარებელი გარიგებებისა და განხორციელებადი ოპერაციების სამართლებრივ უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი.

• უსაფრთხოების სამსახური – არის ბანკის (ფილიალის) ქვდანაყოფი, რომელიც ბანკის მიერ შესრულებადი ოპერაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი.

• საკრედიტო რისკების კონტროლის სამსახური – არის ბანკის (ფილიალის) ქვედანაყოფი, რომელიც საკრედიტო რისკების შეფასებას და კონტროლს ახორციელებს. აღნიშნულ ქვედანაყოფს შეიძლება ასევე ერქვას – რისკების კონტროლის დეპარტამენტი, რისკების მართვის სამსახური და ა. შ.

• საგირავნო სამსახური – არის ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფი (ფილიალის პასუხისმგებელი პირი), რომელიც გირაოსთან დაკავშირებული ოპერაციების მთლიან კომპლექსს ახორციელებს, როგორიცაა: საბაზრო, სამართლიანი, საგირავნო ღირებულების უზრუნველყოფის განსაზღვრა; უზრუნველყოფის ხელშეკრულებების გაფორმება და დადება; უზრუნველყოფის შენახვის კონტროლი; უზრუნველყოფის ხელშეკრულების პირობების დაცვაზე კონტროლი.

კრედიტის მიწოდებაზე განაცხადის განხილვა.

ა) წინასწარი მოლაპარაკებების ჩატარება და განაცხადის განხილვა:

მსესხებელთან წინასწარი მოლაპარაკებების შედეგების მიხედვით მიიღება შემდეგი გადაწყვეტილებები:

• განაცხადის განხილვის შეწყვეტა;

• კრედიტის მიწოდებისათვის საჭირო საბუთების ჩამონათვალის დაყვანა მსესხებლამდე;

• მსესხებლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი;

• დამკრედიტებელი ქვედანაყოფისათვის, უსაფრთხოების სამსახურისათვის და საკრედიტო რისკებოს კონტროლის სამსახურისათვის საკრედიტო კომიტეტზე დასკვნის მომზადება.

როგორც წესი, აღნიშნულ ეტაპზე საკრედიტო მოსამსახურე მსესხებლის მიერ ბანკის ძირითადი მოთხოვნების დაცვას ამოწმებს, რომელთა შეუსრულებლობას საკრედიტო სახსრების მიწოდებაზე უარის თქმამდე მივყავართ. მაგალითისათვის შეიძლება შემდეგი სახის მოთხოვნილებები იქნას მოყვანილი:

• დადებითი საკრედიტო ისტორია;

• კრედიტებთან, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებთან ვადაგადაცილებული დავალიანების არ არსებობა;

• საანგარიშსწორებო ანგარიშთან მიმართებაში კართოთეკის არ არსებობა;

• სტაბილური ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საქმიანი რეპუტაცია;

• ბაზარზე დადასტურებული მოთხოვნა უნდა ჰქონდეს, რაც სტაბილური გასაღებისა და რეალიზაციიდან ფულად ფორმაში ამონაგების შემონატანების უზრუნველმყოფელია;

• ბიზნესის ფუნქციონირების ვადა არანაკლებ ერთი წლისა უნდა იყოს;

• მსესხებლის ფაქტიური ადგილმდებარეობა ბანკის (ფილიალის) არსებობის რეგიონში უნდა იყოს;

• ბიზნესის მფლობელების ღიადობა ბანკთან მიმართებაში, ანუ ბიზნესის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე მზადყოფნა;

• დაფინანსებაზე შემოთავაზებული პროექტის ბანკის საკრედიტო, საგირავნო და საპროცენტო პოლიტიკასთან შესაბამისობა.

ზემოთმითითებული ჩამონათვალი თითოეული ბანკისათვის ინდივიდუალურს წარმოადგენს. იგი ბანკში საკრედიტო პოლიტიკასთან და რისკების მართვის პოლიტიკასთან შესაბამისობაში უნდა იყოს შემუშავებული.

ბ) საკრედიტო მომსახურების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება:

• კრედიტზე მსესხებლის საბუთების შეგროვებისა და ანალიზის შემდეგ დამკრედიტებელი ქვედანაყოფი უსაფრთხოების სამსახურში და საგირავნო სამსახურში სამსახურებრივ ბარათს ამზადებს საკუთარი დასკვნის თანდართვით.

• დამკრედიტებელ ქვედანაყოფს, უსაფრთხოების სამსახურს და საგირავნო სამსახურს მსესხებლის დადებით შეფასებასთან ერთად დასკვნა საკრედიტო მომსახურების მიწოდების შესახებ განსახილველად რისკების კონტროლის დეპარტამენტში გააქვს. აღნიშნული ქვედანაყოფის თანამშრომლები ეცნობიან დასკვნას და განხილვის შედეგების მიხედვით საკუთარ სამსახურებრივ ბარათს / დასკვნას ამზადებენ.

• საკრედიტო კომიტეტის წევრების დასკვნებს შეისწავლის და გადაწყვეტილების მისაღების მიზნით საკრედიტო კომიტეტზე გააქვს განსახილველად.

• საკრედიტო კომიტეტზე განიხილება საკრედიტო მომსახურების მიწოდების შესახებ საკითხი.

• საკრედიტო კომიტეტის მიერ საკრედიტო მომსახურების მიწოდებაზე განხილვის შედეგის საფუძველზე (დამტკიცებული დაკრედიტების ლიმიტის ფარგლებში)საკრედიტო დოკუმენტაციის შემდგომი გაფორმება ხორციელდება.

საკრედიტო დოკუმენტაციის სამართლებრივი ექსპერტიზა:

• საკრედიტო კომიტეტის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იურიდიული სამსახური დამკრედიტებელი ქვედანაყოფის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბანკის კონტრაგენტების მართვის ორგანოების უფლებამოსილების შემოწმების საგანზე ამზადებს დასკვნას.

• აღმოუფხვრელი იურიდიული რისკების არსებობის შემთხვევაში დაკრედიტების შესახებ საკითხი საკრედიტო კომიტეტის სხდომაზე მეორედ უნდა იქნას გატანილი.

• იურიდიული რისკების არ არსებობის შემთხვევაში საკრედიტო დოკუმენტაციის პაკეტის ხელმოწერა და კრედიტის მიწოდება ხორციელდება.

ზემოთაღნიშნულიდა გამომდინარე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი: კონკურენციის ზრდა, განაკვეთების შემცირება ბანკებს შემოსავლიანობის შენარჩუნების რეზერვების მოძიებას აიძულებს. დანაკარგების ალბათობის მართვა, შემოსავლიანობის მისაღებ დონეზე შენარჩუნებისას, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა ხდება. მნიშვნელოვან როლს ამასთან რისკ-მენეჯერი ასრულებს, რომლის ფუნქციები და ამოცანები ფართოვდება, ხოლო კვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება.

**Valeri Mosiashvili-Professor, GTU** **Shorena Beruashvili-PhD Student of GTU**



## THE ANALYSIS OF FOREIGN TRADE OF GEORGIA AFTER THE ACCESSION IN THE WTO

The WTO was born out of the General Agreement on Tariffs and Trade (GATT), which was established in 1947. The WTO replaced GATT as the world's global trading body in 1995.The purpose of the WTO is to ensure that global trade commences smoothly, freely and predictably. The WTO creates and embodies the legal ground rules for global trade among member nations and thus offers a system for international commerce. The WTO aims to create economic peace and stability. Theoretically, if a country is a member to the WTO, its local laws cannot contradict WTO rules and regulations, which currently govern approximately 97% of all world trade. If a trade dispute occurs, the WTO works to resolve it. If, for example, a country erects a trade barrier in the form of a customs duty against a particular country or a particular good, the WTO may issue trade sanctions against the violating country. The WTO will also work to resolve the conflict through negotiations.

Georgia was among the first republics of the FSU to proclaim independence in 1991. During the four years of upheaval that followed, the country experienced civil unrest and internal conflicts, in particular the war in the Abkhazian region, which created serious refugee problems and closure of its trade routes. Prior to independence, the Georgian economy had been closely integrated with that of the Soviet Union with trade accounting for an estimated 40% of GDP, and nearly all exports directed to, and three quarters of imports coming from, the Soviet republics. The industrial sector accounted for about one third of the economy and although Georgia lacked cheap sources of energy, it produced steel pipes, locomotives, and other energy-intensive products for export. The competitiveness of Georgia's heavy industry was dependent on the supply of natural gas from Turkmenistan at artificially low prices and on inflated prices for final products.

The dissolution of the FSU had serious effects on the Georgian economy: the price of gas and oil rose dramatically in the early 1990s, making Georgia's heavy industry uncompetitive and halting production in Georgia's industrial centres. In addition, Russia's economic problems led to a collapse of demand for Georgia's agricultural goods (in which it had comparative advantage), and tourism, formerly an important source of income, virtually disappeared. Thus, like other CIS (Commonwealth Independent States) countries, Georgia had thousands of unemployed engineers and scientists but no industry that could employ them. In response, large numbers of skilled people withdrew from the market, many becoming attached to low productivity activities in agricultural and rural areas, some resorted to the public sector, and others migrated abroad. By 1994, Georgia's GDP was estimated at 17% of its 1990 level the greatest fall among the countries of the FSU. Despite the problems, the overriding objective of Georgia's economic policies during the 1990s was to create and develop a market economy through privatization of state-owned commercial enterprises, deregulation of prices, and liberalization of its trade and investment regimes. Georgia became the 137th member of the World Trade Organization on 14 June 2000. After the accession the situation changed. Georgia had possibility to connect to the foreign markets. In spite of this our country had got various obligations, for example bound tarrifs. The **Bound tariff rate** is the most-favored-nation tariff rate resulting from negotiations under the General Agreement on Tariffs and Trade (GATT) and incorporated as an integral component of a country's schedule of concessions or commitments to other World Trade Organization members. If a country raises a tariff to a higher level than its bound rate, those adversely affected can seek remedy through the dispute settlement process and may obtain the right to retaliate against an equivalent value of the offending country's exports or the right to receive compensation, usually in the form of reduced tariffs on other products they export to the offending country.

The table above shows that export is gradually growing, from 323.9 million US dollars (2000) till 2.860 billion in 2014. The great part of it is directed toward CIS countries. Prior to the August 2008 armed conflict with Russia, Georgia exported the most of its products in Russia, the situation changed in 2008, the Russian embargo has had an impact on overall export revenue. After Russia's accession in the WTO the relationship succeded, the exports were dramatically increased in 2013 ( 190, 390.0 million US dollars) and

2014 ( 274, 675.0 million US dollars) compared with 2012 (46, 800.2 million US dollars). From 2007 up to now the most of the exports are directed to Azerbaijan.

The second table shows the import from the various countries. The import is four times more than export.

| According to the years | Import Million US dollars | EU Countries Thousand US dollars | CIS countries Thousand US dollars | Other countries Thousand US dollars |
|---|---|---|---|---|
| 2000 | **709.5** | **218, 618.6** | **229, 433.7** | **261, 456.8** |
| 2001 | **752.0** | **269, 110.1** | **252, 756.1** | **230, 144.7** |
| 2002 | **794.7** | **253, 833.5** | **291, 371.8** | **249, 486.3** |
| 2003 | **1, 139.0** | **439, 847.1** | **367, 977.9** | **331, 214.1** |
| 2004 | **1, 844.3** | **659, 116.5** | **653, 715.0** | **531, 511.4** |
| 2005 | **2, 487.5** | **744, 571.9** | **994, 372.4** | **748, 604.0** |
| **2006** | **3, 674.8** | **1, 118, 926.4** | **1, 398, 588.9** | **1, 157, 317.1** |
| **2007** | **5, 212.2** | **1, 546, 297.7** | **1, 849, 368.8** | **1, 816, 483.7** |
| **2008** | **6, 301.5** | **1, 764, 268.9** | **1, 998, 028.6** | **2, 539, 242.8** |
| **2009** | **4, 500.2** | **1, 340, 887.8** | **1, 298, 324.1** | **1, 861, 032.2** |
| 2010 | **5, 257.1** | **1, 470, 643.3** | **1, 587, 618.3** | **2, 198, 860.8** |
| **2011** | **7, 038.4** | **2, 052, 469.4** | **1, 923, 382.6** | **3, 062, 586.8** |
| **2012** | **8, 036.9** | **2, 428, 557.2** | **2, 047, 036.6** | **3, 561, 305.6** |
| 2013 | **8, 011.6** | **2, 263, 656.6** | **2, 173, 277.1** | **3, 574, 660.7** |
| **2014** | **8, 593.3** | **2, 369, 695.5** | **2, 124, 317.1** | **4, 099, 312.8** |
| **2015( From January till September)** | **1, 791, 279.8** | **470, 122.8** | **501, 144.8** | **820, 012.2** |

| According to the years | Import Million US dollars | EU Countries Thousand US dollars | CIS countries Thousand US dollars | Other countries Thousand US dollars |
|---|---|---|---|---|
| 2000 | **323.9** | **78, 874.3** | **128, 077.2** | **116, 986.7** |
| 2001 | **317.2** | **62, 255.0** | **143, 849.9** | **111, 045.9** |
| 2002 | **345.7** | **63, 431.3** | **168, 497.9** | **113, 806.9** |
| 2003 | **461.3** | **82, 715.6** | **224, 737.5** | **153, 856.9** |
| 2004 | **646.9** | **128, 204.3** | **327, 638.7** | **191, 059.9** |
| 2005 | **865.5** | **216, 758.8** | **407, 175.5** | **241, 521.4** |
| **2006** | **936.4** | **225, 357.2** | **391, 077.5** | **319, 939.9** |
| **2007** | **1, 232.1** | **268, 533.5** | **461, 895.5** | **501, 681.4** |
| **2008** | **1, 495.3** | **335, 165.2** | **540, 884.8** | **619, 295.2** |
| **2009** | **1, 133.6** | **237, 715.6** | **416, 162.3** | **479, 744.5** |
| 2010 | **1, 677.5** | **309, 550.1** | **676, 672.7** | **691, 249.3** |
| **2011** | **2, 186.7** | **424, 347.6** | **1, 052, 505.3** | **709, 861.9** |
| **2012** | **2, 376.2** | **352, 908.8** | **1, 244, 427.8** | **778, 818.0** |
| 2013 | **2, 909.5** | **607, 113.3** | **1, 620, 731.0** | **681, 671.3** |
| **2014** | **2, 860.7** | **624, 085.6** | **1, 465, 184.9** | **771, 400.1** |
| **2015 (From January till September)** | **1, 644, 866.6** | **470, 975.4** | **629, 765.7** | **544, 125.5** |

# Chart I.1
# Product composition of merchandise trade, 2002 and 2008

**Per cent**

| 2002 | 2008 |
|---|---|

## (a) Exports (f.o.b.)







**Total: US$346.3 million** | **Total: US$1,497.5 million**

## (b) Imports (c.i.f.)







**Total: US$793.3 million** | **Total: US$6,055.7 million**

**a Non-monetary gold (excluding gold ores and concentrates).**

***Source*: UNSD, Comtrade database (SITC Rev.3).**

.

# Chart I.2
# Direction of merchandise trade, 2002 and 2008

**Per cent**

**2002** | **2008**

## (a) Exports (f.o.b.)




**Total: US$346.3 million**




**Total: US$1,497.5 million**

## (b) Imports (c.i.f.)




**Total: US$793.3 million**




**Total: US$6,055.7 million**

***Source*: UNSD, Comtrade database (SITC Rev.3).**

As for the 1.1 and 1.2 charts, we can see that situation is not under the control in 2008, in particular export of the agricultural products is decreased from 32% to 18.3 %. Export in Russia is decreased form 17.7 % to 1.9 %.

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Real GDP at 2003 market prices (lari million) | .. | 8, 564.1 | 9, 065.9 | 9, 935.6 | 10, 868.0 | 12, 208.8 | 12, 460.7 |
| Real GDP at 2003 market price (US$ million) | .. | 3, 990.8 | 4, 729.1 | 5, 481.2 | 6, 117.1 | 7, 307.8 | 8, 362.0 |
| Current GDP at factor prices (lari million) | 6, 960.7 | 8, 041.9 | 8, 989.6 | 10, 284.5 | 12, 046.9 | 14, 611.1 | 16, 516.6 |
| Current GDP at market prices (lari million) | 7, 456.0 | 8, 564.1 | 9, 824.3 | 11, 621.0 | 13, 789.9 | 16, 993.8 | 19, 069.6 |
| Current GDP at market prices (US$ million) | 3, 398.1 | 3, 990.8 | 5, 124.7 | 6, 411.0 | 7, 761.7 | 10, 171.9 | 12, 797.0 |
| GDP per capita at current market price (lari) | 1, 705.6 | 1, 972.1 | 2, 276.7 | 2, 689.1 | 3, 133.1 | 3, 866.9 | 4, 351.7 |
| GDP per capita at current market price (US$) | 777.3 | 919.0 | 1, 187.6 | 1, 483.5 | 1, 763.6 | 2, 314.6 | 2, 920.3 |
| **GDP by economic activity at constant prices (annual %age change)** | | | | | | | |
| Agriculture, forestry and fishing | -1.4 | 10.3 | -7.9 | 12.0 | -11.7 | 3.3 | -2.1 |
| Mining and quarrying | 29.8 | -2.1 | -19.9 | -7.8 | 18.7 | 19.9 | 17.0 |
| Manufacturing | 13.1 | 7.9 | 7.2 | 13.6 | 16.5 | 15.9 | -2.1 |
| Electricity, gas and water | -10.2 | 9.2 | -4.0 | 5.1 | 13.4 | 6.8 | -2.7 |
| Construction | 43.1 | 46.6 | 35.9 | 14.1 | 8.5 | 14.6 | -11.0 |
| **Table I.1 (cont'd)** | | | | | | | |
| Services | 5.4 | 10.5 | 7.5 | 10.4 | 14.6 | 12.1 | 4.6 |
| Trade and repair | 3.9 | 12.1 | 8.2 | 9.4 | 19.7 | 9.6 | 10.4 |
| Restaurant and hotels | 7.6 | 14.2 | 3.5 | 16.6 | 10.5 | 11.4 | 5.0 |
| Transport, storage and communication | 8.7 | 8.4 | 7.1 | 10.9 | 15.7 | 10.9 | -2.4 |
| Financial intermediation | 22.9 | 18.1 | 12.8 | 52.8 | 36.9 | 15.3 | 3.3 |
| Real estate, renting and business activities | -1.9 | 10.6 | 11.8 | 5.4 | 8.6 | 14.7 | 2.2 |
| Public administration and defence | 1.2 | -2.3 | 9.7 | -6.3 | -2.4 | 15.9 | 10.3 |
| Education | 1.5 | 1.5 | 1.8 | 13.8 | 12.1 | 9.5 | 13.7 |
| Health and social work | 6.5 | 1.7 | 4.2 | 7.6 | 15.4 | 10.4 | 5.9 |
| Other | 3.7 | 18.6 | 7.0 | 16.8 | 7.1 | 23.5 | -0.1 |
| **Share of main sector in current GDP, factor prices (%)** | | | | | | | |
| Agriculture, forestry and fishing | 20.6 | 20.6 | 17.9 | 16.7 | 12.8 | 10.7 | 10.3 |
| Mining and quarrying | 0.7 | 0.9 | 0.9 | 0.9 | 1.2 | 1.0 | 0.8 |
| Manufacturing | 13.7 | 13.9 | 13.4 | 13.7 | 12.7 | 12.7 | 12.3 |
| Electricity, gas and water | 4.5 | 4.0 | 3.4 | 3.2 | 3.1 | 2.8 | 2.5 |
| Construction | 5.5 | 6.8 | 8.8 | 9.1 | 7.9 | 7.8 | 6.1 |
| Services | 56.1 | 54.8 | 56.5 | 57.7 | 63.2 | 66.1 | 69.3 |
| Trade and repair | 13.7 | 14.1 | 13.9 | 13.5 | 15.6 | 14.8 | 16.1 |
| Restaurant and hotels | 3.1 | 3.0 | 3.0 | 3.2 | 2.6 | 2.4 | 2.4 |
| Transport, storage and communication | 15.2 | 14.8 | 14.6 | 14.0 | 13.2 | 12.1 | 11.6 |
| Financial intermediation | 1.6 | 1.6 | 1.4 | 2.3 | 2.4 | 2.5 | 2.4 |
| Real estate, renting and business activities | 6.4 | 6.4 | 6.3 | 6.0 | 6.5 | 6.5 | 6.6 |
| Public administration and defence | 4.2 | 3.8 | 6.4 | 7.3 | 9.7 | 14.9 | 17.3 |

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Education | 3.9 | 3.5 | 3.8 | 3.7 | 4.2 | 3.8 | 4.0 |
| Health and social work | 5.0 | 4.3 | 3.8 | 3.9 | 5.0 | 4.7 | 4.7 |
| Other | 2.9 | 3.2 | 3.2 | 3.7 | 3.8 | 4.4 | 4.3 |
| Less: FISIM adjustment[a] | 1.0 | 1.0 | 0.8 | 1.3 | 0.9 | 1.1 | 1.3 |
| **Share of sector in total employment (%)** | | | | | | | |
| Agriculture, forestry and fishing | 53.8 | 54.9 | 54.0 | 54.3 | 55.3 | 53.4 | .. |
| Mining and quarrying | 0.3 | 0.2 | 0.2 | 0.3 | 0.2 | 0.3 | .. |
| Manufacturing | 4.6 | 4.9 | 5.1 | 5.1 | 4.7 | 4.9 | .. |
| Electricity, gas and water | 1.4 | 1.1 | 1.2 | 1.3 | 1.1 | 1.1 | .. |
| Construction | 1.9 | 2.2 | 2.4 | 2.5 | 3.1 | 4.2 | .. |
| Services | 37.9 | 36.6 | 37.2 | 36.4 | 35.7 | 36.3 | .. |
| Trade and utilities | 11.7 | 10.9 | 11.0 | 10.8 | 9.6 | 9.9 | .. |
| Restaurant and hotels | 0.8 | 0.9 | 1.1 | 0.9 | 1.0 | 1.1 | .. |
| Transport, storage and communication | 4.3 | 4.2 | 4.2 | 4.0 | 4.5 | 4.2 | .. |
| Financial intermediation | 0.4 | 0.5 | 0.7 | 0.8 | 0.8 | 1.0 | .. |
| Real estate, renting and business activities | 1.1 | 1.8 | 1.6 | 1.5 | 1.5 | 2.0 | .. |
| Public administration | 5.9 | 5.0 | 4.9 | 4.7 | 4.5 | 3.8 | .. |
| Education | 7.1 | 7.5 | 7.5 | 7.5 | 7.6 | 7.3 | .. |
| Health and social work | 3.4 | 2.7 | 3.1 | 3.3 | 3.0 | 3.5 | .. |
| Other | 3.2 | 3.1 | 3.1 | 2.9 | 3.2 | 3.5 | .. |

Macroeconomic performance. Prior to the August 2008 armed conflict with Russia, the Georgian economy was growing strongly, with GDP rising by nearly 10% per annum on average led by construction, financial intermediation, communications and, more recently, manufacturing. Underlying this was a rapidly improving business climate and increasing inflows of foreign direct investment, which jumped from 8.4% of GDP in 2003 to an estimated 17.2% in 2007. Rising public expenditures, financed by a substantial increase in the tax to GDP ratio were being directed at improvements in education and health services and in targeted social assistance for the poor as well as infrastructure. Economic policies were guided overall by reliance on the private sector for growth in a liberalized trade, investment, and business environment.

**Table I.2**
***Selected macroeconomic indicators, 2002-08***

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **National accounts** | (Percentage change) | | | | | | |
| Real GDP (at 2003 prices) | 5.5 | 11.1 | 5.9 | 9.6 | 9.4 | 12.3 | 2.1 |
| XGS/GDP (%) (at current market price) | 29.2 | 31.8 | 31.6 | 33.7 | 32.9 | 31.2 | 28.7 |
| MGS/GDP (%) (at current market price) | 42.4 | 46.4 | 48.2 | 51.6 | 57.0 | 58.0 | 57.7 |
| Unemployment rate (%) | 12.6 | 11.5 | 12.6 | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 |
| **Prices and interest rates** | (Per cent) | | | | | | |
| Inflation (CPI, %age change, period average) | 5.6 | 4.8 | 5.7 | 8.2 | 9.2 | 9.2 | 10.0 |
| Inflation (CPI, %age change, end period) | 5.4 | 7.0 | 7.6 | 6.2 | 8.8 | 11.0 | 5.5 |
| Deposit rate[a] | 9.82 | 9.28 | 7.24 | 7.55 | 11.44 | 9.52 | 10.39 |
| | (10.23 ) | (9.19) | (7.66) | (5.94) | (6.60) | (7.28) | (9.01) |
| Lending rate[a] | 31.83 | 32.27 | 31.23 | 21.63 | 18.75 | 20.41 | 21.24 |
| | (29.27 | (27.62 | (27.06 | (24.18 | (22.50 | (18.64 | (20.43) |

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ) | ) | ) | ) | ) | ) | |
| **Money credit (end period)** | (Percentage change) | | | | | | |
| Reserve money (M1) | 19.7 | 14.3 | 46.9 | 16.2 | 26.3 | 40.1 | -7.8 |
| Broad money[b] | 17.9 | 22.8 | 42.4 | 26.5 | 39.7 | 49.7 | 6.9 |
| Credit to private sector | 21.4 | 23.5 | 29.1 | 78.3 | 56.7 | 79.1 | 31.7 |
| **Exchange rate** | | | | | | | |
| Lari/US$ (annual average) | 2.19 | 2.15 | 1.92 | 1.81 | 1.78 | 1.67 | 1.49 |
| Real effective exchange rate (%age change) | -6.4 | -6.8 | 6.8 | 6.3 | 5.9 | 3.8 | 16.4 |
| Nominal effective exchange rate (%age change) | -3.3 | -4.9 | 6.4 | 3.7 | 1.9 | 0.1 | 13.4 |
| | (Per cent of GDP, unless otherwise indicated) | | | | | | |
| **Consolidated Government operations** | | | | | | | |
| Revenue and grants | .. | 15.7 | 23.1 | 24.3 | 27.9 | 29.3 | 30.7 |
| Tax revenue | .. | 11.7 | 15.6 | 17.1 | 19.2 | 21.6 | 24.9 |
| Current expenditure | .. | 14.7 | 18.7 | 20.9 | 21.6 | 25.8 | 28.4 |
| Operational balance | .. | 1.0 | 4.4 | 3.5 | 6.3 | 3.5 | 2.3 |
| Capital spending and net lending | .. | .. | 2.0 | 5.1 | 9.3 | 8.2 | 8.7 |
| Total balance | .. | .. | 2.4 | -1.6 | -3.0 | -4.7 | -6.4 |
| Government total debt (end-period) | .. | 53.8 | 43.8 | 35.1 | 28.0 | 23.1 | 27.0 |
| Domestic debt | .. | 18.3 | 16.0 | 13.2 | 11.0 | 8.8 | 7.7 |
| **Saving and investment** | | | | | | | |
| Gross national savings | 19.8 | 23.2 | 22.5 | 22.8 | 14.9 | 14.6 | 8.5 |
| Gross domestic investment | 28.5 | 31.3 | 31.9 | 33.5 | 30.9 | 32.1 | 27.0 |
| Savings-investment gap | -8.7 | -8.1 | -9.4 | -10.7 | -16.0 | -17.5 | -18.5 |
| **External sector** | | | | | | | |
| Current account balance | -6.3 | -9.6 | -6.9 | -11.1 | -15.1 | -19.8 | -22.8 |
| Net merchandise trade | -14.4 | -16.0 | -17.9 | -18.9 | -26.0 | -28.5 | -30.0 |
| Merchandise exports | 17.8 | 20.8 | 21.3 | 23.0 | 21.5 | 20.5 | 19.0 |
| Merchandise imports | 32.1 | 36.8 | 39.2 | 41.9 | 47.5 | 49.0 | 48.9 |
| Services balance | 1.3 | 1.5 | 1.4 | 1.3 | 2.0 | 1.6 | 0.2 |
| Capital account | 0.5 | 0.5 | 0.8 | 0.9 | 2.2 | 1.3 | 0.8 |

**Table I.2 (cont'd)**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Financial account | 6.4 | 8.8 | 9.4 | 11.5 | 19.4 | 22.5 | 23.4 |
| Foreign direct investment in Georgia | 4.7 | 8.4 | 9.6 | 7.1 | 15.1 | 17.2 | 12.2 |
| Balance-of-payments | 0.9 | -0.5 | 3.5 | 1.7 | 5.7 | 3.7 | 1.0 |
| Merchandise exports (%age change) | 21.6 | 37.7 | 31.5 | 34.8 | 13.2 | 25.3 | 16.3 |
| Merchandise imports (%age change) | 4.5 | 34.4 | 36.7 | 33.8 | 37.2 | 35.2 | 25.6 |
| Service exports (%age change) | 30.0 | 12.1 | 21.1 | 28.9 | 23.8 | 23.6 | 15.2 |
| Service imports (%age change) | 53.4 | 9.2 | 22.3 | 30.2 | 15.1 | 28.3 | 32.7 |
| Foreign exchange reserves[c] (US$ million, end-period) | 199.3 | 191.3 | 375.4 | 477.6 | 929.9 | 1, 346.3 | 1, 467.8 |
| In months of imports of goods and services | 1.6 | 1.2 | 1.8 | 1.7 | 2.5 | 2.7 | .. |
| External debt (US$ million) | 1, 858.8 | 2, 042.1 | 2, 138.0 | 2, 095.0 | 2, 328.0 | 3, 136.0 | 4, 581.0 |
| Debt service ratio[d] | .. | .. | 41.7 | 32.7 | 30.0 | 30.7 | 35.6 |

There are different ideas about the accession in the WTO. Some people think that it is productive for the country's economy. Others disagree with this idea, I would say that cooperation is receptive, the membership is necessary and important condition for our economy and for the development of our export potential.

**ჯუმბერ ხარაიშვილი**



## საჯარო ფინანსების დაგეგმვის სპეციფიკა საქართველოში

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, როდესაც სასაქონ-ლო-ფულადი ურთიერთობანი საყოველთაო ხასიათს იძენს, ღირებულე-ბის კანონის მოქმედების შედეგად მატერიალურ-ნივთობრივი პროპორ-ციების პროგნოზირება ორგანულად არის გადაჯაჭვული ღირებულებითი (ფულადი) პროპორციების დაგეგმვასთან. ყოველივე ამის გამო საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, გაერთიანების საწარმოო პროგრამებთან და პროგნოზებთან ერთად მიმდინარეობს ფინანსური გეგმების ფორმირება.

ფინანსური დაგეგმვა მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის პროპორციული და დინამიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ოპტიმალური ტემპების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია ფულადი სახსრების დამოუკიდებელი მოძრაობით წარმოების მატერიალურ-ნივთობრივ ელემენტებთან შედარებით და საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში განაწილების პროცესზე ფულადი სახსრების აქტიური ზემოქმედებით.

საჯარო ფინანსების დაგეგმვა მოიცავს მხოლოდ ფულად ფორმაში განაწილებით პროცესს, ე.ი. მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ქვეყნის მასშტაბით განა¬წილებას. აგრეთვე, მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების განაწილებას.

ფინანსური დაგეგმვის მთავარ ობიექტად ფინანსური რესურსები გამოდის, რომლის წყაროებია ერთობლივი ეროვნული პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი, უპირატესად კი, ეროვნულ ეკონომიკაში ფულადი დაგროვება, საამორტიზაციო ანარიცხები, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობიდან შემოსულობანი და მოსახლეობის შემოსავლები.

ფინანსური რესურების ფორმირება, განაწილება და გამოყენება მიმდინარეობს საკრედიტო რესურსების მოძრაობასთან ურთიერთკავშირში. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ფუნქციონირების მხრივ არსებითად განსხვავდება ფინანსური რესურსებისგან, ისინი ხშირად ერთმანეთს ავსებენ და ცვლიან კიდევაც, ამიტომ, სამეურნეო თვალსაზრისით, ფინანსურ დაგეგმვაში უმეტესწილად საკრედიტო დაგეგმვაც შეაქვთ.

## სახელმწიფოს ინტერესები საჯარო ფინანსების დაგეგმვის პროცესში

საჯარო ფინანსების დაგეგმვის მეშვეობით სახელმწიფო:

1. განსაზღვრავს ფინანსური რესურსების წყაროებს, მოცულობასა და მიზნობრივ გამოყენებას;

2. უზრუნველყოფს ოპტიმალური ღირებულებითი პროპორციების დაწესებას და განაწილებას ეკონომიკის პროგნოზირების შესაბამისად ცალკეული დარგის, რეგიონისა და ცელტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ ფონდებს შორის. ასტიმულირებს საწარმოო ფონდების მატერიალური და ფულადი რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

3. ავლენს მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რეზერვებს ეკონომიკაში და სახავს გზებს მათ სამეურნეო ბრუნვაში ჩასართავად;

4. აწესებს საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, გაერთიანების, კორპორაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე სისტემატურ კონტროლს.

ამრიგად, საჯარო ფინანსების დაგეგმვა წარმოადგენს, ერთის მხრივ, ფინანსური რესურსე-

ბის მართვის იარაღს და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი წარმოების პროცესზე ზემოქმედების აქტიურ მექანიზმს.

ეკონომიკის განვითარების პროგნოზების ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლების დაბალანსება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და საზოგადოების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა. საჯარო ფინანსების დაგეგმვის მეშვეობით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არა მარტო ფინანსური და მატერიალური რესურსების ოპტიმალური თანაფარდობა, არამედ ფულადი სახსრების მიზნობრივად გამოყენება. პროგნოზით გათვალისწინებულ კონკრეტულ ობიექტებზე ფინანსური დაგეგმვისა და მისი შესრულების პროცესში დაშვებულმა დისპროპორციებმა შეიძლება ფულადი სახსრების სიჭარბე ან ნაკლებობა გამოიწვიოს, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს სასაქონლო-მატერიალური რესურსების მოძრაობასა და შრომითი მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე.

საჯარო ფინანსების დაგეგმვის პროცესში შემოწმებას ექვემდებარება ღირებულებითი მექანიზმების ეფექტიანობა. მათ შორის, ფასებისა და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის ეფექტიანობა. აუცილებლობის შემთხვევში შემუშავებულ უნდა იქნეს ღონისძიებები მათ ოპტიმალურ პროპორციებში მოსაყვანად. პირველ რიგში, ეს ეხება შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებას ფასების მექანიზმების და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნის მეშვეობით, მათ შექმნა-გამოყენებას, ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნის თანდათანობით და პროპორციულად დაკმაყოფილების პირობებს.

საჯარო ფინანსების დაგეგმვის მეშვეობით მიღწეულ უნდა იქნეს ფინანსური რესურსების ოპტიმალური განაწილება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს, საწარმოს და საზოგადოების წევრების ეკონომიკური ინტერესების შეთანაწყობას.

ფინანსური დაგეგმვა საჯარო ფინანსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ბევრს ადრეც და დღესაც მიაჩნია, რომ ყოველგვარი დაგეგმვა ცენტრალიზებულ-გეგმიანი მართვის პრეროგატივა იყო, რაც არასწორი და მიუღებელია. ობიექტურად, ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება ყველა ქვეყანაში და ბევრ მათგანში იგი დაყენებულია უმაღლეს ტექნიკურ და მეცნიერულ დონეზე. თანაც ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება მოკლევადიანი, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი დაგეგმვის მეშვეობით.

ნებისმიერი სახელმწიფოს ფინანსური დაგეგმვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი საბიუჯეტო დაგეგმვაა. იგი მოიცავს პროცესს, რომელიც განსაზღვრავს ფინანსური რესურსების იმ ნაწილის მოცულობას, რომლის მობილიზაცია და გამოყენება გათვალსწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნების დასაფინანსებლად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სახელმწიფო კიდევ უფრო დიდ ყურადრებას აქცევს ფინანსურ დაგეგმვას. დაგეგმვა იწყება ცალკეული დაწესებულების და ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვით და მთავრდება სახელმწიფოს საერთო ფინანსური გეგმით – ბიუჯეტით.

ფინანსური დაგეგმვის კონკრეტული ამოცანები განსაზღვრულია ქვეყნის ფინანსური პოლიტიკით. როგორც აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკა არ უარყოფს დაგეგმვას იმდენად, რამდენადაც გეგმა სხვა არაფერია, თუ არა მმართველობითი გადაწყვეტილებების საიმედო გაფორმება. საყურადღებოა, რომ საბაზრო ეკონომიკა გეგმიან ეკონომიკასთან შედარებით უფრო მოქნილი და მანევრირებადია, რითაც იგი უზრუნველყოფს პროგნოზებისა და პროგრამების ალტერნატიული ვარიანტების შემუშავებას.

როგორც პროგნოზები, ისე ფინანსური მაჩვენებლების გეგმური გაანგარიშებანი აგებულია და ეყრდნობა სხვადასხვა მეთოდს. მათგან საყურადღებოა ექსტრაპოლაციის მეთოდი, რომელიც განსაზღვრავს ფინანსურ მაჩვენებლებს მათ დინამიკაში, გაანგარიშებისას გამოდიან საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებლებიდან, რომელთაც კორექტირებას უკეთებენ შეფარდებითი ცვლილებების გათვალისწინებით.

ვანო შუშტაკაშვილი



# საჯარო ფინანსების დაგეგმვის მეთოდები

ნორმატიული მეთოდი აგებულია დაწესებული ნორმებისა და ნორმატივების გამოყენებაზე.

მათემატიკური მოდელირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ აგებულ იქნეს ფინანსური მოდელი, რომლის იმიტირება რეალური ეკონომიკური და სოციალური მოვლენების პროცესში ხდება.

საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული საბიუჯეტო პროცესების _ შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზირება-დაგეგმვის, ბიუჯეტის ფორმირების, განაწილების, შესრულების, დამტკიცებული წესების დაცვაზე, კონტროლის განხორციელებასთან.

სწორედ საჯარო ფინანსების დაგეგმვა წარმოადგენს ფინანსური მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს, რომლის გათვალისწინებითაც ხორციელდება მმართველობითი ფუნქციები ქვეყანაში. იგი ატარებს საინფორმაციო-სარეკომენდაციო ხასიათს და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პერსპექტიული დაგეგმვის სისტემაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზთან ერთად. ასეთი გეგმა იძლევა სისტემურ წარმოდგენას შექმნილ სიტუაციაზე, რეგიონებსა და ტერიტორიული განვითარების მიზნებსა და ამოცანებზე, მართვის საყოველთაოდ აღიარებულ სტრატეგიაზე.

ფინანსური დაგეგმვა შეიცავს მონაცემებს შემოსავლების მობილიზაციის მიხედვით ბიუჯეტის საპროგნოზო შესაძლებლობებზე სახელმწიფო და მუნიციპალური სესხების მოზიდვასა და ძირითადი საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებაზე.

საჯარო ფინანსების დაგეგმვა მიზნად ისახავს:

- სახელმწიფო და საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოების ინფორმირებას ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების მოსალოდნელი საშუალოვადიანი ტენდენციების შესახებ;
- გასატარებელი რეფორმების პროგრამებისა და კანონების ფინანსური შედეგების კომპლექსურ პროგნოზირებას;
- საფინანსო პოლიტიკის სფეროში მომავალში განსახორციელებელი ღონისძიებების აუცილებლობის და შესაძლებლობების გამოვლენას;
- მავნე ტენდენციების გამოვლენას და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების დროულ მიღებასა და გატარებას.

საყურადღებოა, რომ პრაქტიკაში ძალზე რთულია ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირება წინასწარ სამი წლით ადრე, მომავალი საგადასახადო ცვლილებების შესახებ ზუსტი ინფორმაციის არარსებობის პირობებში. ამიტომ ბიუჯეტის პროექტისგან განსხვავებით, საშუალოვადიანი ფინანსური გეგმა უნდა შემუშავდეს, როგორც მოსალოდნელი საგადასახადო ცვლილებების გათვალისწინებით, ისე მათ გარეშეც, ე.ი. სხვადასხვა საპროგნოზო პირობებში.

შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ქვეყნისთვის საშუალოვადიანი დაგეგმვა ახალი არ არის, მაგრამ ეკონომიკის განვითარების მუდმივად ცვალებადი საგარეო და საშინაო პირობები ართულებს ამ პროცესს.

საშუალოვადიანი ფინანსური დაგეგმვა ტერიტორიებს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს მომავალი მოთხოვნები ფინანსურ რესურსებზე, უწინარეს ყოვლისა, საინვესტიციო პროგრამების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო კრედიტის მართვის სფეროში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად. პერსპექტიული ფინანსური გეგმა უნდა აიგოს ბიუჯეტის გარკვეული ნორმატიული პარამეტრების საფუძველზე, რომლებიც შეთანხმებულია ბიუჯეტის მუხლების მოცულობის ნორმატივებისა და მათი თანაფარდობის განმსაზღვრელ რეგიონულ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან. ბიუჯეტის ეს პარამეტრები, როგორც აუ-

ცილებელი ფაქტორი, მოიცავს მიმდინარე ბიუჯეტის დაბალანსებულობას აბსოლუტურ გამოხატულებაში და სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯების მოცულობასთან მიმართებით, ვალის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საბიუჯეტო კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებს; უნდა განისაზღვროს სავალო რისკისადმი მაქსიმალური ნორმატიული თანაფარდობები.

ამრიგად, საშუალოვადიანი ფინანსური დაგეგმვისას მუშავდება სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც განხვავდებიან ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების პროგნოზის სცენარებით, საგადასახადო სისტემის განვითარების გეგმებით, სახელმწიფო ვალის მართვის ვარიანტებით და ხარჯების დაფინანსების სფეროში პრიორიტეტებით. აქედან გამომდინარე, ფინანსური დაგეგმვის მთავარი ამოცანაა საჯარო სამართლის სხვადასხვა უწყების პრიორიტეტების შეჯერება. ფინანსური გეგმის შემუშავება ითვალისწინებს საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო ვალის მარ¬თვის პოლიტიკის მიზნებსა და საბიუჯეტო ხარჯებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაწესებას, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის საშუალოვადიანი პრიორიტეტების განსაზღვრას.

აღსანიშნავია საბიუჯეტო მაჩვენებლების გრძელვადიანი პროგნოზირების ზოგიერთი არსებითი ნაკლოვანება. დინამიურ-ეკონომიკური პროცესებისა და ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებში მუდმივი ცვლილებების პირობებში მრავალწლიანი ბიუჯეტი შეიძლება აღმოჩნდეს მუხრუჭი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და ეს დოკუმენტი არც ფორმით და არც შინაარსით არ აღმოჩნდეს მარეგულირებელი.

ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზი არის დოკუმენტი, რომელიც მუშავდება უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში შესაბამისი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მონაცემების, საბაზისო წლის ბოლომდე ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზისა და საგეგმო საბიუჯეტო წლისთვის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ტენდენციების საფუძველზე და წინ უსწრებს ბიუჯეტის პროექტის შედგენას.

ფინანსური რესურსების ბალანსი – ეს არის ქვეყნისა და მისი ტერიტორიული ერთეულების მუნიციპალური წამონაქმნებისა და განსაზღვრულ ტერიტორიაზე მეურნე სუბიექტების ყველა შემოსავალ-გასავლის ბალანსი. აღნიშნული დოკუმენტი დგება წინა წლის ფინანსური რესურსების საანგარიშო ბალანსის საფუძველზე შესაბამისი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზის შესაბამისად და წარმოადგენს ბიუჯეტის პროექტის შედგენის საფუძველს.

ეკონომიკის სახელმწიფო ან მუნიციპალური სექტორის განვითარების გეგმა მოიცავს:

1. სახაზინო საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ჩამონათვალს და კრებსით გეგმას;

2. სახელმწიფო ან მუნიციპალური უნიტარული საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ჩამონათვალს და კრებსით გეგმას;

3. სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების პრივატიზების (გაყიდვის) და სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არ¬სებული ქონების შეძენის პროგრამას.

გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამები, რომელთაც შეიმუშავებენ აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ექვემდებარება დამტკიცებას შესაბამისი საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოს, ადგი¬ლობ-რივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ.

ბიუჯეტის პროექტების შედგენას წინ უსწრებს ქვეყნის და მისი ტერიტორიული ერთეულების, მუნიციპალური წარმონაქმნებისა და ეკონომიკის დარგების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების შემუშავება, ასევე, კრებსითი ფინანსური ბალანსების მომზადება, რომელთა საფუძველზეც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები შეიმუშავებენ ბიუჯეტების პროექტებს. გარდა ამისა, ბიუჯეტის შედგენა ეფუძნება შესაბამისი ტერიტორიების საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მორიგი საბიუჯეტო წლისა¬თვის და პრეზიდენტის საბიუჯეტო გზავნილს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოფათ გათანაბრებითი ტრანსფერი, მიზნობრივი ტრანსფერი და სპეციალური ტრანსფერი.

გათანაბრებითი ტრანსფერი _ ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზ-

რუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დადგენილი ფორმულის შესაბამისად გამო¬¬ყოფილი სახსრები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო;

მიზნობრივი ტრანსფერი _ დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

სპეციალური ტრანსფერი _ ხარჯების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები.

გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივი თვით¬მმართველობის ექსკლუზიურ უფდუბამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრება. იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველ¬წლიურად გამოიყოფა დადგენილი ფორმულის საფუძველზე. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით.

გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშების ფორმულის მიზნებისათვის, პირველ ეტაპზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა, რომელიც არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე ნაკლები. მეორე ეტაპზე გაიანგარიშება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის მოცულობა თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის. შემდგომ ეტაპზე გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა). იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა.

საჯარო ფინანსების დაგეგმვის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს ბიუჯეტის პარამეტრების არა სამი წლით ადრე განსაზღვრაში, არამედ საგეგმო წელს გასატარებელი საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგების პროგნოზირებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რამდენად ემთხვევა პროგნოზის, ბიუჯეტისა და მისი ფაქტიური შესრულების მონაცემები, არამედ ის, თუ რა შეიძლება მოგვცეს უახლოეს პერსპექტივაში ამა თუ იმ საბიუჯეტო პოლიტიკამ.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის, რომ საშუალოვადიანი ფინანსური გეგმის შედგენის საწყისი ბაზაა მიმდინარე წლის ქვეყნის ბიუჯეტი, რომელიც ყოველწლიურად კორექტირდება ქვეყნის სახელმწიფო და მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაზუსტებული საშუალოვადიანი საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ხანთაძე გ., ცაავა გ., საჯარო ფინანსები, (სახელმძღვ.), თბ., დანი., 2013.
2. Cangiano M., Curristine T., Lazare M. – Public Financial Management and Its Emerging Architecture, 2013.
3. Icma – **Management Policies in Local Government Finance, 6th Edition (Icma Green Book), 2012.**
4. Drennan L., McConnell A., Stark A., – Risk and Crisis Management in the Public Sector (Routledge Masters in Public Management), 2015.
5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #904 გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

# ნორჩი ათინათელები

**ილია ძმანაშვილი**
*ქალაქ თბილისის № 36 საჯარო სკოლის*
*V ბ კლასის მოსწავლე*



## ინტერვიუ პოეტ ნაირა ნიჟარაძესთან

მოგესალმებით ქ. თბილისის 36-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ილია ძმანაშვილი. გაცნობებთ, რომ გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის" ნორჩი „ათინათელი".

***– ქალბატონო ნაირა, გთხოვთ გამაცნოთ თქვენი პიროვნება.***

– მე გახლავართ ნაირა ნიჟარაძე. დაბ. 1932 წ. ქ. ბათუმში. ეროვნებით ქართველი.

***– ქ-ნო ნაირა რა პროფესიის ბრძანდებით?***



– დამთავრებული მაქვს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი წარჩინებით. თბილისის ალ. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ასპირანტურა. მოვამზადე სადისერტაციო შრომა „თანამედროვეობა და ქართული საყმაწვილო პოეზია". ვიყავი სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საზ. „ცოდნის" ლექტორი, როგორც ქალაქ ქუთაისში, ასევე თბილისში. ვმუშაობდი გამომცემლობა „ნაკადულში" რედაქტორად, „საქინფორმაგრომრეწვში" განყ. უფროს რედაქტორად.

1978-1979 წლებში გაგზავნილი ვიყავი თბილისის სახ. უნივერსიტეტში ხელმძღვანელ მუშაკთა კურსებზე. 1979 წელს მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში რედაქტორთა კურსებზე. 1984 წელს სარატოვის მუდმივ მოქმედ კურსებზე მასობრივი მუშაობის კომისიების თავმჯდომარის მოსამზადებლად. 1962 წლიდან ვიბეჭდებოდი პერიოდულ პრესაში, როგორც ქუთაისში, ასევე ქ. თბილისში რუსულად და ქართულად. ჟურნალ „ცისკარში",(1953 წ.NN№6) ჟურნალ „საქართველოს ქალში" (1964 წ. №11, №12), „ლიტ. საქართველოში" (1965 წ.-1966 წ.) კრებულ „რიონში". 2004 წელს გამოიცა ლექსების კრებული „ნაირნაირი". ასევე მქონდა გადაცემები რადიოში: 1965 წ. „თანამედროვე ქართული საბავშვო პოეზია",საკუთარი ლექსები: „პატარა მატარებელი",„ზოოპარკში", „ჯადოსნური კიბე", „ცირკის ჯამბაზები", „საახალწლო მილოცვა ბავშვებს" და სხვა. 1962 წლიდან ვიყავი საქ. სსრ რესპუბლიკის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორი. ოქტომბრის რაიონის „ცოდნის" საზ. ლიტერატურისა და ხელოვნების მეთოდური სექციის ხელმძღვანელი.

1979 წელს ამირჩიეს გამომცემლობა „ნაკადულის" მებაღეობის თავმჯდომარედ, სადაც დღესაც ვმუშაობ...

1980 წელს ამირჩიეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ „საბურთალო 161"-ის თავმჯდომარედ.

ამჟამად ვმუშაობ მებაღეობის თავმჯდომარედ. ამასთანავე თბილისის ჩუღურეთის რაიონის პენსიონერთა კავშირში. ვაქვეყნებ ლექსებსა და მოწინავე, ღირსშესანიშნავ, ყოფილ მოღვაწე პენსიონერებზე სტატიებს, გაზეთ „უხუცესთა მაცნეში".


იამზე თაბორიძე, ნაირა ნიჟარაძის ქალიშვილი

მყავდა ორი ქალიშვილი. ერთი იურისტი-გარდაიცვალა. მეორე იამზე ირაკლის ასული თაბორიძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორია. შვილიშვილი-ირაკლი თაბორიძე, სულხან საბას სახელობის უნივერსიტეტის ლექტორია. შვილთაშვილი-ლუკა თაბორიძე, მე-2 კლასის მოსწავლეა.

ბავშვები მიყვარს-ჩემი სიხარულია, შვილთაშვილს მივუძღვენი საბავშვო ლექსების წიგნი, რომელსაც მალე გამოვცემ, სათაურით „გლუკას წიგნი“.

მყავდა და-ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, იგი გარდაიცვალა და დარჩა სამი შვილი, ისინი მოღვაწეობენ ქ. ქუთაისში.

მამა ანეპო ნიჟარაძე მოღვაწეობდა ქ. ბათუმში, წერდა შრომებს სოფლის მეურნეობის თემებზე. იგი მუშაობდა 1935 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი აგრონომის თანამდებობაზე. დედის თამარ ნიჟარაძის ჩანაწერების მიხედვით-„ანეპო ნიჟარაძე თავისი ენერგიული მუშაობის შედეგად დააწინაურეს ქ. ბათუმის მიწათმოქმედების კომისრის მოადგილედ. მისი მუშაობა იმდენად მოსაწონი იყო, რომ „სტახანოველობაც“ კი მიაკუთვნეს. მეურნეობის საქმე ჩინებულად მიდიოდა ბათუმის მახლობელ რაიონებში, სადაც კარგად ხარობდა ციტრუსები. ჩემი ქმრის ღვაწლი და ერთგულება დააფასა უმაღლესმა იმდროინდელმა მთავრობამ და ის გაგზავნილი იქნა იტალიაში, კუნძულ კატანიაში, რათა შეეძინა ლიმნისა და მანდარინის საუკეთესო ჯიშები, მასთან ერთად რჩეული 4 კაციც იყო გაგზავნილი რუსეთ-საქართველოდან. „ალეგრად“ წოდებული ციტრუსების პლანტაციებში იქაურმა პლანტატორმა, საბჭოთა სპეციალისტების ჩასვლისთანავე, გამოსცა ჟურნალი, სადაც ფოტოსურათებით არიან აღბეჭდილნი მოწინავე ადამიანები. ეს ჟურნალი როგორღაც გადაარჩინეს – დაწვა-განადგურებას.

ჩემმა მეუღლემ, – აღნიშნავს დედაჩემი, – ბრწყინვალედ შეასრულა დავალება, თან ჩამოიტანა ბათუმში ბულვარის შესასვლელი კოლონადების მაკეტი, რომელიც ახლაც ამშვენებს ბათუმს.


ანეპო ნიჟარაძე

1936-37 წელს ქართველი ხალხი სიხარულით შეხვდა იტალიიდან ჩამოსულ გემ „კვირინალეს“,რომლითაც ჩამოიტანეს ციტრუსების აურაცხელი ნერგები. ეს ყველაფერი ბათუმის, ქედისა და ხულოს მეურნეობებში იქნა გაშენებული. ციხის ძირში კი გაშენდა ლიმონარიუმი. სადაც დღესაც ხარობს ანეპო ნიჟარაძის მიერ ჩამოტანილი ლიმნის ჯიშები. მან დიდი წვლილი შეიტანა ბათუმის ბოტანიკური ბაღისა და თბილისის ზოოპარკის განაშენიანებაში.

მაგრამ დადგა 1937 წელი, მრისხანე და ცრემლიანი. აჭარის ხელმძღვანელობას დიდი უბედურება დაატყდა თავს. ჩვენ მაშინ მთავრობის სახლში ვცხოვრობდით, სადაც მთავრობის ოჯახების უმეტესობა ცხოვრობდა. დაიწყო მათი დაჭერა. ისმოდა აჭარელთა ცოლების გოდება და ტირილი, გამოსახლება ბინებიდან და გაპარტახება. ჩემს მეუღლეს, სპეტაკ მუშაკს არ ეშინოდა, რადგან ის დიდი პატრიოტი იყო მისი ქვეყნისა.

აჭარის ცენტრალურ კომიტეტში თითქმის ყველა დაიჭირეს, დააპატიმრეს, გამოაცხადეს ხალხის მტრად.

რისთვის?

არავინ იცოდა.

და აი, ერთ შავ დღეს, როდესაც ჩემს შვილებში 3 წლის და 6 წლის გოგონებთან ერთად, რადიოს ვუსმენდი, გავიგონე, რომ დაასახელეს ჩემი ქმარი-ანეპო ნიჟარაძე დაპატიმრებულად. ელდა მეცა, ჩემს ნათესავ გოგოს, რომელიც ჩვენთან იმყოფებოდა, ბავშვები ჩავაბარე და ჩემი

ქმრის სამსახურში გიჟივით გავიქეცი, (მიწსახკომი ახლოს იყო). როდესაც მის კაბინეტში შევიჭერი და ვუთხარი : „აი, რადიომ გამოაცხადა, შენ დაჭერას გიპირებენ და წამოდი, ბავშვები ნახე, ტირიან-მეთქი, მაგრამ არ დამცალდა სიტყვის დასრულება, რომ შემოცვივდნენ შინსახკომის მუშაკები და ორივენი მანქანაში ჩაგვსვეს. ცრემლები არ მომდიოდა, გამიშრა სისხლი. ვეკითხებოდი ამ კაცებს: რაშია საქმე, რატომ დაგვიჭირეთ, რა დანაშაული გვაქვს, არცერთმა ხმა არ გაგვცა, მიგვიყვანეს შინ-სახკომის უფროსთან კაბინეტში, ჩემი მეუღლე გაიყვანეს და ახლა იმ ჯალათმა დამიწყო ყვირილი: რა ჩამოიტანა იტალიიდან თქვი! რაც ჩამოიტანა ვუთხარი, საბაჟოში ჩემოდანი გასინჯეს და ისე ჩაგვაბარეს და არაფერი საეჭვო იქ არ იყო. „სტყუი, "-დაიყვირა ველურმა, იძრო ნაგანი და კონდახის ტარით დამიწყო ცემა თავში. მე მოვრთე არაადამიანური კივილი, ვკიოდი და ვიგლეჯდი თმებს. გული წამივიდა და გულწასული სახლში წამათრიეს. ჩვენს სახლს შინსახკომის მეთვალყურეები დარაჯობდნენ. უყურებდნენ ვინ შედიოდა და გამოდიოდა, ჩვენ შიშით ვერავინ გვეკარებოდა. ასე გასტანა სამმა დღემ. მე და ნათესავი გოგონა ბავშვებს ვაწყნარებდით, რადგან სულ ტიროდნენ. ერთ ღამეს ჩვენთან კარის მეზობელი შემოვიდა. აჭარელი, კეთილი ადამიანი. ეს კაცი შინსახკომში მუშაობდა და ჩვენთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

მან მითხრა: აბა, ახლავე წადი აქედან, იმიტომ რომ შენც იმ ქალთა სიაში ხარ, რომლებიც უკვე მიჰყავთ დასაჭერად და მეზობელი აჭარელი ქალები დაასახელა.

– წადი, მე გაგიყვან, უკან გამოგყვები, არ გიღალატებ. მე მაშინვე თავზე შალი შემოვიხვიე და მარტო გამოვედი ქუჩაში, მივდივარ მამაჩემის სახლში, რომელიც იდგა სადგურის წინ, –არ გაიქცე, –მითხრა კეთილმა ადამიანმა. იარე დინჯად, ასე მივედი სახლში. დედამ კარი გამიღო, ღამის 11-12 საათი იქნებოდა. ჩვენი ოჯახიდან ჩემი ძმა წაიყვანეს, რომელსაც დარჩა ცოლი და ორი შვილი. დედა ტიროდა, –ახლა რა გიყო შენ, ხომ გაიგებენ, რომ შენ ჩვენთან მოხვიდოდი. ახლა რა გიყო რა? მე დავამშვიდე დედა, ვუთხარი რომ ჭერში დავიმალებოდი. სახლი ორსართულიანი იყო.

დედამ კიბე მოიტანა, მე ჭერში მოვთავსდი. იქ სწრაფად ჩამძინებოდა, გათენებაც არ გამიგია. დილით დედამ პური და წყალი მომაწოდა და მითხრა: შეიძლება ამაღამ აქ მოვიდნენ, რადგან სახლში უკვე ყოფილანო.

დაიჭირეს ჩემი დის ქმარი ილარიონ ანდღულაძე, (მომღერალ ნოდარ ანდღულაძის ბიძა) იგი ჯანსახკომის მთავარი ბუღალტერი იყო, ოთხი ვაჟის პატრონი. უწყინარი, პატიოსანი კაცი. ქალაქში ხმები დადიოდა რომ გაჰყავდათ აჭარელი ქალები. იმ ღამეს 11 საათზე დედას კაკუნი შემოესმა, ცხადია მოვიდნენ კარი გაიღო, დაიწყო ჩხრეკა, დედაჩემი ტიროდა, არ ვიცი სად არის ჩემი შვილი, იქნებ ზღვაში ჩაიხრჩო. ისინი წავიდნენ, ჩემი რძალი და ძმისშვილები უკვე დარბეული იყო და გაუბედურებულები იყვნენ. სასწრაფოდ უნდა გავსულიყავით ქალაქიდან. მაგრამ როგორ? მამაჩემის სახლი, როგორც ვთქვი სადგურის წინ იყო, ბათუმის სადგურის რკინიგზა ე.ი. მატარებელი მახლობელი სადგურიდან ქალაქში შემოდის, სადგური რამოდენიმე მეტრის მანძილით, რკინის ბადურით არის შემოფარგლული. ამ რკინის ბადურის ზედა თავები ისარივით წვეტიანი ჰქონდა. გადავწყვიტეთ მემგზავრა მატარებლით სოფელში, ღამის 12 საათზე გადიოდა მატარებელი. დედამ ბილეთი აიღო ჩემთვის და თავისთვის, მაგრამ როგორ გინდა სადგურში შესვლა. ყველგან ჯაშუშები დაძრწიან. გადავწყვიტეთ ასე– დედა ბადურის იქით ჩაიმალებოდა, მე კი აქეთ ბადურაზე უნდა ავცოცებულიყავი და ასე გადავსულიყავით მატარებლამდე, მართლაც თავზე ჩადრი ჩამოვიფარე და რის ვაივაგლახით გადავედი იმ ბადურაზე. მე და დედაჩემი ვაგონში შევედით, გულისფანცქალით შევედით სამტრედიის რაიონის იანეთის სადგურში. შემდეგ ს. ჯიხაიშში, იქ გველოდა მამაჩემი. იქ ჩავიკეტე პატარა ოთახში, ისე, რომ არავინ არაფერი იცოდა. მამა ბათუმში გამოემგზავრა, რადგან ორი ობოლი შვილიშვილისთვის უნდა მიეხედა. მისი ვაჟი დააპატიმრეს და დახვრიტეს....

არ გავიდა დიდი დრო და ერთ საღამოს ატყდა ყვირილი. სახლში შემოცვივდნენ კომკავშირელები. მე შეშინებულმა გავასწარი უკანა კარიდან, ტყეში გავიქეცი, უკვე შებინდებული იყო. ისინი გაიძახოდნენ: კრებებზე რატომ არ დადიხართ და დარბოდნენ ოთახებში.

ჩაკეტილში ვცხოვრობდი 3 თვე. ბავშვები ქმრის სოფელში წაიყვანა დედამთილმა. მაგრამ იქაც უბედურება დაატრიალეს. მოხუცი ქმარი „კულაკიაო“ დაიჭირეს. სახლში კოლმეურნეობის

კანტორა გახსნეს და მოხუცი ქალი ბავშვებით პატარა ოთახში შეყარეს. მოხუცებული ასლან ნიჟარაძე ციხეში მოკლეს.

სამი თვის შემდეგ მამაჩემი ჩამოვიდა ბათუმიდან და მიამბო, ჩემს ბინაში შინსახკომელის ორი ოჯახი შეასახლეს, ქმრის მდიდარი ბიბლიოთეკა, მის სამეცნიერო შრომებთან ერთად ეზოში გადმოყარეს და დაწვეს. ბარგი მიითვისეს. დის ლუდა ანდღულაძის ოჯახი გააპარტახეს, ქმარი დაიჭირეს და ოთხი შვილით დედას ბინა წაართვეს. პატარა საკუჭნაოში შეყარეს, სივიწროვისა და მძიმე პირობების გამო ჩემს დას 1 წლის ბიჭი დაემდუღრა და მოკვდა. არ იყო განკითხვა, არ იყო სამართალი, ან ვინ იყო მტყუანი ან მართალი არავინ ირკვევდა. დიდი უბედურება ტრიალებდა.

მე გადავწყვიტე ქუთაისში წასვლა, სადაც მამამთილს ასლან ნიჟარაძეს სახლი ჰქონდა. შიგ ცხოვრობდა ბიძაშვილი პოეტი ქალი ლიდა ნიჟარაძე-მგალობლიშვილისა. ერთ პატარა ოთახში მოვკალათდი. ჩავაბარე გამოცდები ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, დავამთავრე წარჩინებით. გავხდი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

დაიწყო ომი 1941 წელს. არ იყო პური, არ იყო საჭმელი. შავი პური იყო უვარგისი. უკანასკნელ ლუკმას ბავშვებს ვუთმობდი. ხშირად ღამღამობით მშიერი ვწვებოდი.

ანეპო ნიჟარაძე-უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს. შემდეგ მოგვცეს ქაღალდი, რომ ის უდანაშაულოა და რეაბილიტირებულია. ასლან ნიჟარაძეც რეაბილიტირებულია, უდანაშაულოა. რა გაამრთელებს ჩვენი გულის ჭრილობას. დახოცეს ხალხი და მერე გამოაცხადეს უდანაშაულონი იყვნენო“.

დედა – თამარ ნიჟარაძე ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას ქუთაისის 24-ე საშ. სკოლაში. მისი მოწაფეებიდან მრავალი სახელოვანი მოქალაქე გაიზარდა. ახლაც სიამაყით იგონებენ თავის პედაგოგს სახელოვანი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალი რევაზ მიშველაძე. მისი დედა და დედაჩემი მეგობრები იყვნენ, ერთად ასწავლიდნენ სკოლაში.

დედაჩემის მოსწავლეთაგან გამოირჩეოდა აკადემიკოსი როინ მეტრეველი და სხვანი.

(მამაჩემის მეგობრები იყვნენ: დიდი თეატრის დირექტორი სერგო ამაღლობელი, რომელთანაც მას აერთიანებდა ხელოვნების დიდი სიყვარული.)

***– რას იტყვით თქვენს ბებიაზე და ბაბუაზე?***

– ჩემი ბაბუა ასლან ნიჟარაძე მდიდარი თავადი იყო, იგი ცხოვრობდა სოფელ ოფშკვითში, 1937 წელს 88 წლის ასაკში დააპატიმრეს და ციხეში მოკლეს. ამჟამად ისიც რეაბილიტირებულია. ჩამოართვეს დიდი სახლი შიგ კოლმეურნეობის კანტორა მოაწყვეს, შემდეგ სამშობიარო სახლი. ბებია თებრონე ნიშნიანიძე, რომელმაც იკისრა თავისი დახვრეტილი შვილის ანეპო ნიჟარაძის ორი პატარა გოგონას აღზრდა, შეაგდეს ერთ პატარა ოთახში. ბებია მეტად მამაცი ქალი იყო, ჩამოართვეს სახლი, გაძარცვეს, მიწები წაართვეს, ცხენები წაიყვანეს, ოჯახი გააპარტახეს, იგი მაინც მამაცად მართავდა დანგრეულ ოჯახს და ობოლ შვილიშვილებს. იგი იყო ჭკვიანი, სამართლიანი, მშრომელი და ნამდვილი ქართველი ქალი.

მე სოფელში ვსწავლობდი დაწყებით სკოლაში, სკოლა გახსნილი იყო იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლის დათა ნიჟარაძის საცხოვრებელ სახლში, სოფელ ოფშკვითში. ზამთარში ბებიას მიერ დანთებულ ბუხართან ვიჯექი და 1-ლი კლასიდანვე ლექსებს ვწერდი, თან ვმღეროდი.

ბებიამ მითხრა: ნუ შეწყვეტ სიმღერას, რაც არ უნდა შეგხვდეს ცხოვრებაში. შემდეგ ეს სიტყვები წარვუმძღვარე ლექსების ერთ-ერთ წიგნს.

– შენ გიყვარს წიგნი, იკითხე. (ბაბუას კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა ). შენ აკადემიკოსი გახდები....

– ბებო, რა არის აკადემიკოსი? –ვეკითხებოდი მე. მან თითქმის 100 წლამდე იცოცხლა, სიკვდილის წინ მის საწოლთან მოჰყავდათ ბავშვები, რიგი იდგა. ბებია ლოცავდა ყველას. მე ვუმზერდი მათ და არ მივსულვარ დასალოცად. იგი ყოველ დილას ისედაც მლოცავდა.

***– იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?***

– პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ იყო ქართველი მოგზაური. პრესაში ბევრს ვკითხულობდი მის შესახებ. გმირთა გმირი იყო, უშიშარი. იგი იყო მსოფლიოს უდიდესი მოგზაუ-

რი, მეცნიერი და მკვლევარი. გაოცებული ვიყავი მისი მსვლელობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

***– იცნობდით ჟურნალ „ათინათს“?***

არ ვიცნობდი. მე გავხდი მწერალთა კავშირის წევრი და ჩემმა მეგობარმა პოეტმა ქალმა მიმიყვანა ჟურნალ „ათინათის“ რედაქციაში. გავიცანი პოეტი ქალი, აკადემიის პრეზიდენტი გულნაზ ხარაიშვილი და გაოცებული დავრჩი მისი ნიჭიერებით და პატრიოტული შემართებით, საქმისადმი ერთგულებითა და ქართველური გულის სიმტკიცით. „ათინათი“ ბრწყინვალე, მრავალდარგოვანი სტატიებით და საუკეთესო ლექსებით. სავსეა პოეტებით და შემოქმედებითი ნიჭიერებით სავსე ადამიანებით....

***– რამდენი წიგნის ავტორი ხართ?***

– ლექსების 12 წიგნის, ერთი თარგმანია. მრავალი ნარკვევები მიწერია და რადიოთი გადამიცია. მწუხარების ჟამსაც ჩემს გულში ვმღერივარ. ორი წიგნი ბავშვებს მივუძღვენი: „წიწილების ფეხბურთი“ და „აბლაბუდა“.

***– თქვენთვის საყვარელი პოეტი.***

– უპირველეს ყოვლისა, ლადო ასათიანი. ქუთაისში სტუდენტობის დროს კონფერენციაზე წავიკითხე თემა: „წინაპრები ლადო ასათიანის შემოქმედებაში“. –მოხსენება ყველას მოეწონა. სიტყვით გამოვიდა მშვენიერი ქალბატონი, დოცენტი თინათინ ნიჟარაძე. მან მითხრა: -შენია, სულ შენია, კარგია, ძალიან კარგია“... გამიკვირდა, რას ნიშნავს სულ „შენია..“.

ვკითხულობ ლექციას სწორედ ამ თემაზე „ცოდნის“ საზოგადოებაში.

მიყვარს შანდორ პეტეფი, გრიგოლ აბაშიძის თარგმნილი. ჴპაბლო Nნერუდა– ჩილელი პოეტი.

მიყვარს ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“. (საქართველოს ისტორია).

***– ვინ იყო თქვენი პირველი მასწავლებელი?***

– დედამ მიმიყვანა ქუთაისის პიონერთა სახლში. იქ ლექსებს გვიკითხავდა და გვასწავლიდა პოეტი ვასილ გვეტაძე. ის აცხადებდა: უნიჭიერესი ნორჩი პოეტები: ნაირა ნიჟარაძე, ვახტანგ ჯავახაძე, ვახტანგ გოგოლაშვილი.

მახსოვს, როგორ შემართებით კითხულობდა ბ. ანტოკოლსკის ლექსს დაღუპულ შვილზე. არასოდეს დამავიწყდება...

იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. მე ვიკითხე, სად იყო ჩემი მასწავლებელი თუ არა და როცა გავიგე ის ცოცხალია, მინდოდა მისთვის მეჩვენებინა ჩემი ლექსების წიგნები. მის შეფასებას ველოდი, მაგრამ ეს არ მოხერხდა. მითხრეს, რომ ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა.

გული დამწყდა, მინდოდა ჩემი მასწავლებლის ღიმილი დამენახა. ჩემი ძვირფასი მასწავლრბლის შრომა-არ დაკარგულა. ჩვენ გავიზარდეთ პოეტებად.

**ქუთაისი, დავით კვიცარიძე-მწერალი.**

მაშინ ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო დავით კვიცარიძე. ახოვანი, მშვენიერი, მომღიმარე, საუცხოო პროზაიკოსი, ნაომარი ქართველი ვაჟკაცი. მასთან დედამ მიმიყვანა, გამაცნო. დავით კვიცარიძემ მოაწყო ჩემი ლექსების განხილვა.

ერთმა პოეტმა თქვა: ჩვენ გვეყოლება ერთი მშვენიერი პოეტი ქალი. (არ ვიცი ვინ იყო). კრიტიკოსმა სიმონ არველაძემ ქუთაისის გაზეთში მცირე შეფასება გამოაქვეყნა. მე დამავალეს მოხსენების წაკითხვა ქუთაისელ პოეტებზე: დომენტი ახობაძეზე, გიორგი სამხარაძეზე, სევერიან ისიანზე, მიხეილ კაკიტელაშვილზე. მითხრეს: მიხეილმა ძალიან განი-


ნაირა ნიჟარაძე და დავით კვიცარიძე (მწერალი)

ცადა ქება და იტირაო. მათ გამომიშვეს თბილისში და გზა დამილოცეს... სავარდო და სამაისო ქალაქი იყო ქუთაისი და იქ მრავალი ნიჭიერი შემოქმედი გაიზარდა....

***– ცნობილი სახეებიდან ვისთან გიმუშავიათ?***

– ვმუშაობდი გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორთან მწერალ კოსტანტინე ლორთქიფანიძესთან. მისი მეუღლე მერი ნიჟარაძეზე ამბობდა: „ჩემი გოგო მერი", მერი მშვენიერი ქალბატონი იყო, მისი ერთგული მეგობარი და მეტად განათლებული. მცხეთაში მათ ჰქონდათ დიდებული აგარაკი. მამიდამ მიმიყვანა სტუმრად. მწიფდა ყურძენი მათ ტალავერზე. მერიმ დიდი სითბოთი მიგვიღო და წამოსვლისას ეზოს ხილიც გამოგვატანა.

კოსტანტინემ მიმიღო გამომცემლობა „ნაკადულში" სამუშაოდ. მაშინ ჟურნალ „ცისკარში " დაიბეჭდა ჩემი ლექსი „გავიპარები".

მან გამაგზავნა სვანეთში მივლინებით, რათა დამეწერა ნარკვევი სოციალისტურ შრომის გმირზე „ლუბა ნიჟარაძეზე". დავალება კარგად შევასრულე. დაიბეჭდა სტატია „ლუბა ნიჟარაძე". წიგნი არ დაბეჭდილა. შემდეგ წლებში გამომცემლობა „ნაკადულს" ხელმძღვანელობდა პოეტი მორის ფოცხიშვილი. იგი ყველას გვიყვარდა მისი მშვიდობიანი ხასიათის გამო.



**ელიზბარ უბილავა (მწერალი) გიორგი კაჭახიძე (პოეტი) ალიო მირცხულავა (პოეტი, ყოფილი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), იოსებ ნონეშვილი (პოეტი), იზა ორჯონიკიძე (პოეტი), დავით კვიცარაძე (პოეტი, ყოფილი ქუთაისის მწერალთა კავშირის თამჯდომარე) და სხვები...**



**ნაირა ნიჟარაძის მშობლები**

პოლიგრაფისტთა კლუბში ტარდებოდა შემოქმედთა დიდი საღამო. გამოფენილი იყო ა. კალანდაძის და სხვათა ძვირფასი ნახატები. ა. კალანდაძის სურათზე, რომელზედაც გამოსახული იყო მოხუცი ქალი, დავწერე ლექსი. მორისმა წაიკითხა, მოიწონა და მითხრა: „კარგია, როცა ორი შემოქმედი ერთად მუშაობენ და ღირშესანიშნავ რაიმეს ქმნიან"...

ბევრი ღირშესანიშნავი შეხვედრა გვქონდა პოეტ ხუტა ბერულავასთან. გამომცემლობა „განათლების" დირექტორთან.

მისი შემოქმედებითი საღამო იყო. მე დამავალეს წამეკითხა მოხსენება პოეტის შემოქმედებაზე. პოლიგრაფისტების დარბაზში ტევა არ იყო. ხალხი მას დიდ პატივს სცემდა. დიდი ენთუზიაზმით წავიკითხე მოხსენება, სიყვარულით და აღტაცებით.

ხუტამ მადლობა გამომიცხადა და საჯაროდ განაცხადა: „ნაირამ ისეთი ლექსები აღმომიჩინა და განიხილა, რომლებიც მე უკვე აღარ მახსოვდა".

გამომცემლობა „ნაკადულის" შემდეგი დირექტორი გახლდათ მწერალი არჩილ სულაკაური. „ნაირას მსგავსი ბევრი რომ გვყავდეს ომი არასოდეს იქნებოდაო", – ერთხელ საჯაროდ გამოაცხადა მან. ერთხელ ვთხოვე მას – დაგვებეჭდა ბავშვებისათვის დასაკეცი წიგნები.

– არ მოხერხდება, – მითხრა არჩილმა, რადგან ქაღალდი არა გვაქვს წიგნების გამოსაცემადო....

გამომცემლობა „ნაკადულს “ ჰქონდა ფილიალი, რომელსაც „საბავშვო წიგნის სახლი“ ეწოდებოდა. მას ხელმძღვანელობდა მწერალი ელიზბარ უბილავა. ჩვენ ერთად შევქმენით წრე „საბავშვო მწერლებისა“. ჩამოვაყალიბეთ რედაქცია, ჟურნალ „ლილესი“ და ჟურნალი „საბავშვო ლიტერატურის მოამბე“. ამის გამო ბატონმა ელიზბარმა გამაგზავნა აკადემიკოს აკაკი შანიძესთან. ბატონმა აკაკი შანიძემ მირჩია, რომ უმჯობესია დავარქვათ „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე“,რადგან „ყმაწვილი“ არის შესაფერისი ამ კრიტიკული ჟურნალისათვის.





**ნაირა ნიჟარაძე მეგობრებთან ერთად**

ამ ჟურნალის თემატიკის სრულყოფილებისათვის მიხდებოდა ინტერვიუების აღება ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსი აკაკი შანიძე, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, პროფ. ქსენია სიხარულიძე, მხატვარი ლადო გუდიაშვილი და სხვა.

„ნაკადულს“ საბავშვო წიგნის სახლში ხშირად სტუმრობდა პოეტი ნიკოლოზ ჩაჩავა.

„მე მომწონს თქვენი „წიგნის სახლი“, – ამბობდა ის. ბავშვები ხშირად მოდიან თქვენთან, თქვენ მათ ზეიმებს უწყობთ, ბავშვები ჩვენი სიხარული და მომავალია“.

ქალბატონო ნაირა დიდი მადლობა ამ შესანიშნავი ისტორიული ინტერვიუსათვის.

**ტარიელ ხარატიშვილი**



## ინტერვიუ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან ბატონ გიორგი კვესიტაძესთან

მოგესალმებით ბატონო გიორგი მე გახლავათ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ტარიელ ხარატიშვილი, აგრეთვე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ პროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნორჩი ათინათელი, ვწერ ლექსებს, ვარ ნორჩი ჟურნალისტი.ჟურნალ „ათინათში" დაბეჭდილმა ისტორიულმა თემამ დამაინტერესა და სურვილი გამიჩნდა თქვენთან ინტერვიუ ჩამეწერა და დიდ მადლობას მოგახსენებთ ასეთმა დიდმა მეცნიერმა დრო, რომ დამითმეთ.

***რამ განაპირობა, რომ 3 მეცნიერის აზრი ერთად შეგერწყმათ და გამოგეცათ წიგნი „ქართული მეცნიერების ფესვები"?***

ქართულ მეცნიერებას ძალიან დიდი ტრადიცია აქვს, ისტორიულად ქართული მეცნიერება ეკლესიასთან ერთად ვითარდებოდა, იყო ეს რიტორიკა, ასტრონომია, თარგმანები, მათემატიკა. შემდეგ მოხდა რევოლუცია, შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლება, რის დროსაც განვითარდა საქართველოში მეცნიერება, მაგრამ ეკლესია აიკრძალა. დაიწყო განვითარება იმ მეცნიერებამ, რომელიც დიდ მილიტარიზებულ საბჭოთა კავშირს ჭირდებოდა და არა საქართველოს. საქართველოს ინტერესებზე დაფუძნებული მეცნიერება არ არსებობდა, ახლა ჩვენ დავუბრუნდით იმ მეცნიერებას, რომელიც საქართველოს სჭირდება და ქვეყნისთვის არის საინტერესო. ქართველები ნიჭიერი ხალხია, მათ მიაღწიეს დიდ წარმატებას ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, ფიზიკაში, მაგრამ ეს ყველაფერი არ კეთდებოდა საქართველოს მოთხოვნილებებისათის, ეს კეთდებოდა დიდი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებებისთვის.



***რომელი წლიდან ჩაუდექით სათავეში ეროვნულ აკადემიას, რომელსაც ასეთი დიდი ისტორია აქვს?***

2013 წლიდან.3 წელი გახდება ახლა, იქამდე ვიყავი აკადემიის წევრი.

***თქვენამდე ვინ იყო ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი?***

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

***თქვენი ფესვები საიდან მოდის რომელი კუთხიდან ბრძანდებით?***

იმერეთდან ჭიათურასა და ზესტაფონს შორის არის პატარა სოფელი რომელსაც ჰქვია ბოსლევი და იქიდან ვარ.

***თუ შეიძლება მომიყევით თქვენი მშობლების შესახებ?***

დედაჩემი – ქალბატონი მარიამ კვესიტაძე, იყო ჯერ ქართული ენის სპეციალისტი, შემდეგ ზოოტექნიკოსი, იყო მეცნიერებათა კანდიდატი, მამაჩემი ივანე ფილიპეს ძე კვესიტაძე იყო პროფესორი, დოქტორი, ზოოტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, ყოფილი საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

***რამდენი დედმამიშვილი გყავთ?***

მყავს ერთი ძმა

***ვინ არიან თქვენი შვილები და სად მოღვაწეობენ ისინი?***

ჩემი შვილები თამრიკო კვესიტაძე, არის მხატვარი. მან გააკეთა ბათუმში ქალი და კაცი „ალი და ნინო“. ჩემი ბიჭი ედიშერი იყო კათედრის გამგე ტექნიკურ უნივერსიტეტში, ახლა ქიმია–ბიოლოგიის დარგში მუშაობს, აქვს ახალი მიმართულება ნარჩენების უტილიზაცია, რაშიც სერიოზული ნაბიჯი გადადგა.

***თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს ბავშვი?***

ბავშვი უნდა იყოს ცელქი, ძალიან ცოცხალი და ამავდროულად უყვარდეს სწავლა

***გიყვართ პოეზია?***

ძალიან.

***წლევანდელი წელი რუსთაველის წლად არის გამოცხადებული, დიდმა მოგზაურმა ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ იმოგზაურა დევიზით „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“ რას იტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე?***

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მე ძალიან კარგად ვიცნობდი მას ქვეყნისთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია, მან დიდი როლი შეიტანა მსოფლიოში საქართველოს გაცნობის საქმეში.

***აკმაყოილებს თუ არა ჟურნელი ათინათი დღევანდელ მოთხოვნილებებს?***

მე მიმაჩნია, რომ ჟურნალი ათინათი არის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ჟურნალი საქართველოში. სხვათაშორის ეს არის მთელი ჩემი ოჯახის აზრიც.

***ინტერნეტში და ტელევიზიაშიც გავრცელდა აზრი, რომ ღვრთისმშობელი ქართული წარმოშობის იყო რა აზრის ხართ ამაზე?***

მიჭირს ამ თემაზე საუბარი, ეს თუ ასე იქნება მხოლოდ გამიხარდება.

***თქვენ გაეცანით ჟურნალ ათინათს და ანთოლოგიას შენიშვნები ხომ არ გაქვთ?***

კარგი იქნებოდა, რომ ყოფილიყო რუბრიკები მოსწავლეებისთვის, ისტორიასთან დაკავშირებით, სადაც ჩემი აკადემიის წავრებიც დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ მონაწილეობას.

***რას გვისურვებ მომავალ თაობას?***

გიყვარდეთ ქვეყანა, ისწავლეთ მეტი, ფიზიკურად ივარჯიშეთ, რომ სრულყოფილები იყოთ, უფრო მეტი მოკრძალება ერთმანეთის მიმართ და უფროსებთანაც, ჩვენ თვითონა ვართ აგრესიულები. სხვა ერები პირიქით არიან, ერთმანეთს აქებენ და იცავენ.



***თქვენ ვერ მობრძანდით ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის იუბილეზე თუ ნებას მომცემთ წაგიკითხავთ მის ლექსს „ამოდის მზე“.***

რა თქმა უნდა, ქალბატონის ყველა ლექსი სიღრმეა, გულიდან გამომდინარეა...

***ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ძალიან ლამაზი პოეზიის ავტორი ბრძანდებით ძალიან გაგვიხარდება თუ თქვენი ლექსები ჟრნალ „ათინათში“ დაიბეჭდება?***

ვნახოთ, ამაზე დავფიქრდები.

ასეთი ლექსი დავწერე 1976 წელს ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ:

„ჩემი იქ ყოფნა სიმართლე გითხრათ,
თუ ღირდა, რამედ ისევ და ისევ,
ყველაზე მეტად, იმ გრძნობად ღირდა,
დაბრუნებისას, სახლში რომ ვიგრძენ.“

ახლა კი ჩემო ტარიელ, მინდა ამ ახალგაზრდა კაცს გაჩუქო საჩუქარი, საქართველოს დამოუკიდებლობა იყო ორჯერ 1917 წელს, რომელიც აღიარა რუმინეთმა და 1996 წელს ისევ აღიარა რუმინეთმა. ეს არის რუმინეთის აკადემიის ყველაზე დიდი ჯილდო, მედალი, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. მე მინდა, რომ ეს გქონდეს შენ.

***– ძალიან დიდი მადლობა ასეთი ძვირასი საჩუქრისათვის.***

**მინდა მივმართო ბატონ გიორგის, რომ საჩუქარი თავთით მიდევს, ვეფერები, ეს იმხელა განძია ფულით რომ ვერასოდეს იყიდი.**

– მადლობა ისევ და ისევ ქალბატონ გულნაზს ამ დაუვიწყარი დღისთვის...

**ინგა შუბითიძე**

## ინტერვიუ საჩხერის რაიონის ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალოვანის საჯარო სკოლის დირექტორთან, ბატონ ირაკლი ტეფნაძესთან



***მოგესალმებით, ბატონო ირაკლი!***

– მოგესალმებით.

***ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორის თხოვნით უნდა გავაკეთო თქვენთან ინტერვიუ, თანახმა ბრძანდებით?***

– რა თქმა უნდა!

***იცნობთ ჟურნალ „ათინათს“?***

– დიახ, უკვე სამი წელიწადია ჟურნალ ‘ათინათის“ აქტიური მკითხველი ვარ.

***სკოლისთვის საჭიროდ თვლით თუ არა ჟურნალი „ათინათი“ შემოდიოდეს?***

საერთოდ, ლიტერატურული პერიოდიკა სკოლისათვის ვთვლი, რომ აუცილებელია, ჟურნალი „ათინათს დღემდე მისი მთავარი რედაქტორი სკოლის საჩუქრად გადმოცემდა მაგრამ სამომავლოდ ვაპირებთ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას და სკოლის ბიბლიოთეკისათვის ჟურნალის სისტემატურად შეძენას.

***2014 წელას, სკოლას მიენიჭა ბეჟან ხარაიშვილის სახელი, პირადად იცნობდით თუ არა მას?***

ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით, მაგრამ ბეჟანი ჩემზე 6წლით უფროსი იყო, რაც ბავშვობაში ძალზე სერიოზული ასაკობრივი სხაობაა.

***როგორ აფასებთ ბეჟან ხარაიშვილის პოეზიას?პოეტის გარდაცვალების 32 წლის შემდეგ მიენიჭა ჭალოვანის საჯარო სკოლას მისი სახელი, იმსახურებდა თუ არა ბეჟან ხარაიშვილის პოეზია ამ ტიტულის მინიჭებას?***

ბეჟან ხარაიშვილის პოეზიას სისტემატურად ვეცნობოდი მაშინდელი პერიოდული პრესის საშუალებით, ვიცოდი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ლექსების განხილვისას აუდიტორია მსმენელს ვერ იტევდა.მოგვიანებით, მისი გარდაცვალების შემდეგ როდესაც მეგობრებმა პოეტის კრებული დასტამბეს ინტერესი მის მიმართ გაცილებით გაიზარდა, მკითხველმა იგი ერთ-ერთ უნიჭიერეს პოეტად აღიარა, მისი ხსოვნის პატივსაცემად ნებისმიერი ღონისძიება, რა თქმა უნდა მისასალმებელია.

***ჩემთვის ცნობილია, რომ მათი ოჯახის გენეტიკაში 2 პოეტი არის გულნაზ ხარაიშვილი და გვანცა ხარაიშვილი, იცნობთ თუ არა მათ პოეზიას?რას იტყვით გულნაზ ხარაიშვილზე?***

გვანცა ხარაიშვილის შემოქმედებას ნაკლებად ვიცნობ, ქ/ნ გულნაზ ხარაიშვილის პოეზიას კი შეიძლება ითქვას შესანიშნავად.პირადად ქ/ნ გულნაზთან აქტიური მეგობრული ურთიერთობა მაქვს.მაოცებს მისი ენერგია და აქტუირი ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი საქმიანობა, მან შეძლო ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებიდა ამაღლებულიყო შურზე, ბოღმაზე უსამართლობაზე და მთელი ცხოვრება სიკეთისათვის ბრძოლისათვის მიეძღვნა.

***ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავთ თუ არა რაიმე ღონისძიების ჩატარებას, რომელიც დატვირთული იქნება ბეჟან ხარაიშვილის პოეზიით?***

მომავალი სასწავლო წლიდან ვაპირებთ ჭალოვანის საჯარო სკოლაში შეიქმნას ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ლიტერატურული კლუბი, გვინდა კონტაქტები დავამყაროთ საჩხერის მუნიციპალიტეტის სკოლების შემოქმედ ახალგაზრდობასთან, მოვაწყოთ შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ლიტერატურული განხილვები, დისკუსიები, შემოქმედებითი საღამოები.მუშაობის პროცესი გვიჩვენებს სამომავლო პერსპექტივებს.

***თქვენ გიყვართ პოეზია? მე როგორც ვიცი, თქვენ თვითონაც წერთ ლექსებს?***

ჩემი ლიტერატურული შემოქმედება საკმაოდ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.ჯერ კიდევ სტუნდენტობის დროს მქონდა პუბლიკაციები ლიტერატურულ პრესაში, ცნობილ ალმანახ „პირველ სხივში„ახლო მომავალში ვაპირებ მთელი შემოქმედების თავმოყრას და გამომზეურებას.

**ნუცა სხირტლაძე**

## ინტერვიუ ქარელის რაიონის სოფელ საცხიურის საჯარო სკოლის დირექტორთან - ქალბატონ ცირა შუბითიძესთან



მოგესალმებით ქარელის რაიონის აბანოს საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე ნუცა სხირტლაძე, მინდა გაცნობოთ, რომ გახლავართ ქ.თბილისის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშრისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი

***ქალბატონო ცირა, შემოქმედ პიროვნებებზე რას იტყოდით, თქვენი აზრით ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან თუ სხვებისგან განსხვავებული?***

შემოქმედი ადამიანები გაბსაკუთრებული და სხვებისგან გამორჩეული ადამიანები არიან,

ისინი ლამაზ და ნათელ ფერებში აღიქვამენ სამყაროს, მეოცნებეები და თბილად მოსიყვარულე ადამიანები არიან, მოწესრიგებული, მათ შინაგანი კულტურა გააჩნიათ.

***გიყვართ პოეზია?***

პოეზია ძალიან მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული რეჟიმით ვცხოვრობ, ლექსისთვის თვალის არიდება არ შემიძლია, დიდი სიყვარულით ვკითხულობ.

***21-ე საუკუნეში რომელ პოეტს დაასახელებდით თქვენთვის საყვარელ პოეტად?***

21-ე საუკუნის პოეტებიდან ბატონ ნოდარ ჯალაღონიას დავასახელებ, ძალიან მომწონს მისი ლექსები. ახლახანს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის პოეზიას გავეცანი და ძალიან მომეწონა მისი ლექსები. მინდა გითხრათ, აღფრთოვანებული დავრჩი.

***რას იტყვით გალაქტიონ ტაბიძეზე?***

გალაქტიონ ტაბიძე ყველა დროის საყვარელი პოეტია. ძალინ მიყვარს მისი ლექსების ხმამაღლა წაკითხვა, განსაკუთრებულ ხასათზე მაყენებს.

***რა არის თქვენთვის სიყვარული?***

სიყვარული სათუთი და უნაზესი გრძნობაა, უფლისგან ნაბოძენი ნიჭია.

***რას ვერ პატიობთ ადამიანს?***

საერთოდ, ბუნებით მიმტევებელი ადამიანი ვარ. რასაც ადამიანებს ვერ ვპატიობ, უმადურობა, გულგრილობა და უსამართლობაა. სიკეთე ყველასათვის უნდა აკეთოს ადამიანმა, მაგრამ როდესაც შენი დამოკიდებულებით ბოროტად სარგებლობენ, იძულებილი ხარ სხვაგვარად მოიქცე.

***როგორი უნდა იყოს ბავშვი?***

ბავშვს ბავშობა უნდა ეტყობოდეს. ხშირად უთქვამთ, ბავშვი ბავშვური უნდა იყოს: მხიარული, მეგობრული, ზომიერად თამამი, ცოტა ცელქიც, დამჯერი და გულწრფელი.

***ბავშვისთვის ნიჭს აქვს მნიშვნელობა თუ შრომას?***

მიყვარს ნიჭიერი ბავშვები, მათში ყოველთვის არის რაღაც განსხვავებული უნარები, თუმცა ხშირად ზარმაცები არიან. შრომა აუცილებელია, ცხოვრებაში ნიჭს თუ ფართო გზა არ მიეცა, ადამიანი წინ ვერ წაიწევს და ვერაფერს ღირსეულს ვერ შექმნის.

***რას იტყვით თქვენ დედმამიშცილებზე***

ჩვენ 3 დედმამიშვილი ვართ. მე და ჩემი და მეზობლად ვცხოვრობთ სოფელში, ერთმანეთს არ დავცილდით, არც ჩემი ძმაა შორს, მეზობელ სოფელში ცხოვრობს. ჩვენ როგორც ტერიტორიულად ვართ ახლოს, ისე სულიერად, ძალიან გვიყვარს, და პატივს ვცემთ ერთმანეთს. ერთმანეთის გვერდით ვდგავართ ჭირსა თუ ლხინში და ამას ვასწავლით ჩვენს შვილებს.

***ჟურნალი „ათინათი“, რომელიც სამეცნიერო შემეცნებითია, სასურველია დაინერგოს კოლაში, რას იტყვით ამის შესახებ?***

მომწონს ჟურნალი „ათინათი“ მასში მოსწავლეთა შემოქმედებას გავეცანი და ეს მომეწონა განსაკუთრებულად. ჩვენც გვყავს სკოლაში გამორჩეული მოსწავლეები, რომლებიც წერენ ლექსებს. გამიხარდება თუ მათ შემოქმედებას ვნახავ ამ ჟურნალში.

***იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?***

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას პირადად არ ვიცნობდი. თუმცა მსმენია და წამიკითხავს მისი მოგზაურობის შესახებ. მან უდიდესი როლი შეასრულა იმისთვის, რომ საქართველოს კულტურა გაეტანა ჩვენს ფარგლებს გარეთ.

***როგორ საქართველოში ისურვებდით ცხოვრების გაგრძელებას?***

**მინდა მშვიდობა ვუსურვო ყველას. გვეცხოვროს მშვიდობიან და გამთლიანებულ საქართველოში**

.

ნატა სხირტლაძე



## ინტერვიუ ამბროლაურის გამგებელთან ბატონ მალხაზ ლომთათიძესთან

მოგესალმებით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის" ნორჩი ათინათელი ქ. რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე: ნატალი სხირტლაძე.

***ბატონო მალხაზ, რომელ რაიონში მუშაობთ?***

მე გახლავართ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

***რამდენი წელია რაც ამბროლაურის გამგებელი ხართ?***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებლად ვმუაობ ორი წელია. 2014 წელს ჩატარდა არჩევნები, შედეგად მივიღე კონკურსში მონაწილეობა დიდი წარმატებით 80 %-78 % მთლიანი მოსახლეობა რაჭველებმა გამოთქვეს სურვილი, დამიჭირეს მხარი და თქვენი მონა-მორჩილი ვემსახურები რაჭას, რაჭველებს და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

***რა სპეციალობის ბრძანდებით?***

მე გახლავართ სპეციალობით ეკონომისტი, დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიური ფაკულტეტი, გარდა ამისა დაცული მაქვს დისერტაცია მეცნიერების დარგში, გახლავართ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი.

***რამდენი დედმამიშვილი გყავთ?***

დედმამიშვილი მყავს ორი, ერთი ძმა და ერთი და.

***გიყვართ ბავშვები?***

ძალიან.

***მეცნიერების რომელი დარგი მოგწონთ და რატომ?***

ძირითადად ჩემი სპეციალობით, მე ეკონომიკა და ფინანსები მაქვს დამთავრებული და ამ მიმართულებას ვანიჭებ უპირატესობას. იქიდან გამომდინარე ეს არის ჩემი სფერო. ვარ აქტიურად ჩართული ამ დარგში, ვარ უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ასე რომ ძირითადად მიიტაცებს ეს მიმართულება სადაც თავს ვგრძნობ შინაურულად.

***რას გვეტყვით თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტზე?***

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი ეს არის ჩემი ოჯახი, სადაც მე დიდი ხნის განმავლობაში მიწევდა მოღვაწეობა 1989წლიდან 2007 წლამდე ვმუშაობდი ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსად 19 წლის განმავლობაში. განმეორებით ვიტყვი ეს არის ჩემი მეორე ოჯახი და მე მინდა სულ წარმატება ვუსურვო ტექნიკურ უნივერსიტეტს , ახალგაზრდობის აღზრდისა და გაზრდის საკითხებში.

***ამბროლაურის რაიონში რამდენი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს?***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 27 ბიბლიოთკა. სიმართლე გითხრათ ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია ის პროცესი, რომ დღეს ახალგაზრდობა სამწუხაროდ მოწყვეტილი არის ბიბლიოთეკას და წიგნს, მაგრამ მინდა გითხრათ რომ ამბროლაურში ჩემი უშუალო თაოსნობით ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ ამ მიმართულებას. ეს არის ჩემი სფერო. ყველგან ჩავატარე კაპიტალური რემონტი ბიბლიოთეკებში, სისტემატიურად ხდება წიგნთა ფონდის განახლება. ამჟამად ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული ცენტრალურ საჯარო ბიბლიოთეკასთან. ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ბიბლიოთეკების მოვლა პატრონობაში.

***იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?***

ჯუმბერ ლეჟავას მე ვიცნობდი ძალიან ახლოს, ჯუმბერ ლეჟავა იყო ჩემი უფროსი მეგობარი. ის იყო ტექნიკური უნივერსიტეტის ღირსეული წარმომადგენელი და მისი როლი, მისი ღვაწლი დიდია, მისი სახელი უკვდავად დარჩება. შემიძლია მრავალ მიმართულებით და მრავალ კონტექსტში დავახასიათო ეს მართლაც რომ უნიკალური კოლორიტული პიროვნება,მე ვარ ბედნიერი, და ვარ ამაყი, არათუ ვიცნობდი, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა ბატონ ჯუმბერ ლეჟავას თან.

***რას გვეტყვით დაარსებულ მისივე აკადემიაზე?***

მის მიერ დაარსებულ აკადემიას მე ვუსურვებ წარმატებას, ის მიზანსწრაფობა, ის სულისკვეთება, ის მიმართულება, ის სულიერება, ის ეროვნულობა და კიდევ სხვა რამ მრავალი კომპონენტი მე შემიძლია მოვიხსენო ბატონი ჯუმბერ ლეჟავას პიროვნების მიმართ და ყველა ის გრძნობა, მიმართულება რაც პირადი მისი იყო. მე დარწმუნებული ვარ რომ, ეს აკადემია იგივე გზით ივლის და მინდა მე ვუსურვო ამ მიმართულებით სვლა და წარმატება.

***იცნობთ ჟურნალ „ათინათს “?***

ჟურნალ „ათინათს “ სამწუხაროდ ვიცნობ ზედაპირულად, მაგრამ ახლო მომავალში დარწმუნებული ვარ რომ მე გამოვნახავ დროს და საშუალებას, რომ სიღრმეში და სიღრმისეულად გავეცნო ამ ჟურნალს და ვიქნები მისი აქტიური მომხმარებელი და მინდა ამ ჟურნალს წარმატებს ვუსურვო.

***რას უსურვებდით ახალგაზრდობას?***

ახალგაზრდობას მე ვუსურვებ ბედნიერებას, პირველ რიგში მე ახალგაზრდობას მოვუწოდებ რომ უფრო მეტი როლი განაღლების დარგში, უფრო მეტი წიგნიერება, ამისათვის საჭიროა ძალიან დიდი შრომა, ჩვენს ახალგაზრდებს ვუსურვებ განათლების სფეროში ძალიან დიდ შრომას და წარმატებებს.

***კითხვა რომელიც არ დამისვია და არ მითქვამს თქვენთვის ხომ არაფერს დაამატებდით?***

მე მინდა ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ დღევანდელი დღის შეხვედრისთვის და თქვენ როგორც ახალგაზრდას ჩემი კუთხის შვილს, ღირსეულ მამულიშვილს, ღირსეულად გვარიშვილს, მე მინდა თქვენი სახით ყველა ახალგაზრდას,ყველა რაჭველს, ყველა ქართველს, ვუსურვო ბედნიერება, ვუსურვო წარმატება, ვუსურვო სიყვარული, ძალიან ბევრი განათლების მიმართულებით ძალიან ბევრი შრომა და დარწმუნებული ვარ რომ ჩვენ გვყავს ღირსეული ახალგაზრდები და მე დარწმუნებული ვარ, საქართველოს მომავალი უწერია თქვენნაირი ახალგაზრდე ბის ხელში.

***რას მეტყვით რაჭის შესახებ?***

რაჭის შესახებ მინდა გითხრათ, რომ რაჭა არის ჩემი მშობლიური კუთხე და ჩემთვის ყველაფერია რაჭა, სიტყვა ყველაფერში ვგულისხმობ იმას, რომ გადავდგი ნაბიჯი ძალიან რთული რომ დავტოვე დედაქალაქი დავტოვე საქმიანობა, მაგრამ იმ დიდმა სიყვარულმა, იმ დიდმა მამულიშვილობამ, ფესვების ყივილმა მე მიკარნახა, რომ წავსულიყავი რაჭაში და ჩემი როლი შემეტანა რაჭის აღმშენებლობის საკითხებში მე ხელთ მაქვს დოკუმენტი, საბუთები, ინფორმაცია თუ რა გაკეთდა რაჭაში 2015 წელის განმავლობაში. მე არ დავიწყებ ჩემს მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას ამას თქვენ მოგანდობთ და მე მხოლოდ ციფრებით ვიტყვი 1 წლის განმავლობაში განხორციელდა 192 პროექტი. ჩემი აზრით ეს არც თუ ისე ცოტაა, ყველა თემში, ყველა სოფელში სულ 69 სოფელია ამბროლაურში და არ დარჩენილა სოფელი რომ იქ რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულიყო. აშენდა 6 საბავშვო ბაღი, აშენდა 7 ხიდი, თითქმის ყველა სოფელში მოწესრიგდა წყალმომარაგება, შენდება გზები და ასე შემდეგ. ამ დოკუმენტში ასახულია ყველა ის პროექტი რომელიც 1 წლის განმავლობაში განხორციელდა. მაგრამ ჩვენ ამით არ შემოვიფარგლებით, 2016 წელს კიდევ უამრავი პროექტი არის გათვალისწინებული და ასე რომ რაჭა ჩემი სიყვარულია და ამ დევიზით ვცხოვრობ, ვმოღვაწეობ. ეს მაძლევს მე შთაგონებას, სიძლიერეს და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ რაჭას დავატყო ხელი, ჩემი იქ მოღვაწეობის პერიოდში.

# 26 მაისი დამოუკიდებლობის დღეა

ამ დღეს უწმინდესმა და უნეტარესმა სარაიშვილების ჯვარი დალოცა. ტრადიციული დღის აღსანიშნავად სარაიშილები ერთად იკრიბებიან და აღნიშნავენ დამოუკიდებლობისა და ჯვარის ლოცვის დღეს. ამ საქმეს ჯვანცა სარააიშვილი ხელმძღვანელობს. ფოტოებში ყველა სარაიშვილებია.

















ჩადუნელები, ხარაიშვილები და ხარაზიშვილები ერთი გვარისაა.

ჯილა ბიჭები ხნავდნენ მიწას და...
დედით ირწვოდა ტკბილი აკვანი.
ასე გამრავლდა ოთარ და ნიკა,
ასე გამრავლდა ხვანი, ჭალვანი.

ლიჩში იზრდება მჭერმეტყველები,
მეცნიერებიც ძალზე ბევრია
და გაზაფხულის თეთრი ტყემლები,
ბებერ მიწაზე გულით მღერიან.

ალბათ, უფალმა ასე ინება,
საგვარეულოს გვარის დაყოფა,
ღვთის სიყვარული ჩვენით იწყება,
ჩვენ ღმერთმა გრძნობით დაგვაწყალობა!

*გულნაზ ხარაიშვილი*

# სასარგებლო რჩევები

მედეა ადეიშვილი-ხარაიშვილი.



## სასარგებლო რჩევები

### ციტრუსები ბავშვების სამსახურში

ციტრუსები ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. მათში არსებული ვიტამინებისა და მინერალების წყალობით.

რკინის წყარო – ფორთოხლის წვენი ბავშვის ორგანოზმს ეხმარება რკინის შენარჩუნებაში და საკვებიდან მის მაქსიმალურად შეწოვას უწყობს ხელს. ეს განსაკუთრებით იმ მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომელთა შვილებს ანემიური მოვლენები აქვთ. რკინა მნიშვნელვანი ელემენტია, რომელიც ბავშვის ორგანიზმს ჟანგბადით უზრუნველყოფაში უწყობს ხელს.



გულის მეგობარი: ყველა ციტრუსი შეიცავს ლიმინიდებს, რომელთა წყალობითაც მათ მომწარო გემო აქვთ. მეცნიერებმა დადგინეს, რომ ამ ნივთიერებებს ორგანიზმში ავთვისებიანი უჯრედების ბლოკირება შეუძლიათ, აფერხებენ მათ გამრავლებას, კიდევ სისხლძარღვებს ელასტიურობას უნარჩუნებენ და გულის რითმს აწესრიგებენ.

ფორთოხალი – მდიდარია ანტიოქსიდანტებითაც, არ უნდა დავივიწყოთ ცე და კა ვიტამინებიც, რომელიც არა მარტო ბავშვების, მოზარდებისთვისაც აუცილებელია.

გრეიფრუტი – მდიდარია მიკროელემენტებით. ის აწესრიგებს კუჭნაწლავის სისტემას, რაც ბავშვების შემთხვევაში ხშირად პრობლემატურია. ამისათვის გრეიფრუტის წვენი ასვით ბავშვებს. წვენი პიგმენტური ლაქების მოსაშორებლადაც გამოიყენება. არანაკლებად სასარგებლოა გრეიფრუტის ზეთიც. ის კანს ამშვიდებს, აქრობს გამონაყარს, რაც ბავშვებში ბევრი მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული-საფენი, ჩახურება, ნასიცხი და ა. შ.

### ტკბილი კოსმეტიკა



**შაქარი.**

შაქრის ფხვნილს ნებისმიერი ცოტა ზეთი დაუმატეთ. ამ ნარევით მთელი სახე და ტანი გაიწმინდეთ. ასეთი გასუფთავების ღირსება ისაა, რომ მგრძნობიარე კანსაც კი არ აღიზიანებს.

**ნიღაბი.**

ეს ტკბილი ნიღაბი კანს ათეთრებს და ზაფხულში ზედმეტ პიგმენტებს თავიდან აგაცილებთ.

**თაფლი.**

თაფლი არამარტო უებარი მკურნალია, მან ფართო გამოყენება ჰპოვა კოსმეტოლოგიაშიც. ის შეიცავს შაქარს, რომელიც კანს შესანიშნავად

ატენიანებს და აახალგაზრდავებს. ნატრიუმის მარილები, კალიუმი, მაგნიუმი ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას უზრუნველყოფენ. თაფლის ნილბები კანს არბილებს და გლუვს ხდის. სასარგებლოა ყველა ასაკის ქალებისათვის.

## ჩემი სამზარეულო

### ღვეზელი ბრინჯით, მწვანე ხახვით და კვერცხით



**ცომი:** 3 ჭიქა წყალი, საფუარი, 7 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი. 1 ჩაის კოვზი მარილი, 4 სუფრის კოვზი შაქარი, ფქვილი 7+1 ჭიქა.

**მომზადება:** მოზილეთ ცომი 7 ჭიქა ფქვილისაგან და დადგით თბილ ადგილას 1 საათის განმავლობაში. ცომი უნდა იყოს რბილი.

ფიცარზე მოაყარეთ 1 ჭიქა ფქვილი და ღვეზელებისთვის ცომისაგან გააკეთეთ ბურთულები და დააწყვეთ.

**ღვეზელების გულსართი:** 1 ჭიქა ბრინჯი, 2 კონა მწვანე ხახვი და 4 კვერცხი. ბრინჯი და კვერცხი მოხარშეთ. კვერცხი დაჭერით კუბიკებად, მწვანე ხახვი დაჭერით წვრილად. დაუმატეთ გამდნარი კარაქი და გემოვნებით მარილი.

ცომის ბურთულებში ჩადეთ გულსართი, ზემოდან წაუსვით კვერცხის გული და ჰაერღუმელში შედგით გამოსაცხობად.

ცხვება გაცხელებულ ჰაერღუმელში 20 წუთი.

### ხამარხო სალათი



**მასალა:** წითელი წიწაკა 5 ცალი, მწვანე წიწაკა 5 ცალი, სტაფილო 4 ცალი, საშუალო ზომის ბადრიჯანი 3 ცალი.

**მომზადება:** ეს ყველაფერი დავჭრათ რაც შეიძლება გრძლად, და ცალ-ცალკე შევწვათ ზეთში სწრაფ ცეცხლზე, ძალიან არ უნდა შეიწვას, ფერი უნდა შეინარჩუნოს. ყველაფერ ამას ჩავყრით ჯამში და შევასუნელებთ, ნიგოზი 3 ჩ. კოვზი. ხმელი ქინძი, სუნელი, წიწაკა, მარილი, ნიორი, 2. ჩ. კოვზი. ძალიან ცოტა ძმარი, (ან ლიმონი) ამას ყველაფერს აურევთ ერთმანეთში.

**გაფორმება:** ლამაზ თეფშზე დავდებთ მწვანე სალათის ფურცლებს და დავაყრით ზედ ამ უგემრიელეს სალათსს, ზემოდან მოვაყრით მწვანე ქინძს. ამ სალათს უხდება მჭადი და წითელი ღვინო.

# გახსენება

**მირანდა ხოდელიძე**



## მირანდას ჩემო ბეღურა

ჩემო მირანდა, შენ ჩემო ანგელოზო, ჩემო ცხოვრების აზრო და დიდო იმედო...მიღალატე და ვაი რა ცუდ დროს...უდროვოდ მიმატოვე, დამიტოვე უამრავი სევდა, დარდი და ტკივილი.ეს ისეთი ტკივილია, რომის გამაყუჩებელი წამალიც არ არსებობს.დამტოვე დარდის ღრუბელში ამ ტკივილთან უნუგეშოდ.

ჩემო მილალუკა, ძალიან უზომოდ მენატრები.შენს გარეშე ჩემმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა.მხოლოდ შენი სახელის, შენი პიროვნების სადიდებლად ვსულდგმულობ, ვიცოცხლებ იქამდე სანამ უფლის ნება იქნება.ვიცოცხლებ მხოლოდ შენთვის და შევეცდები რაც შეიძლება ხშირად მოგიწყო ხსოვნის საღამოები და მოგიძღვნა სულ უფრო მეტი და მეტი ლამაზი ლექსი.ესეც შენი დამსახურებაა.შენმა დარდმა და უზომოდ დიდმა ტკივილმა ამაღებინა ხელში კალამი და თითქოს პატარა ნუგეშს ვპოულობ ამით.

„მე შენთან მოვალ, მალე ალბად სულ მალე მოვალ,
მე მოვალ შენთონ და ვიცი ცოდვილს გულში ჩამიკრავ,
შენ ჩემს თვალებში დაინახავ უსაზღვრო სევდას,
თუ როგორ ველარ უძლებს ეს გული შენს მონატრებას.“

ჩემო უსაზღვრო მონატრებავ და გაუსაძლისო ტკივილო, მიკვირს სული როგორ მიდგას და საერთოდაც რატომ ან რისთვის ვარსებობ, მაგრამ არა, მე შენ გჭირდები, შენთვის უნდა ვიცოცხლო...



ჩემო ულამაზესო, უჭკვიანესო, პატარა ცქრიალა გოგონავ – გული სევდით მევსება – ნუთუ მართლა აღარ მოხვალ. არა, მჯერა, რომ მოხვალ და გამახარებ. თუგინდ სულ ცოტა ხნით და მერე ერთად წავიდეთ ორივე, გაუდგეთ დიდ გზას ცათა სასუფევლისკენ.

2016წლის 28მაისს მოეწყო შენი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომლის ორგანიზატორი გახლდათ ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ქალბატონი რიმა ბერაძე, ხოლო ამ საღამოს სულისჩამდგმელი ქალბატონი ფლორა მილორავა.საღამოს წამყვანები იყვნენ უცნობი თანატოლები სხვადასხვა სკოლებიდან (№5:№23:№37), თამარა ლოლაძე, თამარ მიქაუტაშვილი და იმედა მსხილაძე.

ქალბატონმა რიმა ბერაძემ საზოგადოებას მიმართა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ შენი ხსოვნისადმი. ამ საღამოს ესწრებოდნენ: საკრებულოდან, ჩუღურეთის რ;ის გამგებლებიდან, შენი მშობლიური სკოლიდან, ჩვენი ქალაქის პოეტური და მუსიკალური სამყაროებიდან, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიიდან და მრავალი სხვა, ვისაც ასე ძალიან უყვარდი და ენატრებოდი.

ამ შენს საღამოს, ობიექტივის ტელევიზიის ღია ეთერიდან გამოეხმაურა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის პრეზიდენტი პოეტი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი და პოეტი ლამზირა შეყილაძე. მათ გადაცემის წამყვანს ბატონ გიორგის, სთხოვეს თავისი

განკუთვნილი დროის ნაწილი შენს გახსენებას დაუთმეს და ტელევიზიიდან შენზე მოძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

შენი საღამო მოეწყო ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის სახლ–მუზეუმში, რომლის დირექტორიც გახლავთ ბატონი დავით ჭანგველაძე.

ამ უდიდეს ტკივილიან საღამოზე ერთმანეთს ცვლიდნენ შენი ტოლ–მეგობრები და მოწვეული სტუმრები.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრმა–მხატვარმა ნელი კვახაძე–ჯამრიშვილმა მის მიერ დახატული შენი პორტრეტი გადმომცა, რომელიც მთელი გულით შეასრულა.

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით, პატივისცემით და უდიდესი ტკივილით გაგიხსენეს შენმა „ქსოვრელებმა“ – დიდებმა თუ პატარებმა – შენმა ბიჭებმა, როგორც შენ მიმართავდი ხოლმე მათ. „მირანდა„ ჩვენი ოჯახის წევრი და ჩვენი საყვარელი პატარა დაიკო იყო, აი ასე მიმართა საზოგადოებას შენი ელდარი მასწავლებლის შვილმა – პატარა ქსოვრელების მომავალმა ხელმძღვანელმა –გიორგი შოშიტაშვილმა.

„დარჩა კი ლეგენდა მირანდა წიკლაურისა, ანუ პატარა ვარსკვლავისა, რომელსაც სულ მცირე დროში აღმოაცენა მარადისობიდან საკუთარი უკვდავება„ ეს სიტყვები ეკუთვნის ჯგუფი „ზღვარის“ დიდ პოეტს ბატონ სერგი ლომაძეს.

ჩემო სიცოცხლევ, ეს შენი დღე იყო და შენი საღამოს, რომელიც კიდევ უფრო გაალამაზა „საპატრიარქოს„ არხმა „ერთსულოვნებამ„, რომელიც ითავა შენსავით ცქრიალა ორმა გოგონამ–ნინო ბარამიძემ და თამარა ელისაბედაშვილმა.დიდი მადლობა მათ და ყველა მათ თანამშრომელს, რომლებმაც ასე გულთან ახლოს მიიტანეს შენი და ჩემი უბედურება და დაგვითმეს ეთერი. „შეეწიოთ მათ უფალი და ფარავდეთ 365 წმინდა გიორგის მადლი.„ ყველას, ყველას უღრმესი მადლობა ესოდენ უსაზღვროდ დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა შენსადმი.

ერთი დიდი დარდის ღრუბელი –
შენი ბებო მირანდა ხოდელიძე

## ნინა ხარაიშვილის გახსენება



როცა სიცოცხლეშივე სიკეთის ლეგენდად იქცევი რა ასაკითაც არ უნდა წახვიდე ცათა სასუფეველში მაინც დაენანები, ახლობლებს და იმათ ვინც გიცნობდა და ვისაც შენი მადლიანი სიტყვით გული გაუთბია. ასეთი ქალბატონი იყო ნინა ხარაიშვილი. ოთხი შვილის დედა. არაჩვეულებრივი შვილები და შვილიშვილების ცრემლები მიაცილებდნენ მას. მისმა ძმამ ჯუმბერ ხარაიშვილმა ასეთი წარწერით მიუტანა ლამაზი გვირგვინი: „თუ ვინმეს ქართველი ქალის სახელი უტარებია, ეს შენ იყავი, მშვიდობით ჩვენო ბერმუხავო.“ ის ცხრა დედმამიშვილში ყველაზე უფროსი იყო და ყველაზე პირველიც წავიდა ღრმად მოხუცებულობის შემდეგ. მაგრამ ცრემლებით მიაცილებდნენ შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ხალხი. მართლაცდა საამაყოა ასეთი წასვლა იქ უსასრულობაში. წავიდა ვალმოხდილი, თბილი ხარაიშვილთა სიამაყე და მოამაგე. ქალბატონი ნინას ძმები, ჯუმბერი და ნოდარი ხარაიშვილები, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსები არიან და აი, ამიტომ აკადემია სამძიმარს უცხადებს მათ თავისი გამზედელი დის ქალბატონი ნინა ხარაიშვილის გარდაცვალებას.

# შენ ასე მწერდი და მეფერებოდი



## ჩემო საყვარელო გულნაზი! გილოცავ დაბადების დღეს!

ძალიან მიყვარხარ. შენთან გატარებული დღეები ყოველთვის მაგონდება. კარგ ხასიათზე ვდგები როცა შენზე ვფიქრობ, თუმცა ბოლო წლები სევდიანია.

ყოფილიყავი მუდამ ჯანმრთელი ენერგია და ძალა შეგენარჩუნებინოს სიცოცხლის ბოლომდე. პოეტური სამყაროს მწვერვალები დაგეპყროს. შენ როგორც გინდა ისეთი შვილიშვილები აღზრდილიყვნენ. და შენი სევდიანი გული გაეხარებინოთ.

ჩემთვის შენ ხარ ქართველი ქალის ნიმუში. თავდადებული მეუღლე, მოსიყვარულე დედა, მოალერსე და კეთილი ბებია.

სულ ლამაზი და სიყვარულით სავსე გულით მენახო.

შენგან ბევრი რამ მაქვს შესწავლილი: მოთმინება. (გაბრაზების დროს). ყოველთვის ტკბილ სიტყვას, დამამშვიდებელს, კარგ ხასიათზე მოგყავს ადამიანები: მიუხედავად იმისა, რაც შენ თავს გადაგხდა.

უამრავი რამის დაწერა შემიძლია შენზე, მაგრამ ლექსად დრომ შემეძლოს დაწერა უკეთესია.

როცა ამას ვწერდი ძალიან მტკიოდა თირკმელი, შეიძლება შეცდომებიც იყოს ნაწერში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საათს შევხედე და დამთავრებისას აღმოვაჩინე, რომ უკვე ყრუდ მტკიოდა ისე აღარ მაწუხებდა. შენი სულის დამსახურებაა, რადგან ალბათ იმ დროს ჩემზე ფიქრობდი.

„მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი."

***კლარა.***

05.05.2014 წ.

## ჩემო კლარა

არ გეგონოს დამავიწყდი,
სიფაქიზით გიწვდი ვარდებს...
ბედით გავხდი გულმავიწყი,
ვერ ვერევი გულის დარდებს

***გულნაზ ხარაიშვილი***

ახლა კი უცხო სოფელში გადაინაცვლე. მჯერა, რომ იქიდან დალოცავ შენს საქართველოს.

## კლარა მალაზონიას

უცხო სოფელში გადაინაცვლე,
ბევრის აღმზრდელო, თუმცა უშვილი,
ცას შენს სიკეთის სამოსელს აცმევ
გინდა მადაც რომ ყველას უშველო.



# მილოცვა

**ჯუმბერ ხარაიშვილი**

## მილოცვა ნანული წერეთელს

ჩემო ნანული შენ ღმერთისაგან მონიჭებული გაქვს ზეციური მადლი სიკეთისა. შენი განვლილი წლები მომავალი თაობის აღზრდის იდეოლოგიას ღაღადებენ.

აქ გასაოცარი თითქოსდა არაფერია რადგან ბატონი გრიშა წერეთლის ქალიშვილი სხვანაირი არც უნდა ყოფილიყო. შენ ნამდვილად ხარ მრავალი ბავშვის აღმზრდელი და სამაგალითო პიროვნება.

მე ბავშობის მეგობარი ვარ ძალიან ბევრი რამ მახსენდება, ეს ტკბილი დაძმური მოგონებაა, ახლა ჩვენ ორივე ცის აღმართს მივუყვებით. დღეს შენი დღეა მინდა გისურვო, ცოდვილ ადამიანების პატიება და კვლავაც უშურველად სიკეთის მადლი გეფრქვიოს ირგვლივ მყოფთათვის.

## მილოცვა გვანცა ხარაიშვილსა და ლაშა ნინიაშვილს

გვანცა ხარაიშვილს და ლაშა ნინიაშვილს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია ბედნიერებას ულოცავს.



შენ მამიდიკოს ტკბილო ბულბულო,
უსაზღვრო ზღვაო ნიჭიერების...
საკუთარ შვილად უნდა გიგულო
მაცოცხლე, შენი ბედნიერებით!

***გულნაზ ხარაიშვილი***

# სარჩევი

**გულნაზ ხარაიშვილი**
შენი ლოცვით მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილს)........................................ 3
(მამა ანდრია აბაშიძეს) ........................................................................................ 3
**Нана Месхи**
**ПАТРИАРХУ ГРУЗИИ ИЛЬЕ II** ............................................................................4
**გულნაზ ხარაიშვილი.** ქედრება ............................................................................ 5
**ნელი ქველაძე**
უფლის სახლი დიდ დიღომში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი ................... 6

## პოეზია

**მეუფე თადეოზი** (მირიან იორამაშვილი)
სონეტი ქართულ მიწას ..........................................................................................8
სამშობლოსადმი.......................................................................................................8
* * * მზით სავსე ზეცაც ხშირად გვქონია... ..............................................................8
ყოველ ჭეშმარიტ მორწმუნეს ...................................................................................8
* * * როგორც სიცოცხლე, სიყვარული... .......................................................................9
* * *იწვის... ანათებს... მზეა... ჰქვია მზე... ......................................................................9
* * * საკვირველია ფერი ცის... .....................................................................................9
* * * საიდან ფიქრი უმზეო ...........................................................................................9
*** ჟამსა ლოცვისასა მოგხედე შენ და .........................................................................10
*** ჩემთვის ისევ უაზროდ.........................................................................................10
*** ვინც სიყვარულით აჯობა ყველას... .......................................................................10
*** ერიდე ცოდვის პირველ ხაფანგს...........................................................................10
საიდან ფიქრი უმზეო...............................................................................................10
**არჩილ მინდიაშვილი**
* * * გზაგასაყარზე ვდგავარ მდუმარედ .....................................................................10

## ჯგუფი ზღვარი

**გიორგი ზუხბაია**
რიქშა ................................................................................................................. 11
სარკის ფრინველი................................................................................................. 11
**კახა ბაციკაძე**
ზეცისკენ................................................................................................................. 12
ირეალური.............................................................................................................. 12
რუსთაველი............................................................................................................ 12
გრანელი – ღმერთი ............................................................................................... 12
**სერგი ლომაძე**
უსასრულობა ........................................................................................................ 13
უკვდავება............................................................................................................... 13
გული ხელებში ....................................................................................................... 13

**თამარ გავაშელაშვილი**
მანამ ცხოვრება მშვენიერია .................................................................................. 14
არ მიმატოვოთ მტრედებო...................................................................................... 14
რაც მთავარია, მე ხომ მიყვარხარ ........................................................................... 14
ერთია გამოსავალი ................................................................................................. 15
მომიშუშდა ნაიარევი............................................................................................... 15
ვიცი გამჭორავენ ..................................................................................................... 15
**ზეგული ტყეშელეშავილი**
სად ხარ? 16
მტირალი ტირიფი ................................................................................................... 16
ცხინვალი მომნატრებია .......................................................................................... 16
ცხინვალის გზაზე .................................................................................................. 16
ფრონეც მისთვის შევიყვარე .................................................................................. 17

ზოგჯერ ქარი ვარ... 17
მეც ბავშვობიდან მოვდივარ! 17
რას გიშლით 17
**უშანგი მოსიაშვილი**
დამილოცეთ საქართველო 18
სიტყვა ნაღდი აღარ ფასობს 18
რად შემიყვარე 18
არ ვიცი, როგორ მოვიქცე 18
უკუღმართია საწუთრო 19
მოგონება 19
**თამაზ ცაბუტაშვილი**
მხოლოდ რჩეულებს 20
დაბრუნება 20
**თინათინ ხაბურზანია**
ერთგული ხმალი 21
**ჟუჟუნა ცენგინაშვილი**
ჟღალი მიმინო 22
მტკივა 22
დამიტოვეთ 22
* * * ღმერთმა ნუ ქნას 22
**კლარა გელაშვილი**
სანთელი 23
ჩემი იები 23
იცის... 23
უყვარს.... 23
**ნუგზარ ხუციშვილი**
9 აპრილი, ცხრა წლის გოგონა... 25
9 აპრილი 25
ომი სამაჩაბლოში 25
**მზიური აფციაური**
* * * ჩემს უაღრესად საყვარელ ადამიანს გულნაზ ხარაიშვილს 26
* * * მ-ე მიმაჩნია ვიყო მართალი, სული არ სწენდეს სხეულს 26
* * * გელა სხირტლაძეს! 27
* * * გულნაზ ხარაიშვილის ფიქრები 27
* * * II ვარიანტი 28
**მანანა ზაზიკაშვილი**
ალთა ბალთა 29
ხალხი ვართ ფოლადისაო 29
ლევილის სასაფლაოზე 29
მტკვარო 29
**ნოდარ ყურაშვილი**
მ ე გ ო ნ ა 30
ამონარიდი 30
თუ შენ 31
**რუსუდან ფაილოძე**
ზემო ბეთლემს ! 32
ზემო ბეთლემო! რა რიგ მიყვარხარ ! 33
**ლამზირა შეყილაძე**
***** ამ წუთისოფლის მგზავრი ვარ... 34
***** ცრუ აზრები გულს რად გიხრავს 34
ერის გულის ვარდი ხარ 34
სამშობლოს სიყვარულისთვის 34
მე უნდა ვიყო ზღვასავით სავსე 35
გვითხარ, ვინ გაგვცემს კითხვებზე პასუხს 35
გაგაგიჟო ჩემზე ფიქრით 35

**შალვა ილურიძე**
მანანა ჩიტიშვილს ........ 36
ქსნის ხეობელ პოეტ ქალს ........ 37
მოძულეს ........ 37
ჩემო სამშობლოვ! ........ 37
ჩემი ხარისთვალა ვაზი ........ 37
2016 წლის არჩევნებს ........ 37
მოგონებების სადღეგრძელო ........ 38
ობოლო გული ........ 38
გმირთა სულების შეხვედრა ........ 38
I-გიორგი ესაუბრება შავლეგოს ........ 38
I – შავლეგოს შეფასება ........ 39
II-შალეგოს ესაუბრება ........ 39
II შავლეგოს შეფასება ........ 39
**ნელი ქველაძე**
ქართული რომანტიზმის მწვერვალს ........ 40
მშვენიერების სამყარო ........ 40
დედის დატირება ........ 41
მომღერალი არწივი ........ 41
**თამარ (იამზე) ჭელიძე**
მიხვდები შენ, ადამიანო, სული კი არ დაიზიანო ........ 42
* * * აზრის ნათელმა ჩააცხრო შფოთი ........ 42
მარად იმედი გქონდეს განგების ........ 43
ჩრდილი ნავარდობს მზეთამზის ნაცვლად ........ 43
იქით სითბოა: წამოდით იქით ........ 43
**ცისნამი უტარაშვილი**
გული ველარ გივიწყებს შენ ნავს დაეძებ... ........ 44
ჩემს დედას!.. ........ 44
საკაძეა მისი დიდება ........ 44
შენ ვეება ხარ ........ 45
აფხაზეთო თვალწარმტაცო! ........ 45
სოხუმი ჩემი, არც თუ შორია ........ 45
ემიგრანტის სიმძიმე ........ 45
**ნაირა ნიჟარაძე**
სიმდიდრე ........ 46
ჩემი მშვენიერი გოგონა ........ 46
არ დაგკარგო ........ 46
წითელი ვარდი ........ 46
ნეტავ ........ 47
არ გამოჩნდება ........ 47
აღდგომა ........ 47
ველარ ........ 47
ნატვრა ........ 47
წუთისოფელი ........ 48
მაგონებს ........ 48
რად ........ 48
რა მელის ........ 48
**Нана Месхи**
Тот –мир ........ 49
Сон ........ 49
Человечек ........ 49
**გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)**
სიცოცხლის გაელვება ........ 50
სამაჩაბლოს ბულბული ........ 50
ზეციური ანდამატი ........ 51
გაზაფხული მოსულა ........ 51

**ილია ზაქარაშვილი**
*** არავის ესმის და არც მინდა, ესმოდეს ვინმეს... ............ 52
*** გზებზე უმოძრაოდ დგანან შენობები... ............ 53
*** და როგორც არასდროს უკან არ ბრუნდება... ............ 53
*** მე დავიბადე იმისთვის, რომ გარდავიცვალო... ............ 54
*** რაც გინდა დაარქვი, არა აქვს აზრი... ............ 54
**ბეჟან ხარაიშვილი**
ნატვრა ............ 55
რუსთავო ............ 55
რატომ გამიფრინდი? ............ 55
სხვაობა ............ 55
გახსენება ............ 56
შემოდგომით ............ 56
გამოთხოვება ............ 56
**გულნაზ ხარაიშვილი**
სიცოცხლის განმეორება ............ 57
ახლა აქ ცხოვრობ(ლამზირა შუბითიძეს) ............ 62
მხოლოდ ............ 62
გულის მდინარე ............ 62
(გიორგი საკაძეს) ............ 62
ქარს გაუძელი ............ 62
ჩემი ნაშრომი ............ 62
ფრთამოტეხილი ჩიტი ............ 62
მე ვარ სიმშვიდის ნერგი ............ 62
ხვანი (ჩემი სოფელი) ............ 62
ეს საუკუნე ............ 63
სულით მდიდარო (ჯუმბერ ხარაიშვილს) ............ 63
წელში გავწყვიტავ ............ 63
**** ბროწეულის იმ ნაზ ყვავილს გული ვანდე...
ო, რა ძალიან მდიდარი ვარ ............ 63

## თარგმანები

**მაყვალა გონაშვილი**
**მარ ბაჯიევი** (პოემა). მანასის გამარჯვება ესენხანის მსტოვრებზე (გაგრძელება) ............ 64
**მაია მახარაშვილი**
**მაყვალა გონაშვილი.** ვალი ............ 68
**Маквала Гонашвили.** Долг ............ 68
**ანასტასია (რუსუდან) კალანდაძე**
***სერგეი ესენინი.*** შაგანე ............ 69
***ალექსანდრე პუშკინი.*** ნოემბერი ............ 69
**Ratiani Lali**
Weg des Ruhmes (Fortsetzung) ............ 70

## საბავშვო განყოფილება

**ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)**
ბაასი ყვავილნარში (პიესა) ............ 78
**„მეზღაპრე“ ლალი კახიძე**
წითელი წინდა ............ 80
„გზააბნეული ქათამი“ ............ 81
მურა დათვი ............ 82
**გურა ანგურა (გურამ გედევანიშვილი)**
ზღაპარი წიქარაზე ............ 83
**მოსე ბოროდა**
ცოლი, რომელიც ჰაერით საზრდოობდა (იტალიური ზღაპრის მოტივზე) ............ 110

## პროზა

**რევაზ მიშველაძე**
ბაღდადური ცოლიკაური ........ 113
ქართველები ........ 115
**სერგი ლომაძე**
ერთი დღე თერჯოლაში ........ 118
ქალბატონი გულნაზი – დედა თანამედროვე აკადემიისა ........ 121
ლეგენდები არა კვდებიან (დიდუბის პანთეონის ქრონოკა) ........ 125
ვაჟა ეგრისელი-75 ........ 128
დიდი საღამო (ნუნუკა გურალიას ხსოვნისა) ........ 131
**მზიური დათიაშვილი-აფციაური**
სამაგიდო წიგნი ........ 135
**ნინო ნაკვეთაური**
მრავალსართულიანი კარკასული შენობები ჟეჟლის სისტემის მიხედვით ........ 137
**გულნაზი ხარაიშვილი**
ჩვენო მეუფე ........ 138
**ბელა ალანია**
მოვალ შენამდე (მინიმები) ........ 140
**მაია ტყემლაძე**
ვრთით, ვღელავთ გენიოსი შოთას წინაშე... ........ 142
**ხათუნა ჩიტაძე**
*ჩანახატები, მინიატურები.* „კანფეტი" ........ 144

## წერილები

**ლუარა სორდია**
ტერენტი გრანელის ენიგმები – „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება" ........ 147
**Ratiani Lali**
**Satzgefüge mit dem Temporalsatz (Adverbialsätz, der Zeit) ........ 151**
**მანანა კვატაია**
გურამ რჩეულიშვილის პოეტური ექსპერიმენტები ........ 161
თავისუფლება – სიცოცხლის არსი (სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 130 წლისთავისათვის) ........ 164

## ხელოვნება

**რუსუდან ფაილოძე**
ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიული საწყისები ........ 168
**შალვა გერაძე**
ჭედური ხელოვნების სამყაროში ........ 171

## ისტორია

**Рамаз Шенгелиа,Гиорги Алибепашвили,Гиоргий Квеситадзе**
КОРНИ ГРУЗИНСКОЙ НАУКИ ........ 172
**Елена Диакова**
СОВЕТСКИЕ НАЦИОНАЛЬНЫЕ ФОРМИРОВАНИЯ ВРЕМЕН ВТОРОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ ........ 187
**ნიკო ხერკელაძე**
ტაშისკარის დიდი ომი ........ 189

## ეკონომიკა

**ონერ ძაძუა**
მენეჯერის ძირითადი ფუნქციები რისკების მართვის სფეროში ........ 193
**Valeri Mosiashvili, Shorena Beruashvili**
The analysis of foreign trade of Georgia after the accession in the WTO ........ 199
**ჯუმბერ ხარაიშვილი**
საჯარო ფინანსების დაგეგმვის სპეწციფიკა საქართველოში ........ 206
სახელმწიფოს ინტერესები საჯარო ფინანსების დაგეგმვის პროცესში ........ 206
**ვანო შუშტაკაშვილი**
საჯარო ფინანსების დაგეგმვის მეთოდები ........ 208

## ნორჩი ათინათელები

**ილია ძმანაშვილი**
ინტერვიუ პოეტ ნაირა ნიჟარაძესთან.......... 211
**ტარიელ ხარატიშვილი**
ინტერვიუ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან ბატონ გიორგი კვესიტაძესთან .......... 218
**ინგა შუბითიძე**
ინტერვიუ ბატონ ირაკლი ტეფნაძესთან.......... 220
**ნუცა სხირტლაძე**
ინტერვიუ ქარელის რაიონის სოფელ საციხურის საჯარო სკოლის დირექტორთან — ქალბატონ ცირა შუბითიძესთან .......... 221
**ნატა სხირტლაძე**
ინტერვიუ ამბროლაურის გამგებელთან ბატონ მალხაზ ლომთათიძესთან .......... 223
26 მაისი დამოუკიდებლობის დღეა .......... 225

## სასარგებლო რჩევები

**მედეა ადეიშვილი-ხარაიშვილი**
**სასარგებლო რჩევები.** ციტრუსები ბავშვების სამსახურში .......... 227
ტკბილი კოსმეტიკა .......... 227
**ჩემი სამზარეულო.** ლვეზელი ბრინჯით, მწვანე ხახვით და კვერცხით .......... 228
სამარხო სალათი.......... 228

## გახსენება

**მირანდა ხოდელიძე**
მირანდა ჩემო ბელურა.......... 229
ნინა ხარაიშვილის გახსენება .......... 231
**კლარა მალაზონიას .......... 230**

## მილოცვა

**მილოცვა ნანული წერეთელს.......... 232**
**მილოცვა გვანცა ხარაიშვილსა და ლაშა ნინიაშვილს .......... 232**

# ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი" არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპრო-ფილიანი საერთაშორისო აკადემია."

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო", რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის მეორე გვერდზე ვანიკო კაზუას ფერწერა. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას „ვეფხვისტყაოსნის" ილუსტრაცია.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი და ალადინ გარაბაგლი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: ელგუჯა მამუკელაშვილი – პროფესორი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
ლევან ბაბუხადია – ჟურნალ „ხატის“ რედაქტორი
ანა ბოდბელი – მეცნიერი
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.

საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge